# ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, ნიშანდების და გასაღების სტანდარტი

## „გრინ კაუკაზუსი“

შპს „კავკასსერტი“

**შინაარსი:**


შესავალი ----------------------------------------4
1. გამოყენების სფერო ----------------------------------------8
2. აღწერა და განმარტებები ----------------------------------------9
2.1 აღწერა ----------------------------------------9
2.2 განმარტებები ----------------------------------------9
3. ნიშანდება ----------------------------------------17
- ძირითადი დებულებები ----------------------------------------17
- კონვერსიის (გარდამავალი) პერიოდის პროდუქციის ნიშანდება ----------------------------------------20
- საბითუმო ვაჭრობისათვის განკუთვნილი კონტეინერების ნიშანდება ----------------------------------------22

4. წარმოებისა და დამზადების წესები ----------------------------------------23
5. მოთხოვნები მე-2 დანართში ნივთიერებათა შეტანის თაობაზე ----------------------------------------24
6. ინსპექტირებისა და სერტიფიცირების სისტემა ----------------------------------------26
7. ექსპორტი და იმპორტი ----------------------------------------28
8. დარღვევები და ინფორმაციის გაცვლა----------------------------------------29
9. გარდამავალი და საბოლოო დებულებები----------------------------------------31
10. სტანდარტის განახლება ----------------------------------------32
დანართი 1. ბიოწარმოების პრინციპები ----------------------------------------33
ა. მემცენარეობა და მცენარეული პროდუქტები ----------------------------------------33
**ბ.** მეცხოველეობა და მეცხოველეობის პროდუქტები ----------------------------------------42
ძირითადი პრინციპები ----------------------------------------42
- ცხოველების წარმომავლობა ----------------------------------------47
- გარდამავალი პერიოდი ----------------------------------------49
- კვება ----------------------------------------52
- ცხოველთა ჯანმრთელობა ----------------------------------------63
- ცხოველთა მოვლა, ტრანსპორტირება და დაკვლა ----------------------------------------66
- ცხოველების საცხოვრებელი პირობები სადგომში და სადგომის გარეთ ----------------------------------------68
- ძუძუმწოვრები ----------------------------------------69
- ფრინველები ----------------------------------------69
- ცხოველების ნაკელი ----------------------------------------70
- ჩანაწერების წარმოება და იდენტიფიკაცია ----------------------------------------71
- მეფუტკრეობა და მეფუტკრეობის პროდუქტები ----------------------------------------71

**გ.** ბიოპროდუქციის დამუშავება, ტრანსპორტირება, შენახვა, გადამუშავება და შეფუთვა-76
- მავნებლების კონტროლი ----------------------------------------77
- წარმოება და გადამუშავება ----------------------------------------78
- შეფუთვა ----------------------------------------78
- შენახვა და ტრანსპორტირება ----------------------------------------79

**დ.** აკვაკულტურა – წყალმცენარეებისა და წყლის ბინადარი ცხოველების წარმოების წესები ----------------------------------------81
ე. ღვინის წარმოების განსაკუთრებული წესები ----------------------------------------105
ვ. ორგანული საფუარის, კონვერსიული საკვების გამოყენების, კვერცხის დეკორაციული გაფერადების და ფერმენტების გამოყენების შესახებ (ევროკომისიის რეგულაცია № 1254/2008) ----------------------------------------106

დანართი 2. ბიოპროდუქციის წარმოებაში ნებადართული საშუალებები ------------------------107
გაფრთხილება ---------------------------------------------------------------------------------------------------108
ცხრილი 1. ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად ნებადართული საშუალებები --------108
ცხრილი 2. მავნებლებისა და დაავადებების კონტროლისათვის ნებადართული საშუალებები ---------------------------------------------------------------------------------------------------113
ცხრილი 3. ნებადართული არასასოფლო-სამეურნეო წარმომავლობის ინგრედიენტები ---117
ცხრილი 4. გადამუშავების პროცესის დამხმარე ნივთიერებები, რომელთა გამოყენება დაშვებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში ------------------------------------123
ცხრილი 5. ნებადართული სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ინგრედიენტები, რომლებიც წარმოებული არ არის ბიომეთოდებით ------------------------------------------------------------------126
ცხრილი 6. ბიო ღვინის წარმოებაში ნებადართული პროდუქტები და ნივთიერებები ------128
ცხრილი 7: ორგანული სურსათის, საფუვრისა და საფუვრის პროდუქტების წარმოებაში ნებადართული პროდუქტები და ნივთიერებები. საფუვრის და საფუვრის პროდუქტების წარმოებისათვის ნებადართული ტექნოლოგიური დანამატები. -------------------------------- 130
დანართი 3. ინსპექტირების მინიმალური მოთხოვნები და პრევენციული ღონისძიებები ინსპექტირებისა და სერტიფიცირების სისტემის ფარგლებში ----------------------------------------130
ა. საწარმოო ერთეული ----------------------------------------------------------------------------------------130
**ბ.** გადამამუშავებელი და დამფასოებელი ერთეული -----------------------------------------------135
**გ.** იმპორტი ----------------------------------------------------------------------------------------------------139
**დ.** მოთხოვნები ჯგუფის სერტიფიცირებასთან დაკავშირებით ------------------------------------139

**შესავალი**

(04.11.2016) "გრინ კაუკაზუსის" სტანდარტი არის გრინ "კაუკაზუსის" ბიოსერტიფიცირებისა და სავაჭრო ნიშნის მფლობელი კომპანიების, შპს "კავკასსერტისა" და შპს "ეკოგლობის" ინტელექტუალური საკუთრება.

ამ სტანდარტის ევროკავშირის ორგანული სოფლის მეურნეობის კანონმდებლობასთან ეკვივალენტობის შეფასება სისტემატიურად ხდება. ევროკავშირის ორგანული სოფლის მეურნეობის კანონმდებლობაში შესული ცვლილების ასახვისათვის ამ სტანდარტის განახლება რეგულარულად მიმდინარეობს.

სტანდარტის წინამდებარე ვერსია შემუშავებულია შემდეგ დოკუმენტებზე დაყრდნობით:

- ევროგაერთიანების რეგულაციის (EEC) No 834/2007, 889/2008 და 1235/2008 მიხედვით, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1-ელი იანვრიდან.
- კოდექს ალიმენტარიუსის სახელმძღვანელო ბიოპროდუქტების წარმოების, გადამუშავების, ნიშანდებისა და მარკეტინგის შესახებ.
- IFOAM (ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის) ძირითადი სტანდარტები ბიოაგროწარმოებისათვის და გადამუშავებისათვის.

(04.11.2016) სტანდარტის შესწორება ხდება ევროპული კანონმდებლობის ცვლილების პარალელურად. სტანდარტის ბოლო განახლების თარიღი და ვერსიის ნომერი მითითებულია ტექსტის ბოლოს შენიშვნაში.

ბიოსტანდარტი არ ზღუდავს მწარმოებლებს იმისაგან, რომ ბიოწარმოების სისტემის მართვაში გამოიყენონ საერთაშორისო სტანდარტებში, როგორიცაა GAP, GMP, HACCP, ISO 9001 (ხარისხის მართვის სისტემების მოდელი), SQF 2000 (უსაფრთხო ხარისხის საკვები) და ISO 14001 (გარემოსდაცვითი მართვის სისტემები) მოცემული დაგეგმვის, შემოწმებისა და შეფასების სქემები. აქედან გამომდინარე, მათ, ვინც იცავს ამ პარაგრაფში ნახსენებ სტანდარტებს, შეუძლიათ დახვეწონ თავიანთი საქმიანობა და გადააჭარბონ ბიოსტანდარტში მოცემულ მოთხოვნებს.

ბიოწარმოების სერტიფიცირება ხდება მხოლოდ ამ სტანდარტში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად. ბიოწარმოებაში უნდა დაცულ იქნეს სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის პრინციპები, რადგან ისინი არ ეწინააღმდეგება ამ სტანდარტში მითითებულ მოთხოვნებს.

გრინ კაუკაზუსის სტანდატი წარმოადგენს იმ სერტიფიცირების ორგანოების ექსკლუზიურ საკუთრებას, რომლებიც მუშაობენ გრინ კაუკაზუსის სერტიფიცირების სისტემის შესაბამისად (მესაკუთრე).

გრინ კაუკაზუსის სტანდატის სწორი ახსნა და ინტერპრეტაცია არის მისი მფლობელის პრეროგატივა. სტანდარტის ბოლო ვერსია ქვეყნდება სერტიფიცირების ორგანოს ვებგვერდზე.

ISO 17065-ის მოთხოვნის შესაბამისად, გრინ კაუკაზუსის სტანდატი არის საზოგადო დოკუმენტი, რაც ადასტურებს გრინ კაუკაზუსის სერტიფიცირების სისტემის გამჭვირვალობას.

გრინ კაუკაზუსის სტანდატის სტანდარტის ნაწილობრივი ან მთლიანი კოპირება აკრძალულია. საავტორო უფლებები ეკუთვნის სერტიფიცირების ორგანოს.

მიუხედავად ამისა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, სტანდარტის მფლობელის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ სტანდარტის გამრავლება/გავრცელება.

**ბაზრების ხელმისაწვდომობა**

მათ, ვისაც სურთ, ხელმისაწვდომი იყოს ბიობაზრები, უნდა დააკმაყოფილონ ამ სტანდარტის ყველა მოთხოვნები.

**ევროგაერთიანებისა და შვეიცარიის ბაზრები**
მათ ვისაც სურთ, ხელმისაწვდომი იყოს ევროგაერთიანებისა და შვეიცარიის ბაზრები, უნდა დააკმაყოფილონ ამ სტანდარტის ყველა მოთხოვნა.

**სხვა ბაზრები:**
მეწარმეები რომლებსაც სურვილი აქვთ აწარმოონ ბიოპროდუქცია საქართველოს, სომხეთის, ბელორუსიის, უკრაინის, მოლდოვის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის და თურქმენეთის ბაზრებზე და აღნიშნულ ქვეყნებში არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა მაშინ მეწარმის სურვილის შესაბამისად ისინი უზრუნველყოფილ იქნებიან წინამდებარე კერძო სტანდარტით. ისეთ ქვეყნებში ოპერირებისას სადაც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა უკვე არსებობს, წინასწარ მოხდება ამ ბაზის გადახედვა ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებთან შეთანხმებით. იმ შემთხვევაში თუ სხვა ქვეყნების მეწარმეებმა გამოთქვეს სერტიფიცირების სურვილი გრინ კაუკაზუსის სავაჭრო ნიშნის გამოყენებით, მაშინ სერტიფიცირების ორგანო გააგზავნის შეტყობინებას აღნიშნული ქვეყნის შესაბამის ორგანოში და ასევე შესაბამისი შეტყობინება გაეგზავნება ევროგაერთიანების შესაბამის ორგანოს და აკრედიტაციის ორგანოს.

**სტანდარტის მიზნები:**

- მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან;
- ბიოპროდუქციის მწარმოებლების დაცვა ფალსიფიკატორებისაგან;
- ბიოპროდუქტის წარმოების ყველა სტადიის: წარმოების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გასაღების პროცესების წინამდებარე სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ბიოპროდუქციის წარმოების, სერტიფიცირების, იდენტიფიცირებისა და ნიშანდების პირობების ჰარმონიზება „გრინ კაუკაზუსის" სამარკო ნიშნით.

სტანდარტი ასევე მიზნად ისახავს ბიოპროდუქციის წარმოების, გასაღების, ინსპექტირების წესებისა და ნიშანდების მოთხოვნების ჰარმონიზებას იმ სერტიფიცირების ორგანოებში, რომლებიც მუშაობენ „გრინ კაუკაზუსის" ფარგლებში.

სტანდარტი განსაზღვრავს ბიოწარმოების პრინციპებს მეურნეობის, გადამამუშავებელი საწარმოს, დასაწყობების, ტრანსპორტირების, ნიშანდებისა და გასაღების ეტაპებზე, ასევე გვთავაზობს იმ საშუალებების სიას, რომელთა გამოყენება ნებადართულია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მისი ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებისათვის, მცენარეთა დაცვისათვის, დაშვებულ საკვებ დანამატებსა და გადამუშავების დამხმარე საშუალებებს.

ნიშანდებისას, მითითება ბიოპროდუქციაზე შეუძლიათ მხოლოდ იმ მწარმოებლებს, რომლებიც იმყოფებიან სერტიფიცირების ორგანოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ.
ბიოაგროწარმოება არის ერთ-ერთი იმ მეთოდოლოგიათა შორის, რომელიც დადებითად მოქმედებს გარემოზე. ბიოაგროწარმოების სისტემა დაფუძნებულია სპეციფიკურ და ზუსტ წარმოების სტანდარტებზე, რომლებიც მიზნად ისახავს სოციალურად, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მდგრადი ოპტიმალური აგროეკოსისტემის ჩამოყალიბებას. ტერმინები „ორგანული“ და „ეკოლოგიური“ ასევე გამოიყენება ბიოაგროწარმოების სისტემის უკეთ აღსაწერად.
ნიშანდება „ბიო“ ნიშნავს, რომ პროდუქტი წარმოებულია ბიოწარმოების სტანდარტის მიხედვით და სერტიფიცირებულია აღიარებული სერტიფიცირების ორგანოს მიერ. ბიოაგროწარმოების პრინციპს წარმოადგენს გარედან შემოტანილი საწარმოო საშუალებების მინიმუმამდე დაყვანა და სინთეზური სასუქებისა და პესტიციდების გამოუყენებლობა.
ამავდროულად, ბიოაგროწარმოება არ არის იმის გარანტია, რომ ამ მეთოდით მიღებული პროდუქტი აბსოლუტურად თავისუფალი იქნება ნარჩენებისაგან გამომდინარე გარემოს საერთო დაბინძურებიდან. ბიოაგროწარმოების მეთოდი მოიცავს ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების მინიმიზების მეთოდებს.
წინამდებარე სტანდარტი მოიცავს ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და გასაღების წესებს, რათა შენარჩუნებულ იქნეს ბიოწარმოების პროცესის ერთიანობა. ბიოაგროწარმოების მიზანია ურთიერთდამოკიდებული ერთეულების: ნიადაგის, მცენარის, ცხოველების/ადამიანების ჯანმრთელობისა და პროდუქტიულობის ოპტიმიზება.
ბიოაგროწარმოება არის ერთიანი მართვის სისტემა, რომელიც ხელს უწყობს აგროეკოსისტემის ჯანმრთელობას, მათ შორის ბიომრავალფეროვნების, ბიოლოგიური ციკლისა და ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობის განვითარებას. ის უპირატესობას ანიჭებს ისეთ მართვის პრაქტიკას, რომელიც ითვალისწინებს ფერმის გარედან შემოტანილ საშუალებებთან მინიმუმამდე დაყვანას, რადგან რეგიონული პირობები მოითხოვს ადგილობრივ გარემოზე მისადაგებულ სისტემებს.
ამის მიღწევა შეიძლება, სინთეზური საშუალებების გამოყენების ნაცვლად, კულტივაციის, ბიოლოგიური და მექანიკური მეთოდების გამოყენებით. ბიოაგროწარმოების მართვის სისტემა შემუშავებულია იმისათვის, რომ:
ა) მთელი სისტემის ფარგლებში ხელი შეეწყოს ბიომრავალფეროვნებას;
ბ) გაიზარდოს ნიადაგის ბიოლოგიური აქტიურობა;
გ) გრძელვადიანი პერსპექტივით შენარჩუნებულ იქნეს ნიადაგის ნაყოფიერება;
დ) ხელმეორედ გამოვიყენოთ მცენარეული და ცხოველური ნარჩენები, რათა საკვები ნივთიერებები დაბრუნდეს ნიადაგში და ამით არაგანახლებადი რესურსების გამოყენება შემცირდეს;
ე) სასოფლო-სამეურნეო სისტემა დაფუძნდეს მხოლოდ განახლებად რესურსებზე;
ვ) ხელი შეეწყოს ნიადაგის, ჰაერისა და წყლის გონივრულ გამოყენებას და მაქსიმალურად შემცირდეს ყველა სახის დაბინძურება, რომელსაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წარმოება;
ზ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების ყველა ეტაპზე გამოყენებულ იქნეს ისეთი მეთოდები, რომ არ დაირღვეს პროდუქციის ბიოსტატუსი;
თ) დაინერგოს ეს პრაქტიკა მეურნეობაში გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ნიადაგის ისტორია, მოსაშენებელი კულტურისა და ცხოველების ტიპი;

ი) მოხდეს მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება.
მომხმარებლისა და მწარმოებლის მჭიდრო კონტაქტი დიდი ხნის წინ დაფუძნებული პრაქტიკაა. საბაზრო მოთხოვნილების მატებამ, წარმოებისადმი მზარდმა ეკონომიკურმა ინტერესმა და ასევე მზარდმა დისტანციამ მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის გამოიწვია გარე შემოწმების მექანიზმების და სერტიფიცირების პროცედურების საჭიროება.
სერტიფიცირების განუყოფელი ნაწილი არის ბიოწარმოების მართვის სისტემის ინსპექტირება. საწარმოს სერტიფიცირების პროცედურები, უპირველეს ყოვლისა, დაფუძნებულია მეწარმის მიერ აღწერილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს წლიურ ციკლზე, რომელიც მომზადებულია სერტიფიცირების ორგანოსთან მისი თანამშრომლობით.
რაც შეეხება გადამუშავებას, სტანდარტი ისეა შემუშავებული, რომ შესაძლებელია წარმოების პროცესის ინსპექტირება. იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირებას ატარებს სერტიფიცირების ორგანო, მაშინ ინსპექტირებისა და სერტიფიცირების ფუნქციები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს. იმისათვის, რომ სერტიფიცირების ორგანოს მომსახურება იყოს ეფექტიანი, ამ უკანასკნელს არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი მეწარმესთან.
(04.11.2016) წყლის ორგანიზმებს კვებავენ თევზის მდგრად სარეწზე მოპოვებული საკვებით; თევზის მდგრადი რეწვა განსაზღვრულია ევროსაბჭოს რეგულაციის EC 2371/2002 მე-3 თავში, როგორც თევზის სარეწის რესურსების მდგრადი ექსპლოატაცია საერთო ევროპული პოლიტიკის პრინციპების შესაბამისად ან ორგანული საკვებით, რომელიც შედგება ბიომეურნეობებში მიღებული სასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტებისგან ან ბუნებრივი არასასოფლო-სამეურნეო ნივთიერებებისგან
ამ სტანდარტის განახლება მოხდება რეგულარულად, საერთაშორისო სტანდარტებში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.

# 1. გამოყენების სფერო

1.1 ეს სტანდარტი ვრცელდება იმ პროდუქციაზე, რომელსაც აქვს, ან მომავალში ექნება, ნიშანდება, სადაც მითითებულია ბიოლოგიური წარმოების მეთოდები:
ა) გადაუმუშავებელი მცენარე და მცენარეული წარმოშობის პროდუქტები, ცხოველები და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, მათი წარმოების პრინციპები და ინსპექციის სპეციფიკური წესები წარმოდგენილია 1-ელ და მე-3 დანართებში;
ბ) ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი გადამუშავებული მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, რომლებიც განკუთვნილია ადამიანისა და ცხოველების საკვებად და მიიღება (ა) პუნქტში მითითებული პროდუქტებისგან.
გ) ამჟამად ბიოწრამოების სისტემას დაემატა შემდეგი პროდუქცია: აკვაკულტურა, წარმოებისათვის განკუთვილი ვეგეტაციური გამრავლების ორგანოები და სათესლე მასალა, ადამიანისა და ცხოველების საკვების წარმოებაში გამოყენებული საფუარი.

1.2 ყველა პროდუქტი ან მისი ინგრედიენტი, თუ მის შეფუთვაზე ან მასზე გავრცელებულ სარეკლამო მასალებსა და კომერციულ დოკუმენტებში არსებობს მინიშნება, რომ ის წარმოებულია ბიომეთოდებით და მის განსასაზღვრავად გამოყენებულია ტერმინები: „ორგანული“, „ბიოდინამიკური“, „ბიოლოგიური“, „ეკოლოგიური“, ან მსგავსი სიტყვები და/ან აბრევიატურები, რაც მიუთითებს მყიდველს, რომ პროდუქტი ან მისი ინგრედიენტები მიღებულია ბიომეთოდების გამოყენებით.
1.3 1.2 პარაგრაფი არ გამოიყენება, როდესაც ეს ტერმინები არ არის დაკავშირებული წარმოების მეთოდებთან.
1.4 ყველა ნივთიერება და/ან პროდუქტი, რომლებიც წარმოებულია გენური ინჟინერიით ან არის გენმოდიფიცირებული ორგანიზმი (გმო), არ შეესაბამება ბიოლოგიური წარმოების პრინციპებს (წარმოების, დამზადების ან გადამუშავების ეტაპებზე) და მათი გამოყენება არ არის დაშვებული ამ სახელმძღვანელოს მიხედვით.

ჰიდროპონული წარმოება აკრძალულია.

## 2. აღწერა და განმარტებები

2.1 აღწერა

სასურსათო პროდუქტზე შეიძლება გაკეთდეს ბიონიშანდება, თუ ის წარმოებულია ბიომეურნეობაში, სადაც გამოიყენება ისეთი მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს ეკოსისტემის განვითარებასა და პროდუქტიულობის მდგრადობას, უზრუნველყოფს სარეველების, მავნებლებისა და დაავადების კონტროლს სხვადასხვა სასიცოცხლო ფორმის კულტურების ერთ საწარმოო სისტემაში მოქცევით, სადაც ხდება მცენარეული და ცხოველური ნარჩენების გამოყენება, კულტურების შერჩევა და თესლბრუნვა, წყლის რესურსების მართვა, ნიადაგის დამუშავება და კულტივაცია.

ბიომეთოდი აუმჯობესებს ნიადაგის ბიოლოგიურ აქტიურობას, მის ფიზიკურ თვისებებსა და მინერალურ შემადგენლობას, რაც უზრუნველყოფს მცენარეებისა და ცხოველებისათვის საკვები ნივთიერებებით ბალანსირებულ მომარაგებას და ამავდროულად, განაპირობებს ნიადაგის რესურსების კონსერვაციას. წარმოების მდგრადობა მიიღწევა მცენარეთა საკვები ნივთიერებების ხელმეორედ გამოყენებით, რაც ნიადაგის ნაყოფიერების მართვის მთავარი სტრატეგიაა აგროწარმოებაში. მავნებლებისა და დაავადებების კონტროლი ხდება მათი მასპინძელი მცენარეებსა და ბუნებრივ მტრებთან ურთიერთდაბალანსებით, სასარგებლო მწერების პოპულაციის ზრდით, ბიოლოგიური და მექანიკური კონტროლით, ასევე მავნებლებისა და მცენარეების დაზიანებული ნაწილების მოშორებით.

ბიომესაქონლეობის განვითარება ეფუძნება ჰარმონიულ/დაბალანსებულ ურთიერთდამოკიდებულებას ნიადაგს, მცენარესა და ცხოველებს შორის, ასევე ცხოველების ფიზიოლოგიურ მოთხოვნების გათვალისწინებას. ეს იოლად მიიღწევა ცხოველებისათვის მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტის წარმოებით, ჯოგში ცხოველთა რაოდენობის რეგულირებით (არსებული რესურსების გათვალისწინებით), ცხოველების მოვლის ისეთი პრაქტიკის დანერგვით, რომელიც ეფუძნება მათ ბუნებრივ მოთხოვნებს, ამცირებს მათ სტრესს და აუმჯობესებს მათ ჯანმრთელობას, ახდენს დაავადებების პრევენციას და ამით თავს არიდებს ალოპათიური ვეტერინარიული საშუალებების გამოყენებას (ანტიბიოტიკების ჩათვლით).

2.2 განმარტებები

წინამდებარე სტანდარტში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები და განმარტებები:

**„ბიოაგროწარმოება“** არის მეურნეობის მართვისა და საკვებწარმოების ერთიანი სისტემა, რაც გულისხმობს: სანიმუშო გარემოსდაცვით პრაქტიკას, ბიომრავალფეროვნების მაღალ დონეს, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას/გაფრთხილებას, ცხოველების მოვლის მაღალი დონის სტანდარტების გამოყენებასა და საქმიანობის ისეთი მეთოდით წარმართვას, რომელიც ეფუძნება ბუნებრივ საშუალებებსა და პროცესებს. ბიოაგროწარმოების მეთოდი ასრულებს ორმაგ როლს საზოგადოებაში, ერთი მხრივ, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოფს ბაზარს ბიოპროდუქტით და მეორე მხრივ, ასეთი პროდუქციის მოწოდებით ხელს უწყობს გარემოს დაცვასა და ცხოველთა კეთილდღეობას, ასევე სოფლის განვითარებას.

**„განახლებადი რესურსები“.** ბიოაგროწარმოება პირველ რიგში უნდა ეფუძნებოდეს უშუალოდ აგროსაწარმოში არსებულ განახლებად რესურსებს. არაგანახლებადი რესურსების გამოყენების შესამცირებლად მეურნეობასა და წარმოებაში არსებული

მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნარჩენები უნდა გადამუშავდეს და დაბრუნდეს მეურნეობის ნიადაგში.

**ნიადაგის ნაყოფიერება**
ბიოაგროწარმოება ხელს უნდა უწყობდეს ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებასა და გაზრდას, ასევე მოახდინოს ნიადაგის ეროზიის პრევენცია. მცენარეების გამოკვება უპირატესად უნდა მოხდეს ნიადაგის ეკოსისტემის საშუალებით და არა ნიადაგში დამატებული ხსნადი სასუქების მეშვეობით. სასუქების, ნიადაგის თვისებების გასაუმჯობესებელი და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ეს საშუალებები თავსებადია ბიოაგროწარმოების პრინციპებსა და მიზნებთან.

**სოფლის მეურნეობის პროდუქტი** – არის ნებისმიერი ნედლეული ან გადამუშავებული პროდუქტი, რომლებიც განკუთვნილია ადამიანის ან ცხოველის მოხმარებისათვის (წყლის, მარილისა და საკვები დანამატების გარდა).

**აუდიტი** – არის სისტემატური ან ფუნქციონალური დამოუკიდებელი შემოწმება, რომლის მიზანია განსაზღვროს, შეესაბამება თუ არა გატარებული ღონისძიებები და მათგან გამომდინარე შედეგები დასახულ მიზნებს.

**სერტიფიკაცია** – არის პროცედურა, რომლის საშუალებით ოფიციალური ან ოფიციალურად აღიარებული სერტიფიკაციის ორგანოები წარადგენენ წერილობით დასტურს იმისა, რომ სურსათი ან სურსათის კონტროლის სისტემები შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს. პროდუქციის სერტიფიცირება წარმოადგენს ინსპექტირების მთელ ჯაჭვს, რომელიც მოიცავს ოპერატიულ ინსპექციას, ხარისხის სისტემების აუდიტსა და საბოლოო პროდუქტის შემოწმებას.

**სერტიფიცირების ორგანო** – არის ორგანო, რომელიც ვალდებულია, დაადასტუროს, რომ პროდუქტი, რომელიც საღდება ნიშანდებით „ბიოლოგიური“, წარმოებულია, გადამუშავებულია, მომზადებულია და იმპორტირებულია ამ სტანდარტის შესაბამისად. „სერტიფიცირების ორგანო ნიშნავს/გულისხმობს სერტიფიცირების ორგანოს, რომელიც იყენებს „გრინ კაუკაზუსის“ ხარისხისა და სერტიფიცირების სისტემას“.

**კომპეტენტური ორგანო** – ოფიციალური სახელმწიფო ორგანო, რომელსაც აქვს შესაბამისი იურისდიქცია.

**კონვერსია** – დროის გარკვეულ პერიოდში არაბიოწარმოებიდან ბიოწარმოებაზე გადასვლა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდში ადგილი აქვს სტანდარტის მოთხოვნბეის დაცვას.

**გენეტიკური ინჟინერიით მიღებული/გენმოდიფიცირებული ორგანიზმები** და მათგან ნაწარმოები პროდუქტები მიიღება ისეთი მეთოდებით, რომელთა გამოყენებითაც გენები იცვლება ისე, როგორც ეს ბუნებრივი კომბინირებით შეუძლებელია.
გენეტიკური მოდიფიცირების ტექნიკა მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგით: რეკომბინანტი დნმ, უჯრედების შეერთება, მიკრო და მაკროინიექცია, ინკაფსულაცია, გენის დაშლა და გაორმაგება. გენეტიკურად შექმნილი ორგანიზმები

არ შეიცავს ორგანიზმებს, რომლებიც მიღებულია ისეთი გზით, როგორიცაა კონიუგაცია, ტრანსდუქცია და ჰიბრიდიზაცია.

აკრძალულია იმ პროდუქციის ნიშანდება ტერმინით „ბიოლოგიური", რომელიც შეიცავს GMO-ს, შედგება GMO–გან ან წარმოებულია GMO-ს მიერ.

**"წარმოებულია GMO-დან"** ნიშნავს, რომ პროდუქტი მთლიანად ან ნაწილობრივ მიღებულია GMO-ს გამოყენებით, მაგრამ არ შეიცავს GMO-ს.
**"წარმოებულია GMO-ს"** მიერ ნიშნავს, რომ პროდუქტი მიღებულია წარმოების პროცესში გამოყენებული ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმისგან, მაგრამ არ შეიცავს GMO-ს და არ არის წარმოებული GMO-ს გამოყენებით.

ბიოაგროწარმოებაში GMO-ს ან GMO-დან მიღებული პროდუქტების გამოყენების გამოსარიცხავად, მეწარმეებმა, რომლებიც თავიანთი საქმიანობისთვის ყიდულობენ არაბიოლოგიურ საშუალებებს (ადამიანებისა და ცხოველების საკვები, გადამუშავების დამხმარე საშუალებები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები, ნიადაგის თვისებების გასაუმჯობესებელი საშუალებები, თესლები, ვეგეტაციური გამრავლების ორგანოები, მიკროორგანიზმები და ცხოველები), უნდა მოითხოვონ გამსაღებლისაგან სპეციალური დეკლარაციის შევსება, რომელიც დაადასტურებს, რომ მის მიერ გასაღებული საშუალება არ არის GMO ან GMO-სგან მიღებული პროდუქტი (889 / არტიკლი 69 – გამსაღებლის GMO დეკლარაცია).
სერტიფიცირების ორგანომ უნდა უზრუნველყოს მეწარმე „გამსაღებლის დეკლარაციის" ფორმით.

**„ჰოლდინგი"** – გულისხმობს სას/სამ პროდუქციის წარმოებისათვის განკუთვნილი ყველა საწარმოო ერთეულების ერთობლიობას, რომელებიც იმყოფებიან ერთაინი მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში;

**„ჰიდროპონული წარმოება"** – გულისხმობს მცენარეების ისეთ წარმოებას, როდესაც მათი ფესვები იმყოფება მხოლოდ მინერალების შემცველ სითხეში ან ინერტულ მასაზე როგორიცაა ხრეში, ხელოვნური მატყლი ან სხვა რომელზეც დამატაბულია მინერალური სითხე.

**იმპორტიორი** – ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ახდენს ბაზარზე ბიოპროდუქციის შეტანას და მის რეალიზაციას პირადად ან წარმომადგენლის საშუალებით.

**ინგრედიენტი** – არის ნებისმიერი ნივთიერება, საკვები დანამატის ჩათვლით, რომელიც გამოიყენება სურსათის წარმოებისას ან მომზადებისას, ამასთან, საბოლოო პროდუქტი შეიცავს მას.

**ინსპექცია** – სურსათის, სურსათის კონტროლის სისტემის, ნედლეულის, გადამუშავების, გასაღების საბოლოო პროდუქტის შემოწმება, რათა დადგინდეს მათი შესაბამისობა მოთხოვნებთან. ბიოპროდუქციის ინსპექტირება მოიცავს წარმოებისა და გადამუშავების სისტემების შემოწმებას.

**ცხოველების გამოსაკვები გარდამავალი პერიოდის პროდუქი** – გულისხმობს გარდამავალ პერიოდიში წარმოებულ ცხოველების საკვებს. ასეთად არ ჩაითვლება საკვები, რომელიც წარმოებულია გარდამავალი პერიოდის დაწყებიდან 12 თვის განმავლობაში, როგორც ეს მითითებულია ამ სტანდარტის პირველი დანართის – **ა** პუნქტში "მემცენარეობა და მცენარეული პროდუქტები".

**(04.11.2016) "მაიონიზებელი რადიაცია"**, როგორც ის განსაზღვრულია ევროკავშირის და ეროვნულ კანონმდებლობაში.

**ნიშანდება** არის ნებისმიერი წერილობითი, ნაბეჭდი ან გრაფიკული ნიმუში, რომელიც ეტიკეტზეა გამოსახული, თან ახლავს სურსათს ან დართულია მასზე, მათ შორის პროდუქტის გასაღების ხელშეწყობის (რეკლამის) საშუალებები.

**ცხოველი** – არის შინაური ან მოშინაურებული ცხოველი, რაც მოიცავს: საქონელს (ბიზონისა და ხარის ჩათვლით), ცხვარს, ღორს, თხას, ცხენს, შინაურ ფრინველებსა და ფუტკრებს.
განმარტება „ბიოლოგიური პროდუქტი" არ გულისხმობს გარეულ ცხოველებზე ნადირობითა და თევზაობით მიღებულ პროდუქტებს.

**მარკეტინგი** – არის პროდუქციის ბაზარზე სხვადასხვა ფორმით გასაყიდად განთავსება, შეთავაზება, გაყიდვა, მიტანა, შენახვა.

**"შესაბამისობის მარკა/ნიშანი"** წარმოადგენს გარკვეულ სტანდარტთან, რეგულაციასთან ან ნორმატიულ დოკუმენტთან პროდუქციის შესაბამისობის დადასტურებას, შესაბამისობის ნიშნის გამოყენებით.

**არაბიო** – გულისხმობს პროდუქციას ან წარმოების წესს, რომელიც არ შეესაბამება ევროგაერთიანების № 834/2007 და № 889/2008 რეგულაციების მოთხოვნებს.

**ოფიციალური აკრედიტაცია** – არის პროცედურა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო უწყებას აქვს შესაბამისი იურისდიქცია ფორმალურად აღიაროს ინსპექციის ანდა სერტიფიცირების ორგანოს კომპეტენცია, გასწიოს საინსპექციო და სასერტიფიკაციო მომსახურება. ბიოწარმოების შემთხვევაში, კომპეტენტურმა უწყებამ შეიძლება კერძო ორგანოს გადასცეს აკრედიტაციის ფუნქციები.

**ოფიციალურად აღიარებული ინსპექციის სისტემები/ოფიციალურად აღიარებული სერტიფიკაციის სისტემები** – არის სისტემები, რომლებიც ოფიციალურად აღიარა შესაბამისი იურისდიქციის მქონე სახელმწიფო უწყებამ.

**მწარმოებელი** არის ნებისმიერი პირი, რომელიც აწარმოებს ან გადაამუშავებს 1.1 პუნქტში მოცემულ პროდუქციას ან დაკავებულია ამ სახის პროდუქტის ექსპორტ/იმპორტით და/ან მათი გასაღებით.

**მცენარეთა დაცვის საშუალება** – არის ნებისმიერი საშუალება, რომელიც ბიოპროდუქციის წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და გასაღების პროცესში ახდენს მავნებლებისა და დაავადებების გავრცელების პრევენციას, ანადგურებს მათ,

არის სატყუარა, რეპელენტი ან აკონტროლებს ნებისმიერ მავნებელს ან დაავადებას, მცენარისა და ცხოველის არასასურველი ჯიშების ჩათვლით.

**პარალელური წარმოება** – ბიო და არაბიოპროდუქციის წარმოება, გადამუშავება, დასაწყობება, ტრანსპორტირება, საბითუმო ან საცალო გაყიდვა ერთსა და იმავე მეურნეობაში, ნაგებობაში ან საწყობში;

აგროსაწარმოო ერთეული, რომლის ყველა ნაწილი არ იმართება ბიოწარმოების წესების მიხედვით, შეიძლება დაიყოს მკვეთრად გამიჯნულ ერთეულებად.
მეცხოველეობის შემთხვევაში უნდა მოხდეს სხვადასხვა სახეობის ცხოველების მოშენება.
აკვაკულტურის საწარმოო ერთეულში ნებადართულია ერთი და იმავე სახეობის ბიო და არაბიოცხოველების წარმოება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ბიო და არაბიოწარმოების მკაფიო გამიჯვნას.
მემცენარეობის საწარმოო ერთეულში ნებადართულია ერთი და იმავე სახეობის ბიო და არაბიომცენარის წარმოება იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება სხვადასხვა ჯიში და ხდება ბიო და არაბიოწარმოების მკაფიო გამიჯვნა.
პარალელური წარმოებისას მეწარმეს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ჩანაწერების სისტემა, რათა დაადასტუროს ბიო და არაბიოწარმოების მკაფიო გამიჯვნა.

**გადამუშავება** გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც საწყის პროდუქტს მნიშვნელოვნად ცვლის, შემდეგი მეთოდების ჩათვლით: გაცხელება, შებოლვა, დაკონსერვება, დამწიფება, შრობა, დამარინარება, ექსტრაქცია ან ამ პროცესების კომბინირება. დაფასოების და ნიშანდების ოპერაციები არ ითვლება გადამუშავებად.

**კონსერვირება** გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც არ კასიფიცირდება როგორც პირველადი წარმოება, მოსავლის აღება, გადამუშავება (ისე როგორც აღწერილია ზემოთ) და გადაუმუშავებელი პროდუქტები (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ (Regulation (EC) No 852/2004 , 2(1) არტიკლის (n) პუნქტი). დაფასოების და ნიშანდების ოპერაციები არ ითვლება კონსერვირებად.

**გადაუმუშავებელ პროდუქტად** ითვლება პროდუქტი რომელსაც არ განუცდია გადამუშავება და მოიცავს პროდუქტებს რომლებიც დანაწევრდა, დაიჭრა, დაქუცმაცდა, დაიფშვნა, დაიბეგვა, დატყდა, გაიწმინდა ძვლებისგან, გაიწმინდა, მოშორდა კანი ან ქერცლი, გაიფცქვნა, გაცივდა, გაიყინა (ღრმა გაყინვის ჩათვლით) როგორც მითითებულია ევრორეგულაციაში Regulation (EC) No 852/2004 , 2(1) არტიკლის (n) პუნქტში.

**მომზადება/დამზადება** გულისხმობს დაკვლას, გადამუშავებას, შენახვას, დაფასოებასა და ნიშანდებაზე გაკეთებულ ცვლილებებს, რომლებიც ბიოლოგიურად წარმოებული პროდუქციის წარმოდგენას ეხება.

**გადამუშავების პროცესის დამხმაე საშუალება** – ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც უშუალოდ არ გამოიყენება როგორც ინგრედიენტი, არამედ გამოიყენება პეროდუქტის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის ან ინგრედიენტის გადამუშავებისას და მათი გამოყენება განპირობებულია გარკვეული ტექნოლოგიური საჭიროებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს ამ ნივთიერების ნარჩენების ან მისგან მიღებული

ნივთიერებების არსებობას ნედლეულში ან საბოლოო პროდუქტში, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ნარჩენები არ წარმოადგენენ საშიშროებას ჯანმრთელობის თვალსაზრისით და არ ახდენენ რამე სახის ტექნოლოგიურ ეფექტს საბოლოო პროდუქტში.

**წარმოება** – მოიცავს ოპერაციებს, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომარაგება იმ სახით, რომლითაც ისინი გვხვდება ფერმაში, პროდუქციის პირველადი შეფუთვისა და ნიშანდების ჩათვლით.

**დიზინფიცირებისა და დასაუფთავებისათვის განკუთვნილი პროდუქტები** – მემცენარეობაში, მეცხოველეობაში, ველურად მოზარდი მცენარეების წარმოების პროცესში, მეფუტკრეობაში, წყალმცენარეებისა და წყლის ბინადარი ცხოველების წარმოებისას ამ სტანდარტით ნებადართული გასაწმენდი და სადიზინფექციო საშუალებები.

**ერთეული** – სასოფლო-სამეურნეო ან გადამამუშავებელი საწარმოს კომპონენტები (შემადგენელი ნაწილები), სადაც ხდება ბიოპროდუქციის გადამუშავება, დაფასოება და შენახვა.

**ვეტერინარული წამალი** – არის ნებისმიერი ნივთიერება, განკუთვნილი საკვების მწარმოებელი ნებისმიერი ცხოველისათვის, როგორიცაა ხორცისა და რძის მწარმოებელი ცხოველები, ფრინველები, თევზი ან ფუტკარი, რომლებიც გამოიყენება თერაპიული, პროფილაქტიკური ან დიაგნოსტიკური მიზნებისათვის, ან ფსიქოლოგიური ფუნქციების ან ქცევების შესაცვლელად.

**ვეტერინარული მკურნალობა** – გულოისხმობს ყველა სახის სამკურნალო ან პრევენციულ წამლობას დაავადებების თავიდან ასაცილებლად.

**ველურად მოზარდი მცენარეების შეგროვება** – ისეთი მცენარეების ან მათი ნაწილების შეგროვება, რომლებიც იზრდება ბუნებრივ გარემოში, ტყეებში, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წარმოების ადგილებში, რომლებიც არ დამუშავებულა რამე ნივთიერებით, გარდა მე-2 დანართში მითითებული ნივთიერებებისა შეგროვებამდე უკანასკნელი სამი წლით ადრე და მათი შეგროვება არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას გარემოსა და სახეობის მდგრადობაზე.

**„რეკლამირება“** – ნიშნავს ისეთ ქმედებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელს შეუწყობს ბიოპროდუქციის გასაღებას. ბიოპროდუქციაზე არსებული ნიშანდება არ ითვლება პროდუქციის რეკლამირებად.

**“კერძების წარმოება საზოგადოებრივი კვების ობიექტებში”** – გულისხმობს ბიოპროდუქციისაგან კერძების მომზადებას რესტორნებში, სასადილოებში, საავადმყოფოებსა და სხვა მსგავსი მომსახურების მქონე დაწესებულებებში, რომლებიც ახდენენ პროდუქციის რეალიზებას გასაღების წერტილებში ან ადგილზე მიტანით.

**“აკვაკულტურა”** – წყლის ორგანიზმების მოშენება/წარმოება იმისათვის რომ მათგან მიღებული იქნას უფრო მეტი პროდუქცია ვიდრე ეს ბუნებრივად ხდება. ორგანიზმები

რჩებიან ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებად წარმოების ყველა ეტაპზე, მოსავლის აღების პროცესისი ჩათვლით;

**"პროდუქტის პირველი მიმღები"** – ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც პირველი მიიღებს იმპორტირებულ პროდუქციას მისი შემდგომი გადამუშავების და/ან მარკეტინგისათვის;

**(04.11.2016) „საწარმოო ერთეული"** აღნიშნავს ყველა მატერიალურ აქტივს, რომელიც გამოიყენება წარმოებაში, როგორიცაა ნაგებობები, მიწის ნაკვეთები, საძოვრები, სასეირნო მოედნები, ცხოველთა სადგომები, ტბორები, აკვაკულტურის ცხოველებისა და ზღვის წყალმცენარეების საშენები, სანაპირო ზოლსა და ზღვის ფსკერზე არსებული ნაკვეთები, მოსავალისა და მოსავლის გადამუშავებით მიღებული პროდუქტების შესანახი სათავსოები, წყალმცენარეების პროდუქცია (წყალმცენარეები მოიცავს მრავალუჯრედიან ზღვის წყალმცენარეებს, ფიტოპლანქტონსა და მიკროსკოპულ წყალმცენარეებს.

**(04.11.2016) „დახურული რეცირკულაციის აკვაკულტურა"** არის მიწაზე ან მცურავ ჭურჭელზე განთავსებული აკვაკულტურა, რომელიც წარმოადგენს წყლის რე-ცირკულაციის საფუძველზე მომუშავე დახურულ სისტემას, რომელსაც აკვაკულტურის ცხოველებისათვის გარემოს სტაბილიზირებისათვის აუცილებელი ენერგია გარეშე წყაროებიდან მიეწოდება.

**(04.11.2016) „განახლებადი წყაროების ენერგია"**აღნიშნავს ენერგიის არაგანამარხებულ წყაროებს, როგორიცაა ქარი, მზე, გეოთერმული, ტალღები, ზღვის მოქცევა, ჰიდროენერგია, ორგანული ნარჩენების გაზი, ჩამდინარე წყლების გადამუშავებით მიღებული გაზი და ბიოგაზი.

**(04.11.2016) „განახლებადი წყაროების ენერგია"** აღნიშნავს ენერგიის არაგანამარხებულ წყაროებს, როგორიცაა ქარი, მზე, გეოთერმული, ტალღები, ზღვის მოქცევა, ჰიდროენერგია, ორგანული ნარჩენების გაზი, ჩამდინარე წყლების გადამუშავებით მიღებული გაზი და ბიოგაზი.

**(04.11.2016) „ინკუბატორით"** აღნიშნება ადგილი, სადაც ხდება აკვაკულტურის ცხოველების, განსაკუთრებით თევზების, მოლუსკებისა და კიბორჩხლების გამრავლება, ქვირითიდან გამოჩეკვა და მოვლა-შენახვა განვითარების ადრეულ საფეხურებზე.

**(04.11.2016) „საშენი აკვაკულტურაში"** აკვაკულტურის შუალედური რგოლია, რომელიც ადგილს ინკუბატორსა და სამრეწველო ტბორს შორის იკავებს. საშენის საფეხური სრულდება საწარმოო ციკლის პირველი მესამედის განმავლობაში, გარდა იმ სახეობებისა, რომლებიც სმოლტიფიკაციის (მტკნარი წყალში არსებობის შემდეგ მარილიან წყალთან შეგუების) პროცესს გადიან.

**(04.11.2016) „დაბინძურება აკვაკულტურაში"** გულისხმობს აკვაკულტურის ცხოველებისა და წყალმცენარების წარმოების პროცესში გარემო წყლის ნივთიერებით ან ენერგიით უშუალო ან ირიბ დაბინძურებას, როგორც ეს

განსაზღვრულია ევროპის პარლამენტის დირექტივებში 2008/56/EC და 2000/60/EC, ზღვებისა და მდინარეებისათვის, შესაბამისად.

**(04.11.2016) „პოლიკულტურა“** აკვაკულტურისა და წყალმცენარეების წარმოების კონტექსტში ნიშნავს ერთიდაიმავე კულტურაში, როგორც წესი, სხვადასხვა ტროფული დონეზე მყოფი ორი ან მეტი სახეობის მოშენებას.

**(04.11.2016) „წარმოების ციკლი“** აკვაკულტურისა და წყალმცენარეების წარმოების კონტექსტში ნიშნავს აკვაკულტურის ცხოველისა ან წყალმცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობას მისი სიცოცხლის ყველაზე ადრეულ სტადიიდან დაწყებული თევზჭერითა და მოსავლის აღებით დამთავრებული.

**(04.11.2016) "ადგილობრივი საწარმოო სახეობები"** აკვაკულტურისა და წყალმცენარეების წარმოების კონტექსტში ეწოდება ისეთ სახეობებს, რომლებიც საბჭოს რეგულაცია (EC) No 708/2007–ში მოცემული კატეგორიების მიხედვით არ მიეკუთვნება უცხო ან ადგილობრივად არგავრცელებულ სახეობებს. საბჭოს რეგულაცია (EC) No 708/2007–ის მე-5 დანართში ჩამოთვლილი სახეობები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ადგილობრივად მოშენებული სახეობები; ხოლო თუ სერტიფიცირების ორგანო მესამე ქვეყანაში მუშაობს, მან "ადგილობრივ საწარმოო სახეობებს", შეიძლება მიაკუთვნოს რეგიონის აკვაკულტურისათვის ტიპური სახეობები.

**(04.11.2016) „სიმჭიდროვე“** აკვაკულტურაში ნიშნავს გასაყიდად სუქების დროს ნებისმიერ მომენტში ცხოველთა ცოცხალ წონას ერთ კუბიკურ მეტრზე გადაანგარიშებით, ხოლო ლოქოსა და კრევეტის შემთხვევაში წონას კვადრატულ.

**(04.11.2016) "საკონტროლო ფაილი"** არის დოკუმენტაცია, რომელსაც მეწარმე გადასცემს სერტიფიცირების ორგანოს შესამოწმებლად

## 3. ნიშანდება
ძირითადი დებულებები

**3.1** ბიოპროდუქტი ნიშანდებული უნდა იყოს „გრინ კაუკაზუსის" სტანდარტის მიხედვით.

**3.2** 1.1 (ა) პუნქტში მოცემული პროდუქტების ნიშანდება, როგორც ბიოპროდუქტისა, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:

ა) აღნიშვნები ნათლად მიუთითებს, რომ ისინი დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეთოდთან;

ბ) პროდუქტი წარმოებულია მე-4 ნაწილში მოცემული მოთხოვნების ან იმპორტირებულია მე-7 ნაწილში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად;

გ) პროდუქტი წარმოებული ან იმპორტირებული იყო იმ ოპერატორის მიერ, რომელიც ექვემდებარება მე-6 ნაწილში მოცემული ინსპექტირების წესებს; და

დ) ნიშანდებაზე მითითებულია „გრინ კაუკაზუსის" სახელი და/ან კოდი ან სხვა ოფიციალურად აღიარებული სერტიფიკაციის ან ინსპექციის ორგანოს სახელი და/ან კოდი, რომლის შემოწმებასაც ექვემდებარება მწარმოებელი.

**3.3** 1.1 (ბ) პუნქტში მითითებული პროდუქტის ნიშანდება, როგორც ბიოპროდუქტისა, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ნიშანდება ნათლად მიუთითებს, რომ პროდუქტი წარმოებულია ბიოწარმოების მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მითითება პროდუქტზე გაკეთებულია ინგრედიენტების სიაში;

ბ) პროდუქტის ყველა ინგრედიენტი, რომელიც არის სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის, წარმოებულია მე-4 ნაწილში მოცემული მოთხოვნების ან იმპორტირებულია მე-7 ნაწილში მოცემული მოთხოვნების შესაბამისად;

გ) პროდუქტი არ უნდა შეიცავდეს იმ არასასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ინგრედიენტებს, რომლებიც არ არის მითითებული ამ სტანდარტის მე-2 დანართის მე-3 ცხრილში;

დ) ერთი და იგივე ინგრედიენტები არ უნდა იყოს ბიო და არაბიოწარმოშობის ან გარდამავალი პერიოდის პროდუქტი;

ე) პროდუქტის ან ინგრედიენტების წარმოების პროცესში არ გამოუყენებიათ მაიონიზებელი რადიაცია ან ისეთი საშუალებები, რომლებიც არ არის მითითებული ამ სტანდარტის მე-2 დანართის მე-4 ცხრილში;

ვ) პროდუქტი წარმოებული ან იმპორტირებულია ისეთი მეწარმის მიერ, რომლის რეგულარული ინსპექტირება ხდება ამ სტანდარტის მე-6 ნაწილში მითითებული ინსპექტირების სისტემის შესაბამისად; და

ზ) ნიშანდებაზე მითითებულია „გრინ კაუკაზუსის" სახელი და/ან კოდი ან სხვა ოფიციალურად აღიარებული სერტიფიკაციის ან ინსპექციის ორგანოს სახელი და/ან კოდი, რომლის შემოწმებასაც ექვემდებარება მწარმოებელი;

**3.4** 3.3-ი (ბ) პუნქტთან დაკავშირებული გამონაკლისები:

– პუნქტში მითითებული პროდუქციის წარმოებისას შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის არაბიოინგრედიენტების გამოყენება იმ პირობით, თუ საბოლოო პროდუქტში ყველა გამოყენებული ინგრედიენტიდან არაბიოინგრედიენტის წილი არ აღემატება 5%-ს. გაანგარიშებისას არ უნდა ჩაითვალოს წყალი და მარილი.

– თუ მე-4 თავში მითითებული პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ბიოინგრედიენტები არ მოიპოვება ან მოიპოვება არასაკმარისი რაოდენობით;

– არაბიო სას/სამ წარმომავლობის ინგრედიენტების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათი გამოყენება ნებადართულია წინამდებარე სტანდარტის მე-2 დანართის მე-5 ცხრილით.
– ინგრედიენტების სიაში უნდა იყოს მითითებული თუ რომელი ინგრედიანტი არის ბიო.

**3.5** ისეთი პროდუქციის ნიშანდებისას, რომელიც შეიცავს 95%-ზე ნაკლებ ბიოინგრედიენტს, მეწარმემ უნდა გაითვალისწინოს ქვემოთ მოცემული საკითხები. 3.6 პარაგრაფში მითითებული ტერმინების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროდუქტი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
– გადამუშავებული ბიოპროდუქტის დამზადება უნდა ჩატარდეს არაბიოპროდუქციისაგან დროში ან სივრცეში იზოლირებულად.
– გადამუშავებული ბიოპროდუქციის შემადგენლობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) პროდუქტი ძირითადად უნდა იყოს წარმოებული სას/სამ წარმომავლობის ინგრედიენტებისაგან. იმისათვის, რომ განისაზღვროს არის თუ არა პროდუქტი წარმოებული სას/სამ წარმომავლობის ინგრედიენტებისაგან, დაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალიწინებული დამატებული წყალი და მარილი:
ბ) მხოლოდ ის დანამატები, გადამუშავების დამხმარე ნივთიერებები, არამატიზატორები, წყლი, მარილი, მიკროორგანიზმებისგან დამზადებული საშუალებები, ენზიმები, მინერალები, მიკროელემენტები, ვიტამინები, ამინომჟავეები და სხვა საკვები მიკროელემენტები, გამოყენება რომლებიც ნებადართულია წინამდებარე სტანდარტის მე-2 დანართით.
გ) პროდუქტში ერთდროულად არ უნდა იყოს ერთიდაიგივე ბიო და არაბიო ან გარდამავალი პერიოდის ინგრედიენტი.
დ) სურსათი, რომელიც დამზადებულია გარდამავალ პერიოდში წარმოებული სხვადასხვა ნედლეულებიდან უნდა შეიცავდეს მხოლოდ ერთ სასოფლო სამეურნეო წარმომავლობის ინგრედიენტს.

ინგრედიენტების სია უნდა უთითებდეს თუ რომელი ინგრედიენტი არის ბიო. მინიშნება ბიოწარმოებაზე უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ბიოინგრედიენტებისათვის, ამასთან უნდა მიეთითოს ბიოინგრედიენტის პროცენტული წილი პროდუქტში გამოყენებულ საერთო სას/სამ წარმომავლობის ინგრედიენტებთან შეფარდებით.
წინა პარაგრაფში ნახსენები მითითებები და პროცენტული მაჩვენებლები ნიშანდებაზე უნდა დატანილ იქნას იმავე ზომის, სტილის და ფერის სიმბოლოებით რაც გამოიყენება სხვა ინგრედიენტებისათვის.

**3.6 ბიოწარმოების აღმნიშვნელი ტერმინების/მითითების გამოყენება**

ა) ბიოწარმოების მეთოდზე მიმანიშნებელი ტერმინები/მითითებები, რომლებიც გამოიყენება ნიშანდებაზე, სარეკლამო განცხადებაზე ან კომერციულ დოკუმენტაციაზე, მიუთითებს მომხმარებელს, რომ პროდუქტი, მისი ინგრედიენტი ან ცხოველებისთვის განკუთვნილი საკვები წარმოებულია იმ წესების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია ამ სტანდარტში.
ტერმინები „ბიოლოგიური“, „ეკოლოგიური“, „ორგანული“ (ენობრივი საჭიროებიდან გამომდინარე) ან ამ ტერმინების გამოყენებით წარმოებული სიტყვები ან მათი შემოკლებით (მაგ. „ეკო“, „ბიო“) მიღებული სიტყვები, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ პროდუქციაზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ სტანდარტის მოთხოვნებს.

ბ) ტერმინები/მითითებები, რომლებიც მოცემულია პირველ პარაგრაფში, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პროდუქტის ნიშანდებაზე, სარეკლამო განცხადებაზე ან კომერციულ დოკუმენტაციაზე, რომელიც არ შეესაბამება ამ სტანდარტის მოთხოვნას. ამასთან, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გამოსარიცხავად, ისეთი პროდუქციის სავაჭრო ნიშანზე ან ნიშანდებაზე (რეკლამირებისას გამოყენებული ტერმინის ჩათვლით), რომელიც არ შეესაბამება ამ სტანდარტის მოთხოვნებს, არ უნდა ხდებოდეს ბიოწარმოებაზე მიმანიშნებელი ნებისმიერი ტერმინის გამოყენება.
გ) ტერმინები/მითითებები, რომლებიც მოცემულია პირველ პარაგრაფში, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პროდუქტის ნიშანდებაზე ან სარეკლამო მასალაზე, რომელიც შეიცავს GMO-ს ან წარმოებულია GMO-დან.
დ) პირველ პარაგრაფში მითითებული ტერმინების გამოყენება გადამუშავებულ პროდუქტზე შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:
პროდუქტის ინგრედიენტების სიაში ან სავაჭრო აღწერაში მითითებულია, რომ:
(I) მთავარი ინგრედინტი არის ნადირობით ან თევზაობით მოპოვებული პროდუქტი;
(II) პროდუქტი შეიცავს სას/სამ წარმომავლობის სხვა ინგრედიენტებს და ყველა ეს ინგრედიენტი არის ბიოლოგიური;
(III) პროდუქტი შეესაბამება გადამუშავების საწარმოო წესებს.
ინგრედიენტების სიაში უნდა იყოს მითითებული, თუ რომელი ინგრედიენტი არის ბიოლოგიური.

**3.7 სავალდებულო მითითებები**

1. ბიოპროდუქციის ნიშანდებაზე უნდა იყოს მითითებული:
a) წარმოების პროცესის შემმოწმებელი სერტიფიცირების ორგანოს დასახელება და კოდის ნომერი;
b) ევროგაერთიანების ქვეყნებში ექსპორტის შემთხვევაში, ყოველ დაფასოებულ ერთეულზე დატანილი უნდა იყოს ევროგაერთიანების ლოგო;
c) ევროგაერთიანების ქვეყნებში ექსპორტისას, როდესაც გამოყენებულია ევროგაერთიანების ლოგო, ნიშანდებაზე მითითებული უნდა იყოს პროდუქტის შემადგენელი სას/სამ კომპონენტების მწარმოებელი მეურნეობის მდებარეობა. ეს ინფორმაცია უნდა დატანილ იქნეს ლოგოსთან ახლოს და მიეცეს ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი ფორმა:
„პროდუქტის სას/სამ კომპონენტის მწარმოებელი, რომელიც საქმიანობს ევროგაერთიანებაში“ – სად მოხდა მზა პროდუქტის სას/სამ კომპონენტის/ების წარმოება ევროგაერთიანებაში;
„პროდუქტის სას/სამ კომპონენტის მწარმოებელი, რომელიც საქმიანობს ევროგაერთიანების ფარგლებს გარეთ“ – სად მოხდა მზა პროდუქტის სას/სამ კომპონენტის/ების წარმოება ევროგაერთიანების ფარგლებს გარეთ;
„პროდუქტის სას/სამ კომპონენტის მწარმოებელი, რომელიც საქმიანობს ევროგაერთიანებაში/ევროგაერთიანების ფარგლებს გარეთ" – სად მოხდა მზა პროდუქტის სას/სამ კომპონენტების ნაწილის წარმოება ევროგაერთიანების ფარგლებში და სად მოხდა სას/სამ კომპონენტების ნაწილის წარმოება ევროგაერთიანების ფარგლებს გარეთ;
ზემოთ ნახსენები მითითება „ევროგაერთიანების ან არაევროგაერთიანების მეწარმის“ შესახებ შეიძლება მოშორდეს ან დაემატოს ქვეყნის მიერ იმ შემთხვევაში, თუ ყველა სას/სამ კომპონენტი, რომელთაგანაც მომზადებულია პროდუქტი, წარმოებულია იმავე ქვეყანაში.

ზემოთ ნახსენები მითითება „ევროგაერთიანების ან არაევროგაერთიანების მეწარმის“ შესახებ შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს, როდესაც კომპონენტის მთლიანი რაოდენობა წონის მიხედვით არ აღემატება პროდუქტის ყველა სას/სამ კომპონენტის 2%-ს.
ზემოთ ნახსენები მითითება „ევროგაერთიანების ან არაევროგაერთიანების მეწარმის“ შესახებ უნდა იყოს შესრულებული იმავე ფერის, ზომისა და სტილის ასოებით, როგორითაც პროდუქტის სავაჭრო აღწერა (არ უნდა იყოს უფრო თვალში საცემი).
ევროგაერთიანების ქვეყნებში ექსპორტის შემთხვევაში, ევროგაერთიანების ლოგოსა და პირველ პარაგრაფში აღწერილი მითითებების გამოყენება არ არის სავალდებულო არაევროგაერთიანების ქვეყნებიდან იმპორტის შემთხვევაში, მაგრამ, როდესაც ევროგაერთიანების ლოგო გამოიყენება ნიშანდებაზე, მაშინ პირველ პარაგრაფში არსებული მითითებებიც უნდა იყოს დატანილი ნიშანდებაზე.
2. პირველ პარაგრაფში არსებული მითითებები უნდა დატანილ იქნეს ადვილად შესამჩნევ ადგილას, მკაფიო წარწერითა და ისეთი საშუალებით, რათა ადვილად არ წაიშალოს ან ჩამოირეცხოს.

**3.8 ბიოწარმოების ლოგო**
1. ევროგაერთიანების ქვეყნებში ექსპორტის შემთხვევაში ევროგაერთიანების ლოგო გამოიყენება მხოლოდ იმ პროდუქციის ნიშანდებაზე, საპრეზენტაციო და სარეკლამო მასალებზე, რომლებიც შეესაბამება ამ სტანდარტში არსებულ მოთხოვნებს.
ამ ლოგოს გამოყენება არ შეიძლება გარდამავალი პერიოდის პროდუქციაზე.
2. „გრინ კაუკაზუსის“ ან ეროვნული ლოგოს/ების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ პროდუქციის ნიშანდებაზე, საპრეზენტაციო და სარეკლამო მასალებზე, რომლებიც შეესაბამება ამ სტანდარტში არსებულ მოთხოვნებს.
3. არაევროგაერთიანების ქვეყნებიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე ევროგაერთიანების ლოგოს გამოყენება უნდა ხდებოდეს ნებაყოფილობით.
4. ევროგაერთიანებაში ექსპორტისას ევროგაერთიანების ლოგო არ უნდა გამოიყენებოდეს გარდამავალი პერიოდის პროდუქციასა და ასევე ისეთ პროდუქტზე, რომლის ბიოინგრედიენტები საერთო სას/სამ ინგრედიენტების 95%-ზე ნაკლებია.
5. ევროგაერთიანების ლოგოს გამოყენება არ კრძალავს ეროვნული და კერძო ლოგოს გამოყენებას.
6. ევროგაერთიანებაში ექსპორტის დროს ევროგაერთიანების ლოგოს გამოყენებისას, მომხმარებლისათვის უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია პროდუქტის შემადგენელი სას/სამ ინგრედიენტების წარმოების ადგილის შესახებ.

ᲙᲝᲜᲕᲔᲠᲡᲘᲘᲡ (ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ) ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲓᲔᲑᲐ
**3.9** კონვერსიის (გარდამავალ) პერიოდში მყოფი მეურნეობის მცენარეული წარმოშობის პროდუქტების ნიშანდება, როგორც „კონვერსიის (გარდამავალი) პერიოდის პროდუქტისა“, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობაში ბიოსტანდარტები დაცულ იქნა 12 თვის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ:
ა) მე-3.2 და მე-3.3 პუნქტებში მითითებული მოთხოვნები მთლიანად არის დაკმაყოფილებული;
ბ) ნიშანდება, რომელიც მიუთითებს კონვერსიაზე/გარდამავალ პერიოდზე, უნდა განსხვავდებოდეს იმ პროდუქციის ნიშანდებისაგან, რომელიც წარმოებულია უკვე მთლიანად გარდაქმნილ ბიომეურნეობაში და შეცდომაში არ უნდა შეჰყავდეს მომხმარებელი;

გ) ამგვარი ნიშანდება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის სიტყვებს: „კონვერსიის/გარდამავალი პერიოდის პროდუქტი“ ან „გრინ კაუკაზუსის“ მიერ ნებადართული, სხვა ამის მსგავს სიტყვებს. ამასთან, ნიშანდება არ უნდა აღინიშნოს ისეთი ფერის, სტილისა და ზომის ასოებით, რომლებიც უფრო მკვეთრია (გამოსარჩევი), ვიდრე ეტიკეტზე მოცემული სხვა აღნიშვნები;
დ) პროდუქტზე, რომელიც შედგება მხოლოდ ერთი ინგრედიენტისაგან, შეიძლება დატანილ იქნეს შემდეგი სახის ნიშანდება – „ბიოწარმოებაზე გადასვლა“. წარწერა შეიძლება განთავსდეს ეტიკეტის თვალსაჩინო ადგილას;
ე) ნიშანდებაზე მიეთითება „გრინ კაუკაზუსის“ სახელი და/ან კოდი ან სხვა ოფიციალურად აღიარებული სერტიფიკაციის ან ინსპექციის ორგანოს სახელი და/ან კოდი, რომელის შემოწმებასაც ექვემდებარება მწარმოებელი;
მეცხოველეობის პროდუქტების ნიშანდება, როგორც „კონვერსიის/გარდამავალი პერიოდის პროდუქტისა“, არ შეიძლება. მეცხოველეობის პროდუქტების ნიშანდება ხდება მხოლოდ როგორც „ბიოპროდუქტისა“ და მხოლოდ გარდამავალი პერიოდის ამოწურვის შემდეგ.

### 3.10 ცხოველების საკვების ნიშანდებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული მოთხოვნები.

ეს არტიკლი არ ეხება საკვებს, რომელიც განკუთვნილია შინაური (ძაღლი, კატა) და, ბეწვის წარმოებისათვის განკუთვნილი ცხოველებისათვის.
ბიოწარმოებაზე მიმანიშნებელი სავაჭრო ნიშნისა და სავაჭრო აღწერის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ცხოველებისთვის განკუთვნილ იმ საკვებზე, რომლის მშრალი მასის მინიმუმ 95% შედგება ბიოსაწარმოში წარმოებული ნედლეულისგან.

### 3.11 ცხოველებისთვის განკუთვნილ გადამუშავებულ საკვებზე გამოსაყენებელი მითითებები:

1. ბიოწარმოებაზე მიმანიშნებელი ტერმინების გამოყენება ცხოველების გადამუშავებულ საკვებზე შესაძლებელია, თუ:
(a) გადამუშავებული საკვები შეესაბამება ბიოწარმოების, მეცხოველეობისა და აკვაკულტურის მოთხოვნებსა;
(b) გადამუშავებული საკვები შეესაბამება ამ სტანდარტის მოთხოვნებს;
(c) საკვების მშრალი მასის მინიმუმ 95% არის ბიოლოგიური.
(d) მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ყველა ინგრედიენტი რომელსაც შეიცავს ცხოველების გადამუშავებული საკვები არის ბიოლოგიური.

2. პირველი პარაგრაფის (a) და (b) პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად, საკვები ნივთიერებების ცვლადი რაოდენობის გამოყენების შემთხვევაში, რომლებიც წარმოებულია ბიოლოგიური და/ან გარდამავალი პერიოდის და/ან არაბიოლოგიური პროდუქტისაგან, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახის განცხადება/მტკიცება: „შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბიოწარმოებაში „გრინ კაუკაზუსის“ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად“.

### 3.12 გადამუშავებულ ცხოველების საკვებზე ნიშანდების გამოყენება

(04.11.2016) პარაგრაფში 3.11 აღწერილი ნიშანდება უნდა ემიჯნებოდეს ტექსტს, რომელიც აღწერს საკვების მარეგლამენტირებელ მოთხოვნებს; ამ ნიშანდების ფერი, ფორმატი და ფონტის თავისებურება არ უნდა იქცევდეს

უფრო მეტ ყურადღებას, ვიდრე ცხოველი საკვების სახელი ან მისი აღწერა.
1. პროდუქციაზე ნათლად უნდა ჩანდეს და მიეთითოს წონის ან მშრალი მასის მიხედვით შემდეგი ინფორმაცია:
(i) ბიოწარმოებაში მიღებული პროდუქტის პროცენტული რაოდენობა;
(II) გარდამავალ პერიოდში მყოფი წარმოებიდან მიღებული პროდუქტის პროცენტული რაოდენობა;
(III) იმ პროდუქტის პროცენტული რაოდენობა, რომელიც არ არის მითითებული (I) და (II) პუნქტებში;
(IV) სას/სამ წარმომავლობის ცხოველებისათვის განკუთვნილი საკვების პროცენტული რაოდენობა;
2. პროდუქციას თან უნდა ახლდეს ბიოწარმოებაში დამზადებული ნედლეულის დასახელებების სია;
3. პროდუქციას თან უნდა ახლდეს გარდამავალ პერიოდში მყოფი წარმოებიდან მიღებული ნედლეულის დასახელებების სია;
4. ნიშანდების მოთხოვნებს, რომელიც აღწერილია პუნქტებში 3.11 და 3.12 (ქვეპუნქტი 1 და 2) შეიძლება ასევე თან ახლდეს მითითება მოთხოვნაზე რომ გამოყენებულ იქნას ცხოველებისათვის განკუთვნილი საკვები ამ სტანდარტის დანართი 1.; " . ცხოველები და ცხოველთა პროდუქტები"; პუნქტი "27 გარდამავალი პერიოდის საწარმოში წარმოებული საკვები" და პუნქტი "28 არაბიომცენარეული და ცხოველური წარმომავლობის პროდუქტები და ნივთიერებები" მოთხოვნების შესაბამისად.

საბითუმო ვაჭრობისათვის განკუთვნილი კონტეინერების ნიშანდება

3.13 ბიოპროდუქციის საბითუმო ვაჭრობისათვის განკუთვნილი კონტეინერების ნიშანდება უნდა ხდებოდეს ამ სტანდარტის მე-3 დანართის მე-11 პუნქტის მოთხოვნების მიხედვით.

3.14 ღვინის ნიშანდების განსაკუთრებული წესები

1. მეწარმეებს, რომლებიც იყენებენ ევროგაერთიანების „ბიო-ლოგოს", უნდა გააჩნდეთ თვალსაჩინოება ჩანაწერებისა და დოკუმენტების სახით დამადასტურებელი იმისა, რომ ღვინო დამზადებული ბიომეთოდით წარმოებული ყურძნისგან. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს წლების მიხედვით წარმოებული ღვინის რაოდენობების აღრიცხვა ღვინის სახეობების მიხედვით. აღნიშნული ჩანაწერები უნდა მოიცავდეს უკანასკნელი ხუთი წლის პერიოდს ბაზარზე მათი გამოჩენის მომენტიდან.
2. როდესაც თვალსაჩინოება, რომელიც ნახსენებია წინამდებარე 1-ლ პუნქტში არ არის ხელმისაწვდომი, ასეთი რღვინო შეიძლება ნიშანდებული იქნეს, როგორც „ღვინო წარმოებულია ბიო-ყურძნისგან", იმის გათვალისწინებით, რომ ის წარმოებულია წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელიც აღწერილია ამ სტანდარტის **„დანართი 1. ე. ღვინის წარმოების განსაკუთრებული წესები"**-ში.
3. ღვინოზე, რომელიც ნიშანდებულია „ღვინო წარმოებულია ბიო-ყურძნისგან" არ შეიძლება ევროგაერთიანების „ბიო-ლოგოს" დატანა.

## 4. წარმოებისა და დამზადების წესები

**4.1** ბიოწარმოების მეთოდები მოითხოვს, რომ 1.1 (ა) პარაგრაფში მოცემული პროდუქტების წარმოებისას:
ა) მინიმალურად მაინც იქნეს დაკმაყოფილებული დანართი 1-ში მოცემული მოთხოვნები წარმოების წესის შესახებ;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ხსენებული (ა) პუნქტი არ არის ეფექტიანი, მაშინ შეიძლება ამ სტანდარტის მე-2 დანართის 1-ელ და მე-2 ცხრილებში მითითებული ნივთიერებების (რომლებიც აკმაყოფილებს 5.1 პუნქტში მოცემულ კრიტერიუმებს) გამოყენება მცენარეთა დაცვის საშუალებებად, სასუქად, ნიადაგის ფიზიკური თვისებების გასაუმჯობესებლად იმ დოზებით, რაც დაშვებულია საზოგადოდ სოფლის მეურნეობაში და შეესაბამება ქვეყანაში არსებულ შესაბამის წესებს.

**4.2** ბიოპროდუქციის გადამუშავების მეთოდები მოითხოვს, რომ 1.1 (ბ) პარაგრაფში მოცემული პროდუქტების დამზადებისას:
ა) მინიმალურად მაინც იქნეს დაკმაყოფილებული, დანართი 1-ში მოცემული მოთხოვნები გადამუშავების წესის შესახებ;
ბ) ნივთიერებები, რომლებიც მითითებულია მე-2 დანართის მე-3 და მე-4 ცხრილებში (რომლებიც აკმაყოფილებს 5.1 პუნქტში მოცემულ კრიტერიუმებს) შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც არასასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტი ან გადამუშავების პროცესის დამხმარე საშუალება და რომელთა გამოყენება შეესაბამება ქვეყანაში არსებულ შესაბამის წესებს, ასევე სურსათის დამზადებისა და გადამუშავების საუკეთესო წარმოების პრინციპებს.

**4.3** ბიოპროდუქციის შენახვა (დასაწყობება) და ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დანართი 1-ში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;

**4.4** მე-4.1 (ა) და მე-4.2 (ა) პუნქტების გამონაკლისის სახით, „გრინ კაუკაზუსი", დანართ 1-ში ასახული მეცხოველეობის წარმოების პროცესისადმი მოთხოვნებიდან გამომდინარე, სთავაზობს დეტალურ წესებს გამონაკლისების დაშვების პერიოდთან დაკავშირებით, რათა ხელი შეუწყოს ბიოწარმოების პრაქტიკის თანდათანობით განვითარებას.

## 5. მოთხოვნები მე-2 დანართში ნივთიერებათა შეტანის თაობაზე

ამ სტანდარტის მე-2 დანართში ნებისმიერი ცვლილების შეტანა მოხდება ევროგაერთიანების რეგულაციის (EEC) No 834/2007 და 889/2008 მოთხოვნების შესაბამისად.

**5.1** სტანდარტის მე-4 ნაწილში მოცემული დაშვებული ნივთიერებების ჩამონათვალში ცვლილებების შესატანად, უნდა გამოყენებულ იქნეს ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები. მათი საშუალებით ბიოწარმოებაში ახალი საშუალებების შეფასებისას „გრინ კაუკაზუსი“ უნდა ითვალისწინებდეს ყველა შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო დადგენილებასა და რეგულაციებს.
ნებისმიერი ახალი ნივთიერება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
ა) შეესაბამებოდეს ბიოპროდუქციის წარმოების პრინციპებს (იხ. „ბაზარზე ხელმისაწვდომობა“);
ბ) ნივთიერების გამოყენება საჭიროა/აუცილებელია;
გ) ნივთიერების გამოყენება არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას გარემოზე;
დ) ნივთიერების გამოყენება არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობაზე; და
ე) არ მოიპოვება ამ ნივთიერების შემცვლელი სხვა საშუალება შესაბამისი ხარისხის და/ან საკმარისი რაოდენობით.
ნივთიერების შეფასებისას უნდა მოხდეს ზემოთ ხსენებული ყველა კრიტერიუმის გათვალისწინება, რათა დაცულ იქნეს ორგანული წარმოების ერთიანობა. ასევე, შეფასებისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი დამატებითი კრიტერიუმები:
ა) როდესაც ნივთიერება განკუთვნილია ნიადაგის ნაყოფიერებისა და ფიზიკური თვისებების გასაუმჯობესებლად:
– ნივთიერება განკუთვნილია ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის ან აუცილებელია მოსაყვანი კულტურის სპეციფიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რაც დაკავშირებულია მის კვებასთან, რომლის დაკმაყოფილება შეუძლებელია იმ პრაქტიკის გამოყენებით, რომელიც მოცემულია დანართი 1-ში ან იმ ნივთიერებებით, რომლებიც მითითებულია მე-2 დანართის 1-ლ ცხრილში; და
– როდესაც გამოსაყენებელი ინგრედიენტები მცენარეული, ცხოველური, მიკრობიოლოგიური ან მინერალური წარმოშობისაა და შეუძლია გაიაროს შემდეგი პროცესები: ფიზიკური (მაგ. მექანიკური, თერმული), ენზემური, მიკრობიოლოგიური; და
– მათი გამოყენება არ იქონიებს უარყოფით ზეგავლენას ნიადაგში არსებულ ორგანიზმებზე და/ან ნიადაგის ფიზიკურ თვისებებზე;
ბ) როდესაც ნივთიერების გამოყენება ხდება მცენარის მავნებლების ან დაავადებების და სარეველების კონტროლისათვის:
– როდესაც საშუალება აუცილებელია მავნებლების ან სპეციფიკური დაავადებების კონტროლისათვის, რომლისთვისაც ბიოლოგიური, ფიზიკური თუ სხვა საშუალებები არ არის ეფექტიანი და/ან მათი მართვის სხვა პრაქტიკა არ არის ხელმისაწვდომი; და
– თუ გამოსაყენებელი ინგრედიენტები მცენარეული, ცხოველური, მიკრობიოლოგიური, ან მინერალური წარმოშობისაა და შეუძლია გაიაროს შემდეგი პროცესები: ფიზიკური (მაგ. მექანიკური, თერმული), ენზემური, მიკრობიოლოგიური (კომპოსტირება, მონელება);

– როდესაც საშუალება გამოიყენება განსაკუთრებული დანიშნულებით, კერძოდ, საჭერებისთვის ან ფერომონებისათვის, და მიღებულია ქიმიური სინთეზის გზით. მისი შეტანა გამოსაყენებელ ნივთიერებათა სიაში შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ეს საშუალებები ბუნებრივი ფორმით არასაკმარისი რაოდენობით მოიპოვება და მისი გამოყენება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, არ გამოიწვევს საკვებ პროდუქტში ნარჩენების არსებობას;

გ) როდესაც ნივთიერება გამოიყენება როგორც დანამატი ან გადამუშავების პროცესის დამხმარე საშუალება, პროდუქტის მომზადების ან შენახვის დროს:

– როდესაც ნივთიერება მიღებულია ბუნებრივი გზით და შეიძლება მისი მექანიკური/ფიზიკური, (მაგ. ექსტრაქცია, გამოყოფა) ბიოლოგიური/ენზემური და მიკრობიოლოგიური (მაგ. ფერმენტაცია) გადამუშავება;

– ან, როდესაც ეს ნივთიერებები არ არის ნაწარმოები საკმარისი რაოდენობით ზემოთ ნახსენები მეთოდებითა და ტექნოლოგიებით, მაშინ ქიმიური სინთეზით მიღებული ნივთიერებები შეიძლება გამონაკლისის სახით შევიდეს ნებადართული ნივთიერებების სიაში;

– როდესაც ნივთიერებები აუცილებელია პროდუქტის დასამზადებლად და არ არსებობს მათი მიღების სხვა ალტერნატიული ტექნოლოგიები;

– მომხმარებელი არ იქნება შეცდომაში შეყვანილი პროდუქტის წარმოშობის, შემადგენლობის და ხარისხის შესახებ ინფორმაციით;

## 6. ინსპექტირებისა და სერტიფიცირების სისტემა

**6.1** ინსპექტირებისა და სერტიფიცირების სისტემა გამოიყენება ბიოპროდუქტის ბიოწარმოების სტანდარტებთან შესაბამისობის დასადასტურებლად;

**6.2** „გრინ კაუკაზუსის“ ინსპექტირებისა და სერტიფიცირების სისტემა მოიცავს სხვადასხვა ქმედებას, რომელიც ასახულია სტანდარტის მე-3 დანართში;

**6.3** რადგანაც „გრინ კაუკაზუსი“ ატარებს როგორც საინსპექციო, ასევე სასერტიფიკაციო სამუშაოებს, ამიტომ ორგანიზაციაში მკვეთრად არის გამიჯნული საინსპექციო და სასერტიფიკაციო ქმედებები და ფუნქციები;

**6.4** „გრინ კაუკაზუსი“ ხელმძღვანელობს შემდეგი სავალდებულო კრიტერიუმებით:
ა) საერთო სტანდარტისა და ინსპექტირების/სერტიფიცირების პროცედურების გამოყენება, რაც მოიცავს ინსპექტირების დეტალურ აღწერას;
ბ) სანქციების გამოყენება, როდესაც ხდება შეუსაბამობებისა და დარღვევების აღმოჩენა;
გ) პერსონალი არის კვალიფიცირებული. არსებობს ადმინისტრაციული და ტექნიკური რესურსები სამუშაოების შესასრულებლად. არსებობს ინსპექტირების გამოცდილება;
დ) ობიექტური გადაწყვეტილების მიღება მეწარმესთან ურთიერთობისას;
ე) კონფიდენციალურობის დაცვა.

**6.5** სერტიფიცირების ორგანო აწარმოებს და აახლებს იმ მეწარმეების სიას, რომლებიც იმყოფებიან კონტროლის ქვეშ, სადაც მითითებულია მეწარმეების/საწარმოს დასახელება და მისამართი. ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის

**6.6** საცალო მოვაჭრეები, რომლებიც ახდენენ ბიოპროდუქციის რეალიზაციას უშუალოდ მომხმარებელზე, გათავისუფლებული არიან კონტროლის სისტემის მოთხოვნებისგან. მიუხედავად ამისა, შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად, ეს გამონაკლისი არ ეხება იმ საცალო რეალიზატორებს, რომლებიც რეალიზაციის პუნქტის გარეთ ამავდროულად აწარმოებენ, გადაამუშავებენ ან ასაწყობებენ ბიოპროდუქციას ან ახდენენ ბიოპროდუქციის იმპორტს ან ზემოთ ნახსენები სამუშაოების შესასრულებლად ქირაობენ ქვეკონტრაქტორს.

### 6.7 კონტროლის მინიმალური მოთხოვნები

საჭიროების მიხედვით მეწარმემ უნდა შეადგინოს და განაახლოს ჩანაწერები, სადაც აღწერილია ბიოწარმოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ჩატარებული ქმედებები, როგორც საკუთარი ხარისხის სისტემის ნაწილი.
ამ ჩანაწერებს უნდა ამოწმებდეს სერტიფიცირების ორგანო, რომელიც ამზადებს შემოწმების ანგარიშს, სადაც მითითებულია ბიოწარმოების წესებთან დაკავშირებული შეუსაბამობები. მეწარმემ უნდა მოაწეროს ხელი ამ ანგარიშს და შეასრულოს+ შესაბამისი მაკორექტირებელი ქმედებები.

### 6.8 გაუფრთხილებელი საკონტროლო ვიზიტები (ინსპექციები)

ყოველწლიური დაგეგმილი ინსპექტირების გარდა, სერტიფიცირების ორგანომ შერჩევის გზით უნდა ჩაატაროს გაუფრთხილებელი ინსპექციები, რომელთა

ჩატარებაც ეფუძნება ბიოწარმოების წესებთან შეუსაბამობის რისკის ზოგად შეფასებას. ამასთან, მხედველობაში მიიღება წინა ინსპექტირების შედეგები, შესამოწმებელი პროდუქციის რაოდენობა და ბიოპროდუქციის არაბიოპროდუქტთან შერევის რისკი.

### 6.9 დოკუმენტების წარმოება

1. მეწარმეს უნდა ჰქონდეს წარმოების სასაწყობე და ფინანსური დოკუმენტაცია, რათა შეეძლოს განსაზღვროს, ხოლო სერტიფიცირების ორგანოს შეამოწმოს:

(a) პროდუქტის მომწოდებელი, რეალიზატორი ან ექსპორტიორი;

(b) საწარმოში შემოსული ბიოპროდუქტის დასახელება და რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში, სხვა შეძენილი საშუალებები და მათი გამოყენება, ცხოველებისათვის განკუთვნილი საკვების შემადგენლობა;

(c) საწარმოო ერთეულის საწყობში არსებული ბიოპროდუქციის დასახელება და რაოდენობა;

(d) ნებისმიერი პროდუქტის დასახელება და რაოდენობა, სადაც საჭიროა პროდუქციის (რომელმაც დატოვა საწარმოო ერთეული ან მისი საწყობი) მიმღები ან მყიდველი (საბოლოო მყიდველის გარდა);

(e) იმ მეწარმეების შემთხვევაში, რომლებიც არ ინახავენ ბიოპროდუქციას, შეძენილი და გასაღებული ბიოპროდუქციის დასახელება და რაოდენობა, სადაც საჭიროა პროდუქციის მომწოდებლები, რეალიზატორები, ექსპორტიორები, მყიდველები, ტვირთის მიმღებები.

2. წარმოებული დოკუმენტაცია ასევე უნდა მოიცავდეს ბიოპროდუქციის მიღების შემოწმების შედეგებს და სხვა სახის ნებისმიერ ინფორმაცის, რომელიც სჭირდება სერტიფიცირების ორგანოს შესაბამისი კონტროლის განხორციელებისათვის. მეწარმის მიერ წარდგენილი აღრიცხვის მონაცემები უნდა მყარდებოდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტებით.
აღრიცხვისას უნდა არსებობდეს ბალანსი საწარმოო ერთეულში შეტანილ და იქიდან გამოტანილ პროდუქციას შორის.

3. როდესაც მეწარმე ერთი საწარმოო ერთეულის შიგნით მართავს რამდენიმე წარმოებას, მაშინ წარმოების არაბიოლოგიური ნაწილი და ამ ნაწილისთვის შემოსული პროდუქციისათვის განკუთვნილი საწყობიც ექვემდებარება მინიმალური კონტროლის მოთხოვნებს.

### 6.10 კომუნიკაცია

ყოველი წლის 15 მარტამდე მეწარმემ უნდა შეატყობინოს სერტიფიცირების ორგანოს მემცენარეობასთან ან წარმოების სხვა სფეროებთან დაკავშირებული (ცალ-ცალკე თითოეული დარგისათვის) მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა ე.წ. „მენეჯმენტის გეგმა".
ამ საკითხთან დაკავშირებით სერტიფიცირების ორგანომ შეიძლება გამოიჩინოს მოქნილობა საწარმოებში არსებული რეალობიდან გამომდინარე.

## 7. ექსპორტი და იმპორტი

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არის WTO-ს წევრი ქვეყანა და ასევე საქართველოში მოქმედებს ევროგაერთიანებასთან თანამშრომლობის სხვადასხვა პროგრამა, წინამდებარე სტანდარტში ექსპორტსა და იმპორტთან დაკავშირებული საკითხები მთლიანად დაფუძნებულია საერთაშორისო წესების მოთხოვნებზე. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება WTO-ს და ევროგაერთიანების ქვეყნებში მოქმედ ვაჭრობის, საბაჟოს, გარემოსდაცვით, ფიტოსანიტარიის, კარანტინის, ცხოველების მკურნალობის, ბიოაგროწარმოებისა და გადამუშავების წესებზე.
აქედან გამომდინარე, „გრინ კაუკაზუსის“ სტანდარტი ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებში ეყრდნობა იმ რეკომენდაციებსა და ნორმებს, რომლებიც მითითებულია ევრორეგულაციაში (EEC) No 834/2007, 889/2008, 1235/2008 და Codex Alimentarius-ში. ზემოთ ნახსენები დოკუმენტების მოთხოვნების შესრულება დადგინდება მესამე ქვეყნებისა და აღიარებული სერტიფიცირების ორგანოების ამ წესებთან ეკვივალენტურობის შეფასების საშუალებით.

**7.1** „გრინ კაუკაზუსი“ თავისი მეწარმეებისაგან მოითხოვს მხოლოდ სერტიფიცირებული ბიოპროდუქციის გასაღებას, ექსპორტსა და იმპორტს. სერტიფიკატი უნდა გაცემულ იქნეს ინსპექტირებების საფუძველზე, რომელიც ადასტურებს, რომ სერტიფიცირებული პროდუქცია შეესაბამება ამ სტანდარტის ყველა თავის და დანართის მოთხოვნებს.

**7.2** სერტიფიკატი, რომელიც ნახსენებია 7.1 პუნქტში, ორიგინალის სახით თან უნდა ახლდეს პროდუქციას ტვირთის მიღების პუნქტამდე. სერტიფიცირების ორგანო ექპორტიორებისა და იმპორტიორებისაგან მოითხოვს პროდუქციის სერტიფიკატების შენახვას მინიმუმ ორი წლის განმავლობაში საინსპექციო შემოწმებებისათვის.

**7.3** როდესაც იმპორტის/ექსპორტის დროს, ადგილობრივი კანონმდებლობის საკარანტინო წესებიდან გამომდინარე, ხდება პროდუქციის დამუშავება სტანდარტით აკრძალული სხვადასხვა ნივთიერებით, მაშინ პროდუქცია კარგავს თავის ბიოსტატუსს.

## 8. დარღვევები და ინფორმაციის გაცვლა (834/2007, 889/2008)

8.1 სტანდარტში მითითებული მოთხოვნების დარღვევის აღმოჩენისას, იმ პარტიის ნიშანდებაზე ან სარეკლამო მასალაზე, რომლის წარმოების პროცესშიც აღმოჩენილი იყო შეუსაბამობა სტანდარტებთან, სერტიფიცირების ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ არ იქნეს დატანილი მითითება ბიოწარმოების მეთოდზე, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი ქმედება იქნება პროპორციული იმ დარღვევისა, რომელიც იყო აღმოჩენილი (უნდა გათვალისწინებულ იქნეს თითოეული დარღვევის ტიპი და თავისებურება).
იქ, სადაც აღმოჩენილი იქნება მნიშვნელოვანი დარღვევა ან დარღვევა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იქონიებს ეფექტს, სერტიფიცირების ორგანო მკაცრად განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში აუკრძალავს მეწარმეს ნიშანდებაზე ან სარეკლამო მასალაზე ბიოწარმოების მეთოდზე მიმანიშნებელი მითითებების გაკეთებას.
ინფორმაცია კონკრეტული დარღვევის ან შეუსაბამობის შესახებ, რომელიც ზეგავლენას იქონიებს პროდუქციის ბიოსტატუსზე, სერტიფიცირების ორგანოს მიერ მიეწოდება შესაბამის მეწარმეს.
კომუნიკაციის სახე/ფორმა დამოკიდებულია აღმოჩენილი შეუსაბამობის ან დარღვევის სერიოზულობაზე.

### 8.2 დარღვევებისა და შეუსაბამობების არსებობის შესახებ ეჭვის გაჩენისას გასატარებელი ქმედებები

1. როდესაც მეწარმეს მიაჩნია ან ვარაუდობს, რომ პროდუქტი, რომელიც მან აწარმოა, გადაამუშავა, შეიძინა ან გაასაღა, ან მიიღო სხვა მეწარმისაგან, არ შეესაბამება ბიოწარმოების წესებს, მაშინ მან უნდა მოხსნას ბიოწარმოებაზე ნებისმიერი მითითება ან მოახდინოს ამ პროდუქციის იდენტიფიცირება/ნიშანდება და სეპარირება. მეწარმეს კვლავ შეუძლია გამოიყენოს ეს პროდუქცია ბიოწარმოებაში გადამუშავების ან დაფასოების, ან რეალიზაციის დროს, თუ მთლიანად გაქარწყლებულია ეჭვი ამ პროდუქციის შესაბამისობაზე სტანდარტის მოთხოვნებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი რეალიზაცია უნდა მოხდეს ბიოწარმოებაზე ყოველგვარი მითითების გარეშე.
მსგავსი ეჭვის გაჩენისას მეწარმემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ სერტიფიცირების ორგანოს. სერტიფიცირების ორგანომ შეიძლება მოითხოვოს მსგავსი პროდუქტის, როგორც ბიოპროდუქტის რეალიზაციის აკრძალვა, სანამ ის არ მიიღებს მეწარმისგან ან სხვა წყაროსგან ინფორმაციას, რომელიც მთლიანად გააქარწყლებს არსებულ ეჭვს.
2. როდესაც სერტიფიცირების ორგანოს აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ მეწარმე აპირებს, განათავსოს ბაზარზე პროდუქტი, რომელიც არ შეესაბამება ბიოწარმოების წესებს და რომლის ნიშანდებაზე არის მითითება ბიოწარმოებაზე, მაშინ სერტიფიცირების ორგანოს უფლება აქვს, მოსთხოვოს მეწარმეს დროებით შეაჩეროს ასეთი პროდუქციის რეალიზაცია. რეალიზაციის შეჩერების პერიოდს განსაზღვრავს სერტიფიცირების ორგანო.
მსგავსი გადაწყვეტილების მიღებამდე სერტიფიცირების ორგანომ უნდა მოისმინოს მეწარმისაგან განმარტებები ამ საკითხზე. რეალიზაციის შეჩერების გადაწყვეტილებას თან უნდა ახლდეს ვალდებულება ბიოწარმოებაზე ნებისმიერი მითითების მოხსნის შესახებ.

როდესაც ვერ ხერხდება არსებული ეჭვის დადასტურება წინაწარ განსაზღვრულ ვადებში, მაშინ გადაწყვეტილება, რომელიც აღწერილია პირველ პარაგრაფში, უნდა გაუქმდეს ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში. მეწარმემ უნდა ითანამშრომლოს სერტიფიცირების ორგანოსთან, რათა საეჭვო სიტუაციას ნათელი მოეფინოს.

3. სერტიფიცირების ორგანომ უნდა გაატაროს ქმედებები და გამოიყენოს სანქციები ბიოწარმოებაზე მითითების მოტყუებით გამოყენების პრევენციისთვის.

**8.3 ინფორმაციის გაცვლა**

როდესაც მეწარმესა და მის ქვეკონტრაქტორს სხვადასხვა სერტიფიცირების ორგანო ამოწმებს, მაშინ უნდა არსებობდეს ხელშეკრულება მეწარმესა და მის ქვეკონტრაქტორს შორის იმის შესახებ, რომ სერტიფიცირების ორგანოებს შეუძლიათ ერთმანეთში გაცვალონ კონტროლქვეშ მყოფი მეწარმის შესახებ ინფორმაცია და უნდა მიეთითოს, თუ როგორ მოხდება ინფორმაციის გაცვლა.

## 9. გარდამავალი და საბოლოო დებულებები

(04.11.2016) ამ თავში მოცემულ გარდამავალ დებულებებს უკვე გაუვიდა ვადა. მიუხედავად ამის, ეს თავი შენარჩუნებულია სტანდარტში, რადგან მას ინფორმაციული მნიშვნელობა აქვს და ასახავს ევროკავშირის კანონმდებლობის ეკვივალენტური დებულებების ტრანსფორმაციის პროცესის განვითარების ეტაპებს. ეს მიდგომა გამოყენებულია ამ სტანდარტის სხვა თავებშიც, სადაც ვადაგასული დებულებები შენარჩუნებულია, გარდამავალი ეტაპის თავისებურებების, გარდამავალი დებულებების მოქმედების ხანგრძლივობის და ვადის გასვლის თარიღების ასახვის მიზნით.

9.1 გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, რომლის ვადა იწურება 2010 წლის 31 დეკემბერს, ნებადართულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაბმა იმ შენობებში, რომლებიც აგებულია 2000 წლის 24 აგვისტომდე, იმის გათვალისწინობით, რომ ცხოველებს რეგულარულად აქვთ გადაადგილების საშუალება და მოვლის პირობები უზრუნველყოფს მათ კეთილდღეობას, ასევე უზრუნველყოფილია შესაბამისი/კომფორტული საფარის მქონე ფართობით, ინდივიდუალური მოვლით. ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები უნდა იყოს ნებადართული სერტიფიცირების ორგანოს მიერ. ცალკეული მეწარმის მოთხოვნის შემთხვევაში, ასეთი ღონისძიებების გატარებაზე ნებართვა შეიძლება გაგრძელებულ იქნეს 2013 წლის 31 დეკემბრამდე, მხოლოდ დამატებითი პირობის გათვალისწინებით, კერძოდ, წლის განმავლობაში მინიმუმ 2 ინსპექტირების ჩატარება.

9.2 გარდამავალ პერიოდში, რომლის ვადა იწურება 2010 წლის 31 დეკემბერს, მოქმედებს გამონაკლისი, რომელიც აღწერილია ევროგაერთიანების რეგულაციის (EEC) No 2092/91, პირველი დანართის, B ნაწილის, 8.5.1 პარაგრაფში და შეეხება ცხოველების საცხოვრებელ ადგილს და მათ დასაშვებ რაოდენობას (ტერიტორიის განსაზღვრულ ფართობზე). მეწარმეებმა, რომლებიც იღებენ სარგებელს ამ გამონაკლისით, სერტიფიცირების ორგანოს უნდა წარუდგინონ ქმედებების გეგმა, სადაც აღწერილი იქნება ღონისძიებები, რომელთაც გაატარებს მეწარმე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტანდარტთან შესაბამისობა ზემოთ აღნიშნული გარდამავალი პერიოდის დასრულებისათვის. ცალკეული მეწარმის მოთხოვნის შემთხვევაში, ასეთ ღონისძიებების გამოყენებაზე ნებართვა შეიძლება გაგრძელებულ იქნეს 2013 წლის 31 დეკემბრამდე, მხოლოდ დამატებითი პირობის გათვალისწინებით, კერძოდ, წლის განმავლობაში მინიმუმ 2 ინსპექტირების ჩატარება.

9.3 გარდამავალ პერიოდში, რომლის ვადა იწურება 2010 წლის 31 დეკემბერს, ხორცის წარმოებისათვის განკუთვნილი ცხვრებისა და ღორების დასუქების საბოლოო ფაზა, (რომელიც აღწერილია ევროგაერთიანების რეგულაციის (EEC) No 2092/91, პირველი დანართის, B ნაწილის, 8.3.4 პარაგრაფში) შეიძლება განხორციელდეს შენობის შიგნით მხოლოდ დამატებითი პირობის გათვალისწინებით, კერძოდ, წლის განმავლობაში მინიმუმ 2 ინსპექტირების ჩატარება.

9.4 გარდამავალ პერიოდში, რომლის ვადა იწურება 2011 წლის 31 დეკემბერს, ნებადართულია გოჭების დაკოდვა გაუტკივარების/ანესთეზიის გარეშე.

## 10. სტანდარტის განახლება

სტანდარტის განხილვა ხდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. საერთაშორისო კანონმდებლობასა და სტანდარტებში (როგორიცაა ევრორეგულაცია EEC Regulation 834/2007, 889/2008 და 1235/2008, Codex Alimentarius და სხვა) ცვლილებები აისახება ამ სტანდარტში. თუ ცვლილება მოახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბიოწარმოებისა და სერტიფიცირების პროცესებზე, მაშინ ცვლილება დაუყოვნებლივ აისახება სტანდარტში, შიდა აუდიტის ჩატარებამდე. ასეთი მიდგომა განაპირობებს იმას, რომ „გრინ კაუკაზუსის" ხარისხის სისტემა მუდმივად განახლებული/აქტუალიზებულია.

სტანდარტში ცვლილებების შეტანისას „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების სისტემაში შემავალი სერტიფიცირების ორგანოები ატყობინებენ ამის შესახებ მეწარმეებს. სტანდარტის ბოლო ვერსია გამოქვეყნებულია სერტიფიცირების ორგანოს ვებგვერდზე.

# დანართი 1. ბიოწარმოების პრინციპები

## ა. მემცენარეობა და მცენარეული პროდუქტები

1. იმისათვის, რომ პროდუქცია აღიარებულ იქნეს ბიოპროდუქტად, აუცილებელია, საწარმოო ერთეულში წინამდებარე დანართში მითითებული მოთხოვნები შესრულდეს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში. ერთწლიანი მცენარეებისათვის გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა არის ორი წელი (24 თვე) და ამ ვადის გასვლის მერე დათესილი/დარგული მცენარიდან მიღებული მოსავალი ითვლება ბიოპროდუქტად. მრავალწლიანი კულტურებისათვის (საძოვრების ბალახის გარდა) გარდამავალი პერიოდი არის სამი წელი (36 თვე) და სამი წლის მერე მიღებული პირველი მოსავალი ითვლება ბიოპროდუქტად როგორც ეს მითითებულია ამ სახელმძღვანელოს 1.1. (a) პუნქტში.

2. ქვემოთ მითითებული განსაზღვრებები შეეხება იმ საწარმოებს, რომლებმაც პირველად დაიწყეს ბიოწარმოება:

a) გარდამავალი პერიოდი/კონვერსია ათვლას იწყებს იმ თარიღიდან, როდესაც მეწარმემ თავისი საქმიანობის შესახებ შეატყობინა სერტიფიცირების ორგანოს;

b) გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მეწარმემ უნდა შეასრულოს წინამდებარე სტანდარტის ყველა მოთხოვნა;

c) საწარმოებში, რომელთა ერთ ნაწილში იწარმოება ბიოპროდუქცია, ხოლო დანარჩენი იმყოფება გარდამავალ პერიოდში, მეწარმემ უნდა მოახდინოს ბიოლოგიურ და გარდამავალ პერიოდში მყოფი ცხოველებისა და პროდუქციის ერთმანეთისაგან სეპარირება, ასევე უნდა არსებობდეს შესაბამისი ჩანაწერები, სადაც ნათლადაა ასახული ამ მიმართულებით ჩატარებული ქმედებები.

3. სერტიფიცირების ორგანომ გარდამავალ პერიოდად შეიძლება აღიაროს აღრიცხვაზე დადგომამდე გავლილი წინა პერიოდიც, სადაც:

a) მიწის ნაკვეთებზე არ გამოუყენებიათ ისეთი საშუალებები, რომლებიც არ არის ნებადართული ამ სტანდარტის მიხედვით, ან

b) ხელუხლებელ/დაუმუშავებელ ან სას/სამ მიწის ნაკვეთზე არ გამოუყენებიათ ისეთი საშუალებები, რომლებიც არ არის ნებადართული ამ სტანდარტის მიხედვით.

c) განაცხადით შემოსული სასერტიფიკაციო მიწის ნაკვეთი იმყოფებოდა სერტიფიცირების ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ განაცხადის შემოტანის მომენტისთვის და ყველა შეუსაბამობა აღმოფხრილია განაცხადის შემოტანამდე.

პირველი პარაგრაფის (b) პუნქტში მითითებული პერიოდი შეიძლება განხილულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ისეთი დამადასტურებელი საბუთები, რომლებიც დაარწმუნებს სერტიფიცირების ორგანოს იმაში, რომ წინამდებარე პირობა დაცული იყო მინიმუმ სამი წლის განმავლობაში.

ნებისმიერ შემთხვევაში გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა უნდა იყოს 12 თვე ან მეტი. იმ შემთხვევაში თუ სერტიფიცირების ორგანო წარმოდგენილ მტკიცებულებებს ჩათვლის დამაკმაყოფილებლად, მას უფლება აქვს აღიაროს გარდამავალი პერიოდი რექტროაქტიულად ევრორეგულაციის EU regulation 889/2008, 36 არტიკლის, მე-2 პუნქტის მიხედვით.

4. განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც ადგილი ჰქონდა სასერტიფიკაციო ნაკვეთების დაბინძურებას ბიოწარმოებაში აკრძალული საშუალებებით, სერტიფიცირების ორგანომ შეიძლება დააწესოს იმაზე მეტი გარდამავალი პერიოდი, ვიდრე ეს მითითებულია პირველ პარაგრაფში.

5. ნაკვეთებში, რომლებმაც უკვე გაიარეს გარდამავალი პერიოდი ან იმყოფებიან გარდამავალ პერიოდში და რომლებიც დამუშავდა ბიოწარმოებაში აკრძალული საშუალებებით, გარდამავალი პერიოდი შეიძლება შემცირდეს შემდეგ შემთხვევებში:
a) მეწარმის ნაკვეთში უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნით/იძულებით მეურნეობაში მავნებლებსა და დაავადებებთან საბრძოლველად გამოყენებულ იქნა ბიოწარმოებაში აკრძალული საშუალებები;
b) სამეცნიერო კვლევის ფარგლებში, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ნებართვით, მეურნეობაში გამოყენებულ იქნა ბიოწარმოებაში აკრძალული საშუალებები.

a) და b) პუნქტებში მოცემულ შემთხვევაში გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:
- a) გარდამავალი პერიოდის დასრულებისათვის გარანტირებული უნდა იყოს გამოყენებული აკრძალული ნივთირების დეგრადაცია და ამ ნივთიერების უმნიშვნელო დონე ნიადაგში, ხოლო მრავალწლიანი მცენარეების შემთხვევაში უშუალოდ მცენარეში;
- b) აკრძალული საშუალების გამოყენბეის შემდეგ მიღებული მოსავალი არ უნდა გასაღდეს როგორც ბიოპროდუქტი.

6. არაბალახისმჭამელი ცხოველებისთვის გამოყენებულ მიწის ნაკვეთებსა და საძოვრებზე გარდამავალი პერიოდი შეიძლება შემცირდეს ერთ წლამდე. იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ხსენებულ ნაკვეთებზე უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არ გამოუყენებიათ ბიოწარმოებაში აკრძალული საშუალებები, შესაძლებელია გარდამავალი პერიოდის შემცირება ექვს თვემდე.

7. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მიღებული ფიჭა უნდა ჩაინაცვლოს ბიოწარმოებაში მიღებული ფიჭით.

8. გარდამავალი პერიოდის გახანგრძლივების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ფაქტი ან ეჭვი ბიოწარმოების წესების დარღვევის შესახებ და/ან არსებული ჩანაწერების სისტემა არაადეკვატურია და/ან სხვადასხვა ფაქტორის გამო (დრო, კლიმატი, გეოგრაფია, ბაზარი, მართვის სისტემა, მომსახურე პერსონალი და სხვ.) შეუძლებელია სტანდარტის მოთხოვნების შესრულება. სერტიფიცირების ორგანოს შეუძლია გაზარდოს გარდამავალი პერიოდი, როდესაც ფაქტებით დადასტურდება შეუსაბამობებისა და დარღვევების არსებობა, როდესაც მეწარმე არ ასრულებს შესაბამისად მაკორექტირებელი ქმედებების მოთხოვნებს ან არ ასრულებს მითითებულ ვადებში.

9. გარდამავალი პერიოდის შემცირება შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმების შემთხვევაში:
– მიწის ნაკვეთის მდებარეობის რეგიონის/ტერიტორიის დაბინძურების ისტორია და რეალურად არსებული გარემო პირობების მონაცემები, რომლებიც მიღებულია

მეწარმისგან, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსაგან, გამოქვეყნებულია მედიასაშუალებებში ან ინტერნეტში, გამოთხოვილია შესაბამისი სამსახურებისა და სპეციალისტებისაგან.
– ბიოწარმოებაში მიწის გამოყენების ისტორია: მიწის ნაკვეთი იყო მიტოვებული ან არ გამოიყენებოდა სას/სამ დანიშნულებით ან არსებობს სხვა მიზეზი (მიზეზი უნდა იყოს განსაზღვრული და დასაბუთებული ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოს ან სააგენტოს მიერ);
– სას/სამ ან სხვა სახის დანიშნულებით მიწის გამოყენების შემთხვევაში უნდა არსებობდეს იმის თვალსაჩინოება, რომ არ გამოყენებულა სტანდარტით აკრძალული და შეზღუდული საშუალებები: სასუქები, ნიადაგის თვისებების გამაუმჯობესებელი საშუალება, მცენარეთა დაცვისა და სხვა სახის საშუალებების ხმარება სერტიფიცირების ორგანოში განაცხადის შეტანამდე მინიმუმ სამი წლით ადრე. სერტიფიცირების ორგანოში განაცხადის შეტანისას მეწარმემ საწარმოს აღწერასთან ერთად უნდა წარადგინოს წარსულში გამოყენებული საშუალებების სია და ასევე აკრძალული საშუალებების გამოუყენებლობის თვალსაჩინოება (წარდგენილი პასუხისმგებელი სააგენტოს მიერ).
– შესაბამისი/ზუსტი ჩანაწერების არსებობა, რომელიც წარმოებულია მეწარმის და/ან ნაკვეთის წინა მფლობელის და/ან მენეჯერის მიერ გამოიყენება სერტიფიცირების პროცესში მიწის ნაკვეთის წარსულ და მიმდინარე პერიოდში ბიოწარმოებასთან შესაბამისობის დასადგენად.

ისეთი საწარმოო ერთეულის მფლობელის შეცვლისას, რომლის მიწის ნაკვეთი უკვე სერტიფიცირებულია „გრინ კაუკაზუსის" სტანდარტის (10.05.17) ან სხვა წესების მიხედვით, რომლის ეკვივალენტურობა ევროგაერთიანების სტანდარტთან 834/2007 და 889/2008 დასტურდება უფლებამოსილი აკრედიტაციის ორგანოს მიერ, გარდამავალი პერიოდი შეიძლება შემცირდეს იმ ვადამდე, რომელიც საჭიროა პირველი ინსპექტირების დადებითი ანგარიშის მომზადებისა და მფლობელობის შეცვლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენისათვის.

**10.** გარდამავალი პერიოდის ათვლა იწყება მას შემდეგ, რაც საწარმოო ერთეული მე-6.2 პუნქტში მითითებულ ინსპექტირების სისტემაში ჩაერთვება და შესრულდება ამ სტანდარტის მე-4 ნაწილში მითითებული წარმოების წესები.

**11.** იმ შემთხვევაში, როდესაც მთელი მეურნეობის კონვერსია არ ხდება ერთდროულად, მაშინ ეს პროცესი შეიძლება განხორციელდეს თანდათანობით.
ამასთან, ამ სტანდარტის მოთხოვნების შესრულება უნდა დაიწყოს კონვერსიის პერიოდის პირველი დღიდან, მეურნეობაში არსებული ნაკვეთების მნიშვნელოვან ნაწილზე.
კონვენციური წარმოების წესიდან ბიოწარმოებაზე გადასვლა გამოიხატება იმით, რომ ადგილი აქვს ამ სტანდარტებით ნებადართული მეთოდების გამოყენებას. იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება მთელი მეურნეობის ერთბაშად გარდაქმნა, მაშინ საწარმო უნდა დაიყოს ერთეულებად, ისე, როგორც ეს მითითებულია მე-3 დანართის ა-ნაწილის მე-3 და მე-11 პარაგრაფებში.

**12.** ნაკვეთებში, რომლებიც გარდამავალ პერიოდშია ან რომლებიც უკვე ითვლება ბიონაკვეთებად, არ უნდა ხდებოდეს კონვენციური და ბიოწარმოების მეთოდების მონაცვლეობა.

**13.** საწარმოო ერთეული შეიძლება დაყოფილ იქნეს მკვეთრად გამიჯნულ ერთეულებად, სადაც მთელ საწარმოში არ ხდება პროდუქციის წარმოება ბიომეთოდების გამოყენებით.
ასეთი სახის მემცენარეობის საწარმოო ერთეულში სხვადასხვა სახის ადვილად გასარჩევი მცენარეები უნდა გამოიყენებოდეს.
პარალელურ წარმოებაში სეპარირების სისტემის თვალსაჩინოებისათვის მეწარმემ უნდა აწარმოოს შესაბამისი ჩანაწერები.

**14.** ნიადაგის ნაყოფიერება და ბიოლოგიური აქტიურობა უნდა შენარჩუნებულ და გაზრდილ იქნეს შემდეგი საშუალებებით:

ა) პარკოსანი მცენარეების, საფარი კულტურების, მძლავრი ფესვთა სისტემის მქონე მცენარეების ჩართვით მრავალწლიან თესლბრუნვებში;
ბ)  კომპოსტირებული ან არაკომპოსტირებული ორგანული მასის შერევა ნიადაგში, რომელიც მიღებულია ისეთ საწარმოო ერთეულებში, სადაც ხდება ამ სტანდარტის დაცვა. მეცხოველეობის ფერმის ნარჩენები, როგორიცაა ნაკელი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ ნაკელი მიიღება ისეთი მეცხოველეობის ფერმიდან, სადაც ამ სტანდარტს იცავენ;
იმ საშუალებების გამოყენება, რომლებიც მითითებულია მე-2 დანართის პირველ ცხრილში, შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მცენარის საკვები ნივთიერებებით უზრუნველსაყოფად ან ნიადაგის ფიზიკური თვისებების გასაუმჯობესებლად მე-5 (ა) და (ბ) პუნქტებში  მითითებული მეთოდების გამოყენება არ არის შესაძლებელი;
გ) კომპოსტირების პროცესის გააქტიურებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი მიკროორგანიზმები ან მცენარეული წარმოშობის პრეპარატები;
დ) ბიოდინამიკური პრეპარატები, რომლებიც მიიღება ქვის ფქვილის, ნაკელის ან მცენარისაგან, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად.
ე) არ უნდა მოხდეს მინერალური აზოტისშემცველი სასუქების გამოყენება.

**15.** მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების კონტროლი უნდა მოხდეს ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი მეთოდით ან მათი კომბინაციით:
– შესაბამისი სახეობებისა და ჯიშების შერჩევით;
– თესლბრუნვის შესაბამისი პროგრამებით;
– მექანიკური კულტივაციით;
– მავნებლების ბუნებრივი მტრების დაცვა შესაბამისი ბუნებრივი პირობების შექმნით, როგორიცაა ბუდეების დამზადება, ეკოლოგიურად სუფთა ბუფერული ზონების შენარჩუნება, რომლებიც უზრუნველყოფს ბუნებრივ საცხოვრებელს მავნებლების მტაცებლებისათვის;
– მრავალფეროვანი ეკოსისტემები. მაგალითად, ეროზიის საწინააღმდეგო ბუფერული ზონები, აგრომეტყევეობა, თესლბრუნვა, ა.შ.
– სარეველებთან ბრძოლა ცეცხლის ალით;
– ბუნებრივი მტრების, კერძოდ, მტაცებლებისა და პარაზიტების გაშვება;
– ბიოდინამიკური პრეპარატები, რომლებიც მიიღება ქვის ფქვილის, ნაკელის ან მცენარისაგან,
– მულჩირება და თიბვა;
– საქონლის ძოვება;

– მექანიკური კონტროლის საშუალებები, როგორიცაა ხაფანგები, ბარიერები, სინათლე და ხმაური;
– ორთქლით სტერილიზაცია, როდესაც ნიადაგის განახლებისათვის სათანადო თესლბრუნვის უზრუნველყოფა ვერ ხერხდება;

**16.** იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მოსავლის განადგურების რეალური საშიშროება და როდესაც მე-6 პარაგრაფში მოცემული ზომები არ არის საკმარისად ეფექტიანი, შეიძლება გამოვიყენოთ მე-2 დანართში მოცემული საშუალებები.

**17.** ცხოველების საკვები, სათესლე და ვეგეტატიური რეპროდუქციული მასალა უნდა მიღებულ იქნეს ისეთი მცენარეებისაგან, რომლებიც მოყვანილია ამ სტანდარტის მე-4.1 ნაწილის მოთხოვნების მიხედვით ერთი თაობის განმავლობაში, ხოლო მრავალწლიანების შემთხვევაში, ორი სეზონის განმავლობაში.
იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე დაუდასტურებს „გრინ კაუკაზუსის“ სერტიფიცირების ორგანოებს, რომ ზემოთ მითითებული მოთხოვნების შესაბამისი სათესლე ან ვეგეტატიური რეპროდუქციული მასალები ხელმიუწვდომელია, სერტიფიცირების ორგანომ შეიძლება ნება დართოს:
ა) შეუწამლავი სათესლე ან ვეგეტატიური რეპროდუქციული მასალების გამოყენებისა; ან
ბ) როდესაც (ა) ხელმიუწვდომელია, მაშინ ისეთი სათესლე ან ვეგეტატიური რეპროდუქციული მასალების გამოყენება, რომლებიც დამუშავებულია მე-2 დანართში მითითებული საშუალებებით.
„გრინ კაუკაზუსის“ სერტიფიცირების ორგანოებმა შეიძლება შეიმუშაონ მე-8 პუნქტში მითითებული გამონაკლისების ლიმიტირების კრიტერიუმები.

**18.** საკვებად გამოსაყენებელი მცენარეების ან მათი ნაწილების შეგროვება, რომლებიც ბუნებრივად იზრდება ტყეებში, ბუნებრივ გარემოში ან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან, შეიძლება ჩაითვალოს ბიოწარმოებად, თუ:
– პროდუქტის შეგროვება ხდება მკვეთრად იდენტიფიცირებულ ადგილას და შესაძლებელია ამ ტერიტორიის ინსპექტირება/სერტიფიცირება ისე, როგორც მითითებულია ამ სტანდარტის მე-6 პუნქტში;
– პროდუქციის შეგროვების ადგილები შეგროვებამდე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში არ დამუშავებულა ისეთი საშუალებებით, რომლებიც არ არის მითითებული მე-2 დანართში;
– პროდუქციის შეგროვება არ ზღუდავს ამ გარემოში არსებული სახეობებისა და არსებების შენარჩუნებას. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მცენარის ნაწილების ზედმეტი რაოდენობით შეგროვება და გარანტირებულ იქნეს ეკოსისტემის მდგრადობა, ნებადართულია მცენაეთა ნაწილების მხოლოდ შემდეგი რაოდენობით შეგროვება:

- ფესვები და ბოლქვები – არსებული რაოდენობის 20%
- ფოთლები (ხეებზე, ბუჩქებზე) – არსებული ფოთლების 30%
- ყვავილები – 70%
- თესლები და ნაყოფი – 80-70%

– პროდუქციის მოწოდებას ახდენს ისეთი შემგროვებელი, რომელიც არის იდენტიფიცირებული და მან იცის პროდუქციის შეგროვების წესები;
– პროდუქციის შემგროვებელს აქვს სახელმწიფოსაგან მიღებული ველურად მოზარდი მცენარეების შეგროვების ნებართვა და წარადგენს მას სერტიფიცირების

ორგანოში. პასუხისმგებელმა ორგანომ/ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ყველა ჯიშის შეგროვების დეტალური წესები;
– ველურად მოზარდი მცენარეების შეგროვება უნდა იყოს მდგრადი პროცესი და არ უნდა ახდენდეს უარყოფით ზეგავლენას გარემოზე. შეგროვება უნდა ჩატარდეს დაუბინძურებელ გარემოში, სუფთა ადგილას. შეგროვების პროცესი უნდა იყოს დოკუმენტირებული და იძლეოდეს მიკვლევის საშუალებას;
– არ უნდა მოხდეს პროდუქტის ისეთი რაოდენობით შეგროვება, რომ მცენარემ ვერ შეძლოს თვითაღდგენა;
– არ შეიძლება წითელ წიგნში შეტანილი მცენარეების შეგროვება;
– შეგროვებისას მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი მცენარის დაზიანება;
შეგროვებამ არ უნდა გამოიწვიოს გარემოში არსებული ცხოველებისათვის საკვები საშუალებების შეზღუდვა;
– შეგროვება არ შეიძლება ნაგავსაყრელებთან; შეგროვებამ არ უნდა გამოიწვიოს ხანძარი. აკრძალულია არალეგალური ნადირობა;
– შემგროვებლებს უნდა ჩაუტარდეთ ტრეინინგი, რათა მათ იცოდნენ შეგროვების წესები;
– შეგროვება არ უნდა ხდებოდეს დიდი ქალაქების, ინდუსტრიული ცენტრების, ატომური ქვესადგურებისა და მაგისტრალების ახლოს;
– შემგროვებლებმა კარგად უნდა იცოდნენ შეგროვების მეთოდი, მას უნდა ქონდეს ინფორმაცია შესაგროვებელი პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობების, გარემოსთვის ზიანის შესაძლო მიყენებისა და შეგროვების შესაბამისი ადგილების შესახების შესახებ;
– შეგროვებაზე პასუხისმგებელმა პირმა ან ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს მართვის (მენეჯმენტის) გეგმა;
უნდა არსებობდეს შეგროვების ტერიტორიის დეტალური რუკა (მასშტაბები 1:50000 ან მინიმუმ 1:25000), სადაც დატანილი იქნება შეგროვების რეგიონი და ადგილი, ასევე საბითუმო ვაჭრობის ადგილი;
– უნდა არსებობდეს ჩანაწერები შესყიდვების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გასაღებული რაოდენობების შესახებ;
– მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს მიკვლევადობა შეგროვების ადგილამდე;
– პროდუქცია შენახვისას, ტრანსპორტირებისას და გასაღებისას უნდა იყოს ნიშანდებული. ეტიკეტი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: პროდუქტის დასახელება, რაოდენობა, წარმომავლობა, დაფასოების თარიღი, სტატუსი (რომ პროდუქტი არის ბიო) და სერტიფიცირების ორგანოს დასახელება ან ლოგო;
– მოსავლის აღების მერე უნდა გამოირიცხოს პროდუქტის კონტაქტი სხვადასხვა სახის დამბინძურებლებთან ტრანსპორტირების, გაშრობის, გაყინვის, შენახვისა და სხვა პროცესების დროს;
– შესაძლო დამბინძურებლები არიან: სადეზინფექციო, სარეცხი და მავნებლების საწინააღმდეგო საშუალებები, ფუნგიციდები და ა.შ.;
– მოსავლის აღებისას და მისი შემდგომი დამუშავებისას უნდა დაცულ იქნეს სანიტარიული პირობები.

19. ნიადაგის გამოყენება და განაყოფიერება

a) ისეთ ნიადაგებში, რომლებიც მცენარეების ბიოწარმოების წესებში აღწერილი ღონისძიებების გამოყენებით ვერ აკმაყოფილებენ მცენარის მოთხოვნებს საკვებ ნივთიერებებზე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ სტანდარტის დანართი №1-ში (ბიოწარმოების პრინციპები) მითითებული სასუქები და ნიადაგის თვისებების

გასაუმჯობესებელი საშუალებები, შესაბამისი ნორმების დაცვით. მეწარმეს უნდა შეეძლოს ასეთი საშუალებების გამოყენების საჭიროების დოკუმენტირებული დასაბუთება.

b). საწარმოო ერთეულში ერთი წლის განმავლობაში ჰექტარზე გამოყენებული ნაკელის რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 170კგ აზოტს. ეს ლიმიტი შეეხება მხოლოდ ფერმის ნაკელს, ფერმის გამომშრალ ნაკელს, ფრინველების გამომშრალ ნაკელს, საქონლისა და ფრინველების კომპოსტირებულ ნაკელს.

c) ბიოსაწარმოო ერთეულმა შეიძლება წერილობით გააფორმოს თანამშრომლობის ხელშეკრულება სხვა საწარმოო ერთეულთან, რომელიც შეესაბამება ბიოწარმოების სტანდარტის მოთხოვნებს და ახდენს ზედმეტი რაოდენობის ნაკელის რეალიზაციას. მე-2 პარაგრაფში მითითებულია ასეთი სახის სასუქის გამოყენების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის გამოთვლა ეფუძნება ამ თანამშრომლობაში მონაწილე საწარმოო ერთეულების სიდიდეს.

d) ნიადაგის საერთო თვისებების, ნიადაგსა და მცენარეში საკვები ნივთიერებების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, შესაძლებელია მიკროორგანიზმებისაგან დამზადებული პრეპარატების გამოყენება.

e) კომპოსტირების აქტივაციისათვის შესაძლებელია მცენარეებისა და მიკროორგანიზმების საფუძველზე დამზადებული პრეპარატების გამოყენება.

**20.** დაავადებების, მავნებლებისა და სარეველების კონტროლი.

a) საწარმოო ერთეულში, სადაც მცენარეების ბიოწარმოების წესებში აღწერილი ღონისძიებების გამოყენებით ვერ ხერხდება მცენარის დაცვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ სტანდარტის მე-2 დანართის (ბიოწარმოებაში ნებადართული საშუალებები) მე-2 ცხრილში მითითებული მავნებლებისა და დაავადებების კონტროლისათვის ნებადართული საშუალებები. მეწარმეს უნდა შეეძლოს ასეთი საშუალებების გამოყენების საჭიროების დოკუმენტირებული დასაბუთება.

b) უნდა გამოირიცხოს საჭერებსა და სხვა სახის მოწყობილობებში გამოყენებული ნივთიერებით გარემოს დაბინძურება და მათი კონტაქტი საწარმოო კულტურასთან. საჭერები გამოყენების მერე უნდა განთავსდეს უსაფრთხო ადგილას.

**21**. სოკოს წარმოების განსაკუთრებული წესები

სოკოს წარმოებაში შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი სახის კომპონენტებისაგან დამზადებული სუბსტრატი:

a) ფერმის ნაკელი და ცხოველების ექსკრემენტები:

(I) ბიომეთოდებით მომუშავე საწარმოო ერთეულიდან;

(II) ან დანართი 1-ის A. ნაწილში მითითებული მცენარეები და მათი პროდუქტები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (I) პუნქტში მითითებული პროდუქტები ხელმიუწვდომელია, და როდესაც მათი რაოდენობა არ აღემატება მთლიანი სუბსტრატის 25%-ს (კალკულაციისას არ ითვლება საფარად გამოყენებული მასალა და კომპოსტირებამდე დამატებული წყალი);

b) სას/სამ წარმოშობის პროდუქტები ((a) პუნქტში მითითებული პროდუქტების გარდა), რომლებიც წარმოებულია ბიომეთოდების გამოყენებით;

c) ქიმიურად დაუმუშავებელი ტორფი;

d) ხე, რომელიც წაქცევის მერე არ დამუშავებულა ქიმიურად;

e) წყალი, მიწა და მინერალური წარმომავლობის პროდუქტები, რომლებიც მითითებულია დანართი 1-ში.

22. გამონაკლისი წესები. პარალელური წარმოება
1. მეწარმეს შეუძლია ერთი საწარმოო ერთეულის ფარგლებში აწარმოოს ბიო და არაბიოპროდუქცია:
(a) მრავალწლიანი კულტურების წარმოების შემთხვევაში (რომლებიც საჭიროებენ მინიმუმ 3-წლიან კულტივაციის პერიოდს), სადაც შესაძლებელია გამოყენებული სახეობების ადვილად გარჩევა და დაკმაყოფილებულია შემდეგი მოთხოვნები:
(I) წარმოების არაბიონაკვეთი არის გარდამავალი გეგმის ნაწილი, რომლის მიხედვითაც მეწარმემ მაქსიმალურად მოკლე პერიოდში უნდა გადაიყვანოს მთელი საწარმოო ერთეული ბიოწარმოებაზე. ზემოთ ნახსენები პერიოდის ხანგრძლივობა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გასცდეს ხუთ წელიწადს;
(II) საწარმოო ერთეულის თითოეული ნაწილიდან აღებული მოსავლის სეპარირებისათვის გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები;
(III) სერტიფიცირების ორგანო ინფორმირებულია თითოეულ ნაწილში მოსავლის აღების შესახებ ამ ოპერაციის ჩატარებამდე 48 საათით ადრე;
(IV) მოსავლის აღებისათანავე მეწარმემ უნდა შეატყობინოს სერტიფიცირების ორგანოს წარმოების თითოეულ ნაწილში აღებული მოსავლის რაოდენობა და მათი სეპარირებისათვის გატარებული ქმედებები;
(V) წარმოების კონვერსიის გეგმა დამტკიცებულია „კავკასსერტის" მიერ და კონვერსიის დაწყებიდან ყოველ წელს ხდება ამ გეგმის დადასტურება;

(c) სათესლე მასალის, ვეგეტაციური გამრავლების ორგანოებისა და ნერგების წარმოებისას უნდა შესრულდეს (a) პუნქტის (II; III; IV) ქვეპუნქტებისა და (V) ქვეპუნქტის შესაბამისი ნაწილის მოთხოვნები;
(d) სათიბებისა და საძოვრების შემთხვევაში ნაკვეთი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ საძოვრად;

2. საწარმოო ერთეულში, რომელიც დაკავებულია სას/სამ კვლევით ან სწავლებით შესაძლებელია ერთი და იმავე ჯიშის ბიო და არაბიოცხოველების მოშენება, თუ ხდება შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:
(a) მეწარმე წინასწარ ატყობინებს სერტიფიცირების ორგანოს ცხოველების, მათგან მიღებული პროდუქციის, მათი საკვებისა და ნაკელის სეპარირებისათვის ჩატარებული ქმედებების შესახებ;
(b) მეწარმე წინასწარ ატყობინებს სერტიფიცირების ორგანოს ცხოველებისა და მათი პროდუქციის შეძენის ან რეალიზაციის შესახებ;
(c) მეწარმე ატყობინებს სერტიფიცირების ორგანოს მთლიან საწარმოო ერთეულში წარმოებული პროდუქციის ზუსტ რაოდენობას, ასევე ყველა მონაცემს, რომლებიც იძლევა პროდუქციის იდენტიფიცირებისა და სეპარირებისათვის გატარებული ღონისძიებების შეფასების საშუალებას.

23. გამონაკლისი წესები. არაბიოსაწარმოდან მიღებული სათესლე მასალისა და ვეგეტატიური გამრავლების ორგანოების გამოყენება

1. (a) ბიოწარმოებაში ნებადართულია გარდამავალი პერიოდის საწარმოო ერთეულში წარმოებული სათესლე მასალისა და ვეგეტატიური გამრავლების ორგანოების გამოყენება;
(b) იქ, სადაც პუნქტი (a) არარელევანტურია და არ არის ხელმისაწვდომი ბიოსათესლე მასალა და ვეგეტატიური გამრავლების ორგანოები, შესაძლებელია არაბიოსათესლე მასალისა და ვეგეტატიური გამრავლების ორგანოების გამოყენება. არაბიოთესლებისა და სათესლე კარტოფილის გამოყენების შემთხვევაში, უნდა შესრულდეს ქვემოთ მითითებული პარაგრაფების მოთხოვნები.

2. არაბიოთესლებისა და სათესლე კარტოფილის გამოყენება შესაძლებელია, თუ თესლები და სათესლე კარტოფილი არ არის დამუშავებული ისეთი მცენარეთა დაცვის საშუალებებით, რომლებიც არ არის მითითებული ამ სტანდარტში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოსაყენებელი სახეობის ყველა ჯიშის სათესლე მასალის ქიმიურ დამუშავებას მოითხოვს იმ ქვეყნის ფიტოსანიტარიული კანონმდებლობა, რომელშიც უნდა მოხდეს თესლის ან სათსლე კარტოფილის გამოყენება.

3. ნებართვა არაბიოთესლისა და სათესლე კარტოფილის გამოყენების შესახებ შეიძლება გაცემულ იქნეს შემდეგ შემთხვევებში:
a) როდესაც მეწარმის მიერ გამოსაყენებელი მცენარის სახეობა ან ჯიში არ არის ხელმისაწვდომი ბაზარზე;
b) როდესაც თესლებისა და სათესლე კარტოფილის მომწოდებელს/რეალიზატორს თესვამდე ან დარგვამდე გონიერი პერიოდის განმავლობაში არ შეუძლია მეწარმისათვის სასურველი თესლების ან სათესლე კარტოფილის მოწოდება.
c) როდესაც არაბიოთესლებისა და სათესლე კარტოფილის გამოყენება განპირობებულია მეცნიერული კვლევით, მცირე ზომის ნაკვეთზე გამოცდის მიზნით ჩასატარებელი ცდით ან განსაზღვრული სახეობის კონსერვაციით.

4. ნებართვის გაცემა უნდა მოხდეს დათესვამდე/დარგვამდე.

5. ასეთი სახის ნებართვის გაცემა უნდა მოხდეს ინდივიდუალურ შემთხვევებში. ნებართვა მოქმედებს მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში. „კავკასსერტმა“ უნდა აღრიცხოს იმ თესლებისა და სათესლე კარტოფილის რაოდენობა, რომელზეც გასცა მსგავსი ნებართვა.

## ბ. მეცხოველეობა და მეცხოველეობის პროდუქტები

### ძირითადი პრინციპები

ამ თავში აღწერილია წარმოების დეტალური წესები შემდეგი სახეობებისათვის: მსხვილფეხა რქოსანი საქონელი კამეჩისა და ბიზონის ჩათვლით, ცხენი, ღორი, ცხვარი, თხა, შინაური ფრინველები (სახეობები, რომლებიც მოხსენიებულია მე-3 დანართში) და ფუტკარი.

1. როდესაც შინაურ ცხოველების მოვლა-მოშენება ბიოწარმოების მიზნით მიმდინარეობს, ეს ცხოველები ბიომეურნეობის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდნენ და მათი წარმოება ამ სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა ხდებოდეს.

2. მეცხოველეობას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მიწათმოქმედების სისტემაში:
   ა) შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს ნიადაგის ნაყოფიერება;
   ბ) მართოს მცენარეული საფარის სახეობრივი შემადგენლობის ძოვების მეშვეობით;
   გ) აამაღლოს მეურნეობაში ბიომრავალფეროვნება და ხელი შეუწყოს წარმოების სხვადასხვა მიმართულებებს შორის შემავსებელი ურთიერთქმედებას;
   დ) აამაღლოს მიწათმოქმედების სისტემის მრავალფეროვნება.

3. მეცხოველეობის წარმოება მჭიდრო კავშირშია მიწასთან. ბალახისმჭამელი ცხოველებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საძოვრები, ხოლო ყველა სხვა სახეობის ცხოველისათვის ღია სასეირნო სივრცე (სამოძრაო ტერიტორია). „გრინ კაუკაზუსის“ სერტიფიცირების ორგანოებმა შეიძლება დაუშვან გამონაკლისი, თუ ცხოველის ფიზიოლოგიური მდგომარეობა, მკაცრი გარემო პირობები, ნიადაგის მდგომარეობა, ტრადიციული მეცხოველეობის სისტემები ზღუდავს საძოვრების ხელმისაწვდომობას, მაგრამ ამავდროულად გარანტირებულია ცხოველების კეთილდღეობა.

4. ცხოველთა სიმჭიდროვე განსაზღვრულ ფართზე უნდა იყოს მეურნეობის მდებარეობის რეგიონის შესაბამისი, რაც დამოკიდებულია საკვებწარმოების შესაძლებლობებზე, ცხოველთა ჯანმრთელობაზე, საკვები ნივთიერების ბალანსსა და გარემოზე შესაძლო ზეგავლენაზე.

| ცხოველი | ნაგებობის შიდა სივრცე (ცხოველებისათვის ხელმისაწვდომი სივრცე) | | ღია სივრცე (სამოძრაო სივრცე საძოვრების გამოკლებით) |
|---|---|---|---|
| | მინიმალური ცოცხალი წონა | მ$^2$/სულზე | მ$^2$/სულზე |

| | | | |
|---|---|---|---|
| ძროხა და ცხენი | 100 კგ-მდე<br>200 კგ-მდე<br>350 კგ-მდე<br>350 კგ-ზე ზევით | 1,5<br>2,5<br>4,0<br>5<br>მინიმუმ 1მ$^2$ 100კგ-ზე | 1,1<br>1,9<br>3<br>3,7<br>მინიმუმ 0.75მ$^2$ 100კგ-ზე |
| მერძეული | | 6 | 4,5 |
| ბუღები გამრავლებისათვის | | 10 | 30 |
| ცხვარი და თხა | | 1,5 ცხვარი/თხა<br>0,35 ბატკანი/თიკანი | 2,5 ცხვარი/თხა<br>0,5 ბატკანზე/თიკანზე |
| დედა ღორები გოჭებით 40 დღემდე | | 7,5 ღორი | 2,5 |
| გასასუქებელი ღორები | 50 კგ-მდე<br>85 კგ-მდე<br>110 კგ-მდე<br>110 კგ-ზე მეტი | 0,8<br>1,1<br>1,3<br>1.5 | 0,6<br>0,8<br>1<br>1.2 |
| გოჭები | 40 დღის ზევით და 30 კგ-მდე | 0,6 | 0,4 |
| ღორების კოლტი | | 2,5 დედალი<br>6,0 მამალი | 1.9<br>8.0 |

**ცხრილი: ცხოველების სხვადასხვა სახეობისათვის საჭირო მინიმალური სივრცე ნაგებობის შიგნით და გარეთ**

| შინაური ფრინველი | ნაგებობის შიდა სივრცე (ფრინველისათვის ხელმისაწვდომი სივრცე) | | | ნაგებობის გარეთ სივრცე (მ$^2$ სულზე) |
|---|---|---|---|---|
| | ფრინველის რაოდენობა/ მ$^2$ | ქანდარა სმ-ში ფრინველზე | ბუდე | |
| კვერცხმდებელი ქათმები | 6 | 18 | 8 კვერცხმდებელი ქათამი თითოეულ საბუდარში | 4, იმ პირობით, რომ აზოტის წარმოქმნა არ აღემატებოდეს 170 კგ N/ჰა/წელიწადში |
| დასასუქებელი ფრინველი (ფიქსირებულ საცხოვრებელში) | 10 მაქსიმუმ 21 კგ ცოცხალი წონა მ$^2$-ზე | 20 (ციცრის შემთხვევაში) | | 4 ბროილერი და ციცარი, 4.5 იხვი, 10 ინდაური, 15 ბატი, იმ პირობით, რომ აზოტის წარმოქმნა არ აღემატებოდეს 170 კგ N/ჰა/წელიწადში |
| დასასუქებელი ფრინველი (გადასატან საცხოვრებელში) | 16 მობილურ სადგომში მაქსიმუმ 30 კგ ცოცხალი წონით კვადრატულ მეტრზე | | | 2.5, იმ პირობით, რომ აზოტის წარმოება არ აღემატებოდეს 170 კგ N/ჰა/წელიწადში |

**ცხრილი: სხვადასხვა სახეობის შინაური ფრინველის დაბინავებისათვის საჭირო ფართობი ნაგებობის შიგნით და გარეთ**

| სახეობის დასახელება | ცხოველების მაქსიმალური რაოდენობა ჰა-ზე, რაც განაპირობებს ერთ ჰა-ზე 170-კგ-ს წლის განმავლობაში |
|---|---|
| 6 თვეზე მეტი ასაკის ცხენები | 2 |
| დასასუქებელი ძროხები | 5 |
| ერთ წელიწადზე ნაკლები ასაკის სხვა ხარები | 5 |
| ერთ წელიწადზე მეტი და ორ წელიწადზე ნაკლები ასაკის ხარები | 3,3 |
| ერთ წელიწადზე მეტი და ორ წელიწადზე ნაკლები ასაკის ხარები | 3,3 |
| ორი წლის და მეტი ასაკის ხარები | 2 |
| სანაშენე დეკეული | 2,5 |
| დასასუქებელი დეკეული | 2,5 |
| მეწველი ძროხები | 2 |
| Cull dairy cows | 2 |
| სხვა ძროხები | 2,5 |
| მდედრი სანაშენე კურდღლები | 100 |
| ცხვარი | 13,3 |
| თხა | 13,3 |
| გოჭები | 74 |
| სანაშენე მდედრი ღორები | 6,5 |
| დასასუქებელი ღორები | 14 |
| სხვა ღორები | 14 |
| ქათმები | 580 |
| კვერცხისმდებელი ქათმები | 230 |

**ცხრილი: ჰექტარზე ცხოველების მაქსიმალური რაოდენობა**

5. თავშესაფრისა და წარმოებისადმი სპეციფიკური მოთხოვნები მეფრინველეობაში:
   ა) ფრინველები არ უნდა იყვნენ ჩამწყვდეული გალიებში.
   ბ) წყლის ფრინველებისათვის ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მდინარე, გუბურა ან ტბა, როდესაც ამის საშუალებას ამინდი ან ჰიგიენური პირობები იძლევა.
   დ) ფრინველების საცხოვრებლად განკუთვნილი შენობები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს (13.06.14). თითოეულ შენობაში ფრინველების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს:
      (I) 4 800 წიწილას
      (II) 3 000 კვერცხისმდებელ ქათამს
      (III) 5 200 ციცარს

(IV) 4 000 მუშკის იხვს ან პეკინურ იხვს, ან 3 200 მამრ მუშკის იხვს ან პეკინურ იხვს;
(V) 2 500 ხორცის წარმოებისათვის მოსასუქებელ დაკოდილ მამალს, ბატს ან ინდაურს;

ე) ხორცის წარმოებისათვის განკუთვნილი საფრინველეების საერთო სასარგებლო ფართი არ უნდა აღემატებოდეს 1600მ²;

ვ) საფრინველე შენობას უნდა ჰქონდეს ისეთი კონსტრუქცია, რომ იქ მცხოვრებ ნებისმიერ ფრინველს შეეძლოს გარეთ გამოსვლა;

ზ) ნატურალური განათების გარდა შესაძლებელია დამატებით ხელოვნური განათების გამოყენება ისე, რომ ფრინველები არ იმყოფებოდნენ განათების ქვეშ 16 საათზე მეტხანს და შეეძლოთ ღამე დასვენება ხელოვნური განათების გარეშე 8 საათის განმავლობაში;

თ) ინტენსიური წარმოების მეთოდების თავიდან ასაცილებლად, ფრინველები საწარმოში უნდა იზრდებოდნენ განსაზღვრულ მინიმალურ ასაკამდე ან უნდა გამოყენებულ იქნას ადგილობრივი ტრადიციული ჯიშები. იქ, სადაც არ გამოიყენება ადგილობრივი ჯიშები, მეწარმემ არ უნდა დაკლას ფრინველი ქვემოთ მითითებულ ასაკზე ადრე:

(I) 81 დღე წიწილებისათვის
(II) 150 დღე ხორცის წარმოებისათვის მოსასუქებელი დაკოდილი მამლისათვის
(III) 49 დღე პეკინური იხვისათვის
(IV) 70 დღე დედალი მუშკის იხვისათვის
(V) 84 დღე მამალი მუშკის იხვისათვის
(VI) 92 დღე ველური იხვისათვის
(VII) 94 დღე ციცრისათვის
(VIII) 140 დღე მამალი ინდაურისა და ბატისათვის
(IX) 100 დღე დედალი ინდაურისათვის

6. ბიომეცხოველეობაში უნდა გამოიყენებოდეს ბუნებრივი გამრავლების მეთოდი, მინიმუმამდე უნდა დაყვანილ იქნეს ცხოველების სტრესი, აქცენტი უნდა გაკეთდეს დაავადებების პრევენციაზე, თანდათანობით უნდა გამოირიცხოს ქიმიური ალოპათიური ვეტერინარიული საშუალბების (მათ შორის ანტიბიოტიკების) გამოყენება, უნდა შემცირდეს ცხოველური წარმომავლობის საკვების გამოყენება (მაგ. ხორცის ფქვილი), უნდა შენარჩუნებულ იქნეს ცხოველების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

7. ცხოველთა მოვლის წესები და საცხოვრებელი პირობები

(I) პერსონალს, რომელიც დაკავებულია ბიომეცხოველეობით უნდა გააჩნდეს ცხოველების მოვლისა და მკურნალობის საბაზისო ცოდნა;
(II) ცხოველთა მოვლის წესები, ცხოველთა ფართობის ერთეულზე სიმჭიდროვისა და საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით, უნდა აძლევდეს ცხოველებს ზრდა-განვითარების, მათ ფიზიოლოგიასთან და ბუნებრივ ქცევასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებას;

(III) სადაც კი ამის საშუალებას იძლევა კლიმატი და მიწის მდგომარეობა, ცხოველებისთვის მუდმივად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ღია ტერიტორიები, უპირატესად საძოვრები, თუ არ არსებობს ადამიანის ან ცხოველების

ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობით გამოწვეული შეზღუდვები ან ვალდებულებები.
(IV) ცხოველების რაოდენობა უნდა იყოს ლიმიტირებული, რათა გამოირიცხოს ნაკვეთების გადაძოვება, მისი დატკეპვნა, ეროზია და შესაძლო დაბინძურება ნაკელის ჭარბი დოზებით;
(V) ბიო და არაბიოცხოველები უნდა იყვნენ განცალკევებული ერთმანეთისგან. გარკვეული შეზღუდვებისა და პირობების გათვალიწინებით შესაძლებელია ბიოცხოველების ძოვება საერთო მიწებზე და არაბიოცხოველების ძოვება ბიონაკვეთებზე;
(VI) ცხოველების დაბმა ან იზოლირება აკრძალულია. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით დასაშვებია, ცალკეული ცხოველების იზოლირება ან დაბმა, თუ ეს ნაკარნახევია ცხოველების უსაფრთხოებით, კეთილდღეობაზე ზრუნვით ან ვეტერინარული აუცილებლობით;
(VII) ცხოველების ტრანსპორტირების ხანგრძლივობა მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი;
(VIII) ცხოველის ტანჯვა და დამცირება, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი მთელი ცხოვრების განმავლობაში, მათ შორის დაკვლის დროს.

8. კვება:
(I) ცხოველების გამოკვება უპირატესად უნდა მოხდეს უშუალოდ იმავე მეურნეობაში წარმოებული ან იმავე რეგიონში არსებულ მეურნეობაში წარმოებული საკვებით;
(II) ცხოველები უნდა იკვებებოდენ ბიოსაკვებით, რომელიც აკმაყოფილებს მათ მოთხონებს განვითარების სხვადასხვა სტადიაზე. ცხოველების რაციონს ნაწილობრივ შესაძლებელია შეადგენდეს გარდამავალი სტატუსის მქონე მეურნეობაში წარმოებული საკვები;
(III) ცხოველებისათვის მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საძოვარი და უხეში საკვები მასა (მეფუტკრეობის გარდა);
(IV) მცენარეული წარმომავლობის არაბიო საკვები მასალების, ცხოველური და მინერალური წარმომავლობის საკვები მასალების, საკვები დანამატები და ცხოველთა კვებაში გამოყენებული ზოგიერთი პროდუქტისა და ტექნოლოგიური დანამატის გამოყენება შეიძლება მოხდეს სერტიფიცირების ორგანოს ნებართვით;
(V) აკრძალულია ზრდის რეგულატორებისა და ამინომჟავების გამოყენება;
(VI) ახალშობილი ძუძუმწოვარი ცხოველების გამოკვება უნდა მოხდეს ნატურალური, უპირატესად დედის რძით.

9. დაავადებების პრევენცია და ვეტერინარიული მკურნალობა:
(I) დაავადებების პრევენციის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ცხოველებისათვის ოპტიმალური საარსებო პირობების შექმნა, მეურნეობის შესაფერის ადგილას მოწყობა და მოვლისა და მოშენების სანიმუშო პრაქტიკის გამოყენება, რაშიც იგულისხმება: შენობებისა და ტერიტორიის რეგულარული დასუფთავება და დეზინფიცირება, მაღალი ხარისხის საკვები, ნახირის ოპტიმალური სიმჭიდროვე შენობებსა და ღია სივრცეებზე, და ჯიშისა და ფორმის სწორი შერჩევა;

(II) ცხოველების ტანჯვის თავიდან ასაცილებლად დაავადებების მკურნალობა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ. ქიმიურად სინთეზირებული ალოპათიური საშუალებების, მათ შორის ანტიბიოტიკების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ

აუცილებლობის შემთხვევაში და მკაცრი შეზღუდვების პირობით, როდესაც ფიტოთერაპიული, ჰოპეოპათიური და სხვა საშუალებების გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. შეზღუდვები განსაკუთრებით უნდა განისაზღვროს მკურნალობის კურსისა და მოლოდინის პერიოდის მიმართ.
(III) იმუნოლოგიური ვეტერინარიული მედიკამენტების გამოყენება ნებადართულია;
(IV) ადამიანებისა და ცხოველების ჯანმრთელობის დასაცავად ნებადართულია სახელმწიფო კანონმდებლობით გათვალისწინებული მკურნალობის ჩატარება.

10. ცხოველთა მიწის გარეშე წარმოების აკრძალვა

ცხოველთა მიწის გარეშე წარმოება, როდესაც მეცხოველეობის მეურნეობაში არ მუშავდება მიწა და/ან მას არა აქვს ხელმოწერილი სხვა მეურნეობასთან სათანამშრომლო ხელშეკრულება, აკრძალულია.

ცხოველების წარმომავლობა

11. ცხოველთა ჯიშების, მათი მემკვიდრული ნიშნების შერჩევა და გამრავლების მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს ბიოაგროწარმოების პრინციპებს. კერძოდ, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი:

ა) მათი ადაპტაცია ადგილობრივ პირობებთან;
ბ) მათი სიცოცხლისუნარიანობა და დაავადებების მიმართ გამძლეობა;
გ) თავიდან უნდა ავიცილოთ სპეციფიკური დაავადებები ან ჯანმრთელობის სხვა პრობლემები (მაგ. ღორის სტრესის სინდრომი, სპონტანური აბორტი და ა.შ.), რომლებიც ზოგიერთ ჯიშთან და წარმომავლობასთან არის დაკავშირებული.

12. პუნქტის 1.1 (ა) მოცემული მოთხოვნების შესაბამისი პროდუქციის საწარმოებლად შეიძლება გამოვიყენოთ ცხოველები, რომლებიც დაიბადნენ ან გამოიჩეკნენ ამ სტანდარტის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში არსებულ მეურნეობებში ან არიან იმ მშობელთა შთამომავლები, რომლებიც გამოზრდილია ამ სტანდარტში მოცემული წესების მიხედვით. ცხოველები უნდა იზრდებოდნენ ამ წესების მიხედვით მთელი ცხოვრების განმავლობაში.

– არ შეიძლება ცხოველების გაცვლა ბიო და არაბიო მეურნეობებს შორის.
– მეცხოველეობის მეურნეობაში არსებულ ცხოველებს, რომლებიც არ შეესაბამებიან ამ სტანდარტის მოთხოვნებს, შეიძლება დაენიშნოთ გარდამავალი პერიოდი.

13. როდესაც მეწარმეს შეუძლია დაუმტკიცოს „გრინ კაუკაზუსის“ სერტიფიცირების ორგანოს, რომ ცხოველების შეძენა, რომლებიც აკმაყოფილებენ წინა პარაგრაფში მითითებულ მოთხოვნებს არის შეუძლებელი, მაშინ სერტიფიცირების ორგანოს შეუძლია მისცეს ისეთი ცხოველების შეძენის უფლება, რომლებიც არ არიან გაზრდილები ამ სტანდარტის შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

ა) მნიშვნელოვნად იზრდება ცხოველთა რაოდენობა მეურნეობაში, იცვლება ჯიში ან საფუძველი ეყრება მეცხოველეობის ახალ სპეციალიზაციას;

ბ) მეურნეობა ანახლებს ნახირს, როდესაც კატასტროფული გარემო პირობების გამო მაღალია ცხოველთა სიკვდილიანობა;
გ) გამრავლებისათვის საჭირო მამრი ცხოველების ნაკლებობაა.

„გრინ კაუკაზუსს" შეუძლია შეიმუშაოს სპეციალური მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც დაიშვება ან არ დაიშვება არაბიოცხოველების შეძენა, იმის გათვალისწინებით, რომ მათი შეძენა მოხდეს რაც შეიძლება უფრო ახალგაზრდა ასაკში, მას შემდეგ, რაც ისინი მიატოვებენ კვებას დედის რძით.

**14.** ცხოველები, რომელთა შეძენაც მოხდება ზემოთ მითითებული გამონაკლისის მიხედვით, უნდა აკმაყოფილებდნენ მე-12 პარაგრაფში მითითებულ მოთხოვნებს. აუცილებელია გარდამავალი პერიოდის დაცვა, რომ მოხდეს პროდუქციის, როგორც ბიოპროდუქტის გასაღება ამ სტანდარტის მე-3 თავის შესაბამისად.

**15.** არაბიოცხოველების წარმომავლობა

1. მეურნეობაში არაბიოცხოველების შემოყვანა შეიძლება მხოლოდ გასამრავლებლად და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიოცხოველები არ არის ხელმისაწვდომი შესაბამისი რაოდენობით.
2. როდესაც ნახირი ან ჯოგი პირველად იქმნება, შესაძლებელია ახალგაზრდა არაბიოცხოველების გამოყენება იმ პირობით, რომ მათი მოვლა ბიოწესების გამოყენებით დაიწყება ცხოველის დედის ძუძუდან მოშორებისთანავე. გარდა ამისა, არაბიოცხოველების შეძენისას უნდა დაცულ იქნეს შემდეგი ასაკობრივი შეზღუდვება:
   (ა) კამეჩი, ხბო და კვიცი არ უნდა იყოს 6 თვეზე მეტი ასაკის;
   (ბ) ბატკანი და ციკანი არ უნდა იყოს 60 დღეზე მეტი ასაკის;
   (გ) გოჭების წონა არ უნდა აღემატებოდეს 35 კგ-ს.

3. ნახირში ან ჯოგში განახლების მიზნით შეყვანილი არაბიო ზრდასრული მამრი და უშობელი მდედრი ძუძუმწოვარი ცხოველების მოვლა შეყვანისთანავე ბიოწარმოების წესების შესაბამისად უნდა ხდებოდეს.
გარდა ამისა, წლის განმავლობაში არაბიომდედრი ძუძუმწოვრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ ზღვრულ რაოდენობას:

   (ა) ზრდასრული ცხოველების საერთო რაოდენობის 10%-ს ცხენის, ძროხებისა და კამეჩების შემთხვევაში, ხოლო ღორების, ცხვრებისა და თხების შემთხვევაში 20%-ს;
   (ბ) საწარმოო ერთეულში, სადაც ცხოველების რაოდენობა ცხენებისა და ძროხების შემთხვევაში არ აღემატება 10 სულს, ხოლო ღორების, ცხვრებისა და თხების შემთხვევაში 5 სულს, ჯოგის ან ნახირის განახლებისათვის წლის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ ერთი ცხოველის შეყვანა.

ამ პარაგრაფში მითითებული მოთხოვნები ძალაშია 2012 წლამდე, როდესაც მოხდება მათი გადახედვა.

4. მე-3 პარაგრაფში მითითებული პროცენტული მაჩვენებლები შეიძლება გაიზარდოს 40%-მდე სერტიფიცირების ორგანოს წინასწარი ნებართვით, მხოლოდ შემდეგ გამონაკლის შემთხვევებში:
(ა) როდესაც ფერმა მნიშვნელოვან ფართოვდება;
(ბ) როდესაც იცვლება ცხოველების ჯიში;
(გ) როდესაც ფერმაში ყალიბდება მეცხოველეობის ახალი მიმართულება;
(დ) როდესაც არსებობს ჯიშის გაქრობის საშიშროება.

16. არაბიოფრინველების გამოყენება

(ა) როდესაც მეფრინველეობის ფერმა იქმნება პირველად ან ხდება მისი აღდგენა და ბიოფრინველები არ არიან ხელმისაწვდომი საკმარისი რაოდენობით, მაშინ ნებადართულია არაბიოფრინველების გამოყენება იმის გათვალისწინებით, რომ კვერცხისა და ხორცის წარმოებისათვის განკუთვნილი ფრინველების ასაკი მათი შეძენის დროს არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს;

(ბ) თუ ბიოწიწილები არ არის ხელმისაწვდომი, 2020 წლის 31 დეკემბრამდე ნებადართულია არაბიოწარმოებიდან მიღებული კვერცხის წარმოებისათვის განკუთვნილი წიწილების შეყვანა ბიომეფრინველეობის ფერმაში, თუ შესაძენი წიწილების ასაკი არ აღემატება 18 კვირას.

ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ

**17.** მიწის კონვერსია, რომელიც განკუთვნილია ცხოველებისათვის საკვების მოსაყვანად, უნდა შეესაბამებოდეს წესებს, რომლებიც მოცემულია ამ დანართის (ა) განყოფილების 1-ელ, მე-2 დ მე-3 პარაგრაფებში.

**18.** სერტიფიცირების ორგანოს შეუძლია შეამციროს მიწის და/ან ცხოველების და მათი პროდუქტების გარდამავალი პერიოდი შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც საძოვრები და ღია სასეირნო/სავარჯიში მოედნები გამოიყენება არაბალახისმჭამელი ცხოველების მიერ;
ბ) როდესაც მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, ცხენების, ცხვრებისა და თხების მოშენება ხდება ექსტენსიური წესით "გრინ კაუკაზუსის" მიერ დადგენილ შესრულების პერიოდში ან თუ მეწველი ნახირის კონვერსია ხდება პირველად;
გ) როდესაც ცხოველები და მიწა ერთდროულად გადადის ბიოწარმოებაზე, ხოლო მეურნეობის მიწა გამოიყენება მხოლოდ მეურნეობაში არსებული ცხოველების საკვებად, ცხოველების, საძოვრებისა და საკვებწარმოების ნაკვეთების ერთობლივი გარდამავალი პერიოდი შეიძლება შემცირდეს ორ წლამდე, თუ არსებული ცხოველებისა და მათი შთამომავლების გამოსაკვებად უმთავრესად გამოიყენება იმავე მეურნეობაში წარმოებული საკვები.

**19.** როდესაც მიწის ნაკვეთს უკვე აქვს ბიოსტატუსი, ხოლო ცხოველების შემოყვანა ხდება არაბიომეურნეობიდან და მათგან მიღებული პროდუქცია უნდა გაიყიდოს როგორც ბიოპროდუქტი, მაშინ ამ ცხოველების მოშენება, წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით უნდა ხდებოდეს როგორც მინიმუმ ქვემოთ მითითებული პერიოდის განმავლობაში:

- სახორცე მიმართულების მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და ცხენი: 12 თვე და ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც მინიმუმ სიცოცხლის სამი მეოთხედი უნდა გატარებული ჰქონდეს ბიომართვის ქვეშ;
- ხბო ხორცის წარმოებისათვის: 6 თვე, ამასთან, ხბო უნდა იყოს ნაყიდი ძუძუდან მოშორებისთანავე ან მისი ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს;
- სარძევე მიმართულების მსხვილფეხა რქოსანი საქონელი – 6 თვე;
- ცხვარი და თხა – ხორცისა და რძის პროდუქტები 6 თვე
- ღორი - ხორცის პროდუქტები 6 თვე;
- ფრინველები – ხორცის წარმოება: 10 კვირა, ხოლო ბიომეურნეობაში შეყვანა უნდა მოხდეს 3 დღის ასაკამდე;
- კვერცხის წარმოება - 6 კვირა.

**20. ბიო და არაბიოცხოველების ერთდროული წარმოება**

1. არაბიოცხოველები შეიძლება არსებობდნენ ბიოფერმაში ისეთ შემთხვევაში, თუ მათი შენობები და მიწის ნაკვეთები მკვეთრად არიან გამიჯნული მეურნეობის იმ შენობებისა და მიწის ნაკვეთებისგან, სადაც მხოველების წარმოება ბიომეთოდით ხდება და გამოიყენება ცხოველის განსხვავებული სახეობა.

2. არაბიოცხოველებისთვის ნებადართულია ბიოსაძოვრების ყოველ წელს განსაზღვრულ პერიოდით გამოყენება, იმის გათვალისწინებით, რომ ბიო და არაბიოცხოველები არ უნდა იმყოფებოდნენ საძოვარზე ერთდროულად.

3. დაშვებულია ბიოცხოველების ძოვება საერთო საძოვრებზე შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) მინიმუმ სამი წლის განმავლობაში ნაკვეთი არ დაბინძურებულა ბიოწარმოებაში აკრძალული საშუალებებით;
ბ) ასეთ საძოვრზე ძოვებისას, ბიოცხოველებისაგან წარმოებული პროდუქცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება ბიოპროდუქტად, თუ ბიოცხოველების არაბიოცხოველებისაგან ადექვატური იზოლირების მტკიცებულების წარდგენა შეუძლია მწარმოებელს.
(04.11.2016) (გ) ნებისმიერი არაბიოცხოველი, რომლებიც იყენებს ბიოცხოველებისათვის განკუთვნილ მიწას, უნდა იყოს ისეთ მეურნეობებში გაზრდილი, როგორიც აღწერილია ევროკომისიის რეგულაციის 1698/2005 32-ე პარაგრაფში და რეგულაციის 1257/1999 22-ე პარაგრაფში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორივე რეგულაცია არ არის უშუალოდ განკუთვნილი ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისათვის, ასეთი მეურნეობის იდენტიფიცირებისათვის სერტიფიცირების ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს ზემოთხსენებული რეგულაციების ძირითად პარაგრაფებში მოცემული კრიტერიუმებით, როგორიცაა:

- სასოფლო-სამეურნეო მიწების მდგრადი გამოყენებისკენ მიმართული ღონისძიებები;
- ცხოველთა კეთილდღეობაზე ზრუნვა;
- ტყის მდგრადი გამოყენებისკენ მიმართული ღონისძიებები;

- აგრარული სატყეო მეურნეობის წარმოების სისტემების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე;
- სასოფლო-სამეურნეო მიწების ისეთი გამოყენება, რომელიც არ ეწინააღმდეგება გარემოს, ლანდშაფტისა და მისი თვისებების, ბუნებრივი რესურსების, ნიადაგის, გენეტიკური მრავალფეროვნების დაცვასა და გაუმჯობესებას;
- გარემოს მიმართ დამზოგი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ექსტენსიფიკაცია და საძოვრების დაბალინტენსიური მართვა;
- მაღალი ბუნებრივი ღირებულების მქონე, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოყენებული, საფრთხის ქვეშ მყოფი გარემოს კონსერვაცია;
- სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ლანდშაფტისა და ისტორიული ნიშან-თვისებების შენარჩუნება;
- გარემოს დაცვის აუცილებლობის გათვალისწინება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

4. მომთაბარეობის პერიოდში დაშვებულია ბიოცხოველების ძოვება არაბიომიწებზე, როდესაც ხდება მათი ერთი საძოვრიდან მეორეზე გადარეკვა. არაბიომიწაზე ძოვებისას, ამ პერიოდში ბალახისა და სხვა მცენარეების სახით მიღებული არაბიო საკვების წილი არ უნდა აღემატებოდეს წლიური რაციონის 10%-ს. ამ მონაცემის გამოთვლა უნდა მოხდეს ცხოველის მიერ მიღებული სასოფლო-სამეურნეო წარმომავლობის საკვების მშრალი მასისგან.

5. მეწარმემ უნდა აწარმოოს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დაასაბუთებს, რომ მან შეასრულა წინა მუხლებში მოყვანილი მოთხოვნები.

21. ცხოველების საკვები საკუთარი მეურნეობიდან ან სხვა წყაროებიდან

1. ბალახისმჭამელი ცხოველების შემთხვევაში მათი საკვების მინიმუმ 60% წარმოებულ უნდა იქნეს საკუთარი მეურნეობაში ან შემოტანილ იქნეს უპირატესად იმავე რეგიონის ბიომეურნეობიდან.

2. (04.11.2016) ღორებისა და ფრინველების შემთხვევაში, საკვების მინიმუმ 20% უნდა შეადგენდეს იმავე საწარმოში წარმოებული საკვები, მაგრამ თუ ეს არ არის შესაძლებელი, უნდა წარმოებული იყოს იგივე რეგიონში სხვა ორგანულ მეურნეობასთან ან საკვების კომერციულ საწარმოსთან თანამშრომლობით.

3. (04.11.2016) ფუტკრების შემთხვევაში, საწარმოო სეზონის ბოლოს სკებში უნდა დარჩეს თაფლისა და ყვავილის მტვერის საკმარასის მარაგი, რომ ფუტკარმა გადაიზამთროს. ფუტკრის დამატებითი გამოკვება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მძიმე კლიმატური პირობების გამო საფრთხე ექმნება მათ გადაზამთრებას. გამოკვება შეიძლება ბიო თაფლით, ბიო შაქრის სიროფით, ან ბიო შაქრით.

კვება

**22.** მეცხოველეობის სისტემა ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ შესაძლებელი იყოს ცხოველების ამ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად წარმოებული საკვებით (მათ შორის გარდამავალი სტატუსის საკვებით) 100%-იანი უზრუნველყოფა.

**23.** შეზღუდული რაოდენობით არაბიოსაკვების გამოყენება ნებადართულია ისეთ საწარმოო ერთეულში სადაც შეუძლებელია ცხოველების უზრუნველყოფა მხოლოდ ბიოსაწარმოში დამზადებული მცენარეული და ცხოველური წარმომავლობის პროდუქტით. გარკვეულ პერიოდში, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება გრინ კავკასუსის მიერ, ბალახისმჭამელი ცხოველები შეინარჩუნებენ ბიოსტატუსს, თუ მათ მიერ მოხმარებული საკვების მინიმუმ 95% წარმოებული იქნება ამ სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით და ხოლო სხვა ცხოველებისათვის:
* 90% – 2008 წლის 1-ი იანვრიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში
* 95% – 2010 წლის 1-ი იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში

პროცენტის გამოთვლა უნდა მოხდეს მხოლოდ მშრალი საკვების საფუძველზე. ცხოველების დღიურ რაციონში ნებადართული არაბიოსაკვების მაქსიმალური პროცენტული წილი არ უნდა აღემატებოდეს 25% მშრალ საკვებზე გადაანგარიშებით. მეწარმემ უნდა დოკუმენტალურად დაადასტუროს არაბიოსაკვების ასეთი პროპორციით გამოყენების აუცილებლობა.

**24.** მიუხედავად ზემოთთქმულისა, იმ შემთხვევაში, როდესაც მწარმოებელს შეუძლია დაუსაბუთოს „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანოს, რომ 22-ე პუნქტში მითითებული მოთხოვნების დაცვით წარმოებული ცხოველთა საკვები არის ხელმიუწვდომელი, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს გაუთვალისწინებელი ბუნებრივი კატასტროფა, ადამიანის მოქმედებით გამოწვეული მოვლენები ან ექსტრემალური ამინდი, სერტიფიცირების ორგანომ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში შეიძლება დაუშვას მკაცრად შეზღუდული რაოდენობით ისეთი საკვების გამოყენება, რომელიც არ არის წარმოებული ამ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, იმ პირობის მკაცრი დაცვით, რომ გამოყენებული საკვები არ შეიცავს გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებს ან მათგან მიღებულ პროდუქტებს.

„გრინ კაუკაზუსმა" უნდა განსაზღვროს როგორც ნებადართული არაბიოსაკვების პროცენტული მაჩვენებელი ისე ამ გამონაკლისის დაშვების პირობები.

**24.1** (04.11.2016) მცენარეული და ცხოველური წარმოშობის არაორგანული ცილოვანი საკვების გამოყენება ცხოველთა საკვებად

როდესაც ფერმერები ვერ შოულობენ ბიო წარმოების ცილოვან საკვებს, დაშვებულია არაბიო ცილოვანი საკვების ლიმიტირებული გამოყენება ღორსა და ფრინველებში. ამ სახეობებში ბიო ცილოვანი საკვების მაქსიმალური წილი არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს 12-თვიანი პერიოდის განმაავლობაში, რაც ნებადართულია 2018, 2019 და 2020 კალენდრული წლისათვის. ამ წილის გამოთვლა უნდა მოხდეს ყოველწლიურად, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის საკვების მშრალი მასის პროცენტი. მეწარმეს უნდა ჰქონდეს დოკუმენტირებული მტკიცებულება, რომელიც ასაბუთებს ამ დებულების გამოყენების აუცილებლობას.

**25.** ცხოველების სპეციფიკური რაციონი

1. რაციონის შედგენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ცხოველთა სპეციფიკური მოთხოვნები, როგორიცაა:
ახალშობილ ძუძუმწოვართა გამოსაკვებად აუცილებელია ნატურალური, უმჯობესია, დედის რძე;
ბალახისმჭამელთა ყოველდღიური რაციონის ძირითად ნაწილს უნდა შეადგენდეს უხეში საკვები, ნედლი ან მშრალი ფურაჟი ან სილოსი;
პოლიგასტრიული ცხოველები არ უნდა იკვებებოდნენ მხოლოდ სილოსით;

ფრინველები სუქების პერიოდში უნდა იკვებებოდნენ მარცვალით;
– ღორებისა და ფრინველების ყოველდღიური რაციონი უნდა შედგებოდეს უხეში საკვების, ნედლი ან მშრალი ფურაჟის, ან სილოსისაგან.

2. ყველა ახალშობილი ძუძუმწოვარის გამოსაკვებად ნატურალურ რძესთან შედარებით უპირატესობა ენიჭება დედის რძეს. დედის რძით კვება უნდა გაგრძელდეს მსხვილფეხა რქოსანი საქონლის შემთხვევაში (კამეჩებისა და ცხენების ჩათვლით) – 3 თვე, თხებისა და ცხვრების – 45 დღე და ღორების შემთხვევაში – 40 დღე.

3. ბალახისმჭამელი ცხოველთა მოშენების სისტემა უნდა ეფუძნებოდეს საძოვრების მაქსიმალურ გამოყენებას, წლის სხვადასხვა სეზონში ამ საძოვრების ხელმისაწვდომობის შესაბამისად. ბალახისმჭამელ ცხოველთა ყოველდღიურ რაციონში შემავალი საკვების მშრალი მასა 60% უნდა შედგებოდეს უხეში საკვებისგან, ნედლი ან მშრალი საკვებისაგან ან სილოსისაგან. ამ მაჩვენებლის შემცირება 50%-მდე შესაძლებელია რძის საწარმოებში ადრეული ლაქტაციის პერიოდში, მხოლოდ 3 თვის განმავლობაში.

4. ღორებისა და ფრინველების ყოველდღიურ საკვებ რაციონს უნდა დაემატოს უხეში საკვები, ნედლი ან ფურაჟი ან სილოსი.

5. აკრძალულია ცხოველების ისეთ პირობებში ყოფნა ან ისეთ დიეტაზე არსებობა, რომელიც ხელს უწყობს ანემიის განვითარებას.

6. ცხოველების სუქების პრაქტიკა პროცესის ნებისმიერ ეტაპზე უნდა იყოს შექცევადი. აკრძალულია ცხოველების იძულებით კვება.

**26.** ცხოველებისათვის ჯანმრთელობისა და ენერგიულობის შესანარჩუნებლად მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს წყალი საკმარისი რაოდენობით.

**27. გარდამავალი სტატუსის საკვები**

1. ცხოველთა კვების რაციონის 30% საშუალოდ შეიძლება შედგებოდეს გარდამავალი სტატუსის მქონე საკვებისგან. როდესაც გარდამავალი პერიოდის საკვები იწარმოება საკუთარ მეურნეობაში, მაშინ ეს მაჩვენებელი შეიძლება გაიზრდოს 60%-მდე.

2. ცხოველთა მიერ მოხმარებული საკვების საერთო საშუალო რაოდენობის 20%-ს შეიძლება შეადგენდეს გარდამავალი პერიოდის პირველი წელში მყოფ მუდმივ საძოვრებზე მოძოვილი ბალახი, ან ამ საძოვრებზე მოთიბული ბალახი ან მრავალწლიანი საფურაჟო კულტურის ნაკვეთიდან აღებული მოსავალი იმ პირობით, რომ ეს სავარგულები ამავე მეურნეობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და ეს სავარგულები არ ყოფილან ამ მეურნეობის ბიონაწილის შემადგენლობაში ბოლო 5 წლის განმავლობაში. როდესაც ერთდროულად ხდება გარდამავალი პერიოდის საკვებისა და გარდამავალი პერიოდის პირველ წელიწადში მყოფ ნაკვეთებზე წარმოებული ცხოველების საკვების გამოყენება, მაშინ ასეთი საკვების საერთო პროცენტული მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს პირველ პარაგრაფში მითითებულ მაქსიმალურ პროცენტულ მაჩვენებელს.

3. პირველ და მეორე პარაგრაფში მითითებული რიცხვების გამოთვლა უნდა ხდებოდეს ყოველწლიურად, როგორც მცენარეული წარმომავლობის საკვების მშრალი მასის პროცენტული მაჩვენებლის.

**28. არაბიო მცენარეული და ცხოველური წარმომავლობის პროდუქტები და ნივთიერებები**

1. არაბიო მცენარეული და ცხოველური წარმომავლობის ნივთიერებების გამოყენება ბიოწარმოებაში დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნივთიერებები შეტანილია ამ სტანდარტში.
2. ცხოველური წარმომავლობის ბიოლოგიური საკვები ნივთიერებები და მინერალური წარმოშობის საკვები ნივთიერებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბიოწარმოებაში, თუ ისინი შეტანილი არიან ამ სტანდარტში.
3. თევზის პროდუქტებისა და თევზის საწარმოს ნარჩენების გამოყენება ბიოწარმოებაში ნებადართულია, თუ ისინი შეტანილი არიან ამ სტანდარტში.
4. საკვები დანამატები, ცხოველების საკვებად გამოყენებული ნივთიერებები და გადამუშავების დამხმარე საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბიოწარმოებაში, თუ ისინი შეტანილი ამ სტანდარტში.

**29.** თუ ცხოველების გამოსაკვებად გამოიყენება საკვები ელემენტები, დანამატები, დამხმარე საშუალებები (საკვების დამზადებისას), „გრინ კაუკაზუსი" შეიმუშავებს ნებადართული საშუალებების სიას შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

<u>ზოგადი კრიტერიუმები:</u>
ა) საშუალება ნებადართულია ადგილობრივი კანონმდებლობით ცხოველთა კვების შესახებ;
ბ) საშუალება აუცილებელია ცხოველის ჯანმრთელობისა და ცხოველმყოფელობის შესანარჩუნებლად; და
გ) ეს საშუალება:
– ითვალისწინებს შესაბამის დიეტას და აკმაყოფილებს ცხოველთა ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ მოთხოვნილებებს;
– არ შეიცავს გენური ინჟინერიით შექმნილ/მოდიფიცირებულ ორგანიზმებს და მათგან მიღებულ პროდუქტებს; და
– არის პირველ რიგში მცენარეული, მინერალური ან ცხოველური წარმოშობის.

<u>სპეციფიკური კრიტერიუმები პირუტყვის საკვებისა და საკვები ელემენტებისათვის:</u>

**ა. მცენარეული წარმოშობის საკვები საშუალებები**

**ა.1** მცენარეული წარმოშობის ცხოველური საკვები არაბიომეურნეობიდან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 23-ე და 24-ე პარაგრაფებში მითითებული პირობების მიხედვით, თუ მათი წარმოებისას არ გამოყენებულა ქიმიური საშუალებები;

1. მცენარეული წარმომავლობის არაბიოსაკვები

1.1 მარცვლეულები, მათი პროდუქტები და გადამუშავების ნარჩენები:
შვრიის მარცვალი, ქერქი, ანაცერი, ჩენჩო და ქატო; ქერის მარცვლები, ცილები და ანაცერი; ბრინჯის მარცვალი, დამტვრეული ბრინჯი, ქატო; ფეტვის მარცვალი; ჭვავის მარცვალი, ანაცერი და ქატო; სორგოს მარცვალი; ხორბლის მარცვალი, ანაცერი, ქატო, წებოვანა და ჩანასახი; სპელტის მარცვალი; ტრიტიკალეს მარცვალი; სიმინდის მარცვალი, ქატო, ანაცერი და წებოვანა; ალაოს ნარჩენები.

1.2 ზეთოვანი თესლები, ზეთოვანი ხეხილი, მათი პროდუქტები და გადამუშავების ნარჩენები:
რაფსის თესლები, კოპტონი და ქერქი; სოიის პარკები, ქერქი, კოპტონი; მზესუმზირას თესლი და კოპტონი; ბამბის თესლი და კოპტონი; ლიანოსის თესლი და კოპტონი; შირბახტის თესლი და კოპტონი; პალმის მარცვლების კოპტონი; გოგრის თესლი და კოპტონი; ზეთისხილი, ზეთისხილის რბილობი; ბოსტნეულის ზეთები (მიღებული ფიზიკური ექსტრაქციით).

1.3 პარკოსნების თესლები, მათი პროდუქტები და გადამუშავების ნარჩენები. მხოლოდ შემდეგი საშუალებები არის შესული ამ კატეგორიაში:
მუხუდოს თესლები, ანაცერი, ქატო; ცერცველას თერმულად დამუშავებული თესლები, ანაცერი, ქატო; ბარდის თესლი, ანაცერი, ქატო; პარკოსნების თესლი, ანაცერი, ქატო; ცერცველას თესლი, ანაცერი, ქატო; ხანჭკოლას თესლი, ანაცერი, ქატო;

1.4 ტუბერები, ფესვები, მათი პროდუქტები და გადამუშავების ნარჩენები. მხოლოდ შემდეგი საშუალებები არის შესული ამ კატეგორიაში:
შაქრის ჭარხლის რბილობი, კარტოფილი, ტკბილი კარტოფილის ტუბერები, კარტოფილიდან სახამებლის ექსტრაქციის შედეგად დარჩენილი ნარჩენები, კარტოფილის სახამებელი, კარტოფილის ცილები და მანიოკი.

1.5 სხვა თესლები და ხეხილი, მათი პროდუქტები და გადამუშავების ნარჩენები. მხოლოდ შემდეგი საშუალებები არის შესული ამ კატეგორიაში:
*Ceratinia siliqua* ქერქი და მათგან მიღებული ფქვილი, გოგრა, ციტრუსების რბილობი, ვაშლი, კომში, მსხალი, ლეღვი, ყურძენი, წაბლი, ნიგოზის კოპტონი, კაკაოს ქერქი და კაკაოს კოპტონი, რკო.

1.6 ფურაჟი და უხეში საკვები მასა. მხოლოდ შემდეგი საშუალებები არის შესული ამ კატეგორიაში: სამყურა და მისი ფქვილი, იონჯა და მისი ფქვილი, ბალახი (საფურაჟე მცენარეები), ბალახების ფქვილი, თივა, სილოსი, მარცვლოვანების და ძირხვენებიანი ბოსტნეულის ნამჯა საფურაჟედ.

1.7 სხვა მცენარეები, მათი პროდუქტები და გადამუშავების ნარჩენები. მხოლოდ შემდეგი საშუალებები არის შესული ამ კატეგორიაში:
ბადაგი, წყალმცენარეების ფქვილი (უნდა იყოს მიღებული გაშრობით და გაირეცხოს, რომ შემცირდეს იოდის შემცველობა), მცენარეთა ექსტრაქტები და ფხვნილები, მცენარეთა პროტეინული ექსტრაქტები (მხოლოდ ახალგაზრდა ცხოველებისათვის); ბალახეულობა.

**ბ. ცხოველური წარმოშობის საკვები საშუალებები**

**ბ.1** ცხოველური წარმოშობის საკვები, გარდა რძისა და რძის ნაწარმისა, თევზისა და სხვა ზღვის ცხოველებისა და მათგან მიღებული პროდუქტებისა, არ უნდა იქნეს გამოყენებული ცხოველების საკვებად ან ეს საკითხი დარეგულირდეს ადგილობრივი კანონმდებლობით. ნებისმიერ შემთხვევაში, მცოხნელი ცხოველების გამოკვება ძუძუმწოვრებისგან მიღებული საშუალებებით, გარდა რძისა და რძის ნაწარმისა, აკრძალულია.

**2. ცხოველური წარმომავლობის პროდუქები**

2.1 რძე და რძის ნაწარმი:
აუდუღებელი რძე; რძის ფხვნილი; მოხდილი რძე; მოხდილი რძის ფხვნილი; შრატი; შრატის ფხვნილი; შრატის ცილის ფხვნილი (რომელიც მიღებულია ფიზიკური ექსტრაქციით); კაზეინისა და ლაქტოზის ფხვნილები, შედედებული და მჟავე რძე.

2.2 თევზები და სხვა ზღვის ცხოველები, მათი პროდუქტები და გადამუშავების ნარჩენები. მხოლოდ შემდეგი საშუალებები არის შესული ამ კატეგორიაში:
თევზი, თევზის ზეთი და თევზის ცხიმის ზეთი, მოლუსკების ან კიბორჩხალების ავტოლიზატები. ხსნად ან არახსნად მდგომარეობაში მყოფი, ფერმენტაციით მიღებული ჰიდროლიზატები და პროტეოლიზატები გამოიყნება მხოლოდ აკვაკულტურაში და ახალგაზრდა ცხოველებისათვის. თევზის და კიბორჩხალების ფქვილი.

2.3 კვერცხი და კვერცხის პროდუქტები ფრინველების გამოსაკვებად. უმჯობესია, თუ მათი წარმოება ხდება იმავე მეურნეობაში.

**გ. მინერალური წარმოშობის საკვები საშუალებები**

**გ.1** მინერალური წარმოშობის საკვები, მიკროელემენტები, ვიტამინები ან პროვიტამინები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ ისინი ბუნებრივადაა მიღებულები. თუ ასეთი საშუალებები არ მოიპოვება, განსაკუთრებულ შემთხვევაში, შესაძლებელია მკვეთრად განსაზღვრული, ანალოგიური, ოღონდ ქიმიური გზით მიღებული საშუალებების გამოყენება.

**დ. სინთეზური გზით მიღებული ან არაცილოვანი წარმოშობის აზოტი არ უნდა გამოიყენებოდეს.**

**(04.11.2016) ზოგიერთი პროდუქტისა და ნივთიერების გამოყენება საკვებში**

ორგანული საკვების გადასამუშავებლად და ორგანული ცხოველების საკვებად ამ სტანდარტის მიხედვით მხოლოდ შემდეგი ნივთიერებების გამოყენებაა დაშვებული:

(a) მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის არაორგანული ნედლეული, ან სხვა (მინერალური) საკვები ნედლეული, თუ ის წარმოებულია და მომზადებული ქიმიური გამხსნელების გარეშე და ჩამოთვლილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| მინერალური წარმოშობის საკვების ნედლეული | |
|---|---|
| A | *კალციუმი* |
| A | კირქვოვანი ზღვის ნიჟარები |
| A | მერგელი |
| A | ლითოტამნიუმი (ამ გვარის წყალმცენარეების ნარჩენებით მდიდარი ზღვის დანალექი კირქვოვანი ქანი |
| A | კალციუმის გლუკონატი |
| A | კალციუმის კარბონატი |
| | *მაგნიუმი* |
| A | მაგნიუმის ჟანგი (უწყლო მაგნეზია) |
| A | მაგნიუმის სულფატი |
| A | მაგნიუმის ქლორიდი |
| A | მაგნიუმის კარბონატი |
| A | მაგნიუმის ფოსფატი |
| | *ფოსფორი* |
| A | ფტორ-გამოცლილი მონოკალციუმის ფოსფატი |
| A | ფტორ-გამოცლილი დიკალციუმის ფოსფატი |
| A | მონონატრიუმის ფოსფატი |
| A | კალციუმ-მაგნიუმის ფოსფატი |
| A | კალციუმ-ნატრიუმის ფოსფატი |
| | *ნატრიუმი* |
| A | ნატრიუმის ქლორიდი |
| A | ნატრიუმის ბიკარბონატი |
| A | ნატრიუმის კარბონატი |
| A | ნატრიუმის სულფატი |
| A | კალიუმის ქლორიდი |

| სხვა საკვები მასალები | |
|---|---|
| მიკროორგანიზმებისგან ფერმენტაციით მიღებული ძირითადი ან თანმდევი პროდუქტები, რომლებიც მიიღება მკვდარი ან კედელ-დაშლილი უჯრედის მქონე მიკროორგანიზმებისგან | |
| A | Saccharomyces cerevisiae |
| A | Saccharomyces carlsbergiensis |

(b) არაორგანული სუნელ-სანელებელი, ნაირ-ბალახები და ბადაგი (პატოკა), თუ

(i) ორგანული ფორმით ეს ნედლეული მწარმოებლისათვის ხელმისაწვდომი არ არის;

(ii) წარმოებულია ან მომზადებული ქიმიური გამხსნელების გარეშე;

(iii) მათ გამოყენება არ აღემატება ცხოველის სახეობის საკვები რაციონის 1%-ს, რაც გამოითვლება წლიურად, მოხმარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის საკვების მშრალ მასასთან შეფარდებით.

(c) ცხოველური წარმოშობის ორგანული საკვები ნედლეული;

(d) მინერალური წარმოშობის საკვები ნედლეული, რომელიც ჩამოთვლილია ზემოთმოცემულ ცხრილში, კერძოდ მის სექციაში "მინერალური წარმოშობის საკვები ნედლეული"

(e) თევზის მდგრად სარეწებზე მოპოვებული პროდუქტები, თუ

(i) ისინი წარმოებულია ან მომზადებული ქიმიური გამხსნელების გარეშე;

(ii) ისინი გამოიყენება მხოლოდ არაბალახისმჭამელ ცხოველების საკვებად

(iii) თევზის ცილის ჰიდროლიზის პროდუქტები მხოლოდ ახალგაზრდა ცხოველებში გამოიყენება.

(f) მარილი, ზღვის მარილის ან უხეში ქვის მარილის სახით

(g) საკვები დანამატები, რომლებიც ჩამოთვლილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| 1. ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘ | | | | |
|---|---|---|---|---|
| (a) კონსერვანტები | | | | |
| ავტორიზაცია | საიდენტიფიკაციო ნომრები და ფუნქციური ჯგუფები | | ნივთიერება | აღწერა, გამოყენების პირობები |
| A | 1a | E 200 | სორბინის მჟავა | სილოსი: წარმოებისათვის ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამინდი არ არის ხელშემწყობი ადექვატური ფერმენტირებისათვის<br><br>რძის, პროპიონისა და ლიმონის მჟავის გამოყენება სილოსის წარმოებისათვის ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამინდი არ არის ხელშემწყობი ადექვატური ფერმენტირებისათვის |
| A | 1a | E 236 | ჭიანჭველის მჟავა | |
| B | 1a | E 237 | ნატრიუმის ფორმიატი | |
| A | 1a | E 260 | აცეტილის მჟავა | |
| A | 1a | E 270 | რძის მჟავა | |
| A | 1a | E 280 | პროპიონის მჟავა | |
| A | 1a | E 281 | ნატრიუმის პროპინატი | |
| A | 1a | E 330 | ლიმონის მჟავა | |
| (b) ანტიოქსიდანტები | | | | |
| A | 1b | E 306 (i) | მცენარეული ზეთის ტოკოფეროლით მდიდარი გამონაწურები | ანტიოქსიდანტების შემცველი ბუნებრივი მივთიერებები (საკვებად გამოყენება აკვაკულტურაში შეზღუდულია) |
| A | 1b | E 306 (ii) | მცენარეული ზეთის (დელტა) ტოკოფეროლით | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | მდიდარი გამონაწურები | |
| (c) მაემალგირელებელი და მასტაბილიზირებელი აგენტები, შემასქელებელი და მაჟელატინებელი | | | | |
| A | 1 | E 322 | ლეციტინი | მხოლოდ როდესაც მიღებულია ორგანული ნედლეულიდან;<br><br>აკვაკულტურაში საკვებად გამოყენება შეზღუდულია |
| (d) შემკვრელები, შეცხობა-შეწებების თავიდან ამრიდი აგენტები და კოაგულანტები | | | | |
| B | 1 | E 412 | გუარის ფისი | |
| B | 1 | E 535 | ნატრიუმ ფეროციანიდი | მაქსიმალური დოზა არის 20 მგ/კგ NaCl, რომელიც ითვლება, როგორც ფეროციანიდის ანიონი |
| A | 1 | E 511b | კოლოიდური სილიკა | |
| A | | E 551c | დისელგური (დიატომური თიხა, გაწმენდილი) | |
| A | 1m | 1m 558(i) | ბენტონიტი | |
| A | 1 | E 559 | კაოლინიტური თიხა, აზბესტის გარეშე | |
| A | 1 | E 560 | სტეარიტებისა და ქლორიტების ბუნებრივი ნარევები | |
| A | 1 | E 561 | ვერმიკულიტი | |
| A | 1 | E 562 | სეპიოლოტი | |
| B | 1 | E 566 | ნატროლიტ-ფონოლიტი | |
| B | 1 | 1g 568 | კლინოპტილოლიტი, დანალექი წარმოშობის | |
| A | 1 | E 599 | პერლიტი | |
| (e) სილოსის დანამატები | | | | |
| A | 1k | 1k236 | ფერმენტები და მიკროორგანიზმები | გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამინდი არ უწყობს ხელს ადექვატურ ფერმენტაციას |
| **2. სენსორული დანამატები** | | | | |
| A | 2b | | გემოს გამაუმჯობესებლები | მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან მიღებული |
| | | | *Castanea sativa* Mill.: წაბლის ექსტრაქტი | |
| **3. საკვები დანამატები** | | | | |
| (a) ვიტამინები, პრო-ვიტამინები და მსგავსი ეფექტის მქონე სხვა ქიმიურად კარგად განსაზღვრული ნივთიერებები | | | | |
| A | 3a | | ვიტამინი და პრო-ვიტამინი | - უნდა იყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან მიღებული;<br>- სინთეზის გზით მიღებული ვიტამინის გამოყენება შეიძლება მონოგასტრულ ცხოველებსა და აკვაკულტურაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სინთეზური ვიტამინი იდენტურია სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან მიღებული ვიტამინებისა;<br>- სინთეზით მიღებულ ვიტამინთაგან, ბალახისმჭამელ ცხოველებში მხოლოდ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | ვიტამინების A-ს, D-ს და E-ს გამოყენებაა დაშვებული, იმ პირობების გათვალისწინებით, რომ ეს ვიტამინები იდენტურია ბუნებრივისა და მატი განოყენების ნებართვას გასცემს ევროკავშირის წევრი ქვეყნა, რომელიც დაეყრდნობა ბიოცხოველებისათვის ვიტამინების საჭირო რაოდენობის რაციონის საშუალებით მიღების შესაძლებლობის შეფასებას. |
| | 3a | 920 | ბეტაინი გაუწყლოებული | მხოლოდ მონოგასტრული ცხოველებისთვის. მხოლოდ ნატურალური წქარმოშობის და თუ ხელმისაწვდომია ბიოსტატუსის მქონე. |
| (b) მიკროელემენტები | | | | |
| A | 3b | E 1 რკინა | რკინის ოქსიდი;<br><br>რკინის კარბონატი;<br><br>რკინის სულფატი, პენტაჰიდრატი;<br><br>რკინის სულფატი, მონოჰიდრატი. | |
| | 3b101 | | რკინის (II) კარბონატი | |
| | 3b103 | | რკინის (II) სულფატი მონოჰიდრატი | |
| | 3b104 | | რკინის (II) სულფატი ჰეპტაჰიდრატი | |
| | 3b 201 | იოდი | კალიუმის იოდიდი | |
| | 3b 202 | იოდი | კალციუმის იოდიდი, ანჰიდრიდი | |
| | 3b 203 | იოდი | დრაჟირებული გრანულირებული კალციუმის იოდიდი, ანჰიდრიდი | |
| A | 3b 301 | კობალტი | კობალტის(II) აცეტატი, ტეტრაჰიდრატი | |
| | 3b 302 | კობალტი | კობალტის(II) კარბონატი | |
| | 3b 303 | კობალტი | კობალტის(II) კარბონატის ჰიდროქსიდი (2:3) მონოჰიდრატი | |
| | 3b 304 | კობალტი | დრაჟირებული გრანულირებული კობალტის(II) კარბონატი | |
| | 3b 305 | კობალტი | კობალტის(II) სულფატი, ჰეპტაჰიდრატი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| A | 3b | E 4 სპილენძი<br><br>3b409 | საბაზო ორვალენტიანი სპილენძის კარბონატი, მონოჰიდრატი;<br><br>ორვალენტიანი სპილენძის ოქსიდი;<br><br>ორვალენტიანი სპილენძის სულფატი, პენტაჰიდრატი;<br><br>სამფუძიანი სპილენძის ქლორიდი (TBCC, $Cu_2(OH)_3C$) | |
| A | 3b | E 5 მანგანუმი | მანგანუმის ოქსიდი,<br><br>მანგანუმის სულფატი, მონოჰიდრატი | |
| A | 3b | E 6 ცინკი<br><br>3b609 | ცინკის ოქსიდი,<br><br>ცინკის სულფატი, მონოჰიდრატი;<br><br>ცინკის სულფატი, ჰეპტაჰიდრატი;<br><br>ცინკის ქლორიდი ჰიდროქსიდი მონოჰიდრატი (TBZC) | |
| A | 3b | E 7 მოლიბდენი | ნატრიუმის მოლიბდატი დიჰიდრატი | |
| A | 3b | E 8 სელენიუმი<br><br>3b8.10, 3b8.11, 3b8.12, 3b813 და 3b817 | ნატრიუმის სელენიტი;<br><br>ინაქტივირებული სელენიზირებული საფუარი | |
| **4. ზოოტექნიკური დანამატები** | | | | |
| A | | 4a, 4b, 4c and 4d | "ზოოტექნიკური დანამატების კატეგორიაში შემავალი ფერმენტები და მიკროორგანიზმები | |

ფიტოტერაპიული და ჰომეოპათიური პროდუქტები, მიკროელემენტები და (a) და (g) პუნქტების ქვეშ მოცემულ შესაბამის ცხრილებში ჩამოთვლილი პროდუქტები უნდა გამოყენებული იქნას პირველ რიგში, სანამ ალოპათიური ვეტერინარული მკურნალობისა და ანტიბიოტიკების გამოყენების ჯერ დადგება, თუ მათ აქვთ მკვეთრად გამოხატული სამკურნალო ეფექტი მოცემული სახეობისათვის და იმ პირობებისათვის, რომლისთვისაც გამოიყენება ეს მკურნალობა.

მინერალური წარმოშობის საკვები ნედლეული, შეიძლება გამოყენებულ იქნას ორგანულ აკვაკულტურაში, თუ ეს ნედლეული ჩამოთვლილია სექციაში (a).

**3. სილოსის წარმოებაში გამოყენებული ნივთიერებები**

ზღვის მარილი, ქვამარილი, შრატი, შაქარი, შაქრის ჭარხლის რბილობი, მარცვლოვანების ფქვილი და ბადაგი.

1. ბიოლოგიური საფუვრის წარმოებისათვის მხოლოდ ბიომეთოდით წარმოებული ნივთიერებების გამოყენებაა დაშვებული.
2. ცხოველებისა და ადამიანებისათვის განკუთვნილ ბიოსაკვებში ერთდროულად არ უნდა არსებობდეს ბიო და არაბიოსაფუარი.

ცხოველების სადგომის, გამოყენებული მოწყობილობებისა და ჭურჭლის დეზინფიცირებისათვის ნებადართული საშუალებები:

კალიუმის და ნატრიუმის საპონი;
წყალი და ორთქლი;
რძის კირი;
კირი;
ჩაუმქრალი კირი;
ნატრიუმის ჰიპოქლორიდი (მაგ. თხევადი მათეთრებელი);
კაუსტიკური სოდა;
კაუსტიკური პოტაში;
წყალბადის ზეჟანგი;
ბუნებრივი მცენარეული ესენციები;
ლიმონმჟავა, ზეჟმარმჟავა, ჭიანჭველმჟავა, რძემჟავა, მჟაუნმჟავა და ძმარმჟავა;
სპირტი;
აზოტმჟავა (რძის პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობები);
ფოსფორმჟავა (რძის პროდუქტები წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობები);
ფორმალდეჰიდი;
გასაწმენდი და სადეზინფექციო საშუალებები ცურებისათვის და მოსაწველი საშუალებები;
ნატრიუმის კარბონატი;

## 30. ცხოველთა ბიოსაკვების გადამუშავების სპეციფიკური პრინციპები

ამ სტანდარტში მითითებული ზოგადი მოთხოვნების გარდა ცხოველების გადამუშავებული საკვების წარმოება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ სპეციფიკურ პრინციპებს:

(ა) ცხოველთა ბიოსაკვები უნდა იწარმოებოდეს საკვების ბიონედლეულისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბაზარზე საკვების ბიონედლეული არ არის ხელმისაწვდომი;
(ბ) მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს საკვების დანამატებისა და გადამუშავების დამხმარე საშუალებების გამოყენება გარდა იმ შემთხევისა, როდესაც ამ

საშუალებების გამოყენება განპირობებულია ტექნოლოგიური ან ზოოტექნიკური საჭიროებით;
(გ) უნდა გამოირიცხოს ისეთი ნივთიერებებისა და გადამუშავების მეთოდების გამოყენება, რომლებიც იწვევენ პროდუქტის ბუნებრივი თვისებების შეცვლას;
(დ) ცხოველების საკვების გადამუშავებისას უნდა შესრულდეს ყურადღებით და უპირატესობა მიენიჭოს ბიოლოგიურ, მექანიკურ და ფიზიკურ მეთოდებს.

### 31. გადამუშავებული საკვების წარმოების ძირითადი წესები

1. გადამუშავებული ბიოსაკვების წარმოება უნდა იყოს გამიჯნული ცხოველების გადამუშავებული არაბიოსაკვების წარმოებისაგან დროში ან სივრცეში.

2. ბიოსაკვების შემადგენლობაში არსებულ საკვების ბიო და გარდამავალი სტატუსის მქონე ნედლეულს არ უნდა შეერიოს არაბიოსტატუსის მქონე იგივე სახის ნედლეული.

3. საკვების ნებისმიერი ნედლეული, რომელიც გამოიყენება ან გადამუშავდება ბიოწარმოებაში, არ უნდა გადამუშავდეს ქიმიური სინთეზით მიღებული გამხსნელების დახმარებით.

4. არ უნდა გამოიყენებოდეს ისეთი ნივთიერებები და მეთოდები, რომლებიც აღადგენენ ბიოპროდუქტის გადამუშავების ან შენახვის პროცესში დაკარგულ თვისებებს, აკორექტირებენ გადამუშავების დროს უყურადღებობით დაშვებულ შეცდომებს ან სხვა მხრივ მოქმედებენ უარყოფითად საკვების ბუნებრივ მდგომარეობაზე.

## ცხოველთა ჯანმრთელობა

### 32. დაავადებების პრევენცია

1. მეცხოველეობაში დაავადებების პრევენცია/პროფილაქტიკა უნდა ხდებოდეს შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

ა) ცხოველთა ისეთი ჯიშების შერჩევა, რომლებიც შეესაბამება ამ სტანდარტის მე-6 პარაგრაფის მოთხოვნებს;
ბ) ისეთი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გამოყენება, რომელიც შეესაბამება თითოეული ჯიშის მოთხოვნებს, ხელს უწყობს ცხოველთა დაავადებების მიმართ გამძლეობის ამაღლებას და ინფექციების გავრცელების პრევენციას;
გ) ცხოველთა მაღალი ხარისხის ბიოსაკვებით კვება რეგულარულ ვარჯიშთან ერთად და საძოვრებისა და სასეირნო მოედნების მისაწვდომობა, რაც ხელს უწყობს ცხოველების იმუნიტეტის გაძლიერებას;
დ) ცხოველთა შესაფერისი სიმჭიდროვის უზრუნველყოფა, გადატვირთვისა და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების თავიდან აცილება.

2. აკრძალულია ქიმიური სინთეზით მიღებული ალოპათიური ვეტერინარიული პროდუქტებისა და ანტიბიოტიკების გამოყენება დაავადებების პრევენციისათვის. როდესაც 1-ელ და მე-2 პარაგრაფებში მითითებული ღონისძიებები არ არის ეფექტიანი დაავადების ან ჭრილობის მოსარჩენად და მკურნალობა აუცილებელია ცხოველის ტანჯვისა და ტკივილის შესამსუბუქებლად, ნებადართულია ქიმიური სინთეზის გზით მიღებული ალოპათიური ვეტერინარიული პროდუქტებისა და ანტიბიოტიკების გამოყენება ვეტერინარის ზედამხედველობით.

3. ზრდის დამაჩქარებელი ან წონის ასამაღლებელი ნივთიერებების (მათ შორის ანტიბიოტიკების, კოქციოსტატიკების და ზრდის დამაჩქარებელი სხვა ხელოვნური საშუალებების) ან ჰორმონების გამოყენება რეპროდუქციის საკონტროლებლად ან სხვა მიზნებისათვის (მაგ., ჩასახვისა და მენსტრუაციის სინქრონიზაციისათვის) აკრძალულია.

4. როდესაც ხდება ცხოველების არაბიოსაწარმოდან შეძენა, ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ისეთი სპეციალური ღონისძიებების გატარება, როგორიცაა ცხოველების ლაბორატორიული შემოწმება ან კარანტინი.

5. აუცილებელია ცხოველთა სადგომის, ბაკების, დანადგარებისა და ჭურჭლეულობის შესაფერისი გაწმენდა და დეზინფიცირება, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინფექციის ცხოველთა შორის გავრცელება და პათოგენური ორგანიზმთა დაბუდება. აგრეთვე,
აუცილებელია ცხოველთა ნაკელის, შარდის, დაღვრილი ან ნარჩენი საკვების დროულად მოცილება, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი არასასიამოვნო სუნი და გამოირიცხოს მწერებისა და მღრღნელების გავრცელება.

6. მხოლოდ პირველ დანართში (ბიოწარმოების პრინციპები, ნაწილი B. მეცხოველეობა და მეცხოველეობის პროდუქტები) ჩამოთვლილ გასაწმენდ და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებაა შესაძლებელია ცხოველთა სადგომებისა და დანადგარების გასაწმენდად.

7. შენობებში, სადაც იმყოფებიან ცხოველები, მღრღნელებთან, მწერებსა და სხვა მავნებლებთან საბრძოლველად დაშვებულია მხოლოდ პირველ დანართში (ბიოწარმოების პრინციპები, ნაწილი A მემცენარეობა და მემცენარეობის პროდუქტები) მითითებული საშუალებების გამოყენება. მღრღნელების საწამლავი საშუალებები გამოიყენება მხოლოდ საჭერებში.

8. ფრინველების ყოველი ახალი პარტიის მოშენების წინ შენობა მთლიანად უნდა დაიცალოს. ამ პერიოდში შენობა უნდა გაიწმინდოს და ჩატარდეს დეზინფექცია. ასევე ყოველი პარტიის მოშენების დასრულების მერე ფრინველების სასეირნო ტერიტორია უნდა დაცარიელდეს, რათა მცენარეულობამ კვლავ შეძლოს აღმოცენება. მეწარმეს უნდა ჰქონდეს ამ პერიოდის დაცვის დოკუმენტური დადასტურება. ეს მოთხოვნა არ ეხება ისეთ საწარმოს, სადაც ფრინველებს არ აწარმოებენ პარტიებად და ისინი არ არიან

ჩაკეტილ სივრცეში და მათ მთელი დღის განმავლობაში აქვთ სეირნობის საშუალება.

## 33. ვეტერინარიული მკურნალობა

1. როდესაც ცხოველი ხდება ავად ან იღებს ჭრილობას, მას სასწრაფოდ უნდა ჩაუტარდეს მკურნალობა. საჭიროებისამებრ, მკურნალობა უნდა ჩატარდეს იზოლაციაში და შესაბამის საცხოვრებელ პირობებში.

2. ქიმიური სინთეზით მიღებული ალოპათიური ვეტერინარიული პროდუქტებისა და ანტიბიოტიკების გამოყენებამდე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ფიტოთერაპიული, ჰომეოპათიური საშუალებების, მიკროელემენტების და პროდუქტების გამოყენებას, რომლებიც ჩამოთვლილია პირველ დანართში (ბიოწარმოების პრინციპები, ნაწილი B. მეცხოველეობა და მეცხოველეობის პროდუქტები, ცხოველთა ჯანმრთელობა, მეფუტკრეობა და მეფუტკრეობის პროდუქტები), იმის გათვალისწინებით, რომ ამ საშუალებების თერაპევტული მოქმედება ეფექტიანია კონკრეტული ცხოველის სახეობისა და იმ პირობებისათვის, სადაც იგეგმება მათი გამოყენება.

3. როდესაც 1-ელ და მე-2 პარაგრაფებში მითითებული ღონისძიებები უშედეგოა დაავადების ან დაზიანების მოსარჩენად და მკურნალობა აუცილებელია ცხოველის ტანჯვისა და ტკივილის შესამსუბუქებლად, ნებადართულია ქიმიურად სინთეზირებული ალოპათიური ვეტერინარიული პროდუქტებისა და ანტიბიოტიკების გამოყენება ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ.

4. ვაქცინაციის გამოკლებით, როდესაც 12 თვის განმავლობაში ცხოველისა ან ცხოველთა ჯგუფის პარაზიტსაწინააღმდეგო მკურნალობისათვის ან პარაზიტების მოსაშორებელად ქიმიურად სინთეზირებული ალოპათიური ვეტერინარიული პროდუქტებისა და ანტიბიოტიკების გამოყენებით უტარდებათ 3-ზე მეტი კურსი, ან ერთ წელიწადზე ნაკლები ასაკის მქონე ცხოველებს ერთზე მეტი მკურნალობა, მაშინ ასეთი ცხოველები და მათგან მიღებული პროდუქტები არ უნდა გაიყიდოს როგორც ბიო და მათ უნდა დაუდგინდეს გარდამავალი პერიოდი ამ სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად.

მსგავს ვითარებაში მეწარმეს უნდა ჰქონდეს სტანდარტის მოთხოვნების შესრულების დამადასტურებელი ჩანაწერები და დოკუმენტაცია.

5. ალოპათიური ვეტერინარიული საშუალებების გამოყენების მერე, დაცული უნდა იყოს მოლოდინის პერიოდი, რომელიც ორჯერ აღემატება კანონმდებლობით გათვალისწინებულ პერიოდს. როდესაც მოლოდინის პერიოდი არ არის განსაზღვრული, მაშინ მისი ხანგრძლივობა განისაზღვრება 48 საათით.

**34.** როდესაც, მიუხედავად ზემოთხსენებული პროფილაქტიკური ქმედებებისა, ცხოველი მაინც გახდა ავად ან დაშავდა, მაშინ მას გადაუდებლად უნდა ჩაუტარდეს მკურნალობა და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი

იზოლირება შესაბამის პირობებში. ასევე, აუცილებლობისას, მწარმოებელმა არ უნდა აარიდოს თავი სამედიცინო საშუალებების გამოყენებას, თუნდაც ამან დააკარგვინოს ცხოველს ბიოსტატუსი.

**35.** ვეტერინარიული მედიკამენტური საშუალებების გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ პრინციპებს:

ა) ისეთ შემთხვაში, როდესაც ჩნდება ან შეიძლება გაჩნდეს სპეციფიკური დაავადება, ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა და არ არსებობს მისი მკურნალობის ან მართვის ალტერნატიული მეთოდი, ან თუ ამგვარ ქმედებას მოითხოვს კანონი, მაშინ პარაზიტების საწინააღმდეგო ნივთიერებებისა ან ვეტერინარიული წამლების თერაპიული გამოყენება დაშვებულია.

ბ) ქიმიური ალოპათიური ვეტერინარიული წამლების ან ანტიბიოტიკების გამოყენებასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება ფიტოთერაპიულ (ანტიბიოტიკების გარდა), ჰომეოპათიურ პრეპარატებსა და მიკროელემენტებს, იმ პირობით, რომ ამ საშუალებებს აქვთ თერაპიული ეფექტი იმ სახეობის ცხოველებში, რომელთა სამკურნალოდაც გამიზნულია მათი გამოყენება;

გ) თუ ზემოთ ხსენებული პროდუქტების გამოყენება არ მოიტანს სასურველ შედეგს დაავადებასთან ბრძოლაში, დაშვებულია ქიმიური ალოპათიური ვეტერინარიული წამლებისა და ანტიბიოტიკების გამოყენება, ვეტერინარების დაკვირვების ქვეშ. ასეთ შემთხვევაში, მოლოდინის პერიოდი უნდა იყოს ორჯერ მეტი, ვიდრე ეს კანონმდებლობითაა გათვალისწინებული და ყველა შემთხვევაში არანაკლებ 48 საათისა;

დ) აკრძალულია ქიმიური ალოპათიური ვეტერინარიული წამლებისა და ანტიბიოტიკების გამოყენება პრევენციული მკურნალობის მიზნით.

**36.** ჰორმონული მკურნალობის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ თერაპიული მიზნებისათვის, ვეტერინარის ზედამხედველობით.

**37.** აკრძალულია ზრდის სტიმულატორების, ან ზრდისა და წონის მატების მიზნით რაიმე ნივთიერების გამოყენება.

## ცხოველთა მოვლა, ტრანსპორტირება და დაკვლა

**38.** ცხოველების მოვლა უნდა ეფუძნებოდეს მზრუნველობას, პასუხისმგებლობასა და შესაბამისი სასიცოცხლო პირობების შექმნას.

**39.** გამრავლების მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს ბიოწარმოების პრინციპებს შემდეგის გათვალისწინებით:

ა) ცხოველთა ისეთი ჯიშებისა და შთამომავლობის მქონე ფორმების გამოყენება, რომლებიც შეესაბამებიან ადგილობრივ პირობებს და წარმოების ბიოსისტემას;
ბ) უპირატესობა ენიჭება გამრავლების ბუნებრივ მეთოდებს, თუმცა შესაძლებელია ხელოვნური განაყოფიერების გამოყენებაც;
გ) ემბრიონის ტრანსპლანტაციისა და რეპროდუქციის ჰორმონული მკურნალობის გამოყენება აკრძალულია;
დ) გამრავლების გენური ინჟინერიაზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენება აკრძალულია.

**40.** ბიოწარმოებაში დაუშვებელია ისეთი ოპერაციები, როგორიცაა ცხვრის კუდზე ელასტიკური ნახვევის გაკეთება, კუდის დამოკლება, კბილების, ნისკარტისა და რქების დაჭრა. ზოგიერთი ზემოთ ხსენებული ოპერაცია შეიძლება დაშვებულ იქნეს „გრინ კაუკაზუსის“ გამონაკლისის სახით, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე (მაგ. ახალგაზრდა ცხოველებისთვის რქების მოშორება), ან თუ ეს ქმედება მიზნად ისახავს ზრუნვას ცხოველის ჯანმრთელობაზე. ეს ოპერაციები უნდა ჩატარდეს შესაბამის ასაკში და ისე, რომ ცხოველთა ტანჯვა-წამება ამ დროს დაყვანილ იქნეს მინიმუმამდე. საჭიროების შემთხვევაში, დაშვებულია ანესთეზიური საშუალებების გამოყენება.

ცხოველების დაკოდვა დაშვებულია მხოლოდ პროდუქტის ხარისხისა და ტრადიციული მეთოდების შესანარჩუნებლად (სახორცედ განკუთვნილი ღორები, ხარი).

**41.** ცხოველების საცხოვრებელი პირობებისა და გარემოს შერჩევისას, უნდა გათვალისწინებულ იქნეს ცხოველთა სპეციფიკური ქცევითი მოთხოვნები და მოხდეს შემდეგი საკითხების გადაწყვეტა:

- საკმარისი სივრცე ცხოველთა თავისუფალი გადაადგილებასა და ნორმალურ ქცევითი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის;
- სხვა ცხოველებთან, უპირატესად იგივე სახეობის ცხოველებთან ურთიერთობა;
- ანომალიური ქცევის, დაავადებისა და დაზიანების პრევენცია;
- განსაკუთრებული ვითარების დროს (როგორიცაა ხანძარი, ძირითადი მექანიკური ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლა და ხელსაწყოების გაფუჭება) წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების შესაძლებლობა.

**42.** ცოცხალი ცხოველების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს მშვიდ გარემოში, რათა თავიდან იქნეს აცილებული სტრესი და დაზიანება: კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეიმუშაოს პირობები ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დაადგინოს ტრანსპორტირების ხანგრძლივობის მაქსიმალური პერიოდი. ცხოველების ტრანსპორტირებისას დაუშვებელია ელექტროსტიმულაციის ან ალოპათიური ტრანკვილიზატორების გამოყენება.

43. ცხოველების დაკვლა უნდა მოხდეს ისეთი მეთოდით, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სტრესი და ტანჯვა, ასევე დაკვლის პროცესი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ წესებს.

ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲘᲐ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ

44. ცხოველებისათვის თავშესაფარი არ არის აუცილებელი ისეთი კლიმატის მქონე ადგილებში, სადაც მათ შეუძლია ღია სივრცეში ცხოვრება.

45. თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს ცხოველების ბიოლოგიურ და ქცევით მოთხოვნებს და უნდა უზრუნველყოფდეს:

– წყლისა და საკვების ადვილი ხელმისაწვდომობა;
– შენობას უნდა ჰქონდეს ისეთი იზოლაცია, გათბობა, ვენტილაცია, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ჰაერის ცირკულაციის, მტვერის რაოდენობის, ტემპერატურის, ჰაერის შეფარდებითი ტენიანობისა და გაზის კონცენტრაციის ისეთი დონე, რომელიც არ არის მავნებელი ცხოველთათვის;
– კარგი განიავება და დღის შუქის შეღწევადობა.

46. ცუდი ამინდის დროს, როდესაც საფრთხე ემუქრება ცხოველთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, როდესაც საჭიროა მცენარის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის შენარჩუნება, შეიძლება ცხოველთა გარეთ გაყვანის დროებითი შეზღუდვა.

47. შენობაში ცხოველთა სიმჭიდროვე უნდა იყოს ისეთი, რომ:

– უზრუნველყოფილ იქნეს ცხოველთა კომფორტი და კეთილდღეობა, მათი სახეობრივი, ჯიშობრივი და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;
– მხედველობაში იქნეს მიღებული ცხოველთა ქცევითი მოთხოვნები, ჯგუფის სიდიდისა და ცხოველთა სქესის გათვალისწინებით;
– უზრუნველყოფილ იქნეს საკმარისი სივრცე იმისათვის, რომ ცხოველმა შეძლოს თავისუფლად დგომა, ადვილად დაწოლა, გადაბრუნება, ყველა ბუნებრივი მდგომარეობისა და მოძრაობის შესრულება, როგორიცაა გაზმორება და ფრთის გაშლა.

48. თავშესაფარი, ბაკი, მოწყობილობები და ჭურჭლეული უნდა იყოს სუფთა და დეზინფიცირებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინფექციებისა და დაავადებების გადამტანი ორგანიზმების გავრცელება.

49. ღია სივრცეებზე, სავარჯიშო და სასეირნო მოედნებზე, კლიმატური პირობებისა და ჯიშობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, საჭიროა ცხოველთა საკმარისად დაცვა წვიმის, ქარის, მზისა და მაღალი ტემპერატურისაგან.

50. ცხოველთა სიმჭიდროვე საძოვრებზე, მინდვრებზე თუ სხვა ბუნებრივ ან ნახევრად ბუნებრივ ადგილებში უნდა იყოს ზომიერი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ნიადაგის ეროზია და ბალახის გადაძოვება.

ᲫᲣᲫᲣᲛᲬᲝᲕᲠᲔᲑᲘ

51. ყველა ძუძუმწოვრისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საძოვარი და გასასეირნებელი ადგილი, ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ნახევრად გადახურული, ძუძუმწოვრებს უნდა შეეძლოთ აღნიშნული ტერიტორიის გამოყენება, როდესაც ამის ფიზიოლოგიური მოთხოვნა გაუჩნდებათ და/ან ამის საშუალებას მისცემს ამინდი და მიწის მდგომარეობა.

52. „გრინ კაუკაზუსმა“ შეიძლება დაუშვას გამონაკლისი:
– ზამთრის პერიოდის განმავლობაში: ხარების შემთხვევაში გასვლა საძოვრებზე, ძროხების შემთხვევაში გასვლა გასასეირნებელ ადგილებში;
– დაკვლისწინა პერიოდში ბაგურ კვებაზე გადაყვანის დროს.

53. სადგომში იატაკის ზედაპირი უნდა იყოს გლუვი, მაგრამ არა სრიალა.

54. სადგომში უნდა გამოიყოს საკმარისი ფართის მყარი კონსტრუქციის კომფორტული, სუფთა და მშრალი დასაწოლი ადგილი, სადაც უნდა დაიფინოს საკმარისი რაოდენობის მშრალი საფენი მასა (მაგ. ნამჯა).
საფენი მასა უნდა შედგერბოდეს ნამჯის და სხვა ბუნებრივი საშუალებებისაგან. საფენი მასა შესაძლებელია გამდიდრდეს პირველ დანართში მოცემული მინერალური საშუალებების გამოყენებით.

55. ხბოების მოთავსება იზოლირებულ სადგომებში, ასევე ცხოველების დაბმა, „გრინ კაუკაზუსის“ ნებართვის გარეშე აკრძალულია.

56. ღორების განთავსება უნდა მოხდეს ჯგუფებად. გამონაკლისს წარმოადგენს მაკეობის ბოლო სტადია და რძით კვების პერიოდი. გოჭები არ უნდა მოთავსდნენ ბრტყელ ფიცარნაგზე ან გალიებში. აუცილებელია მათი გაშვება გასასეირნებელ ადგილას.

57. კურდღლების გალიებში ჩამწყვდევა აკრძალულია.

ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲑᲘ

58. ფრინველებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ღია სივრცე, მათ უნდა ჰქონდეთ იქ გასვლის საშუალება, თუკი ამინდი საამისოდ შესაფერისია. მათი გალიებში ჩამწყვდევა აკრძალულია.

59. წყლის ფრინველებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გუბურა ან ტბა, მათ უნდა ჰქონდეთ იქ გასვლის საშუალება, თუკი ამინდი საამისოდ შესაფერისია.

60. ფრინველების სადგომი უნდა იყოს მყარი კონსტრუქციის, რომელიც დაფარული იქნება თივით, ხის მასალით, ქვიშით ან ტორფით. სივრცის საკმარისი ნაწილი უნდა დაეთმოს მეკვერცხულ ქათმებს, შესაბამისი ზომის ფრინველისათვის თავისუფალ

ადგილებს/დასაძინებელ ფართს, უნდა ჰქონდეს შესაბამისი ზომის გასასვლელი/შემოსასვლელი ხვრელებით.
ფრინველების საცხოვრებელში გასასვლელი ხვრელების საერთო სიგრძე ყოველ 100მ$^2$-ზე უნდა შეადგენდეს 4მ-ს.

**61.** მეკვერცხული ქათმების შემთხვევაში, როდესაც ბუნებრივი დღის ხანგრძლივობა გაგრძელებულია ხელოვნური სინათლით, კომპეტენტურმა ორგანომ, გეოგრაფიული პირობებისა და ცხოველების საერთო ჯანმრთელობის გათვალისწინებით, შესაბამისი ჯიშებისათვის უნდა დააწესოს განათების გამოყენების მაქსიმალური პერიოდი.

**62.** ფრინველების ჯანმრთელობაზე ზრუნვის მიზნით, მათ საცხოვრებელ შენობებს შორის უნდა იყოს იმხელა თავისუფალი (გასასეირნებელი) ადგილი, რომ ბალახეულობმა მოასწროს კვლავგანახლება.

ცხოველების ნაკელი

**63.** ცხოველური ნაკელის გამოყენების პრაქტიკა, მათი სადგომის ან საძოვრების ტერიტორიების მოვლის მიზნით, უნდა იყოს ისეთი, რომ:
ა) მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ნიადაგისა და წყლის დეგრადაცია;
ბ) არ უნდა იწვევდეს წყლის მნიშვნელოვან დაბინძურებას ნიტრატებითა და პათოგენური ბაქტერიებით;
გ) ხდებოდეს საკვები ნივთიერებების ოპტიმალური რეციკლირება;
დ) არ უნდა ხდებოდეს ნაკელის დაწვა ან სხვა ქმედებების ჩატარება, რომელიც არ შეესაბამება ბიოწარმოების წესებს.

**64.** ნაკელის შესანახავი საშუალებები, კომპოსტირების მოწყობილობების ჩათვლით, უნდა იყოს ისეთი კონსტრუქციისა და ისე გამოყენებული, რომ თავიდან იქნეს აცილებული მიწის და/ან ზედაპირული წყლის დაბინძურება.

**65.** ნაკელი უნდა გამოვიყენოთ ისეთი დოზებით, რომ თავიდან იქნეს აცილებული მიწის და/ან ზედაპირული წყლის დაბინძურება. „გრინ კაუკაზუსმა“ შეიმუშავა ნაკელის შეტანის მაქსიმალური დოზები და საძოვარზე ცხოველების დასაშვები რაოდენობის ნორმები. ნაკელის შეტანის სიხშირემ და მეთოდმა არ უნდა გამოიწვიოს მისი ჩარეცხვა წყალსაცავებსა და მდინარეებში.

**66. გამონაკლისი წესები. ცხოველების დაბმა**

პატარა საწარმოო ერთეულებში, სადაც შეუძლებელია ცხოველების ჯგუფებად ყოფნა და მათთვის მოთხოვნების შესაბამისი გარემოს შექმნა, სერტიფიცირების ორგანომ შეიძლება დართოს ცხოველების დაბმის ნება, იმის უზრუნველყოფით, რომ მათთვის ხელმისაწვდომია საძოვარი (ძოვების პერიოდში) ან მინიმუმ კვირაში ორჯერ გარეთ გასეირნება (როდესაც არ არის ძოვების პერიოდი).

**67. გამონაკლისი წესები. ბიომეცხოველეობაში არსებული სპეციფიკური პრობლემები.**

ხორცის წარმოებისათვის განკუთვნილი ზრდასრული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დასუქება შეიძლება ჩატარდეს შენობის შიგნით იმის გათვალისწინებით,

რომ ეს პერიოდი არ აღემატება ცხოველის ასაკის 1/5-ს. ნებისმიერ შემთხვევაში ეს პერიოდი არ უნდა გასცდეს 3 თვეს.

ჩანაწერების წარმოება და იდენტიფიკაცია

**68.** მეწარმეს უნდა ჰქონდეს დეტალური, განახლებული ჩანაწერები, ისე, როგორც ეს მოცემულია მე-3 დანართში.

მეფუტკრეობა და მეფუტკრეობის პროდუქტები

<u>ზოგადი პრინციპები</u>

**69.** მეფუტკრეობა მნიშვნელოვანი საქმიანობაა, რომელსაც ფუტკრების მიერ დამტვერვის მეშვეობით თავისი წვლილი შეაქვს გარემოს, სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის განვითარებაში.

**70.** სკების მართვისა და მოვლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს ბიოწარმოების პრინციპებს.

**71.** ფუტკრებისათვის განკუთვნილი ფართი უნდა იყოს საკმარისად დიდი იმისათვის, რომ შესაძლებელ იქნეს საჭირო რაოდენობის საკვებისა და წყლის მიწოდება.

**72.** ნექტრის და მტვრის წყაროს უნდა წარმოადგენდეს ბიომეურნეობაში მოყვანილი ან ველურად მოზარდი მცენარეები.

**73.** ფუტკრების ჯანმრთელობაზე ზრუნვა უნდა ეფუძნებოდეს პრევენციულ ქმედებებს, როგორიცაა შესაფერისი ჯიშების შერჩევა, დაბალანსებული დიეტა და შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა.

**74.** ფუტკრის სკა უნდა დამზადდეს ნატურალური საშუალებებისაგან, რათა გამოირიცხოს გარემოს ან მეფუტკრეობის პროდუქტების დაბინძურების საფრთხე.

**75.** თუ სკები განლაგებულია ველურ გარემოში, ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ მწერების პოპულაციას.

<u>სკების განლაგება</u>

**76.** ფუტკრის სკები უნდა განთავსდეს ისეთ ადგილებში, სადაც ხდება ბიოპროდუქციის წარმოება, ან ტყეების მახლობლად, ან იქ სადაც ადგილი აქვს ისეთი კულტურების წარმოებას, რომლებიც მუშავდება ისეთი საშუალებებით რომელთა ზემოქმედება გარემოზე მინიმალურია. სკები ასევე დაშორებული უნდა იყვნენ საკმარისი მანძილით დაბინძურების ისეთი წყაროებიდან, რომლებმაც შეიძლება დააბინძურონ მეფუტკრეობის პროდუქტები ან უარყოფითად იმოქმედონ ფუტკრების ჯანმრთელობაზე. ფუტკრის სკები უნდა განთავსდეს ისეთ ადგილებში, სადაც ხდება ბიოპროდუქციის წარმოება, ან კულტივირებული და/ან ველურად

მოზარდი მცენარეები შეესაბამება წარმოების წესებს, რომელიც ამ სტანდარტის მე-4 ნაწილშია მოცემული.

77. „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანოებმა ინსპექტირების საშუალებით უნდა დაადასტურონ, რომ მეწარმის მიერ მითითებული ადგილი არის ნექტრისა და მტვრის შესაბამისი წყარო.

78. „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანოებმა განსაზღვრეს 3კმ-იანი რადიუსი სკების განლაგების ადგილიდან, სადაც ფუტკრებისათვის ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი და საკმარისი რაოდენობის საკვები.

79. სერტიფიცირების ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ ის ზონები, სადაც სკები არ უნდა განთავსდეს, რათა გამოირიცხოს ფუტკრის კონტაქტი დაბინძურების პოტენციურ წყაროსთან, აკრძალულ ნივთიერებებთან, გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებთან ან გარემოს დამბინძურებლებთან.

კვება

80. ღალიანობის დასასრულს სკებში უნდა დარჩეს თაფლის ის მარაგი, რომელიც საკმარისი იქნება ფუტკრებისათვის ახალი ღალიანობის დაწყებამდე.

81. ფუტკრის დამატებითი გამოკვება დაშვებულია სკაში მარაგის ამოწურვისას, როდესაც ამის მიზეზია მკაცრი კლიმატური პირობები ან განსაკუთრებული მოვლენები. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ბიოთაფლი და ბიოშაქარი, თუ ხელმისაწვდომია. თუმცა „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანომ შეიძლება დაუშვას არაბიოშაქრისა და თაფლის გამოყენება. ასეთი გამონაკლისის დაშვებისას უნდა განისაზღვროს გამოყენების დროის ლიმიტი. გამოკვება უნდა მოხდეს თაფლის ბოლო მოსავლის აღების შემდეგ და მომავალ ღალიანობის დაწყებამდე 15 დღით ადრე.

კონვერსიის პერიოდი

82. ფუტკრის ნაწარმი შეიძლება გასაღდეს როგორც ბიოპროდუქტი, თუ ამ სტანდარტში მითითებული მოთხოვნების შესრულება ხდება მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში არსებულ ფიჭას უნდა ჩაენაცვლოს ბიოფიჭა. იმ შემთხვევაში, თუ ფიჭის ჩანაცვლება მთლიანად ვერ ხერხდება ერთი წლის განმავლობაში, რისი მიზეზიც ბაზარზე ბიო ფიჭის ხელმიუწვდომლობაა, მაშინ სერტიფიცირების ორგანოს შეუძლია გაზარდოს კონვერსიის პერიოდი. როდესაც ბიოფიჭა ხელმიუწვდომელია, სერტიფიცირების ორგანომ შეიძლება გამონაკლისის სახით დაუშვას არაბიოფიჭის გამოყენება, იმ პირობით, თუ ფიჭა მიღებულია სკებიდან, რომლებიც განლაგებულია ისეთ ადგილებში, სადაც არ გამოიყენება აკრძალული ნივთიერებები.

83. იქ, სადაც ადრე არ იყენებდნენ აკრძალულ საშუალებებს, ფიჭის შეცვლა არ არის საჭირო.

ფუტკრების წარმომავლობა

84. ფუტკრების სკების გადაყვანა (კონვერსია) ბიოწარმოებაზე დაშვებულია. სკების შეძენა სასურველია ბიომეურნეობაში.

85. ფუტკრების შერჩევისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ფუტკრის ადგილობრივ პირობებთან შეგუების უნარზე, მათ სიცოცხლისუნარიანობასა და მდგრადობაზე დაავადებების მიმართ. შერჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს *Apis mellifera* და მის ადგილობრივ ეკოტიპებს.

86. საფუტკრის განახლებისათვის ბიოსაფუტკრეში შესაძლებელია ბიოფუტკრების ჩანაცვლება 10% არაბიო დედა და მუშა ფუტკრების გამოყენება იმ პირობით რომ მათი განთავსება მოხდება ისეთ სკებში სადაც მოთავსებულია ბიოფიჭები.

ფუტკრების ჯანმრთელობა

87. ფუტკრების ჯანმრთელობა უნდა უზრუნველვყოთ სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წარმოებით, ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს დაავადებების პრევენციაზე, ფუტკრების შერჩევასა და სკების მართვის ხარჯზე. ამ ქმედებებში შედის:

ა) ამტანი ჯიშების გამოყენება, რომლებიც კარგად ეგუებიან ადგილობრივ პირობებს;
ბ) დედა ფუტკრების საჭიროებისამებრ განახლება;
გ) ხელსაწყოების რეგულარული გასუფთავება და დეზინფექცია;
დ) ცვილის რეგულარული ჩანაცვლება;
ე) სკაში საკმარისი მტვრისა და თაფლის არსებობა;
ვ) სკების სისტემატური შემოწმება, დაავადებების დროულად დასაფიქსირებლად;
ზ) სკაში იმ უჯრედების სისტემატური კონტროლი, სადაც მოთავსებულია მამრების ჩანასახები;
თ) დაავადებული სკების საჭიროებისამებრ იზოლირება; ან
ი) დაბინძურებული სკებისა და საშუალებების განადგურება.

88. მავნებლებისა და დაავადებების კონტროლისათვის (განსაკუთრებით Varroa jacobsoni-ის გავრცელებისას) დაშვებული შემდეგი სახის საშუალებები:
– რძემჟავა, მჟაუნმჟავა, ძმარმჟავა;
– ჭიანჭველმჟავა;
– გოგირდი;
– ბუნებრივი ეთერზეთები (მაგ. მენთოლი, ევკალიპტი, ქაფური);
– Bacillus thuringiensis;
– ორთქლი და ალი.

89. თუ პრევენციული ზომები სასურველ შედეგს არ მოგვცემს, შეიძლება ვეტერინარიული სამედიცინო პროდუქციის გამოყენება იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) უპირატესობა ენიჭება ფიტოთერაპიულ და ჰომეოპათიურ მკურნალობას; და
ბ) ქიმიურად სინთეზირებული ალოპათიური სამედიცინო საშუალებების გამოყენებისას მეფუტკრეობის პროდუქტები არ უნდა გაიყიდოს ბიოსტატუსით. მკურნალობაგავლილი სკა უნდა იქნეს იზოლირებული და გაიაროს ერთწლიანი კონვერსიის პერიოდი.

ცვილი მთლიანად უნდა შეიცვალოს ისეთი ცვილით, რომელიც ამ სტანდარტის მოთხოვნებს ექვემდებარება; და
გ) უნდა მოხდეს ყოველი ვეტერინარიული ჩარევის ზუსტი დოკუმენტირება.

90. თუ მკურნალობა ჩატარდა ქიმიური სინთეზის გზით მიღებული ალოპათიური საშუალებით, მაშინ უნდა მოხდეს სკების იზოლირება და ყველა არსებული ფიჭა შეიცვალოს ბიომეურნეობიდან მიღებული ფიჭით. ასეთ სკებს ენიშნება ერთწლიანი გარდამავალი პერიოდი.

91. თუ პრევენციული ქმედებების მიუხედავად ფუტკარი მაინც დაავადდა, მაშინ მათ დაუყოვნებლივ უნდა ჩაუტარდეთ მკურნალობა და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი იზოლირება.

92. ფუტკრების სკების და/ან ჩარჩოების გასაწმენდად ან დიზინფექციისათვის ნებადართულია ნატრიუმის ჰიდროქსიდის გამოყენება. ფუტკრების სკების და/ან ჩარჩოების მავნებლებისა და მღრღნელებისაგან დასაცავად მხოლოდ ამ სტანდარტის პირველ დანართში (ბიოწარმოების პრინციპები, ნაწილი A. მცენარეები და მათი პროდუქტები) მითითებული საშუალებების გამოყენებაა ნებადართული (მხოლოდ საჭერებში).

93. მამრების ჩანასახების განადგურების პრაქტიკა დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში პარაზიტ Varroa jacobsoni-ის ინვაზიაა.

მართვა

94. ფიჭა გაკეთებული უნდა იყოს ბიომეთოდით მიღებული ცვილისაგან.

95. მეფუტკრეობის პროდუქციის მოსავლის აღებისას აკრძალულია ფუტკრების განადგურება ფიჭებზე.

96. აკრძალულია დედა ფუტკრებისათვის ფრთების მოჭრა.

97. თაფლის ამოღების დროს ქიმიური რეპელენტების (დამაფრთხობლების) გამოყენება აკრძალულია.

98. შებოლების გამოყენება მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. შესაბოლებელი საშუალებები უნდა იყოს ბუნებრივი წარმოშობის და კმაყოფილებდეს ამ სტანდარტში მითითებულ მოთხოვნებს.

99. რეკომენდებულია თაფლის ან მეფუტკრეობის სხვა პროდუქციის ექსტრაქციისა და გადამუშავების პროცესის ჩატარება შეძლებისდაგვარად დაბალ ტემპერატურაზე.

100. თაფლის ექსტრაქციისათვის აკრძალულია brood combs გამოყენება.

101. დამტვერვითი სამუშაოების ჩასატარებლად მეწარმეს შეუძლია აწარმოოს ბიო და არაბიომეფუტკრეობა ერთი საწარმოო ერთეულის ფარგლებში, იმის

გათვალისწინებით, რომ ადგილი აქვს ბიოწარმოების ყველა მოთხოვნის დაცვას, გარდა სკების განლაგების საკითხისა. ამ შემთხვევაში მიღებული პროდუქცია არ უნდა გაიყიდოს როგორც ბიოპროდუქცია. მსგავს სიტუაციაში მეწარმეს უნდა ჰქონდეს სტანდარტის მოთხოვნების შესრულების დამადასტურებელი ჩანაწერები და დოკუმენტაცია.

ჩანაწერების სისტემა

102. მწარმოებელმა უნდა აწარმოოს დეტალური ჩანაწერები, ისე, როგორც მითითებულია მე-3 დანართის მე-7 პარაგრაფში. უნდა არსებობდეს რუკა, რომელზეც მითითებული იქნება ყველა სკის განლაგების ადგილი.

103. გამონაკლისი წესები. არაბიოფიჭის გამოყენება

მეფუტკრეობას პირველადი დაწყებისას ან გარდამავალ პერიოდში მყოფ საწარმოო ერთეულში შესაძლებელია არაბიოფიჭის გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ:
(a) ფიჭის შეძენა შეუძლებელია ბიომეფუტკრეობის საწარმოო ერთეულში;
(b) დასტურდება, რომ ფიჭა არ არის დაბინძურებული ბიოწარმოებაში აკრძალული ნივთიერებებით;
(c) დასტურდება, რომ ფიჭა შეძენილია cap-ში

104. გამონაკლისი წესები. კატასტროფული შემთხვევები
სერტიფიცირების ორგანომ დროებითი ღონისძიების სახით შეიძლება დაუშვას:
(a) ავადმყოფობით ან კატასტროფული მოვლენების შედეგად გამოწვეული ცხოველების მაღალი სიკვდილიანობისას ჯოგის ან ნახირის თავიდან შექმნის ან განახლებისათვის არაბიოცხოველების გამოყენება, თუ ბიოცხოველები არ არიან ხელმისაწვდომი და უზრუნველყოფილი იქნება არაბიოცხოველებისთვის შესაბამისი გარდამავალი პერიოდის დაცვა;
(b) ავადმყოფობით ან კატასტროფული მოვლენების შედეგად გამოწვეული ფუტკრების მაღალი სიკვდილიანობისას საფუტკრის თავიდან შექმნის ან განახლებისათვის არაბიოსკების გამოყენება, თუ ბიოსკები არ არის ხელმისაწვდომი;
(c) ცხოველებისათვის განკუთვნილი არაბიოსაკვების გამოყენება შეზღუდული პერიოდის განმავლობაში, როდესაც მოსავალი დაიკარგა ან მისი არარსებობა განპირობებულია განსაზღვრული შეზღუდვებით, იშვიათი მეტეოროლოგიური პირობებით, ინფექციური დაავადებების აფეთქებით, ტოქსიკური დაბინძურებით ან ხანძრით;
(d) ფუტკრების გამოკვება ბიოთაფლით, ბიოშაქრით ან ბიოშაქრის სიროპით, როდესაც იშვიათი ხანგრძლივი არახელსაყრელი კლიმატური პირობების ან კატასტროფული მოვლენების გამო ფუტკრებისათვის არ არის მისაწვდომი მცენარეული ნექტარი.
მსგავსი ნებართვის მიღებისას მეწარმეს უნდა ჰქონდეს სტანდარტის მოთხოვნების შესრულების დამადასტურებელი ჩანაწერები და დოკუმენტაცია.
(e) (04.11.2016) წყლის ბიოცხოველთა გუნდის განახლებისა და აღდგენისათვის არაბიო აკვაკულტურის ცხოველების გამოყენება, როდესაც ბიოცხოველთა მაღალი სიკვდილიანობა გამოწვეულია ევროპის პარლამენტის რეგულაციის 508/2014 57-ე პარაგრაფის a-d პუნქტებში ჩამოთვლილი პირობებით, და თუ ორგანულად

გამოზრდილი ცხოველები ხელმისაწვდომი არ არის და თუ არაბიო ცხოველთა წარმოების ციკლის მინიმუმ ბოლო ორი მესამედის ორგანული წარმოების სისტემით განხორციელება იქნება შესაძლებელი;

## გ. ბიოპროდუქციის დამუშავება, ტრანსპორტირება, შენახვა, გადამუშავება, კონსერვირება და შეფუთვა

ადამიანისა და ცხოველებისათვის განკუთვნილი გადამუშავებული საკვების წარმოების და კონსერვირების წესები

1. გადამუშავების პროცესში გამოყენებული დანამატები, დამხმარე საშუალებები, ინგრედიენტები და სხვა ნივთიერებები, ასევე გადამუშავების მეთოდები (მაგ. შებოლვა) უნდა შეესაბამებოდეს ე.წ. „სანიმუშო წარმოების პრაქტიკას" (GMP- Good Manufacturing Practice).
2. მეწარმემ, რომელიც დაკავებულია ადამიანისა და ცხოველებისათვის განკუთვნილი გადამუშავებული საკვების წარმოებით და კონსერვირებით, უნდა შეიმუშაოს და მუდმივად განაახლოს/სრულყოს შესაბამისი პროცედურები, რომლებიც ეფუძნება წარმოების კრიტიკული პროცესების იდენტიფიცირებას. ზემოთ მითითებული პროცედურების ბიოწარმოების სტანდარტებთან ჰარმონიზაციისათვის, სერტიფიცირების ორგანო ადამიანისა და ცხოველებისათვის განკუთვნილი გადამუშავებული საკვების წარმოებით დაკავებულ მეწარმეებს უზრუნველყოფს შესაბამისი ფორმით, სადაც შესაძლებელი იქნება კრიტიკული წერტილების აღწერა.
3. მე-2 პარაგრაფში მითითებული პროცედურების შესრულება უზრუნველყოფს გადამუშავებული პროდუქციის შესაბამისობას ბიოწარმოების წესებთან.
4. მეწარმეებმა უნდა შეასრულონ მე-2 პარაგრაფში მითითებული მოთხოვნები, კერძოდ, მათ უნდა:
(a) ჩაატარონ პრევენციული ქმედებები ბიოპროდუქტის აკრძალული ნივთიერებებითა და პროდუქტებით დაბინძურების რისკის თავიდან ასაცილებლად (როგორც მითითებულია 19.10.2016 L 282/28 Official Journal of the European Union EN);
(b) ჩაატარონ შესაბამისი დასუფთავების ოპერაციები, შეამოწმონ მათი ეფექტიანობა და აწარმოონ ამ ქმედებების ამსახველი ჩანაწერები;
(c) გამორიცხონ ბაზარზე არაბიოპროდუქტის რეალიზება ბიოწარმოების მეთოდზე მიმანიშნებელი ნიშანდების გამოყენებით.
5. საწარმოებში, სადაც ადგილი აქვს არაბიოპროდუქციის წარმოებასა და შენახვას, მე-2 და მე-4 პარაგრაფებში მითითებულ მოთხოვნებზე დამატების სახით მეწარმემ უნდა:
(a) უზრუნველყოს არაბიოპროდუქტის გადამუშავების პროცესის სეპარირება დროში ან სივრცეში ბიოპროდუქტის გადამუშავების პროცესისაგან;
(b) დაასაწყობოს ბიოპროდუქცია ოპერაციების დაწყებამდე და დამთავრებისას არაბიოპროდუქტისაგან იზოლირებულად დროში ან სივრცეში;
(c) უზრუნველყოს ყველა ოპერაციისა და გადამუშავებული პროდუქციის რაოდენობის რეგისტრირება, მოახდინოს სერტიფიცირების ორგანოს ინფორმირება;
(d) ბიო და არაბიოპროდუქციის ერთმანეთში შერევის თავიდან ასაცილებლად, შეასრულოს პროდუქტის პარტიების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი ქმედებები;
(e) ბიოპროდუქციასთან დაკავშირებული ოპერაციები ჩაატაროს მხოლოდ საწარმოს მოწყობილობების შესაბამისად გაწმენდის შემდეგ.

**6.** ბიოპროდუქტმა უნდა შეინარჩუნოს თავისი სტატუსი გადამუშავების პროცესის დროს. ამის მიღწევა შესაძლებელია ისეთი ტექნიკის გამოყენებით, რომელიც შეესაბამება ინგრედიენტების თავისებურებებს. გადამუშავებისას უნდა გამოვიყენოთ ისეთი მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებს პროდუქტის მინიმალურ დამუშავებას და ნაკლებად საჭიროებს საკვებ დანამატებსა და გადამუშავების დამხმარე საშუალებებს. არ შეიძლება ორგანულ პროდუქტებზე მაიონიზებელი რადიაციის გამოყენება მავნებლების კონტროლის, საკვების კონსერვაციის, პათოგენური ბაქტერიების თავიდან აცილების მიზნით.

7. პროდუქციის შეგროვება და მისი ტრანსპორტირება საწარმოო ერთეულში

მეწარმემ შეიძლება ერთდროულად შეაგროვოს ბიო და არაბიოპროდუქცია, თუ ჩატარებულია შესაბამისი ქმედებები ბიო და არაბიოპროდუქციის ერთმანეთთან სეპარირებისათვის და უზრუნველყოფილია ბიოპროდუქციის შესაბამისი ნიშანდება. მეწარმეს უნდა ჰქონდეს და გახადოს ხელმისაწვდომი სერტიფიცირების ორგანოსათვის შესაბამისი ჩანაწერები მოსავლის შეგროვების თარიღის, საათების, ციკლის/ჯაჭვის, მოსავლის ჩაბარების თარიღისა და დროის შესახებ.

მავნებლების კონტროლი

**8.** მავნებლების გაკონტროლება უპირატესად შემდეგი მეთოდებით უნდა მოხდეს:
ა) პირველ რიგში უნდა გატარდეს ისეთი პრევენციული ღონისძიებები, როგორიცაა მავნებლების საბუდრების განადგურება, რათა გამოირიცხოს მათი შეღწევა მოწყობილობებში;
ბ) თუ პრევენციულმა ქმედებებმა ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი, მაშინ პირველ რიგში უნდა გამოვიყენოთ ბრძოლის ფიზიკური/მექანიკური და ბიოლოგიური მეთოდები;
გ) თუ ბრძოლის ფიზიკური/მექანიკური და ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებამ ვერ მოგვცა სასურველი შედეგი, მაშინ შეიძლება მე-2 დანართის მე-2 ცხრილში მითითებული პესტიციდების გამოყენება (ან „გრინ კაუკაზუსის“ მიერ დაშვებული სხვა საშუალებების გამოყენება, ამ სტანდარტის შესაბამისად), იმის გათვალისწინებით, რომ გამორიცხული იქნება ამ საშუალებების კონტაქტი ბიოპროდუქტთან მისი დამზადების, შენახვისას, ტრანსპორტირებისას და გადამუშავებისას.

**9.** მავნებლებს თავიდან ავიცილებთ ე.წ. წარმოების სანიმუშო პრაქტიკის დანერგვით. მავნებლების კონტროლი საწყობში ან სატრანსპორტო კონტეინერებში შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური ბარიერების ან სხვა საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა ხმაური, ულტრახმაური, შუქი, ულტრაიისფერი შუქი, საჭერები (ფერომონები, ხაფანგები), ტემპერატურის კონტროლი, კონტროლირებადი ატმოსფერო (ნახშირორჟანგი, ჟანგბადი, აზოტი), დიატომური მიწა.

**10.** ამ სტანდარტის მიხედვით წარმოებული პროდუქციის კარანტინისათვის აკრძალულია იმ პესტიციდების გამოყენება, რომლებიც არ არის მითითებული მე-2 დანართში, რადგან მათი გამოყენება გამოიწვევს პროდუქციის ბიოსტატუსის დაკარგვას.

წარმოება, კონსერვირება და გადამუშავება

11. ზოგადი პრინციპების გარდა გადამუშავებული ბიოპროდუქტის წარმოებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:
(ა) ბიოპროდუქციის წარმოება უნდა მოხდეს ბიოინგრედიენტების გამოყენებით. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები როდესაც ბიოინგრედიენტები არ არის ხელმისაწვდომი;
(ბ) არაბიო საკვები დანამატების, გადამუშავების დამხმარე საშუალბების გამოყენების შეზღუდვა მთავარ ტექნოლოგიურ პროცესებში, ისე რომ მათი გამოყენება დავიდეს მინიმუმამდე. მათი გამოყენება უნდა იყოს განპირობებული მხოლოდ ტექნოლოგიური პროცესისა და განსაკუთრებული კვებითი თავისებურებით;
(გ) ისეთი გადამუშავების მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების აკრძალვა, რომელმაც შეიძლება ჩამოაყალიბოს მცდარი აზრი პროდუქტის ნამდვილი ბუნების შესახებ;
(დ) გადამუშავებისას უპირატესობა ენიჭება გადამუშავების ბიოლოგიურ, მექანიკურ და ფიზიკურ მეთოდებს.

12. უნდა გამოვიყენოთ გადამუშავების მექანიკური, ფიზიკური ან ბიოლოგიური (მაგ. ფერმენტაცია, შებოლვა) მეთოდები. მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ არასასოფლო-სამეურნეო ინგრედიენტებისა და დანამატების გამოყენება. დაშვებული საშუალებები მითითებულია მე-2 დანართის მე-3 და მე-4 ცხრილებში.

აკრძალულია იმ ნივთიერებებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც აღადგენენ ბიოპროდუქტის გადამუშავების ან შენახვის პროცესში დაკარგულ თვისებებს და გამოასწორებენ გადამუშავებისას უყურადღებობით დაშვებულ შეცდომებს, ამავდროულად და არასწორად წარმოაჩენს პროდუქტის ნამდვილ ბუნებას.

შეფუთვა

13. მეწარმემ უნდა უზრუნველყოს ბიოპროდუქციის ტრანსპორტირება სხვა საწარმოო ერთეულში (მათ შორის საბითუმო და საცალო რეალიზატორებთან) მხოლოდ ისეთი შეფუთვით ან კონტეინერის, ან დაკეტილი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით, რომ შეუძლებელი იყოს შიგთავსის ჩანაცვლება შეფუთვის ან ლუქის დაზიანების გარეშე. ასევე პროდუქციის ნიშანდებაზე უნდა იყოს დატანილი:
(a) პროდუქციის მწარმოებლის/მფლობელის/რეალიზატორის დასახელება/სახელი, გვარი და მისამართი;
(b) სურსათის დასახელება ან ცხოველებისთვის განკუთვნილი საკვების შემადგენლობა, ბიოწარმოებასთან კავშირის დამამტკიცებელი საბუთით;
(c) პროდუქციაზე სერტიფიკატის გამცემი ორგანოს დასახელება და კოდის ნომერი;
(d) იქ, სადაც რელევანტურია, ეროვნული წესების მიხედვით ან სერტიფიცირების ორგანოსთან შეთანხმებული პარტიის საიდენტიფიკაციო ნომერი.
პირველი პარაგრაფის (ა)-დან (დ)-მდე ქვეპარაგრაფებში მითითებული ინფორმაცია შეიძლება ასევე წარმოდგენილ იქნეს პროდუქციის თანმხლებ დოკუმენტაციაში. თანმხლებ დოკუმენტაციაში ასევე უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია პროდუქციის მომწოდებელზე და/ან გადამტანზე.

14. დაფასოების, კონტეინერის ან სატრანსპორტო საშუალების დაკეტვა/დალუქვა აუცილებელია, თუ:
(a) ტრანსპორტირება ხდება ისეთ ორ საწარმოო ერთეულს შორის, სადაც თითოეული საწარმოო ერთეული ექვემდებარება კონტროლს და
(b) პროდუქციას თან ახლავს დოკუმენტაცია, სადაც ასახულია მე-13 პარაგრაფში მითითებული ინფორმაცია, და
(c) პროდუქციის მიმწოდებელმა და პროდუქციის მიმღებმა მეწარმეებმა უნდა აწარმოონ ჩანაწერები ასეთი სატრანსპორტო ოპერაციების შესახებ. ეს ჩანაწერები უნდა იყოს ხელმისაწვდომი სერტიფიცირების ორგანოსათვის.

15. სხვა საწარმოო ერთეულიდან პროდუქციის მიღება
სხვა საწარმოო ერთეულიდან ბიოპროდუქციის მიღებისას მეწარმემ უნდა შეამოწმოს, არის თუ არა დაზიანებული დაფასოებული ერთეული ან კონტეინერის ლუქი და ასევე შეამოწმოს პროდუქციის მე-13 და მე-14 პარაგრაფში მითითებული დოკუმენტაცია.

მეწარმემ უნდა გადაამოწმოს პროდუქციაზე მე-13 და მე-14 პუნქტის შესაბამისად დატანილი ნიშანდების შესაბამისობა პროდუქციის თანმხლებ დოკუმენტაციაში შეტანილ ინფორმაციასთან. ამ გადამოწმების შედეგები უნდა აისახებოდეს მეწარმის დოკუმენტაციებში.

16. დაფასოებისას გამოყენებული მასალა სასურველია იყოს ბიოდეგრადირებადი, რეციკლირებული მასალისგან ან რეციკლირებადი.

შენახვა და ტრანსპორტირება

17. პროდუქტმა არ უნდა დაკარგოს ბიოსტატუსი შენახვის, ტრანსპორტირების და დამუშავების დროს. ამის უზრუნველყოფა შეიძლება შემდეგი საშუალებებით:
ა) ყველა ეტაპზე უნდა გამოირიცხოს ბიო და არაბიოპროდუქტების შერევა;
ბ) ყველა ეტაპზე უნდა გამოირიცხოს ბიოპროდუქტების კონტაქტი ისეთ ნივთიერებებთან, რომლებიც აკრძალულია ბიოპროდუქტის წარმოებასა და გადამუშავებაში.

18. თუ საწარმოო ერთეულში, რომლის მხოლოდ განსაზღვრული ნაწილია სერტიფიცირებული და ადგილი აქვს არაბიოპროდუქტის შენახვა/გადამუშავებას, მაშინ საჭიროა ბიო და არაბიოპროდუქტის სეპარირება და შესაბამისად ნიშანდება.

19. ბიოპროდუქციის დიდი საცავები უნდა იყოს სეპარირებული არაბიოპროდუქციის საცავისაგან და შესაბამისად/მკაფიოდ ნიშანდებული.

20. ბიოპროდუქციის სასაწყობე ადგილი და სატრანსპორტე კონტეინერები უნდა გაიწმინდოს ბიოწარმოებაში დაშვებული მეთოდებითა და საშუალებებით. იქ, სადაც საწყობი და სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება არა მარტო ბიოპროდუქტის შესანახავად და გადასატანად, უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები იმისათვის, რომ გამოირიცხოს ბიოპროდუქტების დაბინძურება პესტიციდებით ან სხვა საშუალებით, რომლებიც არ შედის მე-2 დანართის ჩამონათვალში.

**პროდუქციის შენახვა/დასაწყობება: წარმოებისა და გადამუშავებისას**

21. ბიოპროდუქტის შესანახი ადგილი ისე უნდა მოეწყოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პარტიის ნიშანდება და გამოირიცხოს ნებისმიერი სახის შერევა ან დაბინძურება ისეთი სახის პროდუქტით და/ან ნივთიერებით, რომელიც არ შეესაბამება ბიოწარმოების სტანდარტის მოთხოვნებს. ბიოპროდუქტი ყოველთვის მკაფიოდ უნდა იყოს ნიშანდებული.

22. ბიომემცენარეობის, ზღვის წყალმცენარეების, ბიომეცხოველეობისა და მეთევზეობის საწარმოო ერთეულში არ უნდა ინახებოდეს წარმოების ისეთი საშუალებები, რომლებიც არ არის ნებადართული წინამდებარე სტანდარტით.

23. ალოპათიური ვეტერინარიული საშუალებებისა და ანტიბიოტიკების შენახვა საწარმოო ერთეულში ნებადართულია იმის გათვალისწინებით, რომ ეს საშუალებები გამოწერილია ვეტერინარის მიერ როგორც ეს მითითებულია ამ სტანდარტში და მათი შენახვა კონტროლდება, ასევე ეს მონაცემები შეტანილია მეცხოველეობის ჩანაწერებში.

24. საწარმოო ერთეულში, სადაც მეწარმე ეწევა ბიო და არაბიოწარმოებას და შემდეგ ასაწყობებს ბიოპროდუქციას სხვა სას/სამ პროდუქციასთან ერთად:
(a) ბიოპროდუქტი უნდა შეინახონ იზოლირებულად სხვა სას/სამ პროდუქციისაგან;
(b) ყველა ღონისძიება უნდა გატარდეს პროდუქციის გასაგზავნი პარტიის იდენტიფიცირებისათვის და მათი არაბიოპროდუქტთან შერევის ან ჩანაცვლების გამოსარიცხავად;
(c) საწყობი, ბიოპროდუქციის დასაწყობებამდე, შესაბამისად უნდა გაიწმინდოს. უნდა შემოწმდეს ამ ქმედების ეფექტიანობა და უნდა არსებობდეს ამ ქმედებების შესრულების ამსახველი ჩანაწერები.

**ევროგაერთიანებაში ბიოპროდუქტის მესამე ქვეყნებიდან მიღების განსაკუთრებული წესები**

25. ბიოპროდუქცია ევროგაერთიანების ქვეყნებში ექსპორტისათვის ისე უნდა შეიფუთოს ან მოთავსდეს ისეთ კონტეინერში, რომ გამოირიცხოს მისი შიგთავსის ჩანაცვლება. უნდა მიეთითოს ექსპორტიორის ვინაობა და პარტიის იდენტიფიცირებისათვის საჭირო სხვა შესაბამისი ნიშნები და ნომრები, ასევე თან ახლდეს ევროგაერთიანებაში იმპორტის კონტროლის სერტიფიკატი.

**სპეციფიური პროდუქტების გამოყენებასთან დაკავშირებული გამონაკლისი წესები**
**არაბიო საფუარის ექსტრაქტის გამოყენება**

26. როდესაც შეუძლებელია ბიო-საფუვრის ექსტრაქტისა ან ავტოლიზატის მოძიება, (მშრალ მასაზე გადაანგარიშებით) სუბსტრატზე 5%-მდე არაბიო- საფუვრის ექსტრაქტისა ან ავტოლიზატის დამატებაა დაშვებული. 2013 წლის 31 დეკემბრამდე უნდა მოხდეს ბიო-საფუვრის ექსტრაქტისა ან ავტოლიზატის ხელმისაწვდომობის ხელახალი შეფასება და ამ დებულების სავარაუდო ამოღება.

**ცხოველებისათვის განკუთვნილი საკვების სხვა საწარმოო ერთეულში ან დასაწყობების ადგილზე ტრანსპორტირების განსაკუთრებული წესები**

27. ცხოველებისათვის განკუთვნილი საკვების სხვა საწარმოო ერთეულში ან დასაწყობების ადგილზე ტრანსპორტირებისას მეწარმემ უნდა უზრუნველყოს შემდეგი პირობების დაცვა:
(a) ბიო, გარდამავალი პერიოდისა და არაბიოცხოველებისათვის განკუთვნილი საკვები ტრანსპორტირებისას შესაბამისად უნდა იყოს ერთმანეთისაგან იზოლირებული;
(b) ტრანსპორტი და/ან კონტეინერები, რომლებიც გამოიყენებოდა გარდამავალი პერიოდისა და არაბიოპროდუქციის გადასატანად, უნდა:
(I) ბიოპროდუქციის ტრანსპორტირებამდე შესაბამისად გაიწმინდოს, შემოწმდეს ამ ოპერაციის ეფექტიანობა და გაკეთდეს ამ ქმედების ამსახველი შესაბამისი ჩანაწერები;
(II) სადაც რელევანტურია, რისკის შეფასების საფუძველზე (არტიკლი 88 (3) შესაბამისად) მეწარმემ უნდა შეასრულოს ყველა ქმედება, რათა გამოირიცხოს ბაზარზე ისეთი არაბიოპროდუქტის მოხვედრა, რომლის ნიშანდებაზეც იქნება მითითება ბიოწარმოების მეთოდზე;
(III) მეწარმემ უნდა აწარმოოს ჩანაწერები ასეთი სატრანსპორტო ოპერაციების შესახებ და გახადოს ისინი ხელმისაწვდომი სერტიფიცირების ორგანოსათვის.
(c) ცხოველებისათვის განკუთვნილი მზა საკვების ტრანსპორტი უნდა იყოს იზოლირებული სხვა მზა პროდუქტის გადასატანი ტრანსპორტისაგან;
(d) ტრანსპორტირების პროცესში უნდა მოხდეს სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთული და დანიშნულების ადგილზე მიტანილი პროდუქციის რაოდენობის აღრიცხვა.

## დ. აკვაკულტურა – წყალმცენარეებისა და წყლის ბინადარი ცხოველების წარმოების წესები

**ზღვის წყალმცენარეების წარმოების წესი**

1. ზღვაში ბუნებრივად მოზარდი წყალმცენარეებისა და მისი ნაწილების შეგროვება განიხილება როგორც ბიოწარმოება იმ შემთხვევაში, თუ:
(a) ადგილობრივი ან საერთაშორისო კანონმდებლობის განსაზღვრების მიხედვით წყალმცენარეების ზრდის ადგილი არის მაღალი ეკოლოგიური ხარისხის გარემო და არა აქვს ადგილი ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედებას.
(b) შეგროვების პროცესი გრძელვადიან პერსპექტივაში არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას ადგილობრივი გარემოს სტაბილურობაზე და იქ არსებულ სახეობების შენარჩუნებაზე.

2. იმისათვის, რომ ზღვის წყალმცენარეების ხელოვნური მოშენება ჩაითვალოს ბიოწარმოებად, მათი შეგროვება უნდა მოხდეს სანაპირო ზოლში მინიმუმ ზემოთ მითითებული მოთხოვნების გათვალისწინებით.
(a) უნდა მოხდეს მდგრადი პრაქტიკის გამოყენება წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, ახალგაზრდა ზღვის წყალმცენარეების შეგროვებიდან და მათგან მიღებული მოსავლის შეგროვების პროცესის ჩათვლით;

(b) ახალგაზრდა ზღვის წყალმცენარეების შეგროვებისას, გენური ფონდის შენარჩუნებისათვის, ველურ გარემოში მათი შეგროვება უნდა იყოს რეგულარული, რათა ფერმის შიგნით არსებული მარაგები შეივსოს.
(c) არ უნდა მოხდეს სასუქების გამოყენება გარდა შიდა წარმოების შემთხვევისა და მხოლოდ იმ პირობით რომ მათი გამოყენება ნებადართულია ამ ტიპის საწარმოებში ამ სტანდარტის შესაბამისად.

**წყლის ცხოველების წარმოების წესები**

3. წყლის ცხოველების წარმომავლობა:
(I) წყლის ცხოველების ბიოლოგიური მეთოდით წარმოება უნდა ეფუძნებოდეს ბიოლოგიური საწარმოდან მიღებული ახალგაზრდა ცხოველების მოშენებას;
(II) თუ ბიოლოგიური საწარმოდან მიღებული ახალგაზრდა ცხოველები არ არის ხელმისაწვდომი, მაშინ განსაზღვრული პირობებით არაბიოსაწარმოდან მიღებული ცხოველების გამოყენება ნებადართულია.

4. მოვლის წესი:
(I)პერსონალს, რომელიც დაკავებულია წყლის ცხოველების მოშენებით, უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები ცხოველების მოვლისა და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვისათვის;
(II)მოვლის წესი, მათ შორის: კვება, გამოყენებული მოწყობილობები, ჯგუფში ცხოველების რაოდენობა, წყლის ხარისხი უნდა იყოს ორიენტირებული ცხოველების ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების განვითარებასა და დაკმაყოფილებაზე;
(III) წარმოების პრაქტიკამ უნდა უზრუნველყოს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანა.
(IV) ბიოცხოველები უნდა იყვნენ სეპარირებული სხვა წყლის არაბიოცხოველებისაგან;
(V) ტრანსპორტირებისას უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცხოველების კეთილდღეობა;
(VI) ცხოველების ნებისმიერი ტანჯვა ან ტკივილი, მათ შორის დაკვლის პროცესში, მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი;

5. გამრავლება
(I) შემდეგი მეთოდები: პოლიპლოიდების ხელოვნური შეყვანა, ხელოვნური ჰიბრიდიზაცია, კლონირება, ერთსქესიანი ჯიშების გამოყვანა (ხელით გადარჩევის გარდა) არ უნდა გამოიყენებოდეს;
(II) უნდა შეირჩეს შესაბამისი ჯიში;
(III) უნდა შეიქმნას შესაბამისი პირობები სანაშენე მარაგის მართვის, გამრავლების და ახალი თაობის საწარმოებლად.

6. საკვები თევზებისა და კიბოსნაირებისათვის:
(I) ცხოველების საჭმელად უნდა გამოყენებულ იქნეს ისეთი სახის საკვები, რომელიც დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნას ცხოველების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე;
(II) საკვების მცენარეული ნაწილი უნდა იყოს მიღებული ბიოსაწარმოდან, ხოლო წყლის ცხოველებისაგან შემდგარი ნაწილი უნდა იყოს მიღებული მდგრადი ტიპის სათევზე მეურნეობიდან;

(III) მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმომავლობის არაბიოსაკვების, ასევე საკვები დანამატებისა და ცხოველების გამოსაკვები სხვა პროდუქტების ხმარება შესაძლებელია, თუ მათი გამოყენება ნებადართულია ბიოწარმოებაში.
(IV) არ უნდა მოხდეს ზრდის რეგულატორებისა და სინთეზური ამინომჟავეების გამოყენება.

7. ორსადგულიანი მოლუსკები და წყლის ცხოველების სხვა სახეობები, რომლებიც იკვებებიან ბუნებრივი პლანქტონით:
(I) ასეთი ცხოველები უნდა იკვებებოდნენ ბუნებრივ გარემოში არსებული საკვებით, გარდა მათი ახალგაზრდა თაობისა, რომელიც იზრდება ინკუბატორებსა და სანაშენეებში;
(II) წყალი, რომელშიც ეს ცხოველები იმყოფებიან, უნდა აკმაყოფილებდეს A და B კლასს, როგორც ეს განსაზღვრულია ევრორეგულაციაში № 854/2004-ის მე-2 დანართში. „გრინ კაუკაზუსის" სამარკო ნიშნით მომუშავე სერტიფიცირების ორგანოები შეასრულებენ შესაბამის ქმედებებს ევროგაერთიანებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესადარებლად, რათა დაადგინონ მათი ეკვივალენტურობა.
(III) მათი მოშენების ადგილი უნდა იყოს მაღალი ეკოლოგიური ხარისხის. „გრინ კაუკაზუსის" სამარკო ნიშნით მომუშავე სერტიფიცირების ორგანოები შეასრულებენ შესაბამის ქმედებებს ევროგაერთიანების და ეროვნული კანონმდებლობის შესადარებლად, რათა დაადგინონ მათი ეკვივალენტურობა.

**8. დაავადებების პრევენცია და ვეტერინარიული მკურნალობა:**
(I) დაავადებების პრევენციის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს ცხოველებისათვის ოპტიმალური საარსებო პირობების შექმნას, საწარმოო ერთეულის სწორ დაგეგმარებას, მოვლისა და მართვის სანიმუშო პრაქტიკის გამოყენებას, რაც გულისხმობს: შენობის, მოწყობილობების, დანადგარების შესაბამის გაწმენდასა და დეზინფიცირებას, მაღალი ხარისხის საკვების გამოყენებას, ჯგუფში ცხოველების შესაბამის რაოდენობას, სახეობისა და ჯიშის სწორ შერჩევას;
(II) ცხოველების ტანჯვის თავიდან ასაცილებლად დაავადებების მკურნალობა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ. საჭიროებისას ქიმიური სინთეზის გზით მიღებული ალოპათიური საშუალებების (ანტიბიოტიკების ჩათვლით) გამოყენება ნებადართულია მკაცრი პირობების დაცვით იმ შემთხვევაში, თუ ფიტოთერაპიული, ჰომეოპათიური ან სხვა სახის მკურნალობა არ არის ადეკვატური. თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის ჩატარებული მკურნალობის შესაბამისად უნდა განისაზღვროს განსაზღვრული შეზღუდვები და მოლოდინის პერიოდი;
(III) ნებადართულია იმუნოლოგიური ვეტერინარიული მედიკამენტების გამოყენება;
(VI) ადამიანებისა და ცხოველების ჯანმრთელობის დასაცავად ნებადართულია სახელმწიფო კანონმდებლობით გათვალისწინებული მკურნალობის ჩატარება.

**9. გასუფთავება და დიზინფიცირება**
წყალსაცავის/ავზის, გალიების, შენობისა და დანადგარების გაწმენდისა და დიზინფიცირებისათვის უნდა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ბიოწარმოებაში ნებადართული საშუალებები.

10. (04.11.2016) ქვემოთ მოცემულია ევროკომისიის რეგულაციის (EC) 710/2009 მიხედვით სტანდარტში შეტანილი ცვლილებები

### *10a ზღვის წყალმცენარეების წარმოება*

ამ თავში აღწერილია ზღვის წყალმცენარეების შეგროვებისა და წარმოების დეტალური წესები. შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით, ეს წესები გამოიყენება ყველა მრავალუჯრედიანი წყალმცენარის, ან ფიტოპლანქტონისა და მიკრო-წყალმცენარის წარმოებისათვის, რომლებიც შემდგომში წყლის ცხოველთა საკვებად გამოიყენება.

### *10b წყლის გარემოს ვარგისობა და მდგრადი გამოყენების გეგმა*

10b.1 წარმოება უნდა განლაგდეს ისეთ ადგილას, რომელიც არ ბინძურდება ორგანულ წარმოებაში დაუშვებელი პროდუქტებითა ან ნივთიერებებით, ან ისეთი დამაბინძურებლებით, რომლებსაც შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან პროდუქტის ორგანული წარმოშობის სიწმინდეს.

10b.2 ორგანული და არაორგანული წარმოება უნდა იყოს საკმარისად განცალკევებული ერთმანეთისგან. განცალკევება უნდა ეყრდნობოდეს ბუნებრივ სიტუაციას, კერძოდ, წყლის განაწილების ერთმანეთისგან გამოყოფილ პირობებს, დაშორებას, მოქცევის დინებას, ორგანული საწარმოო ერთეულის არაორგანული ერთეულის მიმართ დინების მიხედვით ზემოთ ან ქვემოთ განლაგებას. მმართველობის ორგანოებმა ან სერტიფიცირების ორგანოებმა შეიძლება მიუთითონ ის ადგილები, რომლებსაც განიხილავენ, როგორც შეუსაბამოს ორგანული აკვაკულტურის წარმოებისათვის ან წყალმცენარეების შეგროვებისათვის და დააწესონ მინიმალური დაშორება ორგანულ და არაორგანულ საწარმოო ერთეულებს შორის. თუ საწარმოში გამიჯვნის მინიმალურ დაშორება დაწესდება, ამის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებამ ან სერტიფიცირების ორგანომ უნდა შეატყობინოს მეწარმეს, ევროკომისიას და აკრედიტაციის სამსახურს.

10b.3. ყველა ახალ საწარმოს, რომელსაც ორგანულ წარმოებაზე გადასვლის განაცხადი აქვს გაკეთებული და რომელიც აკვაკულტურის პროდუქციას წელიწადში 20 ტონაზე მეტს აწარმოებს, მოეთხოვება მისი წარმოების მასშტაბის შესაბამისი ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, რომ შემოწმდეს საწარმო ერთეულის სამუშაო პირობები, მისი მოსაზღვრე გარემოს მდგომარეობა და სავარაუდო გავლენა, რომელსაც ის მოახდენს გარემოზე ფუნქციონირების შედეგად. მეწარმემ უნდა წარუდგინოს სერტიფიცირების ორგანოს ან მაკონტროლებელ სახელმწიფო დაწესებულებას ეკოლოგიური ექსპერტიზის ანგარიში. ეკოლოგიური ექსპერტიზის ანგარიშის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ევროსაბჭოს დირექტივის 85/337/EEC (*) IV დანართისა ან (და) ეროვნულ კანონმდებლობის მოთხოვნებს. თუ საწარმოო ერთეულს უკვე აქვს გავლილი ანალოგიური ექსპერტიზა, მას უფლება აქვს გამოიყენოს მისი ანგარიში ამ მუხლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

10b.4. წყლის ცხოველების საწარმოებლად და წყალმცენარეების შესაგროვებლად, მეწარმეს მოეთხოვება საწარმოო ერთეულის შესაბამისი რაციონალური მართვის გეგმის წარდგენა. გეგმა უნდა განახლდეს ყოველწლიურად; მასში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი წარმოების გავლენა გარემოზე, გარემოს მონიტორინგი და ის ღონისძიებები, რომელიც ჩატარდება, რომ შემცირდეს წარმოების უარყოფითი გავლენა მის მოსაზღვრე წყლისა და სახმელეთო გარემოზე, მათ შორის, რომ

შეძლებისადგვარად შემცირდეს საკვები ნივთიერებების გადაღვრა, წარმოების ყოველი ციკლის განმავლობაში ან ყოველწლიურად. გეგმაში უნდა ასახული იყოს ტექნიკური აღჭურვილობის ზედამხედველობა და რემონტი.

10b.5. სასურველია, რომ აკვაკულტურისა და წყალმცენარეების მეწარმემ გამოიყენოს აღდგენადი წყაროს ენერგია, გადაამუშავოს და ხელახლა გამოიყენოს გამოყენებული მასალები; აგრეთვე ჩართოს რაციონალური მართვის გეგმაში ნარჩენების შემცირების გრაფიკი, რაზეც ზრუნვა წარმოების დაწყებისთანავე უნდა დაიწყოს. სადაც შესაძლებელია, ნარჩენი სითბოს გამოყენება უნდა შეიცვალოს აღდგენადი წყაროს ენერგიით.

10b.6. წყალმცენარეების შეგროვებისას, ამოსაღები ბიომასის რაოდენობა უნდა განისაზღვროს წინასწარ.

**10c ველური ზღვის წყალმცენარეების რაციონალური შეგროვება**

10c.1 საწარმოში ან საწარმოს აკვატორიასა და შენობა-დანადგარებში უნდა მიმდინარეობდეს აღრიცხვა, რომელიც საშუალებას მისცემს ოპერატორს დაამტკიცოს, ხოლო სერტიფიცირების ორგანოს შეამოწმოს, რომ შემგროვებლებმა შეაგროვეს მხოლოდ ველური წყალმცენარეები ამ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

10c.2 წყალმცენარეები შეგროვება უნდა მიმდინარეობდეს ისეთი სახით, რომ შეგროვილმა რაოდენობამ არ მიაყენოს მნიშვნელოვანი ზიანი წყლის გარემოს. უნდა განისაზღვროს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყალმცენარეების რეგენერირებას, მაგალითად შეირჩეს შეგროვების მეთოდი, ასაღები წყალმცენარის მინიმალური ზომა, ასაკი, რეპროდუქციული ციკლი ან დარჩენილი წყალმცენარეების ზომა.

10c.3. თუ წყალმცენარეების შეგროვება ხდება საერთო სარგებლობის აკვატორიიდან, უნდა არსებობდეს დოკუმენტაცია, რომლითაც მტკიცდება, რომ შეგროვილი მოსავლის მთლიანი მოცულობა შეესაბამება წინამდებარე ბიოსტანდარტის მოთხოვნებს.

10c.4. საწარმოში უნდა იწარმოებოდეს ჩანაწერები, რომელთა დახმარებით მტკიდება, რომ წარმოების მართვა რაციონალურია და წარმოება არ ახდენს გავლენას წყალმცენარეების შეგროვების ადგილებზე ხანგრძლივი პერსპექტივის გათვალისწინებით.

**10d ზღვის წყალმცენარეების კულტივაცია**

10d.1. ზღვის წყალმცენარეების კულტურაში უნდა გამოიყენებოდეს საკვები ნივთიერებები, რომლებიც ბუნებრივად გვხდება გარემოში, ან წარმოადგენს წყლის ცხოველების ორგანული წარმოების შედეგს, რომელიც სასურველია, რომ იქვე იყოს განლაგებული და ერთიანი პოლიკულტურის ნაწილს წარმოადგენდეს.

10d.2. ხმელეთზე განლაგებულ შენობა-დანადგარებში, სადაც საკვები ნივთიერები გარედან შეაქვთ, გამდინარე წყალში საკვები ნივთიერებების კონცენტრაცია უნდა იყოს იგივე ან უფრო დაბალი, ვიდრე შემდინარე წყალში, რისი მტკიცებულებაც უნდა არსებობდეს. დაშვებულია მხოლოდ მე-2 დანართის პირველ ცხრილში ჩამოთვლილი მცენარეული და მინერალური წარმოშობის საკვები ნივთიერებების გამოყენება.

10d.3. აუცილებელია კულტივირების სიმჭიდროვისა და წარმოების ინტენსივობის დოკუმენტირებული აღრიცხვა, რაც გვაძლევს საშუალებას, რომ არ ავცდეთ წყალმცენარეების იმ მაქსიმალურ რაოდენობას, რომლის შეგროვება შესაძლებელია წყლის გარემოზე უარყოფითი გავლენის გარეშე და არ დავარღვიოთ წყლის გარემოს მთლიანობა.

10d.4. ბაგირები და ზღვის წყალმცენარეების მოვლა-მოყვანისათვის გამოყენებული სხვა აღჭურვილობა სასურველია, რომ ხელმეორედ იქნეს გამოყენებული, ან გადამუშავდეს, სადაც კი მიზანშეწონილია.

**10e წარმოების აღჭურვილობასა და დანადგარებზე მოდებული ორგანიზმების მოცილებისა და წმენდის ღონისძიებები**

10e.1. აღჭურვილობასა და დანადგარებზე მოდებული ორგანიზმები უნდა მოშორდეს მხოლოდ ფიზიკური მეთოდებით ან ხელით და თუ კი ეს შესაძლებელია, უნდა დაბრუნდეს ზღვაში, წარმოებისგან მოშორებით.

10e.2. აღჭურვილობა და ნაგებობები უნდა გაიწმინდოს ხელით ან მექანიკური მეთოდებით. იქ სადაც ეს არ არის საკმარისი, დაშვებულია მხოლოდ იმ ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ჩამოთვლილია ქვემოთ მოცემულ სიებში: **10e.3** საწმენდი და სადეზინფექციო საშუალებები, **10e.4** საწმენდი და სადეზინფექციო საშუალებები, რომელთა გამოყენება დაშვებულია წყლის ცხოველების არ ყოფნისას და **10e.5** შეზღუდული სია საშუალებებისა, რომელთა გამოყენება შეიძლება წყლის ცხოველთა თანდასწრებით.

**10e.3 საწმენდი და სადეზინფექციო საშუალებები**

— *კალიუმისა და ნატრიუმის საპონი*
— *წყალი და ორთქლი*
— *კირის რძე*
— *კირი*
— *ჩაუმქრალი კირი*
— *ნატრიუმის ჰიპოქლორიდი (მაგალითად როგორც თხევადი მათეთრებელი)*
— *კაუსტიკური სოდა*
— *მწვავე კალი*
— *წყალბადის ზეჟანგი*
— *ბუნებრივი მცენარეული ესენციები*
— *ლიმონის მჟავა, ზეძმარმჟავა, ჭიანჭველის მჟავა, რძის მჟავა, მჟაუნას მჟავა და ძმარმჟავა*

— *სპირტი*
— *აზოტის მჟავა (მერძევეობის აღჭურვილობა)*
— *ფოსფორის მჟავა (რძის აღჭურვილობა)*
— *ფორმალდეჰიდი*
— *ჯიქნისა და საწველი აპარატის საწმენდი საშუალებები*
— *ნატრიუმის კარბონატი*

**10e.4 საწმენდი და სადეზინფექციო საშუალებები, რომელთა გამოყენება დაშვებულია წყლის ცხოველების არ ყოფნის დროს**

— *ოზონი*
— *ნატრიუმის ჰიპოქლორიდი*
— *კალციუმის ჰიპოქლორიდი*
— *კალციუმის ჰიდროქსიდი*
— *კალციუმის ოქსიდი*
— *კაუსტიკური სოდა*
— *სპირტი*
— *სპილენძის სულფატი: მხოლოდ 2015 წლის 31 დეკემბრამდე*
— *კალიუმის პერმარგანატი*
— *კამელიას ბუნებრივი თესლის კოპტონი (გამოყენება შეიძლება მხოლოდ კრევეტის წარმოებაში)*
— *კალიუმის პეროქსომონოსულფატის და ნატრიუმ ქლორიდის ნარევი ჰიპოქლორული მჟავის მისაღებად*

**10e.5 შეზღუდული სია საშუალებებისა, რომელთა გამოყენება შეიძლება წყლის ცხოველთა თანდასწრებით.**

აღჭურვილობისა და შენობა-დანადგარების საწმენდი და სადეზინფექციო საშუალებები წყლის ცხოველების თანდასწრებით ან მათ გარეშე შეიძლება შეიცავდეს შემდექ აქტიურ ნივთიერებებს:

— *კირქვა (კალციუმის კარბონატი მჟავიანობის შესამცირებლად)*
— *დოლომიტი pH-ის კორექციისათვის (გამოყენება ნებადართულია მხოლოდ კრევეტების წარმოებით)*
— *ნატრიუმ ქლორიდი*
— *წყლის ზეჟანგი*
— *ნატრიუმის პერკარბონატი*
— *ორგანული მჟავები (ძმარმჟავა, რძემჟავა, ლიმონმჟავა)*
— *ჰუმინური მჟავა*
— *პეროქსიძმარმჟავა*
— *ზეძმარჟავა და პეროქტანოიკური მჟავა*
— *იოდოფორი (მხოლოდ კვერცხის არსებობის შემთხვევაში)*

**11.** (04.11.2016) **ქვემოთ მოცემულია ცვლილებები, რომელიც შევიდა ევროკომისიის რეგულაციის** (EC) 710/2009**საფუძველზე**

**11a.წყლის ცხოველების წარმოება**

ამ თავში მოცემულია თევზის, კიბოსებრთა, კანეკლიანთა და მოლუსკების წარმოების წესები. ეს წესები ეხება ზოოპლანქტონს, მიკრო-კიბორჩხალებს, მიკროკანეკლიანებს, ციბრუტელები, ჭიებს და სხვა ცხოველებს, რომლებიც წყალში იკვებებიან.

**11b.ორგანული და არაორგანული წყლის ცხოველების ერთდროული წარმოება**

11b.1. სერტიფიცირების ორგანომ შეიძლება დაუშვას, რომ ინკუბატორებში და სანაშენე მეურნეობებში ერთდროულად გამოიზარდოს ახალგაზრდა ორგანული და არაორგანული ცხოველები, იმ პირობით თუ ეს ერთეულები ფიზიკურად სრულად არიან განცალკევებული ერთმანეთისგან და მათ წყლის განაწილების სხვადასხვა სისტემები აქვთ.

11b.2. რაც შეეხება სასაქონლო წარმოებას, სერტიფიცირების ორგანომ შეიძლება დართოს ნება წყლის ორგანული და არაორგანული ცხოველების გამოზრდის საწარმოო ერთეულების ერთიდაიმავე მეურნეობაში არსებობა, თუ დაკმაყოფილდება ამ სტანდარტის პუნქტში 10b.2 მოცემული მოთხოვნები და თუ საქმე ეხება შესაბამისი წყლის ცხოველების წარმოების სხვადასხვა ფაზებს და გამოზრდის სხვადასხვა ვადებს. მწარმოებლებმა უნდა აწარმოონ აღრიცხვა, რომელშიც ასახული იქნება პარაგრაფში 11b.2. მოცემულ მოთხოვნების შესრულება.

**11c. წყლის გარემოს ვარგისობა და რაციონალური მართვის გეგმა**

ეს გეგმა უნდა შეესაბამებოდეს პარაგრაფში 10b მოცემულ მოთხოვნებს. ამის გარდა, რაციონალური მართვის გეგმაში უნდა ჩაიწეროს მტაცებელთა წინააღმდეგ განსახორციელებლი დაცვითი და პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს დირექტივაში 92/43/EEC(*) და ეროვნულ კანომდებლობაში. მეზობლად განლაგებულმა საწარმოებმა ერთმანეთთან კოორდინაციაში უნდა შეადგინონ მართვის გეგმები და ეს კოორდინაცია უნდა იყოს აღრიცხული.

11d. როდესაც წყლის ცხოველებს აწარმოებენ ტბორებში, რეზერვუარებში ან ***ლარვების გამოსაზრდელ მცირე ზომის აუზებში***, მეურნეობა უნდა იყოს აღჭურვილი ბუნებრივი ფსკერული ფილტრებით, სალექარებით, ბიოლოგიური ან მექანიკური ფილტრებით ნარჩენი საკვები ნივთიერებების შესაგროვებლად ან იყენებდეს წყალმცენარეებს და/ან ცხოველებს (ორსადგულიანს მოლუსკებს და წყალმცენარეებს), რომლებიც ხელს უწყობენ გამდინარე წყლის ხარისხის გაუმჯობესებას. გამდინარე წყლის მონიტორინგი უნდა ტარდებოდეს რეგულარულად, სად კი შესაძლებელია.

**11e. აკვაკულტურის ორგანული ცხოველების წარმოშობა**

ორგანულ აკვაკულტურაში ადგილობრივი გავრცელების სახეობების გამოყენებას ენიჭება უპირატესობა, ხოლო მათ სელექციაში ისეთი ფორმების გამოყვანას, რომლებიც უკეთ არიან შეგუულებული წარმოების პირობებს, უფრო ჯანმრთელნი არია და უფრო შედეგიანად იყენებენ საკვებს. სახეობების წარმოშობისა და მათი

მოვლა-გამოზრდის პირობების ამსახველი დოკუმენტაცია უნდა ხელმისაწვდომი იყოს სერტიფიცირების ორგანოსათვის

ისეთი სახეობები უნდა შეირჩეს, რომელთა წარმოება გარემოსათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშეა შესაძლებელი.

**11d. არაორგანული აკვაკულტურის ცხოველების წარმოშობა და მართვა**

11d.1 როდესაც ორგანული წყლის ცხოველები ხელმისაწვდომი არ არის, მეურნეობას შეუძლია წყლის ცხოველების მოშენებისათვის ან გენეტიკური გაუმჯობესებისათვის დაჭერილი ველური ან არაორგანული წყლის ცხოველების გამოყენება. ეს ცხოველები უნდა მოექცნენ ორგანული მართვის ქვეშ არანაკლებ სამი თვისა, სანამ შესაძლებელი გახდება მათი გამოყენება მოშენებისათვის.

11d.2. გამოზრდის მიზნით და როდესაც წყლის ცხოველების ახალგაზრდა ორგანული ინდივიდები არ არის ხელმისაწვდომი, მეურნეობაში არაორგანული ახალგაზრდა ინდივიდების შემოყვანა არის დაშვებული. საწარმოო ციკლის არანაკლებ ბოლო ორი მესამედისა, ამ ახალგაზრდა ინდივიდების მოვლა-შენახვა ორგანული მართვის პრინციპების შესაბამისად უნდა მიმდინარეობდეს.

11d.3. იმ შემთხვევაში, როდესაც ახალგაზრდა ორგანული ცხოველები ხელმისწავდომია, ახალგაზრდა არაორგანული ცხოველთა წილი უნდა შემცირდეს 0%-მდე 2016 წლის 31 დეკემბრისათვის. სერტიფიცირების ორგანოს უფლება აქვს ყველა ცალკეულ შემთხვევაში დანიშნოს ახალგაზრდა არაოორგანული ცხოველების ორგანულ აკვაკულტურაში 80-50%-დან 0%-მდე გამოყენების ბოლო ვადები.

11d.4. გამოზრდის საჭიროებისათვის, ველური ახალგაზრდა წყლის ცხოველების გამოყენება ნებადართულია შემდეგ შემთხვევებში:

(a) თევზისა და კიბოსნაირთა ლარვის ბუნებრივი შემოდინება ტბორების, კონტეინერული სისტემებისა და რეზერვუარების ავსებისას;

(b) ევროპული გველთევზის მოშენება, თუ გველთევზას მართვის გეგმა მოცემული ადგილისათვის დამტკიცებულია, ხოლო გველთევზას ხელოვნური კვლავწარმოების საკითხი არ არის გადაწყვეტილი.

(c) თევზის წვრილი სახეობების (გველთევზას გარდა) შეგროვება ჭარბტენიან ადგილებში ტრადიციული ექსტენსიური აკვაკულტურისათვის, როგორიცაა მლაშეწყლიანი ტბორები, ზღვის მოქცევის ადგილები და სანაპირო ლაგუნები, რომლებიც შემოსაზღრულია დამბებით და ნაპირებით, თუ დაცული იქნება შემდეგი პირობები:

(i) თევზების შევსების პროცესი იმართება წესების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია თევზის რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი ოფიციალური ორგანოს მიერ, რაც უზრუნველყოფს ამ რესურსების რაციონალურ მართვას.

(ii) თევზი იკვებება მხოლოდ ბუნებრივი საკვებით, რომელიც ხელმისაწვდომია მოცემულ გარემოში.

## 11e წყლის ცხოველების მოშენების ზოგადი წესები

11e.1 წყლის ცხოველების მოშენების გარემო ისე უნდა მოეწყოს, რომ სახეობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, წყლის ცხოველებს ჰქონდეთ:

(a) საკმარისი სივრცე, მათი კეთილდღეობისათვის;
(b) ჟანგბადით საკმარისად მდიდარი, მაღალი ხარისხის წყალი;
(c) მათი სახეობრივი მოთხოვნების შესაბამის ტემპერატურა და განათების პირობები, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით;
(d) მტკნარი წყლის თევზის შემთხვევაში, ფსკერის ტიპი, რომელიც რაც შეიძლება ახლოა ბუნებრივთან;
(e) კობრის შემთხვევაში, ბუნებრივი გრუნტის ფსკერი.

11e.2. ცხოველთა სიმჭიდროვე და წარმოების მეთოდები სახეობების ან სახეობათა ჯგუფების მიხედვით მოცემულია 11e.3 -ში. სიმჭიდროვის თევზის კეთილდღეობაზე გავლენის შეფასებისას, აუცილებელია თევზის მდგომარეობისა (როგორიცაა ფარფლის დაზიანება, სხვა დაზიანებები, ზრდის სიჩქარე, გამოხატული ქცევა და ზოგადი ჯანმრთელობა) და წყლის ხარისხის მონიტორინგი.

წყლის დახურული სისტემების დიზაინი და კონსტრუქცია უნდა უზრუნველყოფდეს დინების ისეთ სიჩქარესა და ფიზიკურ-ქიმიურ მახასიათებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველთა ჯანმრთელობას და კეთილდღეობას და შეესაბამებიან მათ ქცევით მოთხოვნებს.

წყლის ცხოველთა შემოკავების სისტემები ისე უნდა მოეწყოს, განლაგდეს და ფუნქციონირებდეს, რომ გაქცევის საფრთხე მინიმუმამდე იყოს დაყვანილი.

თუ თევზი ან კიბოსნაირი გაიქცა, უნდა ჩატარდეს შესაბამისი ქმედებები, რომ შემცირდეს გავლენა ადგილობრივ ეკოსისტემაზე, მათ შორის გაქცეული ცხოველების დაჭერა, სადაც კი ეს შესაძლებელია. აუცილებელია ამ ქმედებების აღრიცხვა.

### 11e.3 ორგანული სახეობების სიმჭიდროვე

11e.3.1 ორაგულისებრთა ორგანული წარმოება მტკნარ წყალში:
ყავისფერი კალმახი "კუმჟა" (*Salmo trutta*) — ცისარტყელა კალმახი (*Oncorhynchus mykiss*) — ამერიკული ნაკადულის კალმახი" (*Salvelinus fontinalis*) — ორაგული (*Salmo salar*) — გოჭალა (*Salvelinus alpinus*) — ჰარიუსი (*Thymallus thymallus*) — ამერიკული ტბის კალმახი (ან რუხი კალმახი) (*Salvelinus namaycush*) — დუნაის კალმახი (*Hucho hucho*)

| | |
|---|---|
| წარმოების სისტემა | სასაქონლო გამოზრდის საწარმოო სისტემას წყალი უნდა მიეწოდოს ღია სისტემებიდან. ნაკადის სიჩქარე უნდა უზრუნველყოფდეს წყლის ჟანგბადით როგორც მინიმუმ 60%-იან გაჯერებას, თევზის ჯოგისათვის კომფორტს და გამორიცხავდეს |

| | |
|---|---|
| | წყლის გარემოს დაბინძურებას. |
| თევზის მაქსიმალური სიმჭიდროვე | ორაგულისებრი თევზები, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ამ ცხრილში ქვემოთ - 15kg/m$^3$<br>ორაგული - 20kg/m$^3$<br>ყავისფერი კალმახი და ცისარტყელა კალმახი - 25kg/m$^3$<br>გოჭალა - 25kg/m$^3$ |

11e.3.2 ორაგულისებრთა ორგანული წარმოება ზღვის წყალში: ორაგული *(Salmo salar)*, ყავისფერი კალმახი *(Salmo trutta)* — ცისარტყელა კალმახი *(Oncorhynchus mykiss)*

| | |
|---|---|
| მაქსიმალური სიმჭიდროვე | 10kg/m$^3$ ბადის გალიებში |

11e.3.3 ვირთევზას *(Gadus morhua)* და სხვა მისი მონათესავე Gadidae, ზღვის ქორჭილას *(Dicentrarchus labrax)*, ზღვის კაპარჭინა *(Sparus aurata)*, სციენა ანუ გორბილი *(Argyrosomus regius)*, პალტუსი *(Psetta maxima [= Scopthalmus maximux])*, წითელი კარჩხანა *(Pagrus pagrus [= Sparus pagrus])*, წითელი სციენა ანუ წითელი გორბილი *(Sciaenops ocellatus)* და სხვა *Sparidae*, და სიგისნაირები (*Siganus* spp.) ორგანულიწარმოება

| | |
|---|---|
| წარმოების სისტემა | ღია სისტემის წყალსატევებში (ბადის გალიები), რომელშიც უზრუველყოფილია თევზების კეთილდღეობისათვის საჭირო ზღვის წყლის ნაკადის მინიმალური სიჩქარე ან ღია სისტემები ხმელეთზე |
| თევზის მაქსიმალური სიმჭიდ | სხვა თევზი, გარდა პალტუსისა 15kg/m$^3$<br>პალტუსი 25kg/m$^3$ |

11e.3.4 ზღვის ქორჭილას, ზღვის კაპარჭინა, გორბილი, კეფალის *(Liza, Mugil)* და გველთავზას (*Anguilla spp.*) ორგანული წარმოება ზღვის მიმოქცევის ზონის ტბორებში და სანაპირო ლაგუნებში

| | |
|---|---|
| წყლის შემოკავების სისტემა | ჩვეულებრივი მარილწყლიანი ორმოები გარდაიქმნება აკვაკულტურის საწარმო ერთეულად; ანალოგიურად გამოიყენება ტბორები ზღვის მიმოქცევის ზონაში |
| წარმოების სისტემა | წყლის ბრუნვა-განახლება უნდა იყოს საკმარისი, რომ უზრუნველყოფდეს თევზების სახეობების კეთილდღეობას.<br>დამბების მინიმუმ 50% უნდა დაფარული იყოს მცენარეული საფარით.<br>აუცილებელია, ბიოგაწმენდის ტბორები. |
| მაქსიმალური სიმჭიდროვე | 4 kg/m$^3$ |

11e.3.5 ზუთხისებრთა ორგანული წარმოება მტკნარ წყალში. *Acipenser* –ის ოჯახის სახეობები

| | |
|---|---|
| წარმოების სისტემა | წყლის ნაკადი ყველა სათევზმეურნეო სექციაში უნდა იყო საკმარისი, რომ უზრუნველყოს წყლის ცხოველთა კეთილდღეობა. |
| | გამდინარე წყლის ხარისხი უნდა ეკვივალენტური იყოს შემდინარე წყლის ხარისხისა |

| | |
|---|---|
| მაქსიმალური სიმჭიდროვე | 30 kg/m$^3$ |

**თევზის ორგანული წარმოება შიდა წყალსატევებში**

11e.3.6 კობრის ოჯახის *(Cyprinidae)* სახეობები და სხვა პოლიკულტურაში მასთან ასოცირებული სახეობები, მათ შორის ქორჭილა, ქარიყლაპია, ლოქო, სიგისნაირნი, ზუთხი.

| | |
|---|---|
| წარმოების სისტემა | სათევზე ტბორებში, რომლებიც პერიოდულად სრულად იცლება წყლისგან და ტბებში. ტბები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ორგანული წარმოებისათვის, ტბების მშრალ მონაკვეთებზე გაშენებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჩათვლით.<br>თევზჭერის ზონა უნდა აღჭურვილი იყოს სუფთა წყლის მიწოდების სისტემით და იყოს ისეთი ზომის, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ კომფორტს თევზისათვის. თევზის ამოჭერის შემდეგ თევზი უნდა ინახებოდეს სუფთა წყალში. |
| | ტბორებსა და ტბებში ორგანული და მინერალური სასუქის შეტანა უნდა ხდებოდეს "გრინ კავკაზუსის სტანტარტის" დანართების შესაბამისად და იმის გათვალისწინებით, რომ შეტანის მაქსიმალური დოზა არ უნდა აღემატებოდეს 20 კგ აზოტს ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით.<br>საწარმოო წყალსატევებში სინთეტიკური ქიმიური ნივთიერებების გამოყენება ჰიდროფიტებისა და მცენარეული საფარის წინააღმდეგ დაუშვებელია.<br>ორგანული აკვაკულტურის წესების თანახმად, შიდა წყალსატევების გარშემო აუცილებელია ბუფერული ზონის სახით ბუნებრივი მცენარეულობის შენარჩუნება, რომ ისინი გაემიჯნონ მათ გარშემო არსებულ მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც სასოფლო-სამეურნეო წარმოება არ მიმდინარეობს ორგანული სტანდარტის მოთხოვნათა დაცვით.<br>სასაქონლო გამოზრდის დროს პოლიკულტურა დაშვებულია იმ პირობით, რომ ამ სტანდარტში მოცემული მოთხოვნები ტბის თევზის სხვა სახეობებისთვისაც იქნება დაცული. |
| ჩასმის სიმჭიდროვე | სახეობების მაქსიმალური წარმოება შეზღუდულია 1500 კგ თევზით ერთ ჰექტარზე ერთ წელიწადში |

11e.3.7 penaeid–ის ჯგუფის კრევეტებისა და მტკნარი წყლის კრევეტების (*Macrobrachium* spp.) ორგანული წარმოება:

| | |
|---|---|
| საწარმოო ერთეულ(ებ)ის შექმნა | საწარმოო ერთეული უნდა განლაგდეს სტერილური თიხის ზონაში, რომ ტბორის მშენებლობის გავლენა გარემოზე მინიმალური იყოს. ტბორი უნდა აშენდეს ბუნებრივი არსებული თიხით. მანგრების გაჩეხვა დაუშვებელია. |
| გარდამავალი პერიოდის ხანგრძლ | ტბორზე ექვსთვიანი პერიოდი, რაც შეესაბამება კრევეტის სიცოცხლის ნორმალურ ხანგრძლივობას წარმოებაში |
| სადედე გუნდის წარმომავლობა | გუნდის მინიმუმ ნახევარი უნდა იყოს გაკულტურებუილი სამწლიანი მუშაობის შედეგად. დანარჩენ ნახევარს უნდა წარმოადგენდეს პათოგენებისგან თავისუფალ ველურ სადედე გუნდს, რომელიც მიღებულია მდგრადი თევზჭერის საწარმოებიდან. სავალდებულოა პირველი და მეორე თაობის სკრინინგი ველური სადედე გუნდის მეურნეობაში შეყვანამდე. |

| | |
|---|---|
| თვალის ღერძის ამპუტაცია | დაუშვებელია |
| ჩასმის სიმჭიდროვე და წარმოების მაქსიმალური რაოდენობა | ჩასმა: მაქსიმუმ 22 წამოზრდილი ლარვა მ2-ზე.<br>მაქსიმალური ერთდროული ბიომასა: 240 გ/მ$^2$. |

11e.3.7 (a) მდინარის კიბოს ორგანული წარმოება. სახეობები: *Astacus astacus, Pacifastacus leniusculus.*

| | |
|---|---|
| მაქსიმალური სიმჭიდროვე: | მცირე ზომის (< 20 მმ) კიბოებისათვის: 100 ინდივიდი/მ2<br>საშუალო ზომის (20-50 მმ) კიბოებისათვის: 30 ინდივიდი/მ2<br>ზრდასრული ზომის (>50მმ) კიბოებისათვის: 10 ინდივიდი/მ2 |

11e.3.8 მოლუსკები და ნემს-კანიანები:

| | |
|---|---|
| წარმოების სისტემა | იარუსები, ტივები, ფსკერის კულტურა, ბადის ტომრები, გალიები, ავზები, ფანრებიანი ბადეები, ბოძები "ბუშო" და ლოკალიზაციის სხვა საშუალებები.<br>ტივებზე მიდიების კულტივაციისათვის წყალში ბაგირების (канат) რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 1-ს ზედაპირის კვადრატულ მეტრზე გადაანგარიშებით. ბაგირის მაქსიმალური სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 20 მეტრს. ბაგირების გამოხშირვა საწარმოო ციკლის მიმდინარეობის პერიოდში დაუშვებელია. მაგრამ შესაძლებელია ბაგირების ისე დაყოფა, რომ არ გაიზარდოს გუნდის (стадо) საწყისი სიმჭიდროვე. |

11e.3.9 მტკნარი წყლის ტროპიკული თევზები: ხანოსი (რძის თევზი, *Chanos chanos*), ტილაპია (*Oreochromis* spp.), სიამის ლოქო (*Pangasius* spp.):

| | |
|---|---|
| წარმოების სისტემა | ტბორები და ბადის გალიები. |
| მაქსიმალური სიმჭიდროვე: | პანგასიუსი: 10kg/m$^3$ |
| | ტილაპიები: 20kg/m$^3$ |

წყლის ცხოველთა სხვა სახეობები: "არა".

### 11e.4 წყლის ჩაკეტილი სისტემების სპეციფიკური წესები

(1) დახურული წყალბრუნვის აკვაკულტურული დანადგარების გამოყენება აკრძალულია, გარდა ინკუბატორებისა და საშენების, აგრეთვე იმ სახეობების წარმოების შემთხვევაში, რომლებიც ორგანული საკვებისათვის გამოიყენება.

სანაშენე საწარმოები, რომლებიც ხმელეთზეა განლაგებული, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

(a) გამდინარე სისტემებში უნდა შესაძლებელი იყოს დინების სიჩქარისა და წყლის ხარისხის მონიტორინგი და კონტროლი, როგორც შემდინარე, ისე გამდინარე ნაკადებში;

(b) გარე პერიმეტრის (წყლისა და ხმელეთის საზღვრის) მინიმუმ 5% უნდა დაფარული იყოს ბუნებრივი მცენარეულობით.

(2) წყლის ჩაკეტილი სისტემა ზღვაზე:

(a) უნდა განთავსდეს ისეთ ადგილას, სადაც წყლის მოძრაობა, სიღრმე და წყლის ბრუნვის სიჩქარე უზრუნველყოფს გავლენის მინიმუმამდე დაყვანას ფსკერსა და წყალზე;

(b) უნდა ჰქონდეს ექსპლოატაციის პირობების შესაფერისი დიზაინი, კონსტრუქცია და ტექნიკური მომსახურეობა;

(3) წყლის ხელოვნური გათბობა ან გაგრილება დაშვებულია მხოლოდ ინკუბატორებსა და სანაშენეებში. წყლის გასათბობად ან გასაგრილებლად, წარმოების ნებისმიერ საფეხურზე, დაშვებულია ჭაბურღილებიდან ბუნებრივი წყლის გამოყენება.

**11e.5 წყლის ცხოველების მართვა**

(1) წყლის ცხოველებით მანიპულირება მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი; ყველა სამუშაო მხოლოდ დიდი სიფრთხილით, შესაბამისი აღჭურვილობითა და პროცედურებით უნდა შესრულდეს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ცხოველების მანიპულირებასთან დაკავშირებული სტრესი და ფიზიკური დაზიანება. სადედე გუნდების მანიპულირება დასაშვებია მხოლოდ ისეთი მეთოდებით, რომლებსაც მინიმუმამდე დაყავს ფიზიკური დაზიანება, საჭიროებისამებრ შეიძლება ანესთეზიის გამოყენება. თევზის დახარისხების პროცედურები უნდა იქნას დაყვანილი მინიმუმამდე და სრულდებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს თევზის კეთილდღეობისათვის არის აუცილებელი.

(2) ხელოვნური განათების გამოყენება უნდა შეიზღუდოს შემდეგი წესების მიხედვით:

(a) დღის ბუნებრივი განათების ხანგრძლივობის გაგრძელება არ უნდა აცდეს მაქსიმუმს, რომელიც შეესაბამება წყლის ცხოველების ეტოლოგიურ მოთხოვნებს, გეოგრაფიულ პირობებს და ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობას; ამ მაქსიმუმმა არ უნდა გადააჭარბოს 16 საათს დღეში, გარდა რეპროდუქციული საჭიროების შემთხვევებში;

(b) წყლის ცხოველებს უნდა ავარიდოთ განათების ინტენსივობის მკვეთრი ცვლილება შუქების ჩართვა-გამორთვის დროს, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ რეგულირებადი მანათებლები ან ფონური განათება.

(3) აერაცია დასაშვებია წყლის ცხოველთა კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით, თუ ამისათვის გამოიყენება მექანიკური აერატორები, რომლებიც სასურველია, რომ განახლებად ენერგიაზე მუშაობდნენ. ასეთი აღჭურვილობის გამოყენება აუცილებლად უნდა აისხაოს საწარმოო აღრიცხვაში

(3) ჟანგბადის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ან წარმოებისა და ტრანსპორტირების კრიტიკულ პერიოდებში, შემდეგ შემთხვევებში:

(a) ატმოსფერული ტემპერატურისა ან წნევის აწევის გამონაკლის შემთხვევებში ან შემთხვევითი დაბინძურების დროს;

(b) წყლის ცხოველთა გუნდის (стадо) მართვის ზოგიერთი პროცედურის შესრულებისას, როგორიცაა ნიმუშების აღება ან სორტირება;

(c) როდესაც ეს საჭიროა საწარმოს ცხოველთა გუნდის გადასარჩენად.

აუცილებელია ამ შემთხვევების საწარმოო აღრიცხვა.

(5) დაკვლის მეთოდები უნდა უზრუნველყოფდნენ თევზის მიერ გონებისა და ტკვილის შეგრძნების მომენტალურ დაკარგვას. დაკვლის ოპტიმალური მეთოდის შერჩევისას აუცილებელია მოსავლის მოცულობის, სახეობის და წარმოების ადგილის გათვალისწინება.

**11e.6 თევზის, კიბოსნაირთა და კან-ეკლიანთა მოშენება და კვება**

(1) ჰორმონების და მათგან წარმოებული პრეპარატების გამოყენება აკრძალულია;

(2) კვების რეჟიმი უნდა შემუშავდეს ისე, როგორც ამას კვების ზოგადი წესები მოითხოვს, შემდეგი პრიორიტეტების გათვალისწინებით:

(a) ცხოველთა ჯანმრთელობა;

(b) პროდუქციის მაღალი ხარისხი, მათ შორის საკვები ნივთიერებების მაღალი შემცველობა, რაც უზრუნველყოფს საბოლოო საჭმელად ვარგისი პროდუქტის მაღალ ხარისხს;

(c) მცირე გავლენა გარემოზე.

**(3) წყლის ხორცისმჭამელი ცხოველების კვების სპეციფიკური წესები**

(3).1 წყლის ხორცისმჭამელ ცხოველთა გამოსაკვებად საკვები მასალის პრიორიტეტულ წყაროებს წარმოადგენს:

(a) აკვაკულტურაში წარმოებული ორგანული წარმოშობის საკვები პროდუქცია;

(b) ორგანულ აკვაკულტურის თევზის ნარჩენებისაგან (ჩამონაჭრებისგან) მიღებული თევზის ფქვილი და თევზის ზეთი;

(c) მდგრად თევზსაჭერებზე ადამიანის მოსახმარად დაჭერილი თევზის ჩამონაჭრებისგან მიღებული თევზის ფქვილი, თევზის ზეთი და სხვა ინგრედიენტები;

(d) ამ სტანდარტში ჩამოთვლილი მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ორგანული საკვები მასალები, როგორც ეს ჩამოთვლილია ამ სტანდარტის დანართში და იმ დანართშივე მოცემული შეზღუდვის გათვალისწინებით. ეს შეზღუდვა წყლის ცხოველების შემდეგ საკვებ მასალებს ეხება:

- *ფერმენტის მოქმედებით მიღებული ჰიდროლიზისა და პროტეოლიზის პროდუქტები, ხსნად თუ უხსნად ფორმაში, რომლებიც ნებადართულია მხოლოდ აკვაკულტურის ცხოველებისა და ახალგაზრდა შინაური ცხოველებისათვის.*

- *კიბოსნაირთა ფქვილი*

(e) ევროკავშირის პარლამანეტისა და საბჭოს რეგულაციის 1380/2013 მოთხოვნათა მიხედვით, კომპეტენტური სამთავრობო დაწესებულების მიერ სერტიფიცირებული, მდგრადი თევზჭერით მოპოვებული მთლიანი თევზის გადამუშავებით მიღებული პროდუქტი.

(3).2 კვების რაციონში ორგანული მცენარეული პროდუქტების წილი შეიძლება შეადგენდეს მაქსიმუმ 60%.

(3).3 ორაგულისა და კალმახის კვების რაციონში, ამ სახეობების ფიზიოლოგიური მოთხოვნების საზღვრებში, დაშვებულია უპირატესად ორგანული წყაროებიდან მოპოვებული ***ასტაქსანტინის***, გამოყენება, როგორიცაა კიბოსნაირთა ნიჟარები. თუ ორგანული ასტაქსანტინის ხელმისაწვდომი არ არის, დასაშვებია ბუნებრივი წყაროს ასტაქსანტინის (Phaffia-ს საფუარის) გამოყენება.

(3).4 ორაგულისებრთა კვების რაციონში დაშვებულია ფერმენტაციით მიღებული ჰისტიდინის გამოყენება, როდესაც პარაგრაფში (3).1 ჩამოთვლილი წყაროები ვერ უზრუნველყოფენ თევზის კვების რაციონისათვისა და კატარაქტის პროფილაქტიკისათვის ჰისტიდინის საჭირო რაოდენობას.

**(4) ზოგიერთი წყლის ცხოველის კვების განსაკუთრებული წესები**

1. ზრდის სტადიაში წყლის ცხოველები, როგორც ეს მითითებულია პარაგრაფებში 11e.3.6, 11e.3.7 და 11e.3.9 უნდა იკვებებოდნენ ტბორებსა და ტბებში ბუნებრივად ხელმისაწვდომი საკვებით.

2. როდესაც ბუნებრივი საკვები რესურსები არ არის ხელმისაწვდომი საკმარისი რაოდენობით, როგორც ეს მითითებულია პარაგრაფში 1, დაშვებულია უპირატესად ამავე მეურნეობაში მოყვანილი ორგანული მცენარეული საკვების, ან წყალმცენარეების გამოყენება. მეწარმემ უნდა აწარმოოს ჩანაწერები, რომლებშიც დოკუმენტურად იქნება ასახული დამატებითი საკვების საჭიროება.

3. როდესაც ბუნებრივი საკვების ჩანაცვლება ხდება მეორე პარაგრაფში მოცემული პირობის მიხედვით:

(a) სიამურის ლოქოს (*Pangasius* spp.) კვების რაციონი, როგორც ეს მითითებულია პარაგრაფში 11e.3.7, შეიძლება შედგებოდეს, მდგრადი თევზჭერით მიღებული არაუმეტეს 10% თევზის ფქვილისა ან თევზის ზეთისგან.

(b) კრევეტების და მტკნარი წყლის კრევეტების კვების რაციონში, როგორც ეს მითითებულია პარაგრაფში 11e.3.7, შეიძლება შედიოდეს მდგრადი თევზჭერით მიღებული მაქსიმუმ 25% თევზის ფქვილი და 10% თევზის ზეთი. კრევეტების და მტკნარი წყლის კრევეტებისთვის საკვების საკმარისი რაოდენობით მისაწოდებლად, მათ რაციონს შეიძლება დაემატოს ორგანული ქოლესტეროლი; თუ ორგანული ქოლესტეროლი არ არის ხელმისაწვდომი, შეიძლება მატყლისგან, მოლუსკებისგან ან სხვა ნედლეულისაგან მიღებული არაორგანული ქოლესტეროლის გამოყენება. კვების რაციონში ქოლესტეროლის დამატება შესაძლებელია როგორც სანაშენეებში (ინკუბატორებში) ასევე ზრდის ადრეულ სტადიაში.

**(4)(a) ახალგაზრდა ორგანული ინდივიდების კვების განსაკუთრებული წესები**

ლარვის სტადიაში ორგანული ინდივიდების გამოსაზრდელად შეიძლება საკვებად არაორგანული ფიტოპლანქტონისა და ზოოპლანქტონის გამოყენება.

(5) ორგანულ აკვაკულტურაში შეიძლება *ცხოველური და მინერალური წარმოშობის საკვები მასალების* გამოყენება, თუ ისინი ჩამოთვლილია ამ სტანდარტში. *საკვები დანამატების, მეცხოველეობაში გამოყენებული ზოგიერთი პროდუქტის და ტექნოლოგიური დანამატის* გამოყენება მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუ ისინი ჩამოთვლილია ამ სტანდარტში და იმ შეზღუდვების ან ნებართვების გათვალისწინებით, რომლებიც მათზე ვრცელდება.

*მონოგასტრული და წყლის ცხოველების საკვებში დაშვებულია ბუნებრივი ვიტამინების იდენტური სინთეზური ვიტამინების გამოყენება.*

წყლის ცხოველებისათვის დაშვებულია აგრეთვე შემდეგი ნივთიერებების გამოყენება:

*ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ნივთიერებები;*
*E306 — ბუნებრივი წარმოშობის ტოკოფეროლით მდიდარი ექსტრაქტების ანტიოქსიდანტური დანიშნულებით გამოყენება*

*ბუნებრივი ანტიოქსიდანტური ნივთიერებები (დაშვებულია მხოლოდ აკვაკულტურის საკვებად გამოყენება)*

*ემულსიფიცირებელი და მასტაბილიზირებელი აგენტები – ორგანული წარმოშობის ლეციტინი (დაშვებულია მხოლოდ აკვაკულტურის საკვებად გამოყენება)*

**11e.7 განსაკუთრებული წესები მოლუსკებისათვის**

**(1) გამოზრდის ადგილი**

ორსადგულიანი მოლუსკების წარმოება შესაძლებელია წყლის იმავე მასაში, რომელშიც იწარმოება ორგანული თევზი და ზღვის წყალმცენარეები, რაც პოლიკულტურას წარმოქმნის და რაც შესაბამისად უნდა იყოს ასახული ორგანული წარმოების გეგმაში. შესაძლებელია აგრეთვე ორსადგულიანი მოლუსკების გამოზრდა მუცელფეხიან მოლუსკებთან ერთად, როგორიცაა წყლის ნაპირის ლოკოკინა.

ორგანული ორსადგულიანი მოლუსკების წარმოება უნდა გამოყოფილი იყოს ბოძებით, ტივტივებით ან თვალით კარგად ხილული სხვა მარკერებით და, საჭიროებისამებრ, უნდა იყოს შემოსაზღვრული ბადეებით, ბადის მახეებით და სხვა ხელოვნური კონსტრუქციებით.

მოლუსკთა წარმოებაში მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი დაცული სახეობების საფრთხეები. თუ ბადე გამოიყენება მტაცებელ სახეობათა წინააღმდეგ, მისი სტრუქტურა არ უნდა აყენებდეს ზიანს მცურავ და მყვინთავ ფრინველებს.

### (2) სარეპროდუქციო მასალის წყარო

იმ პირობით, რომ გარემოს არ მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი და არ იკრძალება ადგილობრივი კანონმდებლობით, ორსადგულიანი კიბოსნაირთა გამოსაზრდელად შეიძლება საწარმოს ფარგლებს გარეთ მოპოვებული ველური სათესლე მასალის გამოყენება, თუ ამ მისი წარმოშობა შემდეგია:

(a) კოლონიები, რომლებიც სავარაუდოდ ვერ გადაიზამთრებენ, ან რომელთა სიმჭიდროვე საჭიროზე მეტია;

(b) მოლუსკთა ბუნებრივი კოლონიები, რომლებიც კოლექტორებზე წარმოიქმნება.

აუცილებელია საწარმოო აღიცხვა, რომელშიც აისახება, თუ როგორ, სად და როდის შეგროვდა ველური თესლი, რომ შესაძლებელი იყოს საბოლოო პროდუქტიდან თესლის შეგროვების ადგილამდე მიკვლევა.

ინკუბატორებში წარმოებული არაორგანული ორსადგულიანი მოლუსკების თესლი შეიძლება გამოყენებულ იქნას ორგანულ საწარმოებში შემდეგი მაქსიმალური ზღვრების გათვალისწინებით: 80% 2011 წლის დეკემბრამდე, 50% 2014 წლის დეკემბრამდე და 0% 2016 წლის დეკემბრამდე.

გიგანტური ხამანწკას *Crassostrea gigas* შემთხვევაში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კოლონიებს, რომლებიც ხელოვნურადაა გამოყვანილია ველურ გარემოში ქვირითობის შესამცირებლად.

### (3) მართვა

1. წარმოებაში გამოყენებული სიმჭიდროვე არ უნდა აღემატებოდეს მოცემულ რეგიონში არაორგანული მოლუსკების წარმოებაში გამოყენებულ სიმჭიდროვეს. დახარისხება, გამოხშირვა და სიმჭიდროვის კორექტირება უნდა შეესაბამებოდეს ბიომასას და უზრუნველყოფდეს ცხოველთა კეთილდღეობასა და მაღალხარისხიანი პროდუქციის მიღებას.

2. მოდებული ორგანიზმების (პერიფოტონური შემონაზარდისა და კოლონიური დასახლებების) მოშორება შეიძლება მხოლოდ ფიზიკური მეთოდებით ან ხელით. სადაც მიზანშეწონილია, ეს ორგანიზმები უნდა დააბრუნონ ზღვაში, მოლუსკების წარმოებისგან მოშორებით. მოდებულ ორგანიზმთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მოლუსკების კირიანი ხსნარით დამუშავება საწარმოო ციკლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ არის დაშვებული.

**(4) კულტივაციის წესები**

1. ორგანულ წარმოებაში დაშვებულია კულტივაცია სპეციალურ ბაგირებზე ან სხვა მეთოდებით, რომლებიც მითითებულია პარაგრაფში 11e.3.8.

2. მოლუსკების ფსკერზე კულტივაცია დაშვებული მხოლოდ ისეთ ადგილებში, სადაც მოლუსკების შეგროვება და გამოზრდა არ აყენებს გარემოს მნიშვნელოვან ზიანს. გარემოზე მინიმალური გავლენა უნდა დადასტურებული იყოს საექსპლოატაციო ზონის ეკოლოგიური ექსპერტიზით, რომლის ანგარიში მეწარმემ უნდა წარუდგინოს მაკონტროლებელ დააწესებულებას ან სერტიფიცირების ორგანოს. ექსპერტიზის ანგარიში უნდა ცალკე თავად შევიდეს რაციონალური მართვის გეგმაში.

**(5) ხამანწკის კულტივაციის განსაკუთრებული წესები**

დაშვებულია პლატფორმებზე ტომრებში კულტივაცია. ეს ან სხვა სტრუქტურები, რომლებშიც ხდება ხამანწკების გამოზრდა, ისე უნდა განთავსდნენ, რომ არ წარმოიქმნას სანაპიროს გასწვრივ უწყვეტი ბარიერი. წარმოების მაქსიმალური ეფექტიანობისათვის ახალგაზრდა არსებები უნდა ფრთხილად განთავსდნენ ქილებზე ზღვის მიმოქცევით გამოწვეული დინების მიმართულების გათვალისწინებით. წარმოებამ უნდა დააკმაყოფილოს პარაგრაფში 11e.3.8 ჩამოთვლილი კრიტერიუმები.

**11e.8 დაავადებების პროფილაქტიკა და ვეტერინარული მკურნალობა**

**(1) ზოგადი წესები**

1. ჯანმრთელობის დაცვის გეგმაში, ევროკავშირის რეგულაციის *2006/88/EC* მე-9 თავის მოთხოვნების შესაბამისად, უნდა დეტალურად გაიწეროს საწარმოში გამოყენებული ბიოუსაფრთხოებისა და დაავადებათა პროფილაქტიკის ღონისძიებები, მათ შორის შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრული, წარმოების მოცულობის პროპორციული ვეტერინარული საკონსულტაციო მომსახურეობა, რომელსაც უზრუნველყოფენ წყლის ცხოველების ვეტერინარიის კვალიფიცირებული სპეციალისტები და რომლებიც მეურნეობაში მდგომარეობის შეფასებას ატარებენ არანაკლებ წელიწადში ერთხელ, ხოლო ორსადგულიანი მოლუსკები შემთხვევაში არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ.

2. აუცილებელია შენახვის სისტემების, დანადგარების და ინსტრუმენტების ჯეროვანი წმენდა და დეზინფექცია. მხოლოდ ამ სტანდარტში ჩამოთვლილი საშუალებების გამოყენებაა ნებადართული.

3. შესვენებასთან დაკავშირებით:

(a) კომპეტენტურმა ორგანომ უნდა განსაზღვროს ზღვაში განლაგებულ ღია წყალში გამოზრდის სისტემებში შესვენების აუცილებლობა და შესვენების საჭირო ხანგრძლივობა, რისი შესრულება უნდა დოკუმენტურად აღირიცხოს ყოველი საწარმოო ციკლის შემდეგ. შესვენება რეკომენდებულია აგრეთვე წარმოების სხვა სისტემებისათვის, რომლებშიც გამოიყენება რეზერვუარები, ტბორი ან გალიები;

(b) შესვენება არ არის აუცილებელი ორ-სადგულიანი მოლუსკების გამოზრდისათვის.

(c) შესვენების დროს გალია ან სხვა სტრუქტურა, რომელიც გამოიყენება წყლის ცხოველის წარმოებისათვის, უნდა გამოცარიელდეს, ჩატარდეს მისი დეზინფექცია და დარჩეს ცარიელი, სანამ მოხდება მისი ხელმეორედ გამოყენება.

4. სადაც კი მიზანშეწონილია, გარემოს დაბინძურების, კერძოდ კი წყლის ხარისხის დაქვეითების, დაავადებების გაჩენისა და მწერებისა და მღრნელების მიზიდვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, სასწრაფოდ უნდა მოცილდეს თევზის საკვები ნარჩენები, ექსკრემენტები და მკვდარი ცხოველები.

5. ულტრაიისფერი განათებისა და ოზონის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ ინკუბატორებსა და სანაშენეებში.

6. ექტოპარაზიტების წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლისათვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ექტოპარაზიტებით მკვებავ თევზს და მტკნარი წყლის, ზღვის წყლისა და ნატრიუმ ქლორიდის გამოყენება.

**(2) ვეტერინარული მკურნალობა**

როდესაც, ჯანმრთელობის დაცვის პროფილაქტიკური ღონისძიებების მიუხედავად, ცხოველებს მაინც წარმოქმნება ჯანმრთელობის პრობლემები, ნებადართულია ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება შემდეგი პრიორიტეტული თანმიმდევრობის დაცვით:

(a) მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ნივთიერებები ჰომეოპათიური ხსნარების სახით;

(b) მცენარეები და მათი ექსტრაქტები, რომლებსაც არა აქვთ ანესთეზიური ქმედება;

(c) ნივთიერებები, როგორიცაა მიკროელემენტები, მეტალები, ბუნებრივი იმუნოსტიმულატორები და ნებადართული პრობიოტიკები.

2. ალოპათიური მკურნალობის გამოყენება შეზღუდულია ორი კურსით წელიწადში, რაშიც არ შედის ვაქცინაცია და პარაზიტებთან ბრძოლის აუცილებელი ღონისძიებები. მაგრამ თუ წარმოების ციკლი ნაკლებია ერთ წელიწადზე, ალოპათიური მკურნალობის მხოლოდ ერთი კურსია ნებადართული. თუ ალოპათიურ

მკურნალობის აღნიშნული შეზღუდვების გადამეტება მოხდა, ასეთი წყლის ცხოველები ვერ გაიყიდება, როგორც ორგანული.

3. პარაზიტების საწინააღმდეგო პრეპარატების გამოყენება, რომელშიც არ იგულსხმება პარაზიტების წინააღმდეგ სახელმწიფო პროგრამით განხორციელებული ბრძოლის ღინისძიებები, დაშვებულია ორჯერ წელიწადში; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების ციკლი ნაკლებია 18 თვეზე -- მხოლოდ ერთხელ წელიწადში.

4. ალოპათიური ვეტერინარული პრეპარატებისა და ანტიპარაზიტული პრეპარატების მე-3 პარაგრაფში მოცემული წესების მიხედვით გამოყენებისა და პარაზიტებთან წინააღმდეგ ბრძოლის სავალდებულო ღონისძიებების შემდეგ მოლოდინის პერიოდი უნდა იყოს ორჯერ უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ოფიციალური მოლოდინის პერიოდი, რომელიც მითითებული ევროკავშირის რეგულაციის 2001/82/EC მე-11 პარაგრაფში, ან 48 საათი, როდესაც მოლოდინის პერიოდი არ არის მითითებული.

ვეტერინარული სამკურნალო პრეპარატების გამოიყენების ნებისმიერი შემთხვევის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სერტიფიცირების ორგანოს წინასწარ, სანამ ეს ცხოველები გაიყიდება, როგორც ორგანული. მკურნალობა გავლილი ცხოველები უნდა ადვილად გამოირჩეოდეს.

**11e.9 წყალმცენარეებთან დაკავშირებული გარდამავალი პერიოდისა და სხვა განსაკუთრებული წესები**

1. თუ საბოლოო პროდუქტი ახლადმოკრეფილი წყალმცენარეა, მის გასავლებად უნდა გამოიყენებოდეს ზღვის წყალი;

თუ საბოლოო პროდუქტი არის მშრალი წყალმცენარე, მის გასავლებად დაშვებულია სასმელი წყლის გამოყენება. მარილის გამოყენება შესაძლებელია ტენის გამოცლის მიზნით.

2. წყალმცენარეების შრობა ღია ცეცხლით, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს მათზე, დაუშვებელია. თუ შრობისას გამოიყენება ბაგირები ან სხვა მოწყობილობები, ისინი უნდა გაიწმინდოს მოდების ორგანიზმების მხოლოდ იმ საწინააღმდეგო პრეპარატებითა და საწმენდი და სადეზინფექციო ნივთიერებებით, რომელთა გამოყენება დაშვებულია ამ მიზნებისათვის წინამდებარე სტანდარტით.

წყალმცენარეების მოყვანის ადგილებისათვის კონვერსიის პერიოდი 6 თვეა;

წყალმცენარეების წარმოების ერთეულის კონვერსიის პერიოდი უნდა იყოს არა ნაკლებ 6 თვისა ან ერთი მთლიანი საწარმოო ციკლის, თუ ციკლი 6 თვეზე დიდი ხანს გრძელდება.

**11e.10 ცოცხალი თევზის ტრანსპორტირება**

1. ცოცხალი თევზის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს შესაფერის ცისტერნებში, რომლებიც შევსებულია თევზის ფიზიოლოგიური მოთხოვნების შესაბამისი ტემპერატურისა და გახსნილი ჟანგბადის შემცველობის მქონე სუფთა წყლით.

2. ორგანული თევზის ტრანსპორტირებამდე აუცილებელია ცისტერნის საგულდაგულო გაწმენდა, დეზინფექცია და გამოვლება.

3. აუცილებელია ზომების მიღება სტრესის შესამცირებლად. ტრანსპორტირების დროს სიმჭიდროვემ არ უნდა მიაღწიოს სახეობისათვის ზიანის მომტან დონეს.

4. პარაგრაფების 1-3 მოთხოვნების შესრულება უნდა იყოს აღრიცხული.

5. ორგანული მცენარეების, წყალმცენარეების, ცხოველების და წყლის ცხოველების საწარმოო ერთეულებში მხოლოდ იმ საწარმოო საშუალებების შენახვაა ნებადართული, რომელთა გამოყენება დაშვებულია წინამდებარე სტანდარტით.

6. ალოპათიური ვეტერინარული სამედიცინო პროდუქტების და ანტიბიოტიკების შენახვა მეურნეობაში მხოლოდ იმ შემთხვევაშია დაშვებული, თუ ეს საშუალებები გამოწერილია ვეტერინარის მიერ ცხოველთა სამკურნალოდ, ამ სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, და თუ ამ საშუალებების მარაგი კონტროლის ქვეშაა და აღირიცხება, როგორც ამას ითხოვს წინამდებარე სტანდარტი.

**11e.11 აკვაკულტურის წარმოება**

აკვაკულტურაში გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დანადგარზე, რომელიც ამ წყლის ცხოველების გამოსაზრდელად გამოიყენება:

(a) დანადგარები, რომელთა შრობა, წმენდა ან დეზინფექცია შეუძლებელია, ექვემდებარება 24-თვიან გარდამავალ პერიოდს;

(b) დანადგარებისათვის, რომლებიც იყო მშრალი ან რაღაც პერიოდი არ გამოიყენებოდა, გარდამავალი პერიოდი შეადგენს 12 თვეს;

(c) დანადგარები, რომლებიც შრება, იწმინდება ან დეზინფიცირდება, ექვემდებარება 6-თვიან გარდამავალ პერიოდს;

(d) ღია წყლის დანადგარებში, მათ შორის ორსადგულიანი მოლუსკების გამოსაზრდელ დანადგარებში, გარდამავალი პერიოდი 3 თვეა.

2. სერტიფიცირების ორგანომ შეიძლება ჩათვალოს რეტროაქტიურად გარდამავალი პერიოდის ნაწილად დროის ნებიმიერი დოკუმენტურად გამყარებული მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც დანადგარები არ დამუშავდა ან არ მოვიდა შეხებაში ბიოწარმოებაში აკრძალულ ნივთიერებებთან.

3. წყლის ცხოველების გადამუშავებული საკვები უნდა შეესაბამებოდეს ამ სტანდარტს [ევროკავშირის რეგულაციის 834/2007 მუხლს 14 (1)(d)(iv) და (5) შინაური ცხოველების შემთხვევაში; ან იგივე რეგულაციის მუხლს 15 (1)(d) წყლის ცხოველების შემთხვევაში და მუხლს 18 აქედან გამომდინარე].

**11f. კონტროლის განსკუთრებული წესები წყალმცენარეებისათვის**

**11f.1 კონტროლის ღონისძიებები წყალმცენარეებისათვის**

როდესაც წყალმცენარეების წარმოებაში პირველად ინერგება კონტროლის სისტემა, უნდა შედგეს წარმოების ადგილის სრული აღწერა, რომელიც მოიცავს:

(a) მიწაზე და ზღვაში განლაგებული დანადგარების სრულ აღწერას;

(b) გარემოს საფრთხეების შეფასებას, სადაც ეს მიზანშეწონილია;

(c) რაციონალური მართვის გეგმას, სადაც ეს მიზანშეწონილია;

(d) ველური წყალმცენარეების შემთხვევაში, ნაპირსა და ზღვაზე შეგროვების ადგილების სრულ აღწერას და რუკებს, და, აგრეთვე, იმ სახმელეთო ადგილების აღწერას და რუკებს, სადაც შეგროვების შემდგომი სამუშაოები იმართება.

**11f.2 წყალმცენარეების საწარმოო აღრიცხვა**

1. მეწარმემ წყალმცენარეების საწარმოო აღრიცხვა რეესტრის სახით უნდა აწარმოოს და ეს ჩანაწერები უნდა იყოს ხელმისაწვდომი მაკონტროლებელი ორგანოებისათვის და სერტიფიცირების ორგანოებისათვის მეურნეობაში ნებისმიერ დროს. ამ ჩანაწერებში უნდა იყოს ასახული როგორც მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია:

(a) სახეობების სია, მოსავლის რაოდენობა და მისი აღების თარიღი;

(b) გამოყენებული სასუქის შეტანის თარიღი, სახეობა და რაოდენობა.

2. ველური წყალმცენარეების შეგროვების შემთხვევაში რეესტრში აგრეთვე უნდა ასახული იყოს:

(a) თითოეული სახეობის შეგროვების ისტორია კონკრეტული ადგილების (банк) მიხედვით

(b) მოსავლის პროგნოზი (რაოდენობა) სეზონზე;

(c) შეგროვების ადგილების (банк) სავარაუდო დაბინძურების წყაროები;

(d) შეგროვების თითოეული ადგილიდან შესაგროვებელი მდგრადი რაოდენობა.

**11g წყლის ცხოველების წარმოების კონტროლის განსაკუთრებული მოთხოვნები**

**11g.1 წყლის ცხოველების წარმოების კონტროლის ორგანიზება**

როდესაც წყლის ცხოველების წარმოებაში პირველად ინერგება კონტროლის სისტემა, უნდა შედგეს წარმოების ადგილის სრული აღწერა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

(a) მიწაზე და ზღვაში განლაგებული დანადგარების სრულ აღწერას;

(b) გარემოს საფრთხეების შეფასებას, სადაც ეს მიზანშეწონილია;

(c) მდგრადი მართვის გეგმას, სადაც ეს მიზანშეწონილია;

(d) მოლუსკების შემთხვევაში, სპეციალური თავს, რომელშიც შეჯამებულია რაციონალური წარმოების გეგმა.

**11g.2 წყლის ცხოველთა წარმოების აღრიცხვა**

შემდეგი ინფორმაცია უნდა წარუდგინოს მეწარმემ მაკონტროლებელ და სერტიფიცირების ორგანოებს მეურნეობაში ნებისმიერ დროს რეესტრის სახით, რომელიც სისტემატიურად უნდა განახლდეს:

(a) მეურნეობაში შემოსული ცხოველების წარმოშობა, მიღების თარიღი და გარდამავალი პერიოდი;

(b) მეურნეობიდან გასული ცხოველები პარტიების რაოდენობა, ასაკი, წონა და დანიშნულება;

(c) თევზის გაქცევის ჩანაწერები;

(d) თევზისათვის საკვების სახეობა და რაოდენობა, ხოლო კობრისა და კობრის მონათესავე სახეობებისათვის – დამატებითი საკვების გამოყენების დოკუმენტირებული აღრიცხვა;

(d) ვეტერნარული მკურნალობის ჩანაწერები, რომელშიც ასახულია დაავადება, მკურნალობის ჩატარების თარიღი, მეთოდი, სამკურნალო საშუალების დასახელება და მოლოდინის პერიოდი;

(f) დაავადებების პროფილაქტიკის მეთოდები, რომლებშიც ასახულია დასვენების, წმენდისა და წყლით დამუშავების დეტალები.

**11h. ორსადგულიანი მოლუსკების ინსპექტირების განსაკუთრებული წესები**

ორსადგულკიანი მოლუსკების საწარმოში ინსპექტირება უნდა ჩატარდეს ბიომასის მაქსიმალურ წარმოებამდე და ბიომასის მაქსიმალური წარმოების პერიოდში.

**11h. ერთი მეწარმის მიერ რამდენიმე საწარმოო ერთეულის მართვა**

როდესაც მეწარმე მართავს რამდენიმე საწარმოო ერთეულს, არაბიო წყლის ცხოველების წარმოება აგრეთვე ექვემდებარება ინსპექტირებას.

## ე. ღვინის წარმოების განსაკუთრებული წესები

**სფერო**

წინამდებარე თავი განსაზღვრავს ბიომეღვინეობის განსაკუთრებულ წესებს

**გარკვეული პროდუქტების და ნივთიერებების გამოყენება**

1. ღვინის დამზადებისას გამოყენებული პროდუქტები მიღებული უნდა იყოს ბიომეთოდით წარმოებული ნედლეულიდან;
2. ღვინის წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ წინამდებარე სტანდარტის მე-II დანართის მე-6 ცხრილში მითითებული პროდუქტების და ნივთირებების გამოყენება.
3. პროდუქტები და ნივთირებები, რომლებიც ჩამოთვლილია წინამდებარე სტანდარტის მე-II დანართის მე-6 ცხრილში და მონიშნულია ვარსკვლავებით, მიღებული უნდა იყოს ბიონედლეულიდან, იმ შემთხვევაში თუ ხელმისაწვდომია.

**ცუდ კლიმატურ პირობებთან დაკავშირებული გამონაკლისი წესები**

გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, თუ რომელიმე წელს, რომელიმე კონრეტულ გეოგრაფიულ რეგიონში, განსაკუთრებული მეტეოროლოგიური პირობების გამო ბაქტერიული და სოკოვანი პათოგენების ფართო გავრცელება, აუარესებს ორგანული სტატუსის მქონე ყურძნის მოსავლის ფიტოსანიტარულ მდგომარეობას და მეღვინე იძულებულია გამოიყენოს უფრო მეტი გოგირდის ორჟანგი ვიდრე გასულ წლებში, რომ მიიღოს არანაკლები ხარისხის საბოლოო პროდუქტი, სერტიფიკაციის ორგანომ ან შესაბამისმა სამთავრობო დაწესებულებამ შეიძლება დართოს ნება მეწარმეს გამოიყენოს გოგირდის ორჟანგის ის მაქსიმალური შემცველობა, რომელიც დაფიქსირებულია ევრორეგულაციის შესაბამისად (ევროკომისიის რეგულაციის No 606/2009 დანართი I B).

**მეღვინეობაში გამოყენებული მეთოდები და შეზღუდვები**

აკრძალულია შემდეგი სახის მეთოდების, პროცესების და დამუშავების გამოყენება:

ა) ნაწილობრივი კონცენტრირება გაცივების საშუალებით;
ბ) გოგირდის დიოქსიდის მოშორება ფიზიკური პროცესით;
გ) ელექტრო დიალიზის გამოყენება, ღვინის სიცივის მიმართ სტაბილიზაციისათვის;
დ) ღვინის ნაწილობრივი დე-ალკოჰოლიზაცია;
ე) ღვინის დამუშავება კათიონების შემცვლელით ღვინის სიცივის მიმართ სტაბილიზაციისათვის.

დაშვებულია შემდეგი მეთოდების, პროცესების და დამუშავების გამოყენება ქვემოთ მითითებული პირობების გათვალისწინებით:

ა) თერმული დამუშავება. ტემპერატურამ არ უნდა გადააჭარბოს $70^0C$.
ბ) ცენტრიფუგირება და ფილტრაცია (ინერტული აგენტების გამოყენებით ან მათ გარეშე). ფორების ზომა არ უნდა იყოს 0,2 მიკრომეტრზე ნაკლები.

ქვემოთ მითითებული მეთოდების, პროცესებისა და დამუშავების გამოყენება უნდა გადაიხედოს 2018 წლის 1 აგვისტოსათვის, იმ მიზნით, რომ მოხდეს ამ მეთოდების შეზღუდვა და მომავალში საერთოდ ამოღება:
ა) თერმული დამუშავება
ბ) იონის შემცვლელი ფისების გამოყენება
გ) უკუოსმოსი

## 3. ორგანული საფუარის, კონვერსიული საკვების გამოყენების, კვერცხის დეკორაციული გაფერადების და ფერმენტების გამოყენების შესახებ (ევროკომისიის რეგულაცია No 1254/2008)

სექცია **3.** ეყრდნობა ევროკომისიის რეგულაციაში No 1254/2008 მოცემულ წესებს და ძალაში შედის 2009 წლის იანვრიდან.

1. რადგან ორგანული საფუვრის წარმოების დებულებები ემატება ორგანულ სტანდარტს, ეს დებულებები უნდა მოაცავდეს როგორც სურსათში, ისე საკვებში გამოყენებულ საფუვრებს.
2. რადგან საფუარი არ განიხილება, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი (ხელშეკრულების 32-ე თავის მე-3 პუნქტის თანახმად), ორგანული საფუვრის ორგანული ნიშანდების ნებართვისათვის აუცილებელია ინგრედიენტების შემცველობის გამოთვლის წესის შეცვლა. საფუარი უნდა დაითვალოს როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.
3. წლის გარკვეულ პერიოდში მოხარშული კვერცხის დეკორატიული გაფერადება ბევრ რეგიონის (მათ შორის ევროკავშირის) ტრადიციაა და, რადგან შესაძლებელია, რომ შეიღებოს და გაყიდვაში გამოჩნდეს ორგანული კვერცხი, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა თხოვნით მიმართეს ევროკომისიას, რომ ნება დაერთო ამ მიზნებისთვის საღებავების გამოყენება. დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა გარკვეული საღებავები და სხვა მსგავსი ნივთიერებები, აგრეთვე რკინის ოქსიდები და ჰიდროქსიდები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია გახდეს დროებით ნებადართული. მაგრამ ამ წარმოების ლოკალური და სეზონური ხასიათის გათვალისწინებით, უპრიანია, რომ ნებართვაზე გადაწყვეტილება ადგილობრივმა მთავრობებმა ან სერტიფიცირების ორგანოებმა მიიღონ.
4. აუცილებელია, რომ მხოლოდ ორგანული წესით დამზადებული სუბსტრატი გამოიყენებოდეს ორგანული საფუვრის, საფუვრიანი საკონდიტრო ნაწარმებისა და პროდუქტების წარმოებაში. ორგანულ სურსათსა და საკვებში არ შეიძლება ორგანული და არაორგანული საფუვრის შერევა. მხოლოდ დროებით, სანამ ორგანული საფუარი გახდება ხელმისაწვდომი, ნებადართულია 5%-იანი არაორგანული საფუვრის ექსტრაქტის გამოყენება, როგორც დამატებითი სუბსტრატის ორგანული საფუვრის წარმოებისათვის და აზოტის, ფოსფორის, ვიტამინების და მინერალების წყარო. ამ რეგულაციის 22-ე განყოფილების 2.e პუნქტის თანახმად, ორგანული საფუვრის წარმოებისათვის ნებადართულია 5%-იანი არაორგანული საფუვრის ექსტრაქტის გამოყენება.
5. ტექნოლოგიური დანამატები, რომელთა გამოყენება ნებადართულია საფუვრის და საფუვრის პროდუქტების წარმოებისათვის მოცვემულია ამ სტანდარტის მე-2 დანართის მე-7 ცხრილში: საფუვრის და საფუვრის პროდუქტების წარმოებისათვის ნებადართული ტექნოლოგიური დანამატები.

## დანართი 2. ბიოპროდუქციის წარმოებაში ნებადართული საშუალებები

**პირველად ბიოწარმოებაში გამოყენებული პროდუქტები და ნივთიერებები, ასევე მათი გამოყენების ნებართვის გაცემის კრიტერიუმები.**

1. ბიოწარმოებაში ნებადართული და შეზღუდული გამოყენების პროდუქტებისა და ნივთიერებების სია შემუშავებულია და განახლდება ევროგაერთიანების კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით.

შეზღუდული გამოყენების საშუალებების სიაში არსებული პროდუქტებისა და ნივთიერებების გამოყენება შესაძლებელია მანამდე, სანამ მათი გამოყენება საზოგადოდ ნებადართულია სოფლის მეურნეობაში. ამ პროდუქტებისა და ნივთიერებების გამოყენება უნდა შემოწმდეს, რათა დადგინდეს მათი შესაბამისობა ევროგაერთიანებისა და ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

2.
(a) ყველა პროდუქტი და ნივთიერება უნდა იყოს მცენარეული, ცხოველური, მიკრობული ან მინერალური წარმომავლობის. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები როდესაც ზემოთ მითითებული პროდუქტები ან ნივთიერებები შესაბამისი ხარისხის ან რაოდენობის არ არის ხელმისაწვდომი, ასევე არ არის ხელმისაწვდომი მათი ალტერნატიული საშუალებები.
(b) მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას აუცილებელია შემდეგი წესების დაცვა:
(I) მათი გამოყენება აუცილებელია მავნებელი ორგანიზმებისა და განსაკუთრებული დაავადებების გასაკონტროლებლად, რომელთა სამკურნალოდ სხვა ბიოლოგიური ან ფიზიკური მეთოდი, კულტივაციის წესები ან სხვა ეფექტიანი ღონისძიება არ არსებობს;
(II) პროდუქტები, რომლებიც არ არის მცენარეული, ცხოველური, მიკრობული ან მინერალური წარმოშობის და არ არიან იდენტურები მათი ბუნებრივი ფორმებისა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოყენების წესები გამორიცხავს ამ საშუალების პირდაპირ კონტაქტს მცენარის საკვებად გამოსაყენებელ ნაწილთან;

(c) ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და ნიადაგის თვისებების გამაუმჯობესებელი საშუალებების შემთხვევაში მათი გამოყენება უნდა იყოს განპირობებული: ნიადაგის ნაყოფიერების საჭირო ნორმამდე ამაღლებით ან მისი შენარჩუნებით, განსაზღვრული კულტურის საკვები ელემენტებისადმი განსაკუთრებული მოთხოვნის დაკმაყოფილებით ან ნიადაგის თვისებების გაუმჯობესების საჭიროებით;

(d) ცხოველებისათვის განკუთვნილი მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმომავლობის არაბიოსაკვები საშუალებების, ასევე ცხოველთა საკვებში გამოსაყენებელი განსაზღვრული ნივთიერებების და დანამატების/გადამუშავების დამხმარე საშუალებების გამოყენებისას აუცილებელია შემდეგი წესების დაცვა:
(I) ამ საშუალებების გამოყენება აუცილებელია ცხოველების კვების ისეთი რაციონის შესამუშავებლად, რომელიც იძლევა ცხოველების ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების, ფიზიკური და ქცევითი მოთხოვნების

დაკმაყოფილების შესაძლებლობას და ამ საშუალებების გარეშე შეუძლებელია მსგავსი საკვების წარმოება;
(II) მინერალური წარმომავლობის საკვები, მიკროელემენტები, ვიტამინები და პროვიტამინები უნდა იყოს ბუნებრივი წარმომავლობის. როდესაც ასეთი საშუალებები არ არის ხელმისაწვდომი, მაშინ ბიოწარმოებაში შეიძლება დაიშვას მკაცრად განსაზღვრული ანალოგიური ქიმიური საშუალებების გამოყენება.

3. ისეთი პროდუქტების გამოყენება, რომლებიც არ არიან შესული მცენათეთა დაცვის ნებადართული საშუალებების სიაში (ცხოველების საკვებში გამოყენებული მცენარეული წარმომავლობის არაბიო პროდუქტები, ცხოველური დ ამინერალური წარმომავლობის საკვები ნივთიერებები ასევე სხვა საშუალებები, რომლბიც გამოიყენება ცხოველების გამოსაკვებად, საკვები დანამატები და გადამუშავების დამხმარე საშუალებები; მეცხოველეობასა და მემცენარეობაში გამოყენებული გასაწმენდი და სადიზინფექციო საშუალებები), და შესაძლებელია თუ მათი გამოყენება არ ეწინააღმდეგებიან ბიოწარმოების მიზნებსა და პრინციპებს.

## გაფრთხილება

**4.** ნებისმიერი საშუალება, რომელიც გამოიყენება ბიოწარმოებაში ნიადაგის ნაყოფიერებისა და ფიზიკური თვისებების გასაუმჯობესებლად, დაავადებებისა და მავნებლების გასაკონტროლებლად, ცხოველების ჯანმრთელობის დასაცავად, ცხოველური პროდუქტების ხარისხის გასაუმჯობესებლად, დასამზადებლად, პროდუქტის კონსერვაციისა და შენახვისათვის უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ კანონმდებლობას.
**5.** ქვემოთ მოცემული საშუალებების სიაში შეტანილი ნივთიერებების გამოყენების პირობები (მაგ. გამოსაყენებელი ნივთიერების რაოდენობა, გამოყენების სიხშირე და სხვ.) შეიძლება განისაზღვროს სერტიფიცირების ორგანოს მიერ.
**6.** იქ, სადაც საჭიროა სხვადასხვა საშუალების გამოყენება პირველადი წარმოებისას, ყურადღება უნდა მიექცეს ამ საშუალებების სწორ გამოყენებას, რადგან თუნდაც ნებადართული საშუალებების არასწორმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები მეურნეობის ეკოსისტემასა და ნიადაგში.

## ცხრილი №1. ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად ნებადართული საშუალებები

*შენიშვნა:* A-ნებადართულია

| ნებართვა | ნივთიერება | აღწერილობა, შემცველობა, გამოყენების პირობები |
|---|---|---|
| A | - მეურნეობის ნაკელი | შედგება ნაკელისა და ცხოველების საფენად გამოყენებული ნამჯისაგან ან თივისაგან. წყარო არ უნდა იყოს ინტენსიური მეურნება. |
| A | ფერმის ეზოში არსებული გამხმარი ნაკელი და გაუწყლოებული ფრინველების | წყარო არ უნდა იყოს ინტენსიური მეურნება. |

| | | |
|---|---|---|
| | ექსკრემენტები | |
| A | ცხოველის კომპოსტირებული ექსკრემენტები, ფრინველის ჩათვლით | წყარო არ უნდა იყოს ინტენსიური მეურნება. |
| A | შარდი | გამოიყენება ფერმენტაციის (დადუღების) და/ან შესაბამისი გაზავების მერე.<br>წყარო არ უნდა იყოს ინტენსიური მეურნება. |
| B | კომპოსტირებული ან ფერმენტირებული საოჯახო ნარჩენების ნარევი | საჭიროებს სერტიფიცირების ორგანოს თანხმობას.<br>მხოლოდ ბოსტნეულისა და ცხოველური საოჯახო ნარჩენები.<br>პროდუქტები, რომელებიც არის არასაოჯახო წარმომავლობის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ მოხდა მათი კომპოსტირება ან გაიარეს ანაერობული  ფერმენტაცია ბიოგაზისათვის.<br>მხოლოდ მაშინ, როცა ისინი მიღებულია დაკვირვების ქვეშ მყოფი შეგროვების სისტემიდან და გამოსაყენებელი საშუალების მშრალ მასაში დაცულია შემდეგი მძიმე მეტალების კონცენტრაციები (მგ/კგ-ზე): კადმიუმი-0.7, სპილენძი-70, ნიკელი-25, ტყვია-45, თუთია-200, ვერცხლისწყალი-0.4, ქრომი (საერთო)-70, ქრომი (VI)- არ უნდა ფიქსირდებოდეს. |
| B | ბიოგაზით გადამუშავებული ცხოველური ნარჩენები რომელიც შერეულია მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის მასალასთან, როგორც ეს ჩამოთვლილია ამ დანართში | ცხოველური ნარჩენები (ველური ცხოველების ჩათვლით) მე-2 და მე-3 კატეგორიის (მე-2 და მე-3 კატეგორა განსაზღვრულია ევრორეგულაციით No 1069/2009) ნარჩენები არ უნდა იყოს დიდი წარმოებიდან.<br>პროცესი უნდა წარიმართოს ევრორეგულაციის No 142/2011  შესაბამისად.<br>მცენარის საკვებად გამოსაყენებელი ნაწილი არ უნდა დამუშავდეს. |
| A | ტორფი | გამოიყენება მხოლოდ მებაღეობაში (მეხილეობა, მეყვავილეობა, მეტყევეობა, სანერგე) |
| A | სოკოს წარმოების ნარჩენები | საჭიროებს სერტიფიცირების ორგანოს თანხმობას.<br>საკომპოსტე მასალის თავდაპირველი შემადგენლობა უნდა შეიცავდეს მხოლოდ ამ სიაში მითითებულ პროდუქტებს. |

| | | |
|---|---|---|
| A | ჭიაყელები (ვერმიკომპოსტი) და მწერები | |
| A | გუანო | საჭიროებს სერტიფიცირების ორგანოს თანხმობას. |
| A | კომპოსტირებული ან ფერმენტირებული ბოსტნეულის ნარევი | საჭიროებს სერტიფიცირების ორგანოს თანხმობას. ბოსტნეულის ნარევი, რომელმაც გაიარა კომპოსტირება ან გაიარა ანაერობული ფერმენტაცია ბიოგაზისათვის |
| B | ცხოველური წარმოშობის პროდუქტები ან ნარჩენები:<br>სისხლის ფქვილი<br>- ჩლიქების ფქვილი<br>რქის ფქვილი<br>ძვლის ფქვილი<br>თევზის ფქვილი<br>ხორცის ფქვილი<br>ბუმბული<br>მატყლი<br>ბეწვი (1)<br>თმა<br>რძის ნაწარმი<br>ჰიდროლიზებული პროტეინი (2) | საჭიროებს სერტიფიცირების ორგანოს თანხმობას.<br><br>(1) ქრომის მაქსიმალური კონცენტრაცია მშრალ მასაში (მგ/კგ-ზე): ქრომი (VI)-0.<br>(2) მცენარის საკვებად გამოსაყენებელი ნაწილი არ უნდა დამუშავდეს. |
| B | ლეონარდიტი (ორგანული დანალექი, მდიდარი ჰუმინო მჟავეებით) | მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისი მოპოვება მოხდა მაღაროდან |
| B | ჰუმინური და ფულვო მჟავეები | მხოლოდ თუ მიღებულია არაორგანული მაილებით/ხსნარებით, ამონიუმის მარილების გარდა; ან მიღებულია სასმელი წყლის პურიფიკაციით. |
| B | ხის ბოჭკოვანი ლიგნიტი (მურა ნახშირი) | მხოლოდ თუ წარმოადგენს ქვანახშირის მოპოვების ნარჩენს |
| B | ქიტინი (პოლისაქარიდი, მიღებული მხოლოდ კიბოსნაირების ნიჟარებისგან) | მხოლოდ მდგრადი მეთევზების საწარმოდან მიღებული როგორც ეს განსაზღვრულია ევრორეგულაციის (EU) No 2371/2002 3(e) არტიკლში ანდ ბიო წარმოებიდან |
| B | ორგანული მასით მდიდარი დანალექები, რომელიც წარმოეიქმნება მტკნარ წყალსაცავებში | მხოლოდ ორგანული დანალექები რომლებიც მიიღება სუფთა წყლის გადამუშავების შედეგად ან მიღებულია ძველი საწარმოებიდან სადაც ხდებოდა სუფთა წყლის გადამუშავება. დანალექების ამოღება უნდა მოხდეს არსებული წყლის ბინადრებისათვის მინიმალური ზიანის მიყენებით. |

| | | |
|---|---|---|
| | | მხოლოდ იმ დანალექების გამოყენბაა შესაძლებელი რომელიც არ არის დაბინძურებული პესტიციდებით, ნავთობით ან ნებისმიერი სხვა სახის დამაბინძურებლით. მეტალების კონცენტრაციები (მგ/კგ-ზე): კადმიუმი-0.7, სპილენძი-70, ნიკელი-25, ტყვია-45, თუთია-200, ვერცხლისწყალი-0.4, ქრომი (საერთო)-70, ქრომი (VI)-0. |
| B | ნახშირი (Biochar) - რომელიც მიღებულია სხვადასხვა სახის მცენარეული წარმოშობის ორგანული მასის პიროლიზით და გამოიყენება როგორც ნიადაგის კონდიციონერი. | მხოლოდ იმ მცენერეული მასალისგან, რომელიც არ არის დამუშავებული ან დამუშავებულია იმ საშუალებებით რომელიც ჩამოთვლილია ამ სტანდარტის მე-2 დანართში. პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების (PAHs) რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4 მგ-ს 1 კჰ მშრალ მასაზე. აღნიშნული ზღვარი უნდა შემოწმდეს ყოველ მე-2 წელს. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ ნივთიერების აკუმულირების რისკი მრავალჯერადი გამოყენებისას. |
| A | მცენარეული წარმოშობის პროდუქტები და მათი ნარჩენები სასუქებისათვის | მაგ. ზეთოვანი თესლების კოპტონის ფქვილი, კაკაოს ქერქი, ალოეს ღეროები და სხვ.. |
| B | მცენარეული წარმოშობის ჰიდროლიზებული პროტეინები | |
| A | ზღვის მცენარეები და მათი პროდუქტები | დამზადებულია შემდეგნაირად:<br>(I) ფიზიკური გადამუშავება გაუწყლოების, გაყინვისა და დაფქვის ჩათვლით;<br>(II) ექსტრაქცია წყლის ან ტუტე ხსნარის საშუალებით;<br>(III) ფერმენტაცია. |
| A | ნახერხი, ქერქი და ხის ნარჩენები | ხე მოჭრის მერე არ უნდა იყოს დამუშავებული ქიმიურად. |
| A | კომპოსტირებული ქერქი | ხე მოჭრის მერე არ უნდა იყოს დამუშავებული ქიმიურად. |
| A | ხის ნაცარი | ხე მოჭრის მერე არ უნდა იყოს დამუშავებული ქიმიურად. |
| A | ფოსფატის ქანი | კადმიუმის შემცველობა უნდა იყოს ნაკლები ან ექვივალენტური 90 მგ/კგ-ზე P205-სა. |
| A | ამონიუმ-კალციუმ-ფოსფატი | კადმიუმის შემცველობა უნდა იყოს ნაკლები ან ექვივალენტური 90 მგ/კგ-ზე P205-სა.<br>უნდა გამოიყენებოდეს იმ ნიადაგებში, სადაც PH-ის მაჩვენებელი არ აღემატება 7,5-ს. |
| A | ძირითადი წიდები | |

| | | |
|---|---|---|
| A | დაუმუშავებელი კალიუმის მარილი ან კაინიტი | |
| A | კალიუმის სულფატი შეიძლება შეიცავდეს მაგნიუმის მარილებს | მისი მიღება უნდა მოხდეს ბუნებაში არსებული კალიუმის მარილებიდან ფიზიკური ექსტრაქციის გზით, ასევე შეიძლება შეიცავდეს მაგნიუმის მარილებს. |
| A | კალციუმის კარბონატი (ცარცი, კირქვა, კირი, ფოსფატის ცარცი და სხვ.) | მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის |
| B | მოლუსკების ნარჩენები | მხოლოდ ორგანული ან მდგრადი მეთევზეობის მეურნეობებიდან (ისე როგორც განსაზღვრულია (EU) No 1380/2013 Article 4 (1) (7)). |
| B | კვერცხის ნაჭუჭი | აკრძალულია ინტენსიური მეურნეობიდან. |
| A | მაგნიუმის და კალციუმის კარბონატი | საჭიროებს სერტიფიცირების ორგანოს თანხმობას.<br>მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის.<br>მაგ. მაგნიუმის ცარცი, მაგნიუმის კირქვა და სხვა |
| A | მაგნიუმის სულფატი (კეიზერიტი) | მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის. |
| A | კალციუმქლორიდის ხსნარი | ვაშლის ფოთლების დამუშავება მას შემდეგ, რაც დადგენილი იქნება კალციუმის ნაკლებობა. |
| A | თაბაშირი (კალციუმის სულფატი) | მხოლოდ ბუნებრივი წარმოშობის. |
| A, B | ინდუსტრიული კირი შაქრის წარმოებიდან | შაქრის ჭარხლიდან შაქრის წარმოების ნარჩენები |
| A | ინდუსტრიული კირი ვაკუუმიანი მარილის წარმოებიდან | ვაკუუმიანი მარილის წარმოების ნარჩენი. |
| A | გოგირდი | მოპოვებული ზღვიდან ან მთებში |
| A | მიკროელემენტები | არაორგანული მიკროელემენტები |
| A | ნატრიუმის ქლორიდი | მხოლოდ საბადოში მოპოვებული მარილი. |
| A | ქვის ფქვილი და თიხა | |

**მცენარეთა დაცვის საშუალებები**

ზოგადი პირობები იმ პროდუქტებისათვის, რომლებიც შედგება ან შეიცავს ქვემოთ მოცემულ სიაში შეტანილ ნივთიერებებს:

– უნდა გამოვიყენოთ ამ სტანდარტის დანართი 1-ის მოთხოვნების შესაბამისად.

– მხოლოდ მცენარეთა დაცვის საშუალებების ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

## ცხრილი 2. მავნებლებისა და დაავადებების კონტროლისათვის ნებადართული საშუალებები

*შენიშვნა:* A-ნებადართულია

| ნებართვა | ნივთიერება | აღწერილობა, შემცველობა, გამოყენების პირობები |
|---|---|---|
| 1. მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები | | |
| A | Allium sativum (ნივრის ექსტრაქტი) | |
| A | აზადირაქტინის პრეპარატები მიღებული *Aradirachta indica(*ნიმას ხე*)* –) -ის ექსტრაქციით | |
| (04.11.2016) | საბაზო ნივთიერებები, სასურსათო წარმომავლობის (ლიცეტინის, საქაროზას, ფრუქტოზას, ძმარის, შრატის, (chitosan hydrochloride(1)) და (Equisetum arvense) და სხვა ჩათვლით) | (04.11.2016) მხოლოდ ის საბაზო ნივთიერებები, რომელთა არსი განხილულია ევროპარლამენტისა და საბჭოს დადგენილების 1109/2009 23-ე თავის 1-ელ პუნქტში და რომლებსაც მოიცავს განმარტება "სურსათი" ევროპარლამენტისა და საბჭოს დადგენილების 178/2002 მე-2 თავში მოცემული განმარტების მიხედვით და არის მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის. ეს ნივთიერებები არ გამოიყენება, როგორც ჰერბიციდი, მაგრამ გამოიყენება, როგორც მწერთა და დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად. |
| A | ცვილი | გამოიყენება მხოლოდ გასხვლისას და მერქნის დაზიანებისას. |
| | COS-OGA | |
| B | ჰიდროლიზებული პროტეინი, ჟელატინის გარდა | |
| A | მცენარეული ზეთები | აკრძალულია მხოლოდ ჰერბიციდის სახით გამოყენება |
| A | პერითრუმი | მხოლოდ მცენარეული წარმოეშობის |

| | | |
|---|---|---|
| **2. მავნებლების კონტროლისათვის გამოყენებული მიკროორგანიზმები** | | |
| A | მიკროორგანიზმები | არ უნდა იყოს GMO წარმომავლობის |
| **3. მიკროორგანიზმების მიერ წარმოებული ნივთიერებები/სუბსტანციები** | | |
| A | სპინოზადი | |
| | Cerevisane | |
| **4. საჭერებსა და ხაფანგებში გამოყენებული საშუალებები** | | |
| A | ფერომონები | მხოლოდ საჭერებსა და ხაფანგებში. |
| A | პირეტროიდები (მხოლოდ დელტამეტრინი და lambdacyhalotrini) | ინსექტიციდი. მხოლოდ ხაფანგებში სპეციფიკური მიმზიდველებით. მხოლოდ Batrocera oleae and Ceratitis capitata Wied-ის წინააღმდეგ. |
| **5. რიგთაშორისებში ნიადაგის ზედაპირზე მოსაყრელი პრეპარატები** | | |
| A | რკინა (III) ორთოფოსფატი | მოლუსკების საწინააღმდეგოდ. გამოიყენება მხოლოდ რიგთაშორისებში. |
| | წყალბადის ზეჟანგი | |
| **6. ბიოაგროწარმოებაში ტრადიციულად გამოყენებული საშუალებები** | | |
| B | სპილენძი შემდეგი ფორმებით: სპილენძის ჰიდროქსიდი, სპილენძის ქლორჟანგი, სამფუძიანი სპილენძის სულფატი, სპილენძის ოქსიდი. ბორდოს სითხე | 6კგ-ჰა-ზე წლის განმავლობაში. მიუხედავად ამ შეზღუდვისა მრავალწლიანი კულტურებისათვის, შესაძლებელია აღნიშული 6კგ-იანი ლიმიტის გაზრდა იმის გათვალისწინებით რომ წინა 4 წლის განმავლობაში გამოყენებული სპილენძის საშუალო რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 6 კგ-ს. უნდა გატარდეს პრევენციული ზომები რათა შემცირდეს |
| | დიამონიუმის ფოსფატი | მხოლოდ როგორც მიმზიდველი საჭერებში |
| A | ეთილენი | გამოიყენება მხოლოდ შენობაში, როგორც ზრდის რეგულატორი. ნებართვა გაიცემა მხოლოდ ამ საშუალების გამოყენების |

| | | |
|---|---|---|
| | | სპეციალისტებზე. |
| A | კალიუმის ცხიმმჟავა (რბილი საპონი) | ყველა სახის გამოყენება ნებადრთულია, მხოლოდ არ გამოიყენება როგორც ჰერბიციდი. |
| A | გოგირდიანი კირი (კალციუმის პოლისულფიდი) | ინსექტიციდი, აკარიციდი, ფუნგიციდი |
| A | პარაფინის ზეთი | |
| | კალიუმის და ნატრიუმის ბიკარბონატი | |
| A | კვარცის ქვიშა | |
| | ნატრიუმის ქლორიდი | აკრძალულია ჰერბიციდის სახით გამოყენება. |
| A | გოგირდი | |
| B | ცხოველური ან მცენარეული წარმომავლობის მქონე სუნის დამაფრთხობლები | არ უნდა მოხდეს მათი გამოყენება მცენარის იმ ნაწილზე რომელიც გამოიყენება საკვებად ან წარმოადგენს ცხვრების ან თხების საკვებს/საძოვარს. |
| | Cortex (ტირიფის ქერქის ექსტრაქტი) | |
| | Terpenes (ევგენოლი თერანიოლი, თიმოლი) | |
| **7. სხვა საშუალებები** | | |
| B | ამონიუმის სილიკატი (კაილინი) | |
| A | კალციუმის ჰიდროქსიდი | ფუნგიციდი.<br>მხოლოდ ხეხილსა და სანერგეში *Nectria galligena* კონტროლისათვის |
| | ნახშირორჟანგი | |
| B | ლამინარინი | წყალმცენარე უნდა იყოს წარმოებული ბიომეთოდით ან შეგროვილი მდგრადი წესით |
| | მალტოდექსტრინი | |
| **B** | კალიუმის ჰიდროგენ კარბონატი (კალიუმის ბიკარბონატი) | ფუნგიციდი და ინსექტიციდი |
| | დისელგური (დიატომური თიხა, გაწმენდილი) | |

## 7. ზოგიერთი პროდუქტისა და ნივთიერების გამოყენება სურსათის გადამუშავებისას

1. ბიოპროდუქტის გადამუშავებისას ნებადართულია მხოლოდ შემდეგი ნივთიერებების გამოყენება (ღვინის წარმოების გარდა):
(a) მე-2 დანართის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ცხრილში ჩამოთვლილი გადამუშავების დამხმარე საშუალებები;
(b) ზოგადად საკვების გადამუშავებაში გამოყენებული მიკროორგანიზმებისა და ენზიმებისაგან დამზადებული პრეპარატები;
(c) ნივთიერებები და პროდუქტები, რომლებიც ნიშანდებულია და ითვლება ბუნებრივ/ნატურალურ სანელებლად;
(d) ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად ხორცსა და კვერცხზე ბეჭდის დასასმელად გამოყენებული საღებავი;
(e) საკვეწარმოებაში გამოყენებული სასმელი წყალი და მარილი (რომლის მთავარი კომპონენტი არის ნატრიუმის ქლორიდი ან კალიუმის ქლორიდი);
(f) მინერალების (მიკროელემენტების ჩათვლით), ვიტამინების, ამინომჟავების ხმარება ნებადართულია, თუ:
   (i) მათი გამოყენება საკვების წარმოებაში არის სავალდებულო კანონმდებლობით, რაც გულისხმობს საერთაშორისო ან ეროვნული კანონის (რომელიც თავსებადია საერთაშორისო კანონთან) მოთხოვნას, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სურსათი ვერ იქნება რეალიზებული მოხმარებისათვის აღნიშნული ნივთიერებების გამოყენების გარეშე.
   (ii) სურსათს, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური მახასიათებლები ან მოქმედებს მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფის კვებაზე ან ჯანმრთელობაზე:
   - პროდუქტების გამოყენება, რომელიც მითითებულია ევროპარლამენტის რეგულაციის № 609/2013 არტიკლი №1 პუნატი (a) და (b)-ში, დარეგულირებულია ამავე რეგულაციით და აქტებით (ამავე რეგულაციის №11 არტიკლის 1-ლი პუნქტი)
   - პროდუქტები, რომლებიც დარეგულირებულია კომისიის დირექტივით 2006/125/EC არის ავტორიზებულია ამავე დირექტივით, ან
   - პროდუქტები, რომლებიც დარეგულირებულია კომისიის დირექტივით 2006/141/EC არის ავტორიზებულია ამავე დირექტივით.

8. მითითება კალკულაციისათვის
(a) მე-2 დანართის (ბიოპროდუქტის წარმოებაში ნებადართული საშუალებები) მე-4 ცხრილში ჩამოთვლილი დამხმარე ნივთიერებების (რომელთა გამოყენება დაშვებულია სას/სამ წარმომავლობის პროდუქტების გადამუშავების პროცესში, როგორც ეს მითითებულია ამ სტანდარტის მე-3 განყოფილებაში და დანამატის კოდის ნომრის სვეტში აღნიშნულია ვარსკვლავით) კალკულაცია უნდა მოხდეს როგორც სას/სამ წარმომავლობის ინგრედიენტის;
(b) ამ არტიკლის მე-7 პარაგრაფის (b), (c), (d) (e) და (f) პუნქტებში მითითებული საშუალებები და ნივთიერებები, ასევე ის ნივთიერებები, რომლებიც კოდის ნომრის სვეტში არ არიან მონიშნული, ვარსკვლავით არ უნდა იყოს აღნიშნული როგორც სას/სამ წარმომავლობის ინგრედიენტები.

(c) 2013 წლის 31 დეკემბრამდე საფუარისა და საფუარის პროდუქტების კალკულაცია უნდა მოხდეს როგორც სასოფლო სამეურნეო წარმომავლობის ინგრედიენტის.

9. მე-2 დანართის (ბიოპროდუქტის წარმოებაში ნებადართული საშუალებები) მე-4 ცხრილში ჩამოთვლილი დამხმარე ნივთიერებების (რომელთა გამოყენება დაშვებულია სას/სამ წარმომავლობის პროდუქტების გადამუშავების პროცესში, როგორც ეს მითითებულია ამ სტანდარტის მე-3 განყოფილებაში) გამოყენების ნებართვა უნდა გადაიხედოს 2010 წლის 31 დეკემბრამდე:
(a) ამ კუთხით მე-2 დანართის (ბიოპროდუქტის წარმოებაში ნებადართული საშუალებები) მე-3 ცხრილში (ნებადართული არასასოფლო-სამეურნეო წარმომავლობის ინგრედიენტები, როგორც ეს მითითებულია ამ სტანდარტის მე-3 განყოფილებაში) ჩამოთვლილი ნატრიუმის ნიტრიტი და კალიუმის ნიტრიტი ამ პერიოდისათვის უნდა ამოღებულ იქნეს ხმარებიდან;
(b) უნდა გადაიხედოს მე-2 დანართის (ბიოპროდუქტის წარმოებაში ნებადართული საშუალებები) მე-3 ცხრილში (ნებადართული არასასოფლო-სამეურნეო წარმომავლობის ინგრედიენტები, როგორც ეს მითითებულია ამ სტანდარტის მე-3 განყოფილებაში) ჩამოთვლილი გოგირდის დიოქსიდისა და კალიუმის მეტაბისულფატის გამოყენება;
(c) უნდა გადაიხედოს მე-2 დანართის მე-4 ცხრილში (გადამუშავების პროცესის დამხმარე ნივთიერებები, რომელთა გამოყენება დაშვებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში) არსებული მარილმჟავას გამოყენება „Gauda“-ას, „Edem“-ის და „Maasdammer“-ის ყველების, ასევე „Boerenkaas“, „Friese“-სა და „Leidse Nagelkaas“-ის წარმოებაში.

## ცხრილი 3. ნებადართული არასასოფლო-სამეურნეო წარმომავლობის ინგრედიენტები

**3.1** საკვები დანამატები, შემკავებლების ჩათვლით
*შენიშვნა*: A-ნებადართულია

| ნებართვა | კოდი | დასახელება | მცენარეული წარმოშობის პროდუქციის წარმოება | ცხოველური წარმოშობის პროდუქციის წარმოება | სპეციფიკური პირობები |
|---|---|---|---|---|---|
| A | E 153 | ბოსტნეულიდან მიღებული ნახშირბადი | | X | თხის ნაცრიანი ყველი<br>ყველი „მორბიე“ |
| A | E 160* | ანატო, ბიქსინი, ნორბიქსინი | | X | წითელი ყველი „ ლეისტერი“<br>ყველი „ორმაგი გლოსტერი“<br>ყველი „ჩედერი“<br>ყველი „მიმოლეტი“ |
| A | E 170 | კალციუმის კარბონატები | X | X | არ უნდა იქნეს გამოყენებული საღებავად ან პროდუქტის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | კალციუმით გასამდიდრებლად |
| A | E 220 | გოგირდის დიოქსიდი | X | X (მხოლოდ თაფლუჭში) | ხილისგან დამზადებული ღვინო (ყურძნის გარდა) რომელიც წარმოებულია შაქრის დამატებით ან მის გარეშე: 100 mg/l (მაქსიმალური დონე ყველა წყაროდან გამოხატული SO2 mg/l-ში სახით). |
| B | E 223 | ნატრიუმის მეტაბისულფიტი | | X | კიბორჩხალისებრი (2) |
| A | E 224 | კალიუმის მეტაბისულფიტი | X | X (მხოლოდ თაფლუჭში) | ხილისგან დამზადებული ღვინო (ყურძნის გარდა) რომელიც წარმოებულია შაქრის დამატებით ან მის გარეშე: 100 mg/l (მაქსიმალური დონე ყველა წყაროდან გამოხატული SO2 mg/l-ში სახით). |
| A | E 250<br><br>ან<br><br>E 252 | ნატრიუმის ნიტრიტი<br><br>კალიუმის ნიტრიტი | | X<br><br>X | ხორცის პროდუქტებისათვის (1)<br><br>E250-თვის: შემავალი რაოდენობის მაჩვენებლი გამოხატული $NaNO_2$ სახით; 80 მგ/კგ<br>E252-თვის: შემავალი რაოდენობის მაჩვენებლი გამოხატული $NaNO_3$ სახით; 80 მგ/კგ<br>E250-თვის: ნარჩენის მაქსიმალური რაოდენობა გამოხატული $NaNO_2$ სახით; 50 მგ/კგ<br>E252-თვის: ნარჩენის მაქსიმალური რაოდენობა გამოხატული $NaNO_3$ სახით; 50 მგ/კგ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| A | E270 | რძემჟავა | X | X | |
| A | E290 | ნახშირორჟანგი | X | X | |
| A | E296 | ვაშლმჟავა | X | | - |
| A | E300 | ასკორბინის მჟავა | X | X | ხორცის პროდუქტებისათვის (2) |
| A | E301 | ნატრიუმის ასკორბატი | | X | ხორცის პროდუქტებისათვის (2) ნიტრატებსა და ნიტრიტებთან დაკავშირებით |
| A | E306 * | ტოკოფეროლები (Tocopherols), შერეული ბუნებრივი კონცენტრატები | X | X | ანტიოქსიდანტი ცხიმებსა და ზეთებში |
| A | E322 * | ლეციტინები | X | X | რძის პროდუქტები (2) მიღებული მხოლოდ ბიონედლეულისაგან. მოქმედებს 2022 წლის 1 იანვრიდან. |
| A | E325 | ნატრიუმის ლაქტატი | | X | რძისა და ხორცის პროდუქტები |
| A | E330 | ლიმონმჟავა | | X | კიბორჩხალისებრი და მოლუსკები (2) |
| A | E331 | ნატრიუმის ციტრიტი | X | X | |
| A | E333 | კალციუმის ციტრიტი | X | | |
| A | E334 | ღვინის მჟავა (L(+)-) | X | X (მხოლოდ თაფლუჭში) | ცხოველური წარმოშობის საკვებთან დაკავშირებით. |
| A | E335 | ნატრიუმის ტარტრატე | X | | |
| A | E336 | კალიუმის ტარტრატე | X | | |
| A | E341i | მონოკალციუმფოსფატი | X | | ცომის ასაფუებელი ნივთიერება |
| B | E392* | როზმარინის ექსტრაქტი | X | X | მიღებული მხოლოდ ბიოწარმოებიდან |
| A | E400 | ალგინის მჟავა | X | X | რძიდან დამზადებული პროდუქტები (2) |
| A | E401 | ნატრიუმის ალგინატე | X | X | რძიდან დამზადებული პროდუქტები (2) |
| A | E402 | კალიუმის ალგინატე | X | X | რძიდან დამზადებული და ხორცის პროდუქტები (2) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| A | E406 | აგარ-აგარი | X | X | რძიდან დამზადებული პროდუქტები (2) |
| A | E407 | კარაგენი | X | X | რძიდან დამზადებული პროდუქტები (2) |
| A | E410* | ფსევდოაკაციის (რობინიას) ნაყოფის ფისი | X | X | მიღებული მხოლოდ ბიოწარმოებიდან. მოქმედებს 2022 წლის 1 იანვრიდან. |
| A | E412* | გუარის ფისი | X | X | მიღებული მხოლოდ ბიოწარმოებიდან. მოქმედებს 2022 წლის 1 იანვრიდან. |
| A | E414 | არაბიკას ფისი | X | X | მიღებული მხოლოდ ბიოწარმოებიდან. მოქმედებს 2022 წლის 1 იანვრიდან. |
| A | E415 | ქსანთანის ფისი | X | X | |
| | E 417 | Tara gum-ის ფქვილი (*Caesalpinia spinosa)* | X | X | შემასქელებელი მიღებული მხოლოდ ბიოწარმოებიდან. მოქმედებს 2022 წლის 1 იანვრიდან. |
| | E 418 | Gellan gum | X | X | High-acyl form only<br><br>მიღებული მხოლოდ ბიოწარმოებიდან. მოქმედებს 2022 წლის 1 იანვრიდან. |
| A | E422 | გლიცერინი | X | | მცენარეული წარმოშობის<br><br>მიღებული მხოლოდ ბიოწარმოებიდან. მოქმედებს 2022 წლის 1 იანვრიდან. მცენარეული ექსტრაქტების, არომატიზატორებისთვის, დამატენიანებელი გელის კაფსულებში და ტაბლეტების ზედაპირის დასაფარად. |
| A | E440(i)* | პექტინი | X | X | რძიდან დამზადებული პროდუქტები (2) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| A | E464 | ჰიდროქსიპროპილ მეთილ ცელულოზა | X | X | კაპსულაციის/გერმეტიზაციის მასალა კაპსულებისთვის |
| A | E500 | ნატრიუმის კარბონატი | X | X | |
| A | E501 | კალიუმის კარბონატი | X | | |
| A | E503 | ამონიუმის კარბონატი | X | | |
| A | E504 | მაგნიუმის კარბონატი | X | | |
| A | E509 | ცალციუმის ქლორიდი | | X | რძის კოაგულაციისათვის/შედედებისათვის |
| A | E516 | კალციუმის სულფატი | X | | შემკავებელი |
| A | E524 | ნატრიუმის ჰიდროქსიდი | X | | მარცვლეული პროდუქტების გამომცხვარი ზედაპირის დამუშავება - 'Laugengebäck' და მჟავიანობის სარეგულირებლად ორგანულ არომატიზატორებში |
| A | E551 | კრემნიუმის ორჟანგი გელი ან კოლოიდური ხსნარი | X | X | კოშტების შექმნის საწინააღმდეგო საშუალება ბალახებისა და სანელებლებისთვის არომატიზატორები და დინდგელი |
| A | E553b | ტალკი | X | X | ცხოველური წარმოშობის პროდუქცია: ძეხვეულის ზედაპირის დასამუშავებლად. |
| | E 901 | ცვილი | X | | მხოლოდ საკონდიტროებში მოსასარკლად. მიღებული უნდა იყოს ბიონედლეულისგან |
| | E 903 | კარნაუბის ცვილი | X | | მხოლოდ საკონდიტროებში მოსასარკლად, ხილის დასამუშავებისას როგორც მავნებლების |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | გავრცელების საკარანტინო ქმედება (Commission Implementing Directive (EU) 2017/1279) (1). მიღებული მხოლოდ ბიოწარმოებიდან. მოქმედებს 2022 წლის 1 იანვრიდან. |
| A | E938 | არგონი | X | X | |
| A | E939 | ჰელიუმი | X | X | |
| A | E941 | აზოტი | X | X | |
| A | E948 | ჟანგბადი | X | X | |
| A | E 968 | Erythripol | X | X | მიღებული უნდა იყოს ბიონედლეულისგან, იონების გაცვლის ტექნოლოგიის გამოყენების გარეშე |

(1) ამ დანამატის გამოყენება შესაძლებელია თუ არ არსებობს სხვა ტექნოლოგიური ალტერნატივა
(2) შეზღუდვა შეეხება მხოლოდ მეცხოველეობის პროდუქტებს
(3) ‘Dulce de leche’ – არომატული, სურნელოვანი, ყავისფერი ნაღები, რომელიც მზადდება დამტკბილებული შესქელებული რძისგან.

**3.2** სანელებლები
საშუალებები, რომლებიც ნიშანდებულია როგორც ნატურალური სანელებელი, უნდა იყოს შესაბამისობაში კოდექს ალიმენტარიუსის (ზოგადი მოთხოვნები ნატურალური სანელებლებისათვის CAC/GL 29-1987) მოთხოვნებთან.

**3.3** წყალი და მარილი
სასმელი წყალი.
მარილი - გამოყენებული საკვების გადამუშავებაში (ნატრიუმის ქლორიდით ან კალიუმის ქლორიდით, როგორც მთავარი კომპონენტი).

**3.4** მიკროორგანიზმებისა და ენზიმების პრეპარატები
საკვები პროდუქტების გადამუშავებაში გამოყენებული მიკროორგანიზმებისა და ენზიმების ყველა პრეპარატი. მიკროორგანიზმები არ უნდა იყოს გენმოდიფიცირებული ან მიღებული გენური ინჟინერიის გზით. ენზიმები არ უნდა იყოს მიღებული გენური ინჟინერიით. ამავდროულად, საკვებდანამატის სახით გამოსაყენებელი ენზიმები უნდა იყის ჩამოთვლილი ამ სტანდარტის დანართში.

**3.5** მინერალები (მიკროელემენტების ჩათვლით), ვიტამინები, ცხიმმჟავა, ამინომჟავა და სხვა აზოტის შემცველი საშუალებები.

მხოლო მაშინ, როდესაც მათ გამოყენებას საკვებ პროდუქტებში ითხოვს კანონმდებლობა

**3.6 მიკროორგანიზმებისა და ენზიმების პრეპარატები.**
საკვები პროდუქტების გადამუშავების დამხმარე საშუალებად გამოყენებული მიკროორგანიზმებისა და ენზიმების ყველა პრეპარატი. მიკროორგანიზმები არ უნდა იყოს გენმოდიფიცირებული ან მიღებული გენური ინჟინერიის გზით. ენზიმები არ უნდა იყოს მიღებული გენური ინჟინერიით.

3.7 მოხარშული კვერცხების ტრადიციული დეკორაციული შეღებვისათვის (რომელთა რეალიზაცია მოსალოდნელია სავაჭრო ადგილებში) სერტიფიცირების ორგანოს მიერ შეიძლება ნებადართულ იქნეს ბუნებრივი საღებავების გამოყენება.

**ცხრილი 4. გადამუშავების პროცესის დამხმარე ნივთიერებები, რომელთა გამოყენება დაშვებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში**
*შენიშვნა*: A-ნებადართულია

| ნებართვა | საშუალება | მცენარეული წარმოშობის პროდუქციის წარმოება | ცხოველური წარმოშობის პროდუქციის წარმოება | განსაკუთრებული პირობები |
|---|---|---|---|---|
| A | წყალი | X | X | სასმელი წყალი |
| A | კალციუმის ქლორიდი | X | | შემადედებელი |
| A | კალციუმის კარბონატი | X | | |
| A | კალციუმის ჰიდროქსიდი | X | | |
| A | კალციუმის სულფატი | X | | შემადედებელი |
| A | მაგნიუმის ქლორიდი | X | | შემადედებელი |
| A | კალიუმის კარბონატი | X | | ყურძნის შრობა/დაჩამიჩება |
| A | ნატრიუმის კარბონატი | X | X | |
| A | რძემჟავა | | X | მარილწყალის აბაზანაში pH-ის დასარეგულირებლად (1) |
| A | L(+)რძემჟავა მიღებული ფერმენტაციიდან | X | | მცენარეული წარმოშობის პროდუქტებისთვის: მცენარეული პროტეინების ექსტრაქტების წარმოებაში |
| A | ლიმონმჟავა | X | X | |
| A | ნატრიუმის ჰიდროქსიდი | X | | შაქრის წარმოება. ზეთის წარმოება. გარდა ზეითუნის ზეთის წარმოებისა. მცენარეული პროტეინების ექსტრაქტების წარმოებაში. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| A | გოგირდმჟავა | X | X | ჟელატინის წარმოება<br>შაქრის წარმოება |
| A | სვიის ექსტრაქტი | X | | შაქრის წარმოებაში მხოლოდ ანტიმიკრობული დანიშნულებით. როცა ხელმისაწვდომია ბიოწარმოებიდან. |
| A | ფიჭვის როზინის ექსტრაქტი | X | | შაქრის წარმოებაში მხოლოდ ანტიმიკრობული დანიშნულებით. როცა ხელმისაწვდომია ბიოწარმოებიდან. |
| A | მარილმჟავა | | X | ჟელატინის წარმოება. მერილწყალის აბაზანაში pH-ის დასარეგულირებლად Gouda-, Edam and Maas-<br>dammer cheeses, Boerenkaas, Friese and Leidse Nagelkaas ყველების წარმოებაში |
| A | ამონიუმის ჰიდროქსიდი | | X | ჟელატინის წარმოება |
| A | წყალბადის ზეჟანგი | | X | ჟელატინის წარმოება |
| A | ნახშირორჟანგი | X | X | |
| A | აზოტი | X | X | |
| A | ეთანოლი | X | X | გამხსნელი |
| A | ტანინის მჟავა | X | | დანამატი ფილტრაციისათვის |
| A | კვერცხის ცილა | X | | |
| A | კაზეინი | X | | |
| A | ჟელატინი | X | | |
| A | თევზის წებო | X | | |
| A | მცენარეული ზეთები | X | X | საპოხი ან დამშლელი ან აქაფების საწინააღმდეგო საშუალება<br>მიღებული მხოლოდ ბიოწარმოებიდან |
| A | სილიციუმის ორჟანგის გელი ან კოლოიდური ხსნარი | X | | |
| A | გააქტივებული ნახშირი | X | | |
| A | ტალკი | X | | საკვების დანამატებისათვის არსებული სისუფთავის სპეციფიურ კრიტერიუმებთან შესაბამისობაში E 553b |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| A | ბენტონიტი | X | X | დამამაგრებელი აგენტი თაფლუჭაში (1) |
| A | ცელულოზა | X | X | ჟელატინის წარმოება (1) |
| A | დიატომიტის მიწა | X | X | ჟელატინის წარმოება (1) |
| A | პერლიტი | X | X | ჟელატინის წარმოება (1) |
| A | კაკლის ნაჭუჭი | X | | |
| A | ბრინჯის ფქვილი | X | | |
| A | ფუტკრის ცვილი | X | | დამშლელი ნივთიერება მხოლოდ ბიომეფუტკრეობიდან |
| A | კარნაუბის ცვილი | X | | დამშლელი ნივთიერება მხოლოდ ბიომეურნეობიდან |
| | ძმარი | | X | მხოლოდ ბიომეურნეობიდან მხოლოდ თევზის გადამუშავებაში, მხოლოდ ბიოტექნოლოგიური წყაროდან. გარდა GMO -სი |
| | თიამინის ჰიდროქლორიდი | X | X | მხოლოდ ხილის ღვინოების, სიდრის და თაფლუჭას წარმოებაში |
| | დიამონიუმის ფოსფატი | X | X | მხოლოდ ხილის ღვინოების, სიდრის და თაფლუჭას წარმოებაში |
| | ხის ბოჭკო | X | X | მერქნის წყარო უნდა იყოს სერტიფიცირებული, მდგრადი მოპოვების საწარმო. მერქნი არ უნდა შეიცავდეს ტოქსიკურ კომპონენტებს (მოჭრის შემდგომი დამუშავება ან ბუნებაში არსებული მიკროორგანიზმების მიერ გამომუშავებულ ტოქსინებს) |
| | | | | |
| (1) შეზუდვა შეეხება მხოლოდ ცხოველურ პროდუქტებს<br>(2) შეზუდვა შეეხება მხოლოდ მცენარეულ პროდუქტებს | | | | |

## 10. სასოფლო-სამეურნეო წარმომავლობის არაბიოინგრედიენტის გამოყენებაზე ნებართვა

როდესაც სერტიფიცირების ორგანოს მიერ გაიცემა ნებართვა ისეთი ინგრედიენტის გამოყენებაზე, რომელიც არ არის შეტანილი მე-2 დანართში - ბიოპროდუქტის წარმოებაში ნებადართული საშუალებები მე-5 ცხრილში, მაშინ ამ ინგრედიენტის გამოყენბეა შეიძლეა ნებართვის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში, შემდეგი პირობის გათვალიწინებით:

(a) მეწარმემ უნდა წარუდგინოს სერტიფიცირების ორგანოს იმის დოკუმენტალური დადასტურება, რომ ბიომეოდით წარმოებული ინგრედიენტი არ არის ხელმისაწვდომი

შესაბამისი ხარისხის ან რაოდენობის და შეუძლებელა მისი იმპორტი სხვა ქვეყნიდან. მწარმოებელი ათანხმებს იმპორტიორთან ან პროდუქციის მყიდველთან იმ საკითხს, რომ აღნიშნული ინგრედიენტის გამოყენება არ წარმოქნის პრობლემას პროდუქციის რეალიზაციისას ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზარზე.

**ცხრილი 5. ნებადართული სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ინგრედიენტები, რომლებიც არ არის წარმოებული ბიომეთოდებით**

| დასახელება | ბოტანიკური დასახელება |
|---|---|
| 1. გადაუმუშავებელი ბოსტნეული პროდუქტები | |
| 1.1 ხეხილი, თხილი და თესლები: | |
| რკო | *Quercus ssp.* |
| კოლას კაკალი | *Cola acuminata* |
| ხურტკმელი | *Ribes uva-crispa* |
| მარაკუჯა | *Passiflora edulis* |
| ჟოლო (ხმელი) | *Rubus ideas* |
| წითელი მოცხარი (ხმელი) | *Ribes rubum* |
| 1.2 საკვები სანელებლები და სამკურნალო ბალახები: | |
| წიწაკა (პერუს) | *Schinus molle L.* |
| პირშუშხას თესლი | *Aromacia rusticana* |
| სააფთიაქო ლპინია | *Alpina officinarum* |
| მზესუმზირას ყვავილები | *Carthamus tinctorius* |
| წყლის წიწმატი | *Nasturcium officinale* |
| 1.3 სხვადასახვა | |
| წყალმცენარეები, ზღვის ბალახების ჩათვლით, რომლებიც დაშვებულია არაბიოსაკვების წარმოებაში. | |
| 2. ბოსტნეული პროდუქტები | |
| 2.1 რაფინირებული ან არარაფინირებული ცხიმები და ზეთები, რომლებიც არ უნდა იყოს შეცვლილი ქიმიურად და მიღებული ქვემოთ მითითებული მცენარეებიდან: | |
| კაკაო | *Theobroma cacao* |
| ქოქოსის კაკალი | *Cocos nucifera* |
| ზეთისხილი | *Olea eoropea* |
| მზესუმზირა | *Helianthus annuus* |
| პალმა | *Elaeis guineesis* |
| რაფსი | *Brassica napus,rapa* |

| | |
|---|---|
| მზესუმზირა | *Carthamus tinctorius* |
| შიმსიმი (შირბახტი) | *Sesamum indicum* |
| სოია | *Glycine max* |
| **2.2 შაქარი, სახამებელი და სხვა პროდუქტები მიღებული მარცვლოვანების და ტუბერიანებისაგან:** | |
| ფრუქტოზა | |
| ბრინჯის ქაღალდი | |
| დაწნეხილი პურის ქაღალდი | |
| ბრინჯის და სიმინდისაგან მიღებული სახამებელი, ქიმიურად შეუცვლელი | |
| **2.3 სხვადასხვა:** | |
| ბარდის ცილა *Pisum spp.* | |
| შაქრის ლერწმისაგან გამოხდილი სპირტი (რომი) | |
| სასმელი, დამზადებული ხილის და ამ სტანდარტში მითითებული სანელებლების ბაზაზე | |
| **3. ცხოველური პროდუქტები** | |
| წყლის ორგანიზმები, რომლებიც არ არის მიღებული თევზეულისაგან და ნებადართულია კონვენციურ საკვებწარმოებაში | |
| ჟელატინი | |
| შრატის ფქვილი „ჰერასუოლა“ | |
| ქერქი | |

11. ცხოველების სადგომის და მეცხოველეობაში გამოყენებული საშუალებების გასაწმენდი და სადეზინფექციო საშუალებები:

- კალიუმის და ნატრიუმის საპონი
- წყალი და ორთქლი
- კირის რძე
- კირი
- ჩაუმქრალი კირი
- ნატრიუმის ჰიდროქლორიდი
- კაუსტიკური სოდა
- კაუსტიკური პოტაში/კალქვა
- წყალბადის ზეჟანგი
- მცენარეების ნატურალური ესენციები
- ლიმონმჟავა, ჭიანჭველმჟავა, რძემჟავა, მჟაუნმჟავა, ძმარმჟავა
- ალკოჰოლი
- აზოტმჟავა (რძის გადამამაუშავებელი მოწყობილობები)
- ფოსფორმჟავა (რძის გადამამაუშავებელი მოწყობილობები)
- ფორმალდეჰიდი
- საქონლის ცურებისა და მოსაწველი მოწყობილობის გასაწმენდი და სადეზინფექციო საშუალებები
- ნატრიუმის კარბონატი

## ცხრილი 6. ბიო ღვინის წარმოებაში ნებადართული პროდუქტები და ნივთიერებები

| ოპერაციის დასახელება | პროდუქტის ან ნივთიერების დასახელება | გამოყენების ლიმიტები, შეზღუდვები და პირობები |
|---|---|---|
| აერაციის და ოქსიგენიზაციის მიზნით | ჰაერი<br>ჟანგბადი (გაზის სახით) | |
| ცენტრიფუგირება და ფილტრაცია | პერლიტი<br>ცელულოზა<br>დიატომიტის მიწა | გამოიყენება მხოლოდ როგორც ფილტრაციის ინერტული აგენტი |
| ინერტული ატმოსფეროს შექმნის და პროდუქტის ჰაერთან კონტაქტის გამოსარიცხად | აზოტი<br>ნახშირორჟანგი<br>არგონი | |
| | საფუარი (✱) | |
| | დიამონიუმის ფოსფატი<br>თიამინის ჰიდროქლორიდი<br>საფუარის ავტოლიზატი | |
| | გოგირდის დიოქსიდი<br>კალიუმის ბისულფატი ან კალიუმის მეტაბისულფიტი | ა) 2გ/ლ-ზე ნაკლები ნარჩენი შაქრიანობის მქონე წითელი ღვინოებისათვის გოგირდის დიოქსიდის შემცველობის მაქსიმალური ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს 100 მგ/ლ<br>ბ) 2გ/ლ-ზე ნაკლები ნარჩენი შაქრიანობის მქონე თეთრი და ვარდისფერი ღვინოებისათვის გოგირდის დიოქსიდის შემცველობის მაქსიმალური ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს 150 მგ/ლ,<br>გ) სხვა ღვინოებისათვის გოგირდის დიოქსიდის შემცველობის მაქსიმალური ზღვარი უნდა შემცირდეს 30 მგ/ლ-ით 2010 წლის 1 აგვისტოს N 606/2009 რეგლამენტის I B დანართში მითითებულ დოზებთან შედარებით. |
| | მეღვინეობაში გამოყენებული ნახშირი | |
| დაწმენდის მიზნით | საკვები ჟელატინი (✱✱)<br>(ხორბლის და ბარდისაგან მიღებული მცენარეული პროტეინი (✱✱)<br>თევზის წებო (✱✱)<br>კვერცხის ცილის ალბუმინი<br>ტანინი (✱✱)<br>კარტოფილის ცილები(✱✱) | |
| | საფუარის ცილის ექსტრაქტი<br>კაზეინი<br>Chitosan derived from *Aspergillus niger*<br>კალიუმის კაზეინატი<br>სილიციუმის დიოქსიდი<br>ბენტონიტი<br>პექტოლიზური ენზიმები | |
| მჟავიანობის მომატების მიზნით | რძემჟავა<br>L(+) ღვინომჟავა | |
| მჟავიანობის მომატების მიზნით | L(+) ღვინომჟავა<br>კალციუმის კარბონატი<br>კალიუმის ნეიტრალური ტარტარატი<br>კალიუმის ბიკარბონატი | |
| დამატება | ალეპოს ფიჭვის ფისი | |

| | | |
|---|---|---|
| | რძემჟავა ბაქტერიები | |
| დამატება | L ასკორბინის მჟავა | |
| ბარბოტაჟი | აზოტი | |
| დამატება | ნახშირორჟანგი | |
| დამატება ღვინის გამდგრადების მიზნით | ლიმონმჟავა | |
| დამატება | ტანინები (✱✱) | |
| დამატება | მეტა-ღვინის მჟავა | |
| | აკაციის ფისი (✱✱) (= გუმარაბიკი) | |
| | კალიუმის ბიტარტრატი | |
| | სპილენძის ციტრატი | |
| | Yeast mannoproteins | |
| | მუხის ბურბუშელა | |
| | კალიუმის ალგინატი | |
| | იანქტივირებული საფუარი | |
| გამოიყენება Annex III, point A(2)(b) to Regulation (EC) No 606/2009 მოთხოვნის შესაბამისად | კალციუმის სულფატი | მხოლოდ "vino generoso" და "vino generoso de licor"-ისთვის |

(✱) ინდივიდუალური საფუარის შტამები.: თუ ხელმისაწვდომია დამზადებული უნდა იყოს ბიო ნედლეულისგან
(✱✱) თუ ხელმისაწვდომია დამზადებული უნდა იყოს ბიო ნედლეულისგან

ცხრილი 7: ორგანული სურსათის, საფუვრისა და საფუვრის პროდუქტების წარმოებაში ნებადართული პროდუქტები და ნივთიერებები. საფუვრის და

ᲡᲐᲤᲣᲕᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘ.

| დასახელება | პირველადი საფუარი | საფუვრიანი საკონდიტრო და სხვა ნაწარმი | განსაკუთრებული პირობები |
|---|---|---|---|
| კალციუმის ქლორიდი | X | | |
| ნახშირორჟანგი | X | X | |
| ლიმონის მჟავა | X | | საფუარის წარმოებაში pH–ის რეგულირებისათვის |
| რძის მჟავა | X | | საფუარის წარმოებაში pH–ის რეგულირებისათვის |
| აზოტი | X | X | |
| ჟანგბადი | X | X | |
| კარტოფილის სახამებელი | X | X | ფილტრაციისათვის, მხოლოდ ორგანული წარმოშობის |
| ნატრიუმის კარბონატი | X | X | საფუარის წარმოებაში pH–ის რეგულირებისათვის |
| მცენარეული ზეთები | X | X | საზეთი, დასაყოფი, აქაფვის საწინააღმდეგო საშუალება. მხოლოდ ორგანული წარმოშობის. |

## ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 3. ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲕᲔᲜᲪᲘᲣᲚᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲒᲠᲘᲜ ᲙᲐᲣᲙᲐᲖᲣᲡᲘᲡ“ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ

**1.** ამ სტანდარტის მე-3 განყოფილების შესაბამისად ნიშანდებულ პროდუქტს საინსპექციო შემოწმება უტარდება წარმოების მთელ ჯაჭვზე, რათა დადასტურდეს მისი შესაბამისობა საერთაშორისოდ აღიარებულ წარმოების წესთან. „გრინ კაუკაზუსის“ შემადგენლობაში შემავალმა სერტიფიცირების ორგანოებმა შეიმუშავეს საერთო პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც შესაბამისობაშია ამ სტანდარტთან.

**2.** სერტიფიცირების ორგანოსათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შესამოწმებელ საწარმოო ერთეულში არსებული დოკუმენტებისა და ჩანაწერების ხელმისაწვდომობას.
საწარმოო ერთეულმა, რომელიც იმყოფება სერტიფიცირების ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ, უნდა უზრუნველყოს აკრედიტაციის ორგანოსთვის ინფორმაციის სრული ხელმისაწვდომობა, რომელიც მათთვის საჭიროა სერტიფიცირების ორგანოს აუდიტის დროს.

### ა. ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ

**3.** იმ საწარმოო ერთეულში, სადაც ხდება ამ სტანდარტის დაცვა, მიწის ნაკვეთები, წარმოების ადგილი, ფერმის შენობები, მცენარეული და ცხოველური პროდუქტების საწყობი უნდა იყოს მკაფიოდ სეპარირებული იმ წარმოებისაგან, სადაც არ ხდება ამ სტანდარტების დაცვა. დამამუშავებელი ან დამფასოებელი საამქრო შეიძლება იყოს

საწარმოო ერთეულის შემადგენელი ნაწილი, თუ მასში მხოლოდ საწარმოში წარმოებული პროდუქციის დამუშავება და შეფუთვა ხდება.

**4.** როდესაც ინსპექტირება პირველად ტარდება, მაშინ „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანოსა და მწარმოებელს შორის დაიდება ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს შემდეგს:
ა) საწარმოო ერთეულის და/ან შეგროვების ადგილს სრულ აღწერას, რომელიც ასახავს საწყობსა და დამხმარე ნაგებობებს, მიწის ნაკვეთებს, დამუშავებისა და შეფუთვის საამქროებს (თუ ეხება);
ბ) ველურად მოზარდი მცენარეების შემთხვევაში, მესამე მხარის მიერ გაცემული (თუ ეხება) გარანტია, რომელსაც მეწარმე წარადგენს იმისათვის, რომ დაასაბუთოს მისი საწარმოო ერთეულის დანართი 1-ის მე-18 პარაგრაფში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
გ) საწარმოო ერთეულში გასატარებელი ყველა პრაქტიკული ქმედება, რათა დაკმაყოფილდეს სტანდარტის მოთხოვნები;
დ) მეურნეობის ნაკვეთებში და/ან შეგროვების ადგილებში იმ საშუალებების გამოყენების ბოლო თარიღი, რომლებიც არ შეესაბამება ამ სტანდარტის მე-4 განყოფილების მოთხოვნებს;
ე) მეწარმის პასუხისმგებლობა, რომ ის მუშაობისას იხელმძღვანელებს მე-3 და მე-4 ნაწილით და შეუსაბამობის შემთხვევაში დარღვევებს გამოასწორებს სტანდარტზე დაყრდნობით.

**5.** ყოველ წელს, „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანოების მიერ დადგენილ ვადამდე, მეწარმემ უნდა მიაწოდოს სერტიფიცირების ორგანოს მისი სამოქმედო გეგმა მემცენარეობასა და მეცხოველეობაში, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი მიწის ნაკვეთების, ნახირის, სკების წარმოების წესი.

**6.** ჩანაწერებისა და დოკუმენტაციის (მათ შორის საბუღალტრო) წარმოება და შენახვა, რაც საშუალებას მისცემს „გრინ კაუკაზუსს" დაადგინოს ბიოპროდუქტის წარმოებაში გამოყენებული შეძენილი ნედლეულის წარმომავლობა, სტატუსი და რაოდენობა. ასევე დამატებით უნდა არსებობდეს ჩანაწერები და დოკუმენტაცია ყველა გასაღებული პროდუქციის სტატუსის, რაოდენობის და ამ პროდუქციის მყიდველის შესახებ. როდესაც მეწარმე პროდუქციას ასაღებს საბოლოო მომხმარებელზე, მაშინ ასეთი სახის ჩანაწერებისა და დოკუმენტაციის წარმოება უნდა მოხდეს ყოველდღე. თუ საწარმოო ერთეული აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას, მისი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ამ დანართის (ბ) ნაწილის, მე-2 პუნქტის მესამე აბზაცში მითითებულ საკითხებს.

**7.** ყველა ცხოველი უნდა იყოს ინდივიდუალურად იდენტიფიცირებული, პატარა ძუძუმწოვრებისა და ფრინველების შემთხვევაში - ჯგუფების, ფუტკრების შემთხვევაში, სკების მიხედვით. უნდა ხდებოდეს მეცხოველეობის ჩანაწერებისა და დოკუმენტების წარმოება და შენახვა, იმისთვის, რომ იოლი იყოს ცხოველებისა და სკების მიკვლევადობა როგორც სისტემის შიგნით, ასევე აუდიტის დროს. მეწარმემ უნდა აწარმოოს და განაახლოს შემდეგი სახის დეტალური ჩანაწერები:
ა) ცხოველების გამრავლება და მათი წარმომავლობა;
ბ) ნებისმიერი შეძენილი საშუალების ქვითარი;

გ) ცხოველთა დაავადებების, დაზიანებებისა და გამრავლების პრობლემების პროფილაქტიკისა და მკურნალობის გეგმა;
დ) მკურნალობისათვის გამოყენებული საშუალების, ცხოველთა კარანტინის პერიოდისა და მათი იდენტიფიცირების შესახებ;
ე) გამოყენებული საკვები და მისი წარმომავლობა;
ვ) ჯოგის გადაადგილება საწარმოო ერთეულის ფარგლებში და სკების გადაადგილება დადგენილ კვების არეალში, როგორც ეს მითითებულია რუკაზე;
ზ) ტრანსპორტირება, დაკვლა და გასაღება;
თ) ფუტკრის პროდუქტების ექსტრაქცია, გადამუშავება და შენახვა.

**8.** საწარმოო ერთეულში არ შეიძლება ისეთი საშუალებების შენახვა, რომლებიც არ არის მითითებული ამ სტანდარტის 4.1 (ბ) პარაგრაფში.

**9.** „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანოები უზრუნველყოფენ საწარმოო ერთეულის წელიწადში მინიმუმ ერთხელ ინსპექტირებას.
(04.11.2016) სერტიფიცირების ორგანოს უფლება აქვს აიღოს ისეთი პროდუქტების ნიმუშები ლაბორატორიული ანალიზისათვის, რომელთა ორგანული სერტიფიცირება არ არის განსაზღვრული ან ისეთი წარმოების მეთოდების შესამოწმებლად, რომლებიც არ არიან ორგანული პროდუქციის წარმოების წესებთან შესაბამისობაში. სერტიფიცირების ორგანომ ნიმუშები შეიძლება აიღოს აგრეთვე ორგანულ წარმოებაში აკრძალული პროდუქტების დაბინძურების გამოსავლენად. მაგრამ ასეთი ანალიზი შეიძლება ჩატარდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ორგანულ წარმოებაში აკრძალული პროდუქტების გამოყენების ეჭვი.
ყოველი შემოწმების მერე უნდა მომზადდეს ინსპექტირების ანგარიში.
ასევე საჭიროა გაუფრთხილებელი ინსპექტირების ჩატარება საჭიროების მიხედვით ან ასეთი სახის ინსპექტირების ჩატარება შემთხვევითად არჩეულ საწარმოში.
მეწარმემ „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანოებს ინსპექტირებისას უნდა მისცეს ნაკვეთების, საწყობის და დამხმარე ნაგებობების შემოწმების უფლება, ასევე უზრუნველყოს ჩანაწერების, საბუღალტრო დოკუმენტაციისა და სხვა საბუთების ხელმისაწვდომობა.

**10.** მეწარმემ ასევე უნდა მიაწოდოს სერტიფიცირების ორგანოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჭირო შეიქნება ინსპექტირებისას.

**11.** როდესაც ამ სტანდარტის პირველ განყოფილებაში მითითებული პროდუქცია არ არის საბოლოოდ შეფუთული, მაშინ მისი ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ისე, რომ გამოირიცხოს მისი კონტაქტი ისეთ ნივთიერებებთან, რომლებიც არ არის ნებადართული ამ სტანდარტით და თან ახლდეს შემდეგი ინფორმაცია (ნიშანდების კანონით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნებისა გათვალისწინებით):
– პროდუქციის წარმოებასა და დამზადებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და მისამართი;
– პროდუქტის დასახელება; და
– რომ პროდუქტს აქვს ბიოსტატუსი.

12. როდესაც მეწარმე აწარმოებს სხვადასხვა სტატუსის მქონე პროდუქციას ერთი და იმავე ფართობზე (პარალელური წარმოება), მაშინ მეურნეობის ის ნაწილი, რომელზეც აწარმოებენ არაბიოპროდუქციას, ასევე უნდა შემოწმდეს

ინსპექტირებისას, ისე როგორც ეს მითითებულია ამ დანართის მე-4, მე-6 და მე-8 პარაგრაფებში. აკრძალულია ერთ საწარმოო ერთეულში ერთი და იმავე სახეობის სხვადასხვა სტატუსის მქონე მცენარეების მოშენება. მიუხედავად ამისა ევრორეგულაციის და გრინ კაუკაზუსის სტანდარტის მიხედვით (დანართი 1, ა. მემცენარეობა და მცენარეული პროდუქტები, 22. გამონაკლისი წესები-პარალელური წარმოება) არსებობს გარკვეული გამონაკლისები მრავალწლიანი კულტურებისათვის, რომელთა გათვალისწინება შესაძლებელია ზოგიერთ სპეფიურ შემთხვევებში.
თუ „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანოს მიერ დაშვებულია გამონაკლისი, მაშინ უნდა მოხდეს ამ გამონაკლისის პირობების შემუშავება და განისაზღვროს დამატებითი საინსპექციო მოთხოვნები, როგორიცაა: გაუფრთხილებელი ინსპექტირება; დამატებითი ინსპექტირება მოსავლის აღებისას; დამატებითი მოთხოვნები დოკუმენტაციისათვის; მწარმოებლის მიერ პროდუქციის დაბინძურების თავიდან აცილების უნარის შეფასება და სხვ.
სტანდარტის შემდეგი განხილვისას შეიძლება დაშვებულ იქნეს ისეთი პარალელური წარმოება, სადაც მოხდება ერთი და იმავე ჯიშის (თუნდაც მათი განსხვავება შეუძლებელი იქნება) მცენარეების მოყვანა, იმ შემთხვევაში, თუ ასეთ საწარმოო ერთეულს ჩაუტარდება შესაბამისი ინსპექტირება.

**13.** ბიომეცხოველეობის ფერმაში ყველა ცხოველი უნდა მოვაშენოთ ამ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, საწარმოო ერთეულში შეიძლება იყვნენ ცხოველები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამ სტანდარტის მოთხოვნებს, იმ პირობით, რომ იზოლირებული იქნებიან ბიოცხოველებისაგან. „გრინ კაუკაზუსი" მოითხოვს, რომ ასეთი ცხოველები განსხვავებული ჯიშის იყვნენ.

**14.** „გრინ კაუკაზუსი" ამ სტანდარტის მიხედვით მოშენებული ცხოველების საერთო საძოვრებზე გამოკვების უფლებას იძლევა იმ პირობით, თუ:
ა) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ეს ტერიტორიები არ დამუშავებულა ისეთი ნივთიერებებით, რომლებიც არ არის შეტანილი ამ სტანდარტის 4.1 განყოფილების (ა) და (ბ) პუნქტებში;
ბ) მოგვარებულია ბიო და არაბიომეთოდებით მოშენებული ცხოველების ერთმანეთისაგან იზოლირების საკითხი.

**15.** მეცხოველეობის საწარმოების ინსპექტირებისას „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ყველა საფეხურის შემოწმება დაწყებული წარმოებით, დამთავრებული პროდუქციის გასაღებით. უნდა მოხდეს მიკვლევადობის უზრუნველყოფა, დაწყებული საწარმოო ერთეულით, ცხოველებითა და მათი პროდუქტებით, გადამუშავების პროცესში და დამთავრებული დაფასოებითა და ნიშანდებით.

**მემცენარეობის შემოწმებასთან დაკავშირებული მოთხოვნები**

1. ჩანაწერები მემცენარეობაში

მემცენარეობის ჩანაწერებს უნდა ჰქონდეს ჟურნალის სახე და ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფლებამოსილი შემმოწმებელი ან სერტიფიცირების ორგანოსათვის. ჩანაწერებში ასახული უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

(a) ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით: გამოყენების თარიღი, გამოყენებული საშუალების დასახელება და რაოდენობა, რომელ ფართობებზე;
(b) მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით: საშუალების გამოყენების მიზეზი და თარიღი, პროდუქტის დასახელება და რაოდენობა, გამოყენების მეთოდი;
(c) სას/სამ დანამატების შეძენასთან დაკავშირებით: თარიღი, საშუალების დასახელება და რაოდენობა;
(d) მოსავალთან დაკავშირებით: მოსავლის აღების თარიღი, ბიო და გარდამავალი პერიოდის პროდუქტის დასახელება და რაოდენობა.

**მეცხოველეობისა და მეცხოველეობაში წარმოებული პროდუქციის შემოწმებასთან დაკავშირებული მოთხოვნები**

2. მეცხოველეობის საწარმოო ერთეულის პირველადი შემოწმებისას აუცილებელია ამ საწარმოო ერთეულის სრული აღწერა:
(a) მეცხოველეობის ფერმის, საძოვრების, ფერმის გარეთ არსებული ტერიტორიის სრული აღწერა, სადაც რელევანტურია საწყობის მოწყობილობების, მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავებისა და დაფასოების, გამოყენებული ნედლეულისა და დანამატების აღწერა;
(b) ცხოველების ნაკელის შესანახი ადგილისა და მოწყობილობების აღწერა.

3. ასევე უნდა არსებობდეს:
(a) ნაკელის გამოყენების გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სერტიფიცირების ორგანოსთან და რომელშიც აღწერილია მემცენარეობის ყველა ნაკვეთი;
(b) სხვა საწარმოდან ნაკელის შეძენისას უნდა არსებობდეს ხელშეკრულება ისეთ საწარმოო ერთეულთან, რომელიც შეესაბამება ბიოწარმოების წესებს;
(c) მეცხოველეობის საწარმოო ერთეულის მენეჯმენტის გეგმა.

4. ჩანაწერები მეცხოველეობაში

მეცხოველეობის ჩანაწერებს უნდა ჰქონდეს ჟურნალის სახე და ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფლებამოსილი შემმოწმებელი ან სერტიფიცირების ორგანოსათვის. ჩანაწერებში აღწერილი უნდა იყოს ჯოგის/ნახირის/ფარის/გუნდის მენეჯმენტის სისტემა და მოიცავდეს მინიმუმ შემდეგი სახის ინფორმაციას:
(a) საწარმოო ერთეულში შეძენილ ცხოველებთან დაკავშირებით: ცხოველების წარმომავლობა და მათი შეძენის თარიღი, გარდამავალი პერიოდი, ცხოველების იდენტიფიცირება/მარკირება და ჩანაწერები ვეტერინარიული მკურნალობის შესახებ; იმ ცხოველებთან დაკავშირებით რომლებიც ტოვებენ საწარმოო ერთეულს: მათი ასაკი, რაოდენობა, წონა (დაკვლის შემთხვევაში), მაიდენტიფიცირებელი ნიშნები.
(b) საწარმოო ერთეულში უკვე არსებულ ცხოველებთან დაკავშირებით: ასაკი, ჯოგში/ნახირში/ფარაში/გუნდში შემავალი ცხოველების რაოდენობა, ცხოველის წონა დაკვლისას, ცხოველების იდენტიფიცირება/მარკირება და დანიშნულება;
(c) დანაკარგის შემთხვევაში: ცხოველის მონაცემები და მომხდარის მიზეზი;
(d) საკვებთან დაკავშირებით: საკვების დასახელება, შემადგენლობა, რაციონში შემავალი ინგრედიენტების პროპორციები, ცხოველების გარეთ გაშვების პერიოდები,

ცხოველების სეზონური მიგრაციის/გადარეკვის პერიოდები როდესაც მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები.
(e) დაავადებების პრევენციასთან, მკურნალობასა და ვეტერინარიული საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით: წამლის ხმარების თარიღი, დიაგნოზის დეტალები, გამოყენებული საშუალების ტიპი, დასახელება და აქტიური ფარმაკოლოგიური ნივთიერებები, ვეტერინარიული საშუალების რეცეპტი, რათა განისაზღვროს პროდუქციის როგორც ბიოპროდუქტის რეალიზებამდე საჭირო მოლოდინის პერიოდი.

5. მეცხოველეობაში გამოყენებული ვეტერინარიული საშუალებების კონტროლი

ვეტერინარიული საშუალებების ნებისმიერი გამოყენების შემდეგ, ცხოველების ან მათი პროდუქტების, როგორც ბიოპროდუქტის რეალიზაციის დაწყებამდე, მეწარმემ ამის შესახებ უნდა აცნობოს სერტიფიცირების ორგანოს. ნამკურნალები ცხოველები ზუსტად უნდა იყვნენ იდენტიფიცირებული დიდი ცხოველების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო მცირე ზომის ცხოველების, ფრინველების ან ფუტკრების შემთხვევაში, ჯგუფად, გუნდად ან სკების მიხედვით.

### მაკონტროლებელი ქმედებები მეფუტკრეობაში

6. ფუტკრების კვებასთან დაკავშირებით ჩანაწერებში უნდა აისახოს შემდეგი სახის ინფორმაცია: გამოყენებული პროდუქტის დასახელება, თარიღები, გამოყენებული რაოდენობა და სკები, რომლებშიც მოხდა ფუტკრის გამოკვება.
7. ნებისმიერი ვეტერინარიული საშუალებების გამოყენებისას მიეთითოს: პროდუქტის დასახელება, გამოყენებული საშუალების აქტიური ფარმაკოლოგიური ნივთიერებები, დიაგნოზის დეტალები, გამოყენების მეთოდი, მკურნალობის პერიოდი და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოლოდინის პერიოდი. პროდუქტების, როგორც ბიოპროდუქტის რეალიზაციის დაწყებამდე, მეწარმემ ამის შესახებ უნდა აცნობოს სერტიფიცირების ორგანოს.
8. სკები და მათი განლაგების ადგილი უნდა იყოს რეგისტრირებული/ დაფიქსირებული. სკების გადაადგილების შემთხვევაში, მეწარმემ ამის შესახებ უნდა აცნობოს სერტიფიცირების ორგანოს გადაადგილებამდე მინიმუმ 48 საათით ადრე.
9. ჩანაწერებში უნდა აისახოს თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების შეგროვების ოპერაციები.

### ბ. გადამამუშავებელი და დამფასოებელი საწარმოები

1. მწარმოებელმა უნდა უზრუნველყოს და ჰქონდეს შემდეგი:
– საწარმოო ერთეულის სრული აღწერა, სადაც მითითებული იქნება პროდუქციის გადამუშავების, დაფასოებისა და შენახვისას გამოყენებული ყველა საშუალება და მოწყობილობა;
– სტანდარტის მოთხოვნების დასაცავად საწარმოო ერთეულში გატარებული ყველა პრაქტიკული ღონისძიება.
ზემოთ მითითებული საწარმოს აღწერისა და გატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოზე პასუხისმგებელი პირისა და „გრინ კაუკაზუსის“ მიერ.
ანგარიში უნდა შეიცავდეს მწარმოებლის მიერ გასათვალისწინებელ საკითხებს, რათა მისი საწარმოო ერთეული შეესაბამებოდეს ამ სტანდარტების მე-4 განყოფილებას,

ასევე, დარღვევების შემთხვევაში, ითვალისწინებდეს ღონისძიებების, როგორც ეს მითითებულია ამ სტანდარტის 4.6 პარაგრაფში და ხელმოწერილი იყოს ორივე მხარის მიერ.

**2.** საბუღალტრო აღრიცხვა, რათა „გრინ კაუკაზუსს" შეეძლოს გამოიკვლიოს:
– საწარმოო ერთეულში მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმომავლობა, სტატუსი და რაოდენობა;
– საწარმოო ერთეულიდან გასული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტატუსი და რაოდენობა;
– ასევე ნებისმიერი სახის სხვა ინფორმაცია, როგორიცაა ინგრედიენტებისა და გადამუშავების დამხმარე საშუალებების წარმომავლობა, სტატუსი და რაოდენობა, გადამუშავებული პროდუქტის შემადგენლობა, რომელსაც მოითხოვს სერტიფიცირების ორგანო ინსპექტირებისა და სერტიფიცირების პროცესის შესაბამისად ჩასატარებლად.

**3.** თუ საწარმოო ერთეულში ადგილი აქვს ისეთი პროდუქტის გადამუშავებას, შეფუთვასა და შენახვას, რომელიც არ შეესაბამება ამ სტანდარტის პირველი განყოფილების მოთხოვნებს, მაშინ დაცული უნდა იქნეს შემდეგი პირობები:
– საწარმოო ერთეულს უნდა ჰქონდეს სეპარირებული ადგილი ბიოპროდუქციის შესანახავად გადამუშავებამდე და გადამუშავების შემდეგ;
– ბიოპროდუქციის გადამუშავების ოპერაციები უნდა ჩატარდეს განგრძობით, სანამ არ დასრულდება მთელი პროცესი და უნდა გამოიყოს დროით ან სივრცით იმ ოპერაციებისაგან, რომლებიც უტარდება არაბიოპროდუქციას;
– თუ ასეთი სახის ოპერაციები არ ტარდება ხშირად, მაშინ მისი ჩატარებისა და დასრულების ვადა წინასწარ უნდა გაცხადდეს და შეთანხმდეს „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანოსთან;
უნდა გატარდეს ყველა ზომა იმისათვის, რომ წარმოებული პროდუქციის ყველა ერთეული (პარტია) იყოს იდენტიფიცირებული და გამოირიცხოს მათი შერევა იმ პროდუქტებთან, რომლებიც არ შეესაბამება ამ სტანდარტის მოთხოვნებს.

**4.** „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანომ უნდა უზრუნველყოს საწარმოო ერთეულის წელიწადში მინიმუმ ერთხელ სრული ინსპექტირება. (04.11.2016) სერტიფიცირების ორგანოს უფლება აქვს აიღოს ისეთი პროდუქტების ნიმუშები ლაბორატორიული ანალიზისათვის, რომელთა ორგანული სერტიფიცირება არ არის განსაზღვრული ან ისეთი წარმოების მეთოდების შესამოწმებლად, რომლებიც არ არიან ორგანული პროდუქციის წარმოების წესებთან შესაბამისობაში. სერტიფიცირების ორგანომ ნიმუშები შეიძლება აიღოს აგრეთვე ორგანულ წარმოებაში აკრძალული პროდუქტების დაბინძურების გამოსავლენად. მაგრამ ასეთი ანალიზი შეიძლება ჩატარდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ორგანულ წარმოებაში აკრძალული პროდუქტების გამოყენების ეჭვი.
ყოველი შემოწმების მერე ინსპექტირებაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა მოამზადოს ინსპექტირების ანგარიში. ასევე საჭიროა გაუფრთხილებელი ინსპექტირებების ჩატარება საჭიროების მიხედვით ან ასეთი სახის ინსპექტირების ჩატარება შემთხვევით არჩეულ საწარმოში.

**5.** მეწარმემ „გრინ კაუკაზუსის" სერტიფიცირების ორგანოებს ინსპექტირებისას უნდა მისცეს საწარმოს სრული დათვალიერების უფლება და უზრუნველყოს ჩანაწერების,

საბუღალტრო დოკუმენტაციისა და სხვა, ინსპექტირებასთან დაკავშირებული საბუთების ხელმისწავდომობა. მეწარმემ ასევე უნდა მიაწოდოს სერტიფიცირების ორგანოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჭირო შეიქნება ინსპექტირებისას.

**6.** საჭიროა ამ დანართის პარაგრაფ (ა.) 10-ში ტრანსპორტირების თაობაზე მითითებული მოთხოვნების დაცვა.

**7.** ბიოპროდუქციის მიღებისას მეწარმემ უნდა შეამოწმოს:
– დაფასოებული პროდუქციის მდგომარეობა (საჭიროების შემთხვევაში);
– აქვს თუ არა პროდუქციას ნიშანდება, როგორც მითითებულია ამ დანართის (ა.) 10-ში. შემოწმების შედეგი გასაგებად უნდა იყოს აღნიშნული, როგორც ეს მოცემულია (ბ.) 2-ში.
იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი, რომ წარმოების შემოწმება ვერ ხერხდება მე-6 განყოფილებაში მითითებული სისტემის მიხედვით, მაშინ ასეთ საწარმოში წარმოებული პროდუქციის ბიოსტატუსით გასაღება არ შეიძლება.

**მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების, ასევე მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტებისაგან შემდგარი საკვების დამამზადებელი საწარმოო ერთეულების შემოწმების მოთხოვნები**

**8. მაკონტროლებელი ქმედებები**
საწარმოებში, რომლებიც დაკავებული არიან ასეთი პროდუქციის წარმოებით (იმ საწარმოების ჩათვლით, რომლებიც ახდენენ დაფასოებას და ნიშანდებას), უნდა არსებობდეს საწარმოო ერთეულის სრული აღწერა, სადაც ასახულია ყველა მოწყობილობა და საშუალება, რომელიც გამოიყენება სას/სამ პროდუქციის მიღების, გადამუშავების, დაფასოების, ნიშანდებისა და შენახვის დროს, მათი გამოყენების წინ და გამოყენების შემდეგ. ასევე უნდა ჩატარდეს პროდუქციის ტრანსპორტირების შესაბამისი პროცედურები.

**ბიოპროდუქციის წარმოებით, მომზადებით ან მისი ექსპორტით/იმპორტით დაკავებული საწარმოების, რომლებსაც მთლიანი სამუშაოების ან მათი ნაწილის შესასრულებლად დაქირავებული ჰყავთ ქვეკონტრაქტორები, შემოწმებასთან დაკავშირებული მოთხოვნები**

**9. მაკონტროლებელი ქმედებები**

იმპორტიორის შემთხვევაში საწარმოოს სრული აღწერა უნდა მოიცავდეს იმპორტიორის საწარმოს აღწერას, მისი საქმიანობის ჩათვლით, პროდუქტის ქვეყანაში შესვლის პუნქტის მითითებით და სხვა ნებისმიერი მოწყობილობის ჩათვლით რომელსაც იმპორტიორი გამოიყენებს პროდუქციის დასაწყობებისას ან პირველი დანიშნულების ადგილზე მიტანისას.
დეკლარაცია უნდა მოიცავდეს იმპორტიორის ვალდებულებას ხელმისაწვდომი გახადოს სერტიფიცირების ორგანოსათვის იმ საწყობისა და საშუალებების შემოწმება, რომელსაც იმპორტიორი იყენებს თავის მუშაობაში, ხოლო თუ საწყობი და სამუშაო საშუალებები მოთავსებულია სხვა რეგინში მისი შემოწმება უნდა შეეძლოს ამ რეგიანში მომქმედ სერტიფიცირების ორგანოს.

**იმ მეწარმეების მაკონტროლებელი ქმედებები რომლებსაც ყავთ ქვეკონტრაქტორები**

10. ასეთ საწარმოებს უნდა ჰქონდეთ დაქირავებული ქვეკონტრაქტორი საწარმოს სრული აღწერა და მასში მითითებული უნდა იყოს:

(a) ქვეკონტრაქტორების სია და მათი შემმოწმებელი სერტიფიცირების ორგანოს დასახელება;

(b) წერილობითი შეთანხმება მასზედ, რომ ქვეკონტრაქტორის საწარმოო ერთეული დაექვემდებარება შემოწმებას;

(c) საწარმოო ერთეულის დონეზე გატარდება ყველა პრაქტიკული ქმედება (დოკუმენტაციის აღრიცხვის შესაბამისი სისტემის შექმნის ჩათვლით), იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პროდუქტის მიკვლევადობა მათ მომწოდებლებთან, რეალიზატორებთან, ტვირთმიმღებებსა და მყიდველებთან.

**ცხოველებისათვის განკუთვნილი საკვების მწარმოებელი ერთეულის შემოწმებასთან დაკავშირებული მოთხოვნები**

11. საწარმოო ერთეულის სრული აღწერა უნდა მოიცავდეს:

(a) ყველა მოწყობილობასა და საშუალებას, რომლებიც გამოიყენება ცხოველებისათვის განკუთვნილი საკვების პროდუქციის მიღების, გადამუშავებისა და შენახვისას (მათ გამოყენების წინ და გამოყენების შემდეგ).

(b) ცხოველების საკვების მომზადებისათვის საჭირო სხვადასხვა პროდუქტების შესანახავად საჭირო მოწყობილობებს;

(c) დასუფთავებისა და დეზინფიცირებისათვის საჭირო საშუალებების შენახვისათვის საჭირო მოწყობილობებს;

(d) სადაც საჭიროა ცხოველების იმ კომბინირებული საკვების აღწერა, რომლის წარმოებასაც აპირებს მეწარმე და იმ ცხოველის სახეობისა და კლასის აღწერა, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს საკვები;

(e) სადაც საჭიროა იმ საკვები ნივთიერების დასახელება, რომლის წარმოებასაც აპირებს მეწარმე.

12. მეწარმემ უნდა შეასრულოს ქმედებები, რათა გარანტირებულ იქნეს შესაბამისობა ბიოწარმოების წესებთან.

13. სერტიფიცირების ორგანომ ეს ქმედებები უნდა გამოიყენოს თითოეული ოპერაციის თანმხლები რისკების შესაფასებლად და საწარმოს შემოწმების გეგმის შესამუშავებლად. ამ შემოწმების გეგმამ, პოტენციური რისკებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს ნიმუშების მინიმალური რაოდენობის აღება.

14. საწარმოში შესრულებული ოპერაციების შესაბამისი/სწორი შემოწმებისათვის უნდა არსებობდეს დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ცხოველების საკვების წარმომავლობის, ბუნების, რაოდენობის, გამოყენებული დანამატების, გასაღებული რაოდენობისა და საბოლოო პროდუქტის შესახებ.

15. საინსპექციო ვიზიტი უნდა მოიცავდეს საწარმოო ერთეულის ყველა ნაწილისა და საშუალების ფიზიკურ შემოწმებას. გარდა ამისა, სერტიფიცირების ორგანომ ბიოწარმოების წესებთან შესაძლო შეუსაბამობების რისკის შეფასების საფუძველზე უნდა ჩაატაროს მიზანმიმართული ინსპექციები.

სერტიფიცირების ორგანომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მეწარმისათვის განსაზღვრულ კონტროლის კრიტიკულ წერტილებს იმის დასადგენად, ხდება თუ არა ამ წერტილების სწორი ზედამხედველობა და კონტროლი.
მეწარმის საქმიანობაში გამოყენებული ყველა ნაგებობა შეიძლება შემოწმდეს იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას განაპირობებს არსებული რისკი.

## გ. იმპორტი

„გრინ კაუკაზუსი" იმპორტირებული პროდუქციის ინსპექციისას იხელმძღვანელებს იმ საინსპექციო მოთხოვნებით, რომელთა დაცვას მოითხოვს პროდუქციის იმპორტიორებისგან.

## დ. მოთხოვნები ჯგუფის სერტიფიცირებასთან დაკავშირებით

ჯგუფური სერტიფიცირების მიზანი: - მცირე მეწარმეთა კონტროლის ეკონომიკური სიძნელეების დაძლევა.

ჯგუფური სერტიფიცირების ზოგადი პრინციპები:

1. ინსპექტირების სამუშაოების მნიშვნელოვან ნაწილს ასრულებენ შიდა ინსპექტორები, რომლებიც მოქმედებენ ჯგუფის მიერვე დაარსებული შიდა კონტროლის სისტემის ფარგლებში;
2. სერტიფიცირების ორგანო ამოწმებს და აფასებს შიდა კონტროლის (შკს) სისტემის მუშაობის ეფექტიანობას და ახდენს მთლიანი ჯგუფის სერტიფიცირებას.

**ჯგუფური სერტიფიცირების სფერო და შესაბამისობის კრიტერიუმები**

1. როგორც წესი, ჯგუფი, რომელსაც შეაქვს განაცხადი ჯგუფურ სერტიფიცირებაზე, უნდა შედგებოდეს მხოლოდ მცირე ფერმერებისაგან.
2. "მცირე მეწარმის" განმარტება ისე უნდა განისაზღვროს ყველა ქვეყნის, რეგიონის, მხარის და თემის შემთხვევაში, რომ მათ თავისებურებებს ითვალისწინებდეს. სერტიფიცირების ორგანომ უნდა მოითხოვოს ჯგუფურ სერტიფიცირებაზე განმცხადებლისგან მტკიცებულება, რომ მისი ჯგუფის წევრები მცირე მეწარმეები არიან.
3. (10.05.17) 3 ჰექტარზე ნაკლები ფართობის მქონე მეურნეობები განიხილება, როგორც მცირე ზომის მეურნეობები და მათი ინსპექტირება შესაძლებელია შერჩევითობის პრინციპით. 3 ჰექტარზე მეტი ფართობის მქონე მეურნეობები, ასევე შეიძლება გახდენ ჯგუფის წევრები, მაგრამ მათი ინსპექტირება უნდა ჩაატაროს გარე სერტიფიცირების ორგანომ წელიწადში ერთხელ.
4. ჯგუფის წევრები შეიძლება იყვნენ გადამამუშავებლები და ექსპორტიორები, მაგრამ მათი ინსპექტირება სერტიფიცირების ორგანომ თვითონ უნდა ჩაატაროს წელიწადში ერთხელ.
5. ჯგუფი უნდა აერთიანებდეს ერთგვაროვანი წარმოების მქონე ფერმერებს, მაგალითად ისეთებს, რომლებიც აწარმოებენ და ყიდიან ერთიდაიმავე სასოფლო-სამეურნეო კულტურას (როგორიცაა, ხილი, კენკრა, ლავანდა, ყავა, ჩაი ან სხვა); ან ერთიდაიმავე თესლბრუნვაში მოქცეულ კულტურათა ჯგუფს (როგორიცაა მარცვლეული, პარკოსნები და სხვა), ან მონაწილეობენ ერთიდაიმავე პროდუქტის

(მაგ., ველური კენკრა ან ბალახოვანი მცენარეები) შეგროვებაში, დისტრიბუციასა და მარკეტინგში.

6. მეურნეობები უნდა განლაგებული იყვნენ ერთმანეთთან "გეოგრაფიულ სიახლოვეში", რომელიც უნდა წარმოადგენდეს მსგავსი სოციო-ეკონომიკური, კლიმატური და ბუნებრივი პირობების მქონე რეგიონის ან თემის ტერიტორიას, რაც ქვეყნის თავისებურებებზეა დამოკიდებული. მეურნეობის ერთმანეთთან გეოგრაფიული სიახლოვისა და მათი წარმოების ერთგვაროვნების ზომა შეიძლება სხვადასხვა იყოს სხვადსხვა ჯგუფის შემთხვევაში: ჯგუფის ამ კრიტერიუმების მიხედვით შეფასება და მისი ჯგუფურ სერტიფიცირებასთან შესაბამისობის დადგენა სერტიფიცირების ორგანის პასუხისმგებლობაა. გეოგრაფიული სიახლოვე ისე უნდა განისაზღვროს, რომ ხელი შეეწყოს ჯგუფის ეფექტიან მართვასა და შიდა კონტროლის სისტემის შედეგიან ფუნქციონირებას.
7. ჯგუფი შეიძლება თვითორგანიზებით შეიქმნას, მაგ., წარმოადგენდეს კოოპერატივს ან გადამამუშავებელთან და ექსპორტიორთან დაკავშირებულ გარკვეული სტრუქტურის მქონე გაერთიანებას. მეწარმეებს, რომლებსაც შეაქვთ განაცხადი ჯგუფურ სერტიფიცირებაზე, უნდა დააფუძნონ იურიდიული სტატუსის მქონე ჯგუფი (მაგალითად დაარეგისტრირონ, როგორც ასოციაცია, კავშირი და სხვა).
8. ჯგუფი უნდა იყოს ოფიციალურად დაფუძნებული წევრთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე. ჯგუფს უნდა ჰყავდეს ცენტრალიზებული მართველობა, გადაწყვეტილების მიღების მოქმედი სისტემა და უფლებაუნარიანობა. სასერტიფიკაციო მომსახურეობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს სერტიფიცირების ორგანოსა და მეწარმეების ჯგუფის მიერ დაარსებულ იურიდიულ პირს შორის.
9. ექსპორტისათვის გამიზნული პროდუქტების მარკეტინგი უნდა განხორციელდეს ჯგუფურად;
10. სიტუაციიდან გამომდინარე შესაძლებელია შესაბამისობის კრიტერიუმების გაფართოვება, ან ოდნავ შეცვლა და დამატებით ადაპტირება. სერტიფიცირების ორგანოს შეფასების დროს შეიძლება დასჭირდეს დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულება, რომ დაადასტუროს ჯგუფის ჯგუფური სერტიფიცირების კრიტერიუმებთან შესაბამისობა.
11. ჯგუფმა უნდა ნათლად დაადასტუროს, რომ გრინ კავკაზუსის სტანდარტი არის ის ორგანული სტანდარტი, რომელსაც ისინი იყენებენ.

**შიდა კონტროლის სისტემა**

1. ჯგუფის შიდა კონტროლის სისტემა არის დოკუმენტურად გაფორმებული შიდა კონტროლის სისტემა, რომლის ნაწილია ჯგუფის თითოეული წევრის სახელშეკრულებო ვალდებულებები.
2. შიდა ინსპექტორები ინიშნება ჯგუფის გადაწყვეტილებით. მათი პასუხისმგებლობაა შიდა ინსპექტირებების ჩატარება. აუცილებელია, რომ მათ მიიღონ ინსპექტირებისათვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები. შიდა კონტროლის სისტემამ უნდა გამოიმუშავოს წესები, რომლებიც შიდა ინსპექტორების პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილებასა ან შემცირებას შეუწყობს ხელს.
3. შიდა ინსპექტორები მინიმუმ ერთ ინსპექტირებას უტარებენ ჯგუფის თითოეულ წევრს ყოველწლიურად, რომელშიც შედის მინდვრისა და მეურნეობის შენობების-დანადგარების შემოწმება (ერთი ინსპექტირება ჩატარდება, თუ მეტი, დამოკიდებულია იმ საფრთხის შეფასებაზე, რომელსაც უქმნის ამ წევრის მიერ სტანდარტის დარღვევა მთელი ჯგუფის ორგანულ სერტიფიცირებას).

4. შიდა კონტროლის სისტემა აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას, რომელშიც, როგორც მინიმუმ წარმოდგენილია მეურნეობების მინდვრებისა და შენობა-დანადგარების აღწერა, წარმოების გეგმები, აღებული მოსავალი, ცალკეულ წევრებთან დადებული ხელშეკრულებები და შიდა ინსპექტირების ანგარიშები.
5. შიდა კონტროლის სისტემა უნდა მოიცავდეს ცალკეულ წევრთა მიერ წარმოების სტანდარტის დარღვევით გამოწვეული სანქციების გამოყენების სისტემას. შიდა კონტროლის სისტემა ვალდებულია შეატყობინოს სერტიფიცირების ორგანოს გამოვლენილი დარღვევები და შეუსაბამობები და იმ მაკორექტირებელი ქმედებების შესახებ, რომელთა განხორციელება დააკისრა სტანდარტის დამრღვევს და მათი განხორცილების ვადები.
6. მეწარმეთა ჯგუფისა შიდა ხარისხისა და ორგანული წესის აღსრულების სისტემა უნდა მოიცავდეს შემდეგ პროცედურებსა და წესებს, რომელიც უნდა დამტკიცდეს გრინ კაუკაზუსის სერტიფიცირების ორგანოს მიერ, სანამ ჯგუფი დაიწყებს მათ გამოყენებას:

**პერსონალი**

- ჯგუფმა უნდა დანიშნოს კავალიფიცირებული თანამშრომელი (შიდა ინსპექტორი/ხარისხის მენეჯერი), რომელიც უზრუნველჰყოფს შიდა ხარისხისა და ბიოწარმოების სისტემების გამართულ მუშაობასა და კომუნიკაციას/ანგარიშგებას სერტიფიციების ორგანოსთან.
- აღნიშნული თანამდებობის პასუხისმგებლობა და ვალდებულება უნდა მოიცავდეს შიდა ხარისხის კონტროლის სისტემის, ბიოწარმოების პროცედურებისა და დოკუმენტაციის შექმნა. ასევე მას ევალება ჯგუფის წევრებისათვის ტრენინგების პროგრამის შემუშავება, დოკუმენტაციის, და ჩანაწერების სისტემის მართვა, მუდმივი კონტროლი ჯგუფის წევრებზე მათ მიერ ბიოწარმოების სისტემის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით. მისი მოვალეობაა სერტიფიცირების ორგანოს მიერ ინსპექტირების ჩატარებისას წარუდგინოს მას მეწარმეთა ჯგუფი.

**პროცედურები**

- ინსპექტირებისა და ინსპექტირების ანგარიშის მომზადების პროცედურა. აღნიშნული პროცედურის მიხედვით თვითოეული ჯგუფის წევრი წლის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ მაინც უნდა შემოწმდეს. აღნიშნულ შემოწმებას უნდა მოყვეს დამატებითი ინსპექტირება, რომლის დროსაც გადამოწმდება თუ როგორ მოხდა დაფიქსირებული შეუსაბამობების გამოსწორება. ასევე რისკის შეფასების საფუძველზე უნდა ჩატარდეს გაუფრთხილეელი ინსპექტირებები; აღნიშნული პროცედურა უნდა იყოს დოკუმენტირებული ინსპექტირების ანგარიშისა და რისკის შეფასების ფორმებით.
- შიდა ინსპექტირების დროს აღმოჩენილი შეუსაბამობების შესრულების შემოწმების პროცედურა. აღნიშნული პროცედურა უნდა იყოს დოკუმენტირებული შუსაბამობების და მაკორექტირებელი ქმედებების ფორმით.
- სანქციების პროცედურა ჯგუფის წევრების მიმართ, რომლებიც არღვევენ სტანდარტის, შიდა კონტროლის სისტემისა და ხელშეკრულების მოთხოვნებს. აღნიშნული პროცედურა უნდა მოიცავდეს შემდეგ შემთხვევებს: ბიოწარმოების წესების დარღვევა, ნიშანდების მოთხოვნბეის უგულვებელყოფა,

ბიოპროდუქტების არაბიოპროდუქტთან შერევა ან დაბინძურება. აღნიშნული პროცედურისათვის შნიმუშად შესაძლებელია გრინ კაუკაზუსის ანალოგიური პროცედურის გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში მისი ადაპტირება ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე;

- სერტიფიცირების ორგანოსთან ანგარიშგების/კომუნიკაციის პროცედურა;
- ჯგუფის დოკუმენტაციის და შიდა ხარისხის სისტემის შენახვის პროცედურა;

**ტრენინგი**

- უნდა შემუშავდეს ტრენინგების პროგრამა, რომელიც განკუთვნილია ჯგუფის ყველა წევრისათვის და მიზნად ისახავს მისი წევრებისა და შიდა ინსპექტორების კვალიფიკაციის ამაღლებას. ტრენინგი შეიძლება ჩატარდეს პასუხისმგებელი პირის ან დაქირავებული სპეციალისტების მიერ.

**ჯგუფს უნდა გააჩნდეს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:**

- ხელშეკრულება ჯგუფის მიერ შექმნილ იურიდიულ პირსა და ჯგუფის წევრებს შორის, რომელიც შეესაბამება ხარისხის შიდა კონტროლის და სერტიფიცირების სისტემების მოთხოვნებს;
- სანქციების კატალოგი, რომელიც მოქმედებს სტანდარტის, ხარისხის სისტემის და ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში;
- ინსპექტირების ანგარიშების ფორმები თვითოეული სფეროსათვის (მაგ. მემცენარეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა), რომელიც მოიცავს საწარმოო ერთეულისა და მასში არსებული რისკების შეფასებას.
- მენეჯმენტის გეგმის ფორმები თვითოეული წარმოების ტიპისათვის (მაგ. მემცენარეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა), რათა აღწერილ იქნას საწარმოო ერთეულში არსებული ბიოწარმოების სისტემა.

**გარე სერტიფიცირების ორგანო**

1. გარეშე სერტიფიცირების ორგანო ატარებს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის შეფასებას, რომლის საბოლოო მიზანი ჯგუფის ყველა წევრის საწარმოო სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებაა;
2. სერტიფიცირების ორგანოს უნდა ჰქონდეს ხელმოწერილი ხელშეკრულება ჯგუფთან;
3. სერტიფიცირების ორგანო ატარებს ჯგუფის მინიმუმ ერთ ყოველწლიურ ინსპექტირებას. ინსპექციის მოიცავს რამდენიმე მეურნეობის შემოწმებას, რომლის მიზანი ამ მეურნეობების სტანდარტთან შესაბამისობისა და შიდა კონტროლის სისტემის მუშაობის შედეგიანობის შეფასებაა.
4. ყოველ წელს, რისკის შეფასების საფუძველზე, სერტიფიცირების ორგანო განსაზღვრავს და ასაბუთებს მეურნეობათა იმ შერჩევას, რომელსაც ის შეამოწმებს ყოველწლიური ინსპექტირების ფარგლებში. ყოველწლიური ინსპექტირების ფარგლებში შესამოწმებელ მეურნეობათა რაოდენობა ნებისმიერ შემთხვევაში არ უნდა იყოს 10-ზე ნაკლები. ჩვეულებრივი (დაბალი) რისკის შემთხვევაში შესამოწმებელ მეურნეობათა მინიმალური რიცხვი განისაზღვრება, როგორც კვადრატული ფესვი მეურნეობათა საერთო რიცხვიდან. საშუალო და მაღალი რისკის შემთხვევაში, გარეშე სერტიფიცირების ორგანომ გამოთვლილი მინიმალური რიცხვი უნდა გაამრავლოს რისკ-ფაქტორზე, რომელიც ტოლი უნდა იყოს 1.2 და 1.4, შესაბამისად.

5. ყოველწლიური გარეშე ინსპექტირების დროს უმეტესად უნდა შემოწმდეს ისეთი მეურნეობები, რომლებიც წინა წლებში არ შემოწმებულა.
6. გარეშე სერტიფიცირების ორგანო რისკის შეფასების საფუძველზე შესამოწმებელი მეურნეობების რიცხვის განსაზღვრავად ხელმძღვანელობს შემდეგი ცხრილით:

| გარეშე სერტიფიცირების ორგანოს მიერ შესამოწმებელ მეურნეობათა რიცხვის განსაზღვრა | | | |
|---|---|---|---|
| ჯგუფის წევრთა საერთო რაოდენობა = n | დაბალი რისკის ფაქტორი = 1 | საშუალო რისკის ფაქტორი = 1.2 | მაღალი რისკის ფაქტორი = 1.4 |
| არანაკლებ | 10 | 12 | 14 |
| შესამოწმებელი მეურნეობათა რიცხვი | $\sqrt{n}$ | $1.2 * \sqrt{n}$ | $1.4 * \sqrt{n}$ |

ფაქტორებს, რომლებსაც ითვალისწინებენ რისკის შესაფასებლად, მიეკუთვნება:

a) მეურნეობის ზომასთან დაკავშირებული ფაქტორები:
   - მიწის ფართობი;
   - წარმოებული პროდუქციის საერთო ღირებულება;
   - წარმოებული ბიო და არაბიო პროდუქტებს შორის სხვაობა ღირებულებაში.

b) წარმოების სისტემასთან დაკავშირებული ფაქტორები:
   - ჯგუფის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და წარმოების სისტემების ერთგვაროვნების ხარისხი;
   - შერევისა და დაბინძურების საფრთხე.

c) დაგროვილი გამოცდილება
   - ჯგუფის ფუნქციონირების ხანგრძლივობა;
   - ყოველწლიურად დარეგისტრირებულ ახალ წევრთა რაოდენობა;
   - წინა წლების ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი პრობლემების არსი და შიდა კონსტროლის სისტემის ეფექტიანობის ადრე ჩატარებული შეფასებების შედეგები;
   - შიდა ინსპექტორების პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტების მართვა;
   - მომსახურე პერსონალის დენადობა.

7. დიდი მეურნეობები, გადამამუშავებელი საწარმოები და ექსპორტიორები მოწმდება ყოველწლიურად გარეშე სერტიფიცირების ორგანოს მიერ;
8. იმ შემთხვევაში, თუ გარეშე სერტიფიცირების ორგანო ადგენს, რომ შიდა კონტროლის სისტემა არასაკმარისად სანდო და ეფექტიანია, ის მინიმუმ გაასამმაგებს ყოველწლიურად შესამოწმებელი მეურნეობების რიცხვს – სამზე გაამრავლებს ჯგუფის წევრ ფერმერთა საერთო რაოდენობიდან კვადრატულ ფესვის ამოღებით მიღებულ რიცხვს.

9. გარეშე სერტიფიცირების ორგანოს აქვს ჯგუფების მიმართ სანქციების გამოყენების დოკუმენტირებული სისტემა. როდესაც შიდა კონტროლის სისტემის შეუსაბამობა ვლინდება, გარეშე სერტიფიცირების ორგანო სანქციებს მთელი ჯგუფის მიმართ იყენებს და თუ შეუსაბამობა გამოვლინდა, ყოველწლიურად შესამოწმებელი მეურნეობების რიცხვი – კვადრატული ფესვი ჯგუფის წევრ ფერმერთა საერთო რაოდენობიდან – როგორც მინიმუმ გასამმაგდება.
10. თუ დადგინდა, რომ შიდა კონტროლის სისტემა არასაკმარისად სანდო და ეფექტიანია, გარეშე სერტიფიცირების ორგანო მიმართავს სანქციას მთელი ჯგუფის მიმართ, ხოლო სერიოზული ნაკლოვანებების შემთხვევაში, გამოიწვევს ჯგუფის ბიოსერტიფიკატს.
11. აკრედიტაციის სამსახურთან, ევროკავშირის კომისიასთან და სხვა ამ საქმესთან დაკავშირებულ ხელმძღვანელ ორგანოებთან ანგარიშგებაში, გარეშე სერტიფიცირების ორგანო იხელმძღვანელებს იმ ყველა არსებული დებულების ელემენტებით, რომლებიც მოცემულია ამ სტანდარტსა და ჯგუფური სერტიფიცირების სახელმძღვანელო დოკუმენტში ("ევროკავშირში ორგანული პროდუქციის იმპორტის სახელმძღვანელო. 8. განვითარებად ქვეყნებში გამოყენებული ბიომეურნეთა ჯგუფური სერტიფიცირების სქემების შეფასების სახელმძღვანელო").
12. გარეშე სერტიფიცირების ორგანოს მიერ მეწარმეთა ჯგუფების შემოწმების დამატებითი მოთხოვნები:

    სეტიფიცირების ორგანოს მიერ უნდა შემოწმდეს ჯგუფს წევრების შემდეგი პროცენტული რაოდენობა:

- 50%-ის ინსპექტირება – იმ შემთხვევაში თუ ჯგუფის წევრებს გააჩნიათ შერეული ტიპის წარმოება (მემცენარეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და ა.შ.);
- დაბალი რისკის შემთხვევაში სერტიფიცირების ორგანოს შეუძლია შეამციროს ჯგუფის წევრი შესამოწმებელი მეურნეობების რაოდენობა თუ შიდა კონტროლის სისტემის მუშაობა შეესაბამება გრინ კაუკაზუსის სტანდარტის მოთხოვნებს.
- მაღალი რისკის შემთხვევაში სერტიფიცირების ორგანოს შეუძლია გაზარდოს ჯგუფის წევრი შესამოწმებელი მეურნეობების რაოდენობა თუ შიდა კონტროლის სისტემის მუშაობა ვერ უზრუნველყოფს შესაბამისობას გრინ კაუკაზუსის სტანდარტის მოთხოვნებთან.
- 10 და უფრო ნაკლებ წევრიანი ჯგუფების შემთხვევაში შესამოწმებელი მეურნეობების რაოდენობა ტოლია წევრების რაოდენობის კვადრატული ფესვის.
- ინსპექტირებისას, ჯგუფის წევრის საწარმოო ერთეული მოწმდება გრინ კაუკაზუსის სტანდარტის წინამდებარე თავის და პროცედურების სახელმძღვანელოს მოთხოვენების და "ევროკავშირში ორგანული პროდუქციის იმპორტის სახელმძღვანელო. 8. განვითარებად ქვეყნებში გამოყენებული ბიომეურნეთა ჯგუფური სერტიფიცირების სქემების შეფასების სახელმძღვანელოს" შესაბამისად.
- ინსპექტირებიებისას მძიმე დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში სერტიფიცირების ორგანოს უფლება აქვს გაზარდოს შესამოწმებელი მეურნეობების რაოდენობა (ჯგუფის თვითოეულ წევრამდეც). იმ შემთხვევაში

თუ ჯგუფი ვერ შეძლებს ბიოწარმოების და შიდა კონტროლის სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფას სერტიფიცირების ორგანო შეამოწმებს ჯგუფის თვითოეულ წევრს.

- სერტიფიცირების პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სერტიფიკატი გაიცემა მეწარმეთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებულ იურიდიულ პირზე.

**შიდა კონტროლის სისტემის შეფასება**

შიდა კონტროლის სისტემის შეფასება მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

- შიდა ინსპექტორების ე.წ. ვიტნეს აუდიტი (ინსპექტირების პროცესის აუდიტი)
- შიდა ხარისხის მენეჯმენტისა და ფაილინგის სისტემის აუდიტი
- შიდა ხარისხის მენეჯმერის მიერ, შიდა ინსპექტორებისათვის და ჯგუფის წევრებისათვის ჩატარებული ტრენინგების აუდიტი

ჯგუფის შიგნით არსებული სტრუქტურისა და შესრულებული სამუშაოების შესამოწმებლად სერტიფიცირების ორგანო უნდა უშუალოდ ეწვიოს ფერმერთა ჯგუფს.